ინფორმაცია საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და ინდიკატორების შესახებ

(2025-2028 წლების პროგრამული ბიუჯეტის დანართი)

თბილისი

2024

ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი
27 02	მოსახლეობის სოციალური დაცვა	6,261,430.0	6,261,430.0	0.0	6,773,550.0	7,281,260.0	7,789,625.0
27 03	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა	1,855,790.0	1,855,790.0	0.0	1,996,490.0	2,101,790.0	2,206,590.0
27 05	შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	120,750.0	120,750.0	0.0	122,800.0	124,300.0	125,800.0
27 01	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	122,119.0	114,050.0	8,069.0	125,770.0	128,970.0	131,670.0
27 04	სამინისტროს სისტემაში შემავალი სამედიცინო და სხვა დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	80,000.0	80,000.0	0.0	43,000.0	40,000.0	40,000.0
30 05	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	4,900.0	4,800.0	100.0	4,900.0	4,900.0	4,900.0
60 00	სსიპ - საპენსიო სააგენტო	22,000.0	0.0	22,000.0	24,500.0	27,000.0	29,500.0
ჯამი		**8,466,989.0**	**8,436,820.0**	**30,169.0**	**9,091,010.0**	**9,708,220.0**	**10,328,085.0**

მოსახლეობის სოციალური დაცვა (27 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო; სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.5.1 (სოციალური) ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 10 - შემცირებული უთანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 1 - არა სიღარიბეს გენდერული თანასწორობა
აღწერა და მიზანი	მოქალაქეთათვის საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზება, მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის წინაშე მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია პრევენციული, სარეაბილიტაციო, ალტერნატიული, ოჯახის გასაძლიერებელი მომსახურებებით და დამხმარე საშუალებებით; საპენსიო ასაკის პირთა (ქალებისა – 60 წლიდან, მამაკაცებისა – 65 წლიდან) პენსიით და პირთა სპეციფიკური კატეგორიების (ძალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის მუშაკების, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატებისა და სხვათა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა; სახელმწიფო პენსიის ოდენობის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პირობებით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის ინდექსაციის შესაბამისად გაანგარიშება; სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის საარსებო შემწეობის, მიზნობრივი ჯგუფებისთვის „სოციალური პაკეტის“, დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა შემწეობების, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტების, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემა დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად; შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისთვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება; „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისთვის/„სოციალური პაკეტის“ მიმღებთათვის დანამატის დაფინანსება პენსიის/„სოციალური პაკეტის“ 20 პროცენტის ოდენობით; დანამატების დაფინანსება სამედიცინო პერსონალისთვის: ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით; მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები აბონენტებისთვის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის) მაღალმთიან დასახლებაში

	მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის (არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა) ანაზღაურება; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა; საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცენტრალური და ადგილობრივი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების უზრუნველყოფა, აგრეთვე სხვა სახელმწიფოში გაშვილების მიზნებისთვის ცენტრალური მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციის უზრუნველყოფა; მეურვეობის, მზრუნველობის, მხარდაჭერის, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, ხანდაზმულებისა და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნის ხელშეწყობა. *სოციალური დაცვის ახალი მიმართულება - უსახლკარო/მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა* 2024 – 2025 წლებში უსახლკარო/მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების (რომელთა სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 120 000-ზე და რომელშიც 18 წლამდე ასაკის ბავშვები ცხოვრობენ) საცხოვრებლით უზრუნველყოფა (საქართველოს მასშტაბით 1 000 - მდე ოჯახი), ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული და რეალიზებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებები; მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, დეინსტიტუციონალიზაცია, მიტოვების პრევენცია, რეინტეგრაცია; შშმ პირთა უწყვეტი ფინანსური მხარდაჭერა; ოჯახების გაძლიერება, ალტერნატიული სერვისების განვითარება და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა; საზოგადოების ცნობიერების მაღალი დონე, ნდობა და ჩართულობა ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან დაკავშირებით; უსახლკარო მრავალშვილიანი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან ღირსეული საცხოვრებელი პირობებით.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სახელმწიფო პენსია/კომპენსაციის, სოციალური პაკეტის, მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა დაფარვის მაჩვენებელი;

	საბაზისო მაჩვენებელი - მოსახლეობის 43% (მთლიან მოსახლეობასთან მიმართებაში); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მოსახლეობის არანაკლებ 50% (მთლიან მოსახლეობასთან მიმართებაში); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 2-5%; **შესაძლო რისკები -** ნაკლები მიმართვიანობა **2.** **ინდიკატორის დასახელება -** საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 677.4 ათასზე მეტი პირი ათასამდე პირი (2024 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** წინა წელთან შედარებით გაზრდილია მოსახლეობის დაფარვის მაჩვენებელი **3.** **ინდიკატორის დასახელება -** სოციალური სერვისების მიმღებთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 13 ათასი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** დამატებით 5%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3-8% **4.** **ინდიკატორის დასახელება -** საცხოვრებლით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 500 ოჯახი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 2-5%; **შესაძლო რისკები -** ნაკლები მიმართვიანობა

მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა (27 02 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	საპენსიო ასაკის პირთა (ქალებისა – 60 წლიდან, მამაკაცებისა – 65 წლიდან) პენსიით და პირთა სპეციფიკური კატეგორიების (ძალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის მუშაკების, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატებისა და სხვათა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა; მოქალაქეთათვის საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზება; „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე პენსიების ინდექსაცია; „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კომპენსაციის გადაანგარიშება;

	მოსახლეობის სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული გასაცემლების საბანკო მომსახურება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საპენსიო ასაკის მოსახლეობა და სპეციფიური კატეგორიები უზრუნველყოფილნი არიან პენსიით და სახელმწიფო კომპენსაციით, განხორციელებულია პენსიების ინდექსაცია.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 853.6 ათასი პენსიონერი (მათ შორის 445.2 ათასამდე პირს 50 ლარიანი მატება) – 2024 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საშუალოდ 881.9 ათასი პენსიონერი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 2-5% **2.** **ინდიკატორის დასახელება -** კომპენსაციის მიმღებთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 22,5 ათასამდე პირი -2024 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** შენარჩუნებულია კომპენსაციის მიმღებთა რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 2-5%

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება (27 02 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.6 (სოციალური) ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.5.2 (სოციალური) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 5 - გენდერული თანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 1 - არა სიღარიბეს მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 10 - შემცირებული უთანასწორობა ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.5.1 (სოციალური) ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შესამსუბუქებლად სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის საარსებო შემწეობის, მიზნობრივი ჯგუფებისთვის „სოციალური პაკეტის“, დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა შემწეობების, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტების, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად გაცემა;

	შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისთვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება; ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახებისთვის (რომელთა სარეიტინგო ქულა 120 000-ის ტოლია ან 120 000-ზე ნაკლებია და რომლებშიც 16 წლამდე ასაკის ბავშვები ცხოვრობენ) ყოველთვიური დახმარების გაზრდილი ოდენობით გაცემა 2023 წლის ივლისიდან; უსახლკარო/მძიმე პირობებში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა; მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისა და შშმ ბავშვებისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის „სოციალური პაკეტის“ გაზრდილი ოდენობით გაცემა, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების გაცემა ხდება დროულად (მიმღებთა რაოდენობა 2024 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით 677.4 ათასზე მეტი პირი); უსახლკარო მრავალშვილიანი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან ღირსეული საცხოვრებელი პირობებით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - საარსებო შემწეობის მიმღებია (2024 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით) 677.4 ათასზე მეტი პირი, მათ შორის 36% ბავშვია და დახმარების გაცემა ხდება დროულად; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება საარსებო შემწეობის ბავშვების დაფარვის მაჩენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2-5% **2.** **ინდიკატორის დასახელება** - დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობით უზრუნველყოფა, სხვა მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება და სოციალური პაკეტით უზრუნველყოფა; **საბაზისო მაჩვენებელი** - დევნილი, ლტოლვილი და ჰუმანიტარული სტატუსი მქონე პირები უზრუნველყოფილნი არიან შემწეობით და გაცემა ხდება დროულად (მიმღები 192 ათასამდე პირი 2024 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით), მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან სოციალური პაკეტით და გაცემა ხდება დროულად (2024 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით მიმღებთა რაოდენობა 178 ათასამდე პირი, მათ შორის 65% მამაკაცი, 35% ქალი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება სოციალური პაკეტის დროულად გაცემის მაჩვენებელი და შემწეობის მიმღებთა რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2-5% **3.**

	ინდიკატორის დასახელება - ორსულობის, მშობიაროზის და ბავშვთა მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დემოგრაფიული დახმარების მიმღებთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან სოციალური დახმარებებით (ფულადი დახმარება ორსულობის, მშობიაროზის, ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო გაიცემა დროულად (დაახლოებით - 1.1 ათასზე მეტი პირი 2024 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით მდგომარეობით) , დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით (ყოველწლიურად უარყოფითი ბუნებრივი მატების რეგიონებში და ასევე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან სოციალური დახმარებით და გაცემა ხდება დროულად (2024 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით 13.4 ათასამდე პირი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება დახმარების მიმღებთა რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2-5% **4.** **ინდიკატორის დასახელება** - საყოფაცხოვრებო სუბსიდიით და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ პირთა და კომუნალური მომსახურების სუბსიდიით უზრუნველყოფილი მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - საყოფაცხოვრებო სუბსიდიით უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი კატეგორიის პირები -21.2 ათასზე მეტი პირი 2024 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, კომუნალური მომსახურების სუბსიდიით უზრუნველყოფილი-235.2 ათასზე მეტი ოჯახი 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება დახმარების მიმღებთა რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2-5% **5.** **ინდიკატორის დასახელება** - საცხოვრებლით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 500 ოჯახი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2-5%

სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (27 02 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის წინაშე მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია; კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება;

	დეინსტიტუციონალიზაციის პროცესისა და ინსტიტუციონალიზაციის პრევენციის ხელშეწყობა და არსებული სერვისების მხარდაჭერა და გაძლიერება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოციალური სერვისებით და პროდუქტებით მიზნობრივი ჯგუფების უზრუნველყოფა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** სოციალური სერვისებით და პროდუქტებით უზრუნველყოფილ ბენეფიციართა რაოდენობა (თვეში); **საბაზისო მაჩვენებელი -** 13 ათასი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სოციალური სერვისებით და პროდუქტებით დამატებით უზრუნველყოფილია ბენეფიციარების 5%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3-8% **2.** **ინდიკატორის დასახელება -** 24 საათიანი სერვისით უზრუნველყოფილ ბენეფიციართა რაოდენობა თვეში; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2.8 ათასი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** შენარჩუნებულია 24 საათიანი სერვისით მოსარგებლე ბენეფიციართა ყოველთვიური რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3-8% **3.** **ინდიკატორის დასახელება -** სოციალური ინკლუზიის დღის ცენტრებითა და ადრეული ინტერვენციის ქვეპროგრამებით დაფარულ ბენეფიციართა რაოდენობა თვეში; **საბაზისო მაჩვენებელი -** 3.7 ათასი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3-8%

სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში (27 02 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
აღწერა და მიზანი	„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემდეგი შეღავათების დაფინანსება: მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისთვის – დანამატი პენსიის 20 პროცენტის ოდენობით, „სოციალური პაკეტის“ მიმღებთათვის – დანამატი „სოციალური პაკეტის“ 20 პროცენტის ოდენობით, დანამატები მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისთვის (ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით);

	აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის (არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა) ანაზღაურება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაუმჯობესდება მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ოჯახების სოციალური მდგომარეობა, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პენსიონერები/სოციალური პაკეტის მიმღები პირები/სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი მიიღებენ სახელმწიფო გასაცემელს გაზრდილი ოდენობით; ანაზღაურდება აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასური 50 პროცენტის (არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასური) ოდენობით; „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია პენსიის ინდექსაცია, რაც თავის მხრივ, იწვევს დანამატის ოდენობის ზრდას, პენსიონერებისთის, ექიმებისა და ექთნებისთვის. გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სოციალური პაკეტის ოდენობის ზრდაც, სოციალური პაკეტის დანამატის ოდენობის გაზრდასაც გამოიწვევს, ვინაიდან „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით დანამატების ოდენობა სწორედ პენსიის/სოციალური პაკეტის ოდენობაზეა დამოკიდებული. ამასთან, იზრდება პენსიის/სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა, რაც ასევე იწვევს ამ მიზნისთვის გათვალისწინებული ასიგნენების ზრდას.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - პენსიის/სოციალური პაკეტის დანამატით, ასევე ექიმისა და ექთნის დანამატით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - დანამატით სარგებლობს 99.7 ათასამდე (2024 წლის 1 აგვისტოს მონაცემებით); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია დანამატის მიმღებთა რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2-5%; **შესაძლო რისკები** - მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის შემცირება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - ელექტროენერგიის შეღავათებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 87.5 ათასამდე აბონენტი 2024 წლის 1 ივლისის მდომარეობით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია დანამატის მიმღებთა რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2-5%; **შესაძლო რისკები** - მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის შემცირება

სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფა (27 02 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო

პოლიტიკის კლასიფიკატორი	გენდერული თანასწორობა
აღწერა და მიზანი	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა; მსხვერპლთა თავშესაფრით, დროებითი სადღეღამისო საცხოვრებლით და დღის მომსახურებით უზრუნველყოფა, აგრეთვე მათი ფსიქოსოციალური დახმარების/რეაბილიტაციის, სამედიცინო მომსახურების ან/და ოჯახსა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა, იურიდიული მხარდაჭერა; ხანდაზმულებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა, სადღეღამისო მომსახურების ფარგლებში მათი მოვლა-პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელება/ორგანიზება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა; სახელმწიფოს მიერ სოციალური სისტემის მეშვეობით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დაწესებულებებში ჩარიცხულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებლით, სადღეღამისო მომსახურებით უზრუნველყოფა, აგრეთვე მათი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესების მხარდაჭერა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საზოგადოების ცნობიერების მაღალი დონე, ნდობა და ჩართულობა ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში; ალტერნატიულ ფორმებში გადაყვანილი სააგენტოს ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვები (მინდობით აღზრდა, შვილად აყვანა, მცირე საოჯახო ტიპის სახლი, ნათესაური მინდობით აღზრდა); ფიზიკურად და სოციალურად აქტიური და სათემო ცხოვრებაში ჩართული სააგენტოს მზრუნველობაში მყოფი შშმპ დაწესებულების ბენეფიციარები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** სერვისით მოსარგებლე პირების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 3 120 ერთეული; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** -/+20 **2.** **ინდიკატორის დასახელება -** შშმ ბენეფიციარების ალტერნატიულ ფორმებში გადაყვანის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი -** გადაყვანილია 35 შშმ ბენეფიციარი;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** -/+5 **3.** **ინდიკატორის დასახელება -** ბენეფიციარის კულტურულ ღონისძიებებში ჩართვის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი -** 16 ერთეული; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** -/+5

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (27 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ა(ა)იპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმრების ცენტრი; სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო; ა(ა)იპ-საქართველოს სოლიდაროზის ფონდი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ადამიანური კაპიტალის მიზნები N4.2 (ჯანდაცვა) ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.4 (სოციალური) ადამიანური კაპიტალის მიზნები N4.3 (სოციალური) გენდერული თანასწორობა ადამიანური კაპიტალის მიზნები N2.3 (ჯანდაცვა) ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.2.2 (ჯანდაცვა) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.2.1 (ჯანდაცვა) ადამიანური კაპიტალის მიზნები N2.2 (ჯანდაცვა) ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.3 (ჯანდაცვა)
აღწერა და მიზანი	მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა; დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საფრთხეებისთვის მზადყოფნისა და საპასუხო რეაგირების უზრუნველყოფა; გეგმიური და გადაუდებელი ამბულატორიული, გადაუდებელი სტაციონარული და გეგმიური ქირურგიული მომსახურება, ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია; მშობიაროზისა და საკეისრო კვეთის სერვისების დაფინანსება; ბენეფიციართა გარკვეული ჯუფების (სოციალურად დაუცველ პირთა, საპენსიო ასაკის პირთა, ვეტერანთა და სხვათა) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული სამედიცინო

	დახმარებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება; მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია; დონორული სისხლისგან დამზადებული სისხლის პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა; ისეთი გადამდები დაავადებების, როგორებიცაა აივ ინფექცია/შიდსი, ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი; C ჰეპატიტის ელიმინაციის ხელშეწყობა; B ჰეპატიტის მართვა; ნარკომანიით დაავადებულ პირთა სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურებებით უზრუნველყოფა; მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული სამედიცინო დაწესებულებების ანაზღაურება დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების სისტემით; მედიკამენტებზე რეფერენტული ფასის (სარეალიზაციო ფასის ზედა ზღვარი) დადგენა; ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სათემო ამბულატორიული, მობილური გუნდებით, სტაციონარული მომსახურებებით და საცხოვრისით უზრუნველყოფა; დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგი (18 წლამდე ასაკი); თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის, ძვლის ტვინისა და ღვიძლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და ტკივილის მართვის მიზნით მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურების უზრუნველყოფა; ინდივიდუალური რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება; საქართველოს მოქალაქეების ორგანოთა ტრანსპლანტაციით უზრუნველყოფა; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა; დონორების მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროგრამების ეტაპობრივად სახელმწიფოს ვალდებულებებში ასახვა; „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მუნიციპალიტეტებისა და მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებისთვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში საექიმო სპეციალობის მაძიებელთა დიპლომისშემდგომი/სარეზიდენტო მზადების დაფინანსება, დიპლომისშემდგომი განათლების რეგულირების

	მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა. *მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების ახალი მიმართულება - ორგანოთა ტრანსპლანტაცია* 2022 წლიდან დაიწყო და გაგრძელდება ონკოჰემატოლოგიური დიაგნოზის მქონე პირებისათვის ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციისა და ასევე, ღვიძლის დაავადებების მქონე პირებისათვის ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება (გარდა ქ. თბილისსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული პირებისა); *მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების ახალი მიმართულება - სპინალურ-კუნთოვანი ატროფია* 2022 წლიდან დაიწყო და გაგრძელდება იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში სპინალურ-კუნთოვანი ატროფიის მქონე პაციენტთა შესაბამისი მედიკამენდით უზრუნველყოფა. *მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების ახალი მიმართულება - გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგი* 2022 წლიდან დაიწყო და გაგრძელდება გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგის (ავტომატური) სისტემით 18 წლამდე ასაკის ბავშვთა უზრუნველყოფა, ჰიპერ და ჰიპო გლიკემიის თავიდან აცილების და დიაბეტის ეფექტურად მართვის მიზნით. *მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების ახალი მიმართულება - 18 წლამდე ასაკის ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე პაციენტთა მკურნალობა* 2023 წლიდან დაიწყო და გაგრძელდება 18 წლამდე ასაკის ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის მკურნალობის დაფინანსება უცხოეთის წამყვან კლინიკებში (ქვეყნის ფარგლებში უახლესი სტანდარტების მქონე პედიატრიული ონკოლოგიის ცენტრის შექმნამდე). უზრუნველყოფილი იქნება 300-მდე ბავშვის დიაგნოსტიკური და სამკურნალო სერვისები, მათ მიეცემათ შესაძლებლობა მიიღონ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და სრულფასოვანი სამედიცინო სერვისი.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით უნივერსალური მოცვა
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** – სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას; **საბაზისო მაჩვენებელი** – 75.0 (2023წ); **მიზნობრივი მაჩვენებელი** – შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** – 5%;

	შესაძლო რისკები - გაუთვალისწინებელი ეპიდემიები და კატასტროფები **2.** **ინდიკატორის დასახელება** - 1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხლადშობილზე; **საბაზისო მაჩვენებელი** - 8.2 (2023წ); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება 0,2%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ინფექციური დაავადებების გაუთვალისწინებელი ეპიდემია; სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან სერვისის მიწოდების ორგანიზაციული ხარვეზები

მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (27 03 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.4 (სოციალური) ადამიანური კაპიტალის მიზნები N4.2 (ჯანდაცვა) ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.2.2 (ჯანდაცვა) ადამიანური კაპიტალის მიზნები N4.3 (სოციალური) ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.3 (ჯანდაცვა) ადამიანური კაპიტალის მიზნები N2.3 (ჯანდაცვა) ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.2.1 (ჯანდაცვა) ადამიანური კაპიტალის მიზნები N2.2 (ჯანდაცვა)
აღწერა და მიზანი	მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით: გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული, გადაუდებელი სტაციონარული და გეგმური ქირურგიული მომსახურების, ქიმიოთერაპიის, ჰორმონოთერაპიისა და სხივური თერაპიის, მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისების დაფინანსება; ბენეფიციართა გარკვეული ჯგუფების (სოციალურად დაუცველ პირთა, საპენსიო ასაკის პირთა, ვეტერანთა და სხვათა) ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა; დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სახელმწიფოს მიერ მიღწეულია სამედიცინო სერვისებით მოსახლეობის უნივერსალური მოცვა. მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 100 მოსახლეზე; **საბაზისო მაჩვენებელი** - 14.1 (2023წ.); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - გაუთვალისწინებელი ეპიდემიები და კატასტროფები **2.** **ინდიკატორის დასახელება** - ამბულატორიული მიმართვების რაოდენობა 1 სულ მოსახლეზე; **საბაზისო მაჩვენებელი** - 4.4 (2023წ.); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მიმართვიანობის გაზრდა 0,5%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე **3.** **ინდიკატორის დასახელება** - სამედიცინო სერვისებით მოცვის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 96.6% (2023 წელი, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამედიცინო სერვისებით მოცვის მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სერვისის კერძო მიმწოდებლების მიერ მათთვის არასასურველი სერვისების მიწოდების შეწყვეტა **4.** **ინდიკატორის დასახელება** - პროგრამის მოსარგებლეთა წილი, რომლებიც იყენებენ ქრონიკული დაავადებების მართვის სუბსიდირებულ მედიკანეტებს; **საბაზისო მაჩვენებელი** - მოსარგებლეთა საპროგნოზო რაოდენობიდან ქრონიკული დაავადების (გულსისხლძარღვთა სისტემის დავადებების, ფქოდი-ს, დიაბეტი მე-2 ტიპი, ფარისებური ჯირკვლის დაავადებების, პარკინსონი, ეპილეფსია, გლაუკომა) სამკურნალო მედიკამენტების მიმღებთა ხვედრითი წილი 91%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ფარმაცევტულ ბაზარზე ზოგიერთი მედიკამენტის დეფიციტი

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (27 03 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) გენდერული თანასწორობა
აღწერა და მიზანი	მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მე-3 მიზნის ფარგლებში დაგეგმილი ინდიკატორების შესრულების ხელშეწყობა; გლობალური ჯანმრთელობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევის – აივ ინფექციის/შიდსის ახალი შემთხვევების 2030 წლისთვის შემცირება და შესაბამისად მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მე-3 მიზნის 3.3.1 ინდიკატორთან მისადაგებული ეროვნული ამოცანის მთავარი სამიზნის მიღწევა – 2030 წლისთვის აივ ინფექციის/შიდსის ახალი შემთხვევების ერთი მესამედით (1000 მოსახლეზე 0.125-მდე) შემცირება, რაც 2017 წლიდან 2026 წლის ჩათვლით შესაძლებელია გლობალური ფონდის ვალდებულებების სახელმწიფოს მიერ ჩანაცვლების პროცესის ჰარმონიული მიმდინარეობით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; ტუბერკულოზით, აივ–ინფექცია/შიდსით და სხვა სოციალურად საშიში დაავადებებით ავადობის შემცირება და ეპიდზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება; ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული აცრებით მოსახლეობის მოცვა; ჰეპატიტის გავრცელების შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - დედათა სიკვდილიანობა 100 000 ცოცხლადშობილზე; **საბაზისო მაჩვენებელი** - 22.4 (2023 წლის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება 1%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0,5%; **შესაძლო რისკები** - ინფექციური დაავადებების გაუთვალისწინებელი ეპიდემია, სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან სერვისის მიწოდების ორგანიზაციული ხარვეზები **2.** **ინდიკატორის დასახელება** - ტუბერკულოზის პრევალენტობა 100 000 მოსახლეზე; **საბაზისო მაჩვენებელი** - 39.0 (2023 წლის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ტუბერკულოზის პრევალენტობის მაჩვენებლის შემცირება წინა წელთან შედარებით 5%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - პაციენტთა დამყოლობის დაბალი მაჩვენებელი **3.** **ინდიკატორის დასახელება** - იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი;

	საბაზისო მაჩვენებელი - იმუნიზაციით მიზნობრივი პოპულაციის მაქსიმალური მოცვის მაჩვენებელი - დყტ-ჰიბ-ჰეპბ -იპვ 3- 88%, წწყ 1-95%, წწყ 2- 86%, აპვ1-35%, აპვ2 – 26% (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** იმუნიზაციით მიზნობრივი პოპულაციის მაქსიმალური მოცვის მაჩვენებელი - დყტ-ჰიბ-ჰეპბ -იპვ 3- 95%, წწყ 1 - 95%, წწყ 2- 95%; ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების შესყიდვა მაქსიმალური მოცვისთვის საჭირო რაოდენობით; მიზნობრივი ჯგუფებისათვის ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ხელმისაწვდომობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3-5%; **შესაძლო რისკები -** მოსახლეობის არასრული ნდობა პროგრამული ვაქცინების უსაფრთხოების მიმართ („ფასიანი“ ვაქცინა „უფასო“ ვაქცინის წინააღმდეგ); ვაქცინების გლობალურ ბაზარზე რომელიმე ვაქცინის დეფიციტი; საზოგადოების გარკვეული ნაწილის „უარყოფითი“ დამოკიდებულება ზოგადად ვაქცინაციის მიმართ და სამედიცინო დაწესებულებების და პერსონალის დამატებითი მოტივაციის ნაკლებობა მოცვის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის შემთხვევაში **4.** **ინდიკატორის დასახელება -** ჰეპატიტზე სკრინინგით გამოვლენილ პაციენტთა დიაგნოსტიკური კვლევებითა და მკურნალობით უზრუნველყოფა; **საბაზისო მაჩვენებელი -** უზრუნველყოფილია პროგრამაში მომართულ პაციენტთა 100%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** პაციენტთა მომართვიანობის დაბალი მაჩვენებელი **5.** **ინდიკატორის დასახელება -** აივ-ის ინციდენტობა 1000 მოსახლეზე; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2023 – 0.165 (მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) 3.3.1 ამოცანა); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 0.166; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3-5%; **შესაძლო რისკები -** პაციენტთა მომართვიანობის დაბალი მაჩვენებელი

დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (27 03 02 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	გენდერული თანასწორობა ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	დაავადებათა ადრეული გამოვლენის გაუმჯობესება და ამის საშუალებით შორსწასული ფორმების გავრცელების შეზღუდვა; ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტული კიბოს სკრინინგი და პროსტატის კიბოს მართვა (ძუძუს კიბოს სკრინინგი – 40-დან

	70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი – 25-დან 60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი – 50-დან 70 წლის ჩათვლით ორივე სქესის პირებში, 50-დან 70 წლის ჩათვლით ასაკის მამაკაცების სპეციფიკურ ანტიგენზე გამოკვლევა პროსტატის კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით); 1 წლიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი ხარისხისა და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა; ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა; დღენაკლულთა რეტინოპათიის სკრინინგი, დღენაკლულთა სიბრმავის პროფილაქტიკა; ბავშვთა სისხლში ტყვიის ბიომონიტორინგის ღონისძიებების განხორციელება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სხვადასხვა ლოკალიზაციის კიბოს ადრეულ სტადიაზე გამოვლენის მაჩვენებლების გაუმჯობესება; ოჯახის (მ.შ. სოფლის) ექიმების აქტიური ჩართულობის და მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლების გზით სკრინინგული კვლევით მოცვის მაჩვენებლის გაუმჯობესება, მონიტორინგის სისტემის სრულყოფა; ბავშვთა ასაკის მენტალური დარღვევების ადრეული გამოვლენა და სერვისზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ეპილეფსიის დიაგნოსტიკის და სერვისზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; დღენაკლულთა რეტინოპათიის ადრეული გამოვლენა და მკურნალობის სქემებში დროული ჩართვა; სახელმწიფო პროგრამების გაუმჯობესებული ადმინისტრირება; სამიზნე პოპულაციის გამოკვლევა სისხლში ტყვიის შემცველობაზე და ტყვიის ბიომონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** კიბოს სკრინინგული კვლევებით მოცვა; **საბაზისო მაჩვენებელი -** შესრულების მაჩვენებლები: ძუძუს კიბოს სკრინინგი 27.0 ათასზე მეტი; საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 21.0ათასზე მეტი; პროსტატის კიბოს სკრინინგი - 9.0 ათასზე მეტი; კოლორექტალური კიბოს სკრინინგი - 4.0 ათასზე მეტი; (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მოცვის (დასკრინული პაციენტების ოდენობის) გაზრდა 5%-ით წინა წელთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 1-2%;

	შესაძლო რისკები - მოსახლეობის დაბალი ცნობიერება კიბოს სკრინინგის სარგებლის შესახებ; არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა; შესაბამისი კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის სიმცირე **2.** **ინდიკატორის დასახელება** - 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენციის ღონისძიებებით მოცვა; **საბაზისო მაჩვენებელი** - შესრულების მაჩვენებელი საპროგნოზო რაოდენობასთან მიმართებით შეადგენს 96%, (2023 წლის მაჩვენებლები); სერვისის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ქ.თბილისში, ქ. ქუთაისში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება, სერვისის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-5%; **შესაძლო რისკები** - რეგიონების დაბალი ჩართულობა; არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა; კვალიფიციური ადამიანური რესურსის სიმწირე **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ეპილეფსიის დიაგნოსტიკისა და ზედამხედველობის სერვისებით მოცვა; **საბაზისო მაჩვენებელი** - გამოკვლეულ ბენეფიციართა რაოდენობა - 2.3 ათასამდე, მათ შორის: 44,1% თბილისის მაცხოვრებელი, ხოლო სხვადასხვა რეგიონებიდან - 55,9%; (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%; **შესაძლო რისკები** - რეგიონების დაბალი ჩართულობა; არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა; კვალიფიციური ადამიანური რესურსების ნაკლებობა **4.** **ინდიკატორის დასახელება** - დღენაკლულთა რეტინოპათიის პირველადი სკრინინგით მოცვა; **საბაზისო მაჩვენებელი** - პირველადი სკრინინგი ჩაუტარდა 770 დღენაკლულ ახალშობილს, ხოლო განმეორებითი დიაგნოსტიკა - 1,675. ; (2023 წლის მონაცემებით); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პერინატალურ დაწესებულებებში დაბადებული და რეფერირებული დღენაკლული ახალშობილების 100%-ის გამოკვლევა რეტინოპათიის დიაგნოსტირების მიზნით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1-2%; **შესაძლო რისკები** - სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან სერვისის მიწოდების ორგანიზაციული ხარვეზები; არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა; შესაბამისი კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის სიმცირე **5.** **ინდიკატორის დასახელება** - სისხლში ტყვიის შემცველობაზე კვლევებითა და შესაბამისი მედიკამენტებით მოცვა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მიზნობრივი პოპულაცია მოცულია შესაბამისი კვლევებითა და მედიკამენტებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ექიმის მიერ რეფერირებული 7 წლამდე ასაკის ყველა ბავშვის გამოკვლევა ტყვიაზე, ხოლო სისხლში ტყვიის მომატებული შემცველობის მქონე ბავშვების უზრუნველყოფა შესაბამისი სამედიცინო სერვისებით და მათი 18 წლამდე ასაკის და ორსული ოჯახის წევრების მოცვა შესაბამისი სამედიცინო სერვისებით;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1-2%; **შესაძლო რისკები -** სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან სერვისის მიწოდების ორგანიზაციული ხარვეზები

იმუნიზაცია (27 03 02 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	მოსახლეობის დაცვის და შესაბამისი მარაგების შექმნის მიზნით ვაქცინების (მათ შორის, B ჰეპატიტით ინფიცირების მაღალი რისკის ჯგუფების B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციისთვის, აგრეთვე სამედიცინო პერსონალის, სამედიცინო ჩვენების მქონე საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებული კონტინგენტის, დიალიზზე მყოფი პირების, ჰემოფილიით დაავადებული პირების, ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელი პირების, მსმ პირების, აივ ინფექციით/შიდსით და C ჰეპატიტით დაავადებული პირების, სამედიცინო პროფილის სასწავლებლების სტუდენტების, სხვა აუცრელი კონტინგენტის ვაქცინაციისთვის, ქრონიკული დაავადების (ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება, დიაბეტი, ფქოდი, ასთმა და სუნთქვის უკმარისობის სხვა ფორმები) მქონე 65 წლის და უფროსი ასაკის პირებისა და თავშესაფრების ბენეფიციარების პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაციისთვის) და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) შესყიდვა; სპეციფიკური (ბოტულიზმის, დიფტერიის, ტეტანუსის, გველის შხამის საწინააღმდეგო და სხვა) შრატების და ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შესყიდვა; ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა; გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა; ვაქცინების, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების, სპეციფიკური შრატებისა და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) მიღება, შენახვა და გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით, ცენტრალური დონიდან რეგიონების/მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ერთეულებამდე; წითელას მასობრივი გავრცელების პრევენციისა და გლობალური ელიმინაციის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების (მათ შორის, ეპიდჩვენებით მიმდინარე სხვა არაგეგმური ვაქცინაციის) ფარგლებში მოსახლეობის არაიმუნურ ან არასრულად იმუნიზებულ ფენებში ეპიდჩვენებით იმუნოპროფილაქტიკის წარმოება; გრიპის საწინააღმდეგო სეზონური ვაქცინაციისადმი დაქვემდებარებული პირების აცრა;

	„ცივი ჯაჭვის“ მოწყობილობების/ინვენტარის შესყიდვა და მონტაჟი.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსახლეობის მართვადი ინფექციებისაგან დაცვა ვაქცინებითა და ვაქცინაციისათვის საჭირო სახარჯი მასალებით უწყვეტად უზრუნველყოფის გზით; მონიტორინგისა და ლოჯისტიკის სისტემის გაუმჯობესება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** – იმუნიზაციით მოცვა; **საბაზისო მაჩვენებელი** – იმუნიზაციით მიზნობრივი პოპულაციის მაქსიმალური მოცვის მაჩვენებელი - დყტ-ჰიბ-ჰეპბ -იპვ 3- 88%, წწყ 1-95%, წწყ 2- 86%, აპვ1-35%, აპვ2 – 26% (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** – იმუნიზაციით მიზნობრივი პოპულაციის მაქსიმალური მოცვის მაჩვენებელი - დყტ-ჰიბ-ჰეპბ -იპვ 3- 95%, წწყ 1 - 95%, წწყ 2- 95%; ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების შესყიდვა მაქსიმალური მოცვისთვის საჭირო რაოდენობით; მიზნობრივი ჯგუფებისათვის ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ხელმისაწვდომობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** – 3-5%; **შესაძლო რისკები** – მოსახლეობის არასრული ნდობა პროგრამული ვაქცინების უსაფრთხოების მიმართ („ფასიანი“ ვაქცინა „უფასო“ ვაქცინის წინააღმდეგ); ვაქცინების გლობალურ ბაზარზე რომელიმე ვაქცინის დეფიციტი; საზოგადოების გარკვეული ნაწილის „უარყოფითი“ დამოკიდებულება ზოგადად ვაქცინაციის მიმართ და სამედიცინო დაწესებულებების და პერსონალის დამატებითი მოტივაციის ნაკლებობა მოცვის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის შემთხვევაში **2.** **ინდიკატორის დასახელება** – პოსტექსპოზიციური ანტირაბიული პროფილაქტიკისათვის ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა; **საბაზისო მაჩვენებელი** – უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობა ქვეყნის მასშტაბით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** – უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობა ანტირაბიულ სამკურნალო საშუალებებზე ქვეყნის მასშტაბით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** – 1%; **შესაძლო რისკები** – საერთაშორისო ბაზარზე ვაქცინის დეფიციტი, მომწოდებელების დაბალი ინტერესი საქართველოს მცირე ბაზრის მიმართ **3.** **ინდიკატორის დასახელება** – გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციით მოცვა; **საბაზისო მაჩვენებელი** – გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაიტარა 170 790 ბენეფიციარმა (2023-2024 წწ. სეზონის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** – მაღალი რისკის ჯგუფების და მათი მიზნობრივი პოპულაციის მოცვის მაჩვენებელი არანაკლებ - 99%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** – 1-3%;

	შესაძლო რისკები - საერთაშორისო ბაზარზე ვაქცინის დეფიციტი; მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე **4.** **ინდიკატორის დასახელება -** მოსახლეობის არაიმუნურ ან არასრულად იმუნიზებულ ფენებში ეპიდჩვენებით წითელას იმუნოპროფილაქტიკის მოცვა; **საბაზისო მაჩვენებელი -** ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია 100%-ით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისე მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე; სამედიცინო პერსონალის მოტივაციის არარსებობა (როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური) მოცვის მაღალი მაჩვენებლის მიღწევის ან რთულად მოსაზიდი პოპულაციის ვაქცინაციის მიზნით

ეპიდზედამხედველობა (27 03 02 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში არსებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სამსახურების მიერ ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სამედიცინო სტატისტიკური სისტემის ფუნქციონირება; მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების სამოქმედო არეალში ეპიდზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელება; კოღოებით, ტკიპებით, ფლებოტომუსებითა და სხვა ვექტორებით გადაცემადი პარაზიტული და ვირუსული (მალარია, ლეიშმანიოზი, დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო და სხვა) დაავადებებისა და ალიმენტური პარაზიტული* (პროტოზოოზები, ჰელმინთოზები) ინფექციების პრევენცია და კონტროლი;ნოზოკომიურ ინფექციებზე ეპიდზედამხედველობა და მათი კონტროლი; ვირუსული დიარეების კვლევა ქვეყანაში შერჩეულ საყრდენ ბაზაში (ინფექციური პროფილის სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მომსახურებას უწევს 0-დან 14 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს), ჰოსპიტალიზებულ 0-დან 14 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვთა ფეკალური სინჯების ლაბორატორიული კვლევა როტავირუსულ, ადენოვირუსულ და ნოროვირუსულ ინფექციებზე; B და C ჰეპატიტებზე ეპიდზედამხედველობა; გრიპზე, გრიპისმაგვარ დაავადებებსა და მძიმე, მწვავე რესპირაციულ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის ქსელის მდგრადობის შენარჩუნება და სეზონურ/პანდემიურ გრიპზე (მათ შორის, კორონავირუსზე) რეაგირება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კოღოებით, ტკიპებით, ფლებოტომუსებით და სხვა ვექტორებით გადაცემადი პარაზიტული და ვირუსული (მალარია, ლეიშმანიოზი, დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო და სხვა) დაავადებებისა და ალიმენტური პარაზიტული (პროტოზოოზები,

	ჰელმინთოზები) ინფექციების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესება; ნოზოკომიური ინფექციების პრევენციისა და გამოვლენის გაუმჯობესება; მწვავე დიარეულ დაავადებებზე ზედამხედველობის გაუმჯობესება; B და C ჰეპატიტებზე ზედამხედველობის გაუმჯობესება; გრიპზე, გრიპისმაგვარ დაავადებებსა და მძიმე მწვავე რესპირაციულ დაავადებებზე (მ.შ. კორონავირუსზე) ეპიდზედამხედველობის გაუმჯობესება სენტინელური მეთვალყურეობის გზით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - მუნიციპალური სჯდ ცენტრების ფუნქციონირება; **საბაზისო მაჩვენებელი** - ეპიდზედამხედველობის ერთიან სისტემაში ჩართული და მონაწილე მუნიციპალური სჯდ ცენტრების 100%; მუნიციპალური სჯდ ცენტრების მიერ სამოქმედო არეალზე იმუნიზაციის დაგეგმვის და სერვისის მიწოდების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენა 100%-ით; იმუნიზაციის მოდული დანერგვა სჯდ ცენტრების 100%-ში; რაიონების 100% - ით უზრუნველყოფა ვაქცინების, შრატებისა და ასაცრელი მასალების ცივი ჯაჭვის პრინციპის დაცვით შენახვის საშუალებებით და ლოჯისტიკის სერვისით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2-5%; **შესაძლო რისკები** - სერვისის წარმოებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ხარვეზები **2.** **ინდიკატორის დასახელება** - მალარიოგენულ ტერიტორიებზე (პოტენციურ კერებში) ინსექტიციდით დამუშავებული ტერიტორიების მოცვა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 85%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2-5%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკური მიზეზი; შესასყიდი მასალების დეფიციტი ბაზარზე **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის სენტინელური ბაზების ფუნქციონირება; **საბაზისო მაჩვენებელი** - ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის სენტინელური ბაზების რაოდენობა 5, ყველა კლინიკის ბაზაზე განისაზღვრა ნოზოკომიური ინფექციების გამომწვევი წამყვანი პათოგენები და მათი ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა; (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;

	შესაძლო რისკები - სამედიცინო დაწესებულებების დაბალი ინტერესი (ცნობიერების დაბალი დონე, დაბალი ფინანსური მოტივაცია, ნოზოკომიური ინფექციის გამოვლენის შემთხვევაში მკურნალობის ხარჯების დაფინანსების ვალდებულება) ნოზოკომიური ინფექციების გამოვლენისადმი **4.** **ინდიკატორის დასახელება** - მწვავე დიარეულ დაავადებებზე ზედამხედველობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მწვავე დიარეულ დაავადებებზე ზედამხედველობა (როტავირუსულ, ადენოვირუსულ და ნოროვირუსულ ინფექციებზე) - 240 ნიმუში (2023 წელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მწვავე დიარეულ დაავადებებზე ზედამხედველობა (როტავირუსულ, ადენოვირუსულ და ნოროვირუსულ ინფექციებზე) მინიმუმ 1 კლინიკის ბაზაზე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-5%; **შესაძლო რისკები** - სამედიცინო დაწესებულებების დაბალი ინტერესი (ფინანსური ინტერესის არარსებობა და ცნობიერების დაბალი დონის გამო) **5.** **ინდიკატორის დასახელება** - გრიპის, გრიპისმაგვარ და მძიმე მწვავე რესპირაციულ (მ.შ. კორონავირუსზე) ვირუსზე კონფირმაციული კვლევის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - ეპიდზედამხედველობა მიმდინარეობს 9 სამედიცინო დაწესებულების ბაზაზე (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-5%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკური მიზეზი (ნიმუშის დაზიანება, არასწორად აღებული ნიმუში არაიდენტიფიცირებული)

უსაფრთხო სისხლი (27 03 02 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	დონორული სისხლის კვლევა B და C ჰეპატიტებზე, აივ ინფექციაზე/შიდსზე (EIA/Elisa მეთოდით) და სიფილისზე (TPHA ან EIA მეთოდით); ხარისხის გარე კონტროლისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა იმ სისხლის ბანკებში, რომლებსაც აქვთ საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური საქმიანობის ლიცენზია; სისხლის უანგარო, რეგულარული დონორობის მხარდაჭერისა და მოზიდვის ეროვნული კამპანიის განხორციელება, მათ შორის, სისხლის დონორის მსოფლიო დღესთან დაკავშირებული ღონისძიებების მხარდაჭერა;

	დონორთა სისხლის ცენტრალიზებული კვლევა NAT (ნუკლეინის მჟავას ტესტირების) მეთოდოლოგიის საფუძველზე იმ სისხლის ბანკებში, რომლებსაც აქვთ საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური საქმიანობის ლიცენზია.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სისხლისა და სისხლის კომპონენტების ხარისხის კონტროლის გაუმჯობესება; უანგარო დონაციათა მაჩვენებლის გაზრდა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - დონორული სისხლის კვლევა; **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამაში ჩართულ სისხლის ბანკებში დონორული სისხლის 100% გამოკვლეულია B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსზე და სიფილისზე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამაში ჩართულ სისხლის ბანკებში დონორული სისხლის 100% კვლევა ხდება B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსზე (EIA მეთოდით) და სიფილისზე (ჰემაგლუტინაციის (TPHA) ან იმუნოფერმენტული (EIA) ანალიზის მეთოდით); სისხლის დონორებში C ჰეპატიტზე და აივ-ინფექცია/შიდსზე სკრინინგით საეჭვო-დადებითი შემთხვევების 100%-ის კონფირმაციული კვლევა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-5%; **შესაძლო რისკები** - რთული ლოჯისტიკური მექანიზმი; სისხლის ბანკების რეზისტენტობა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - მთლიან დონაციებში უანგარო დონაციების ხვედრითი წილი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 41%; (2023 წლის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უანგარო დონაციების ხვედრითი წილის ზრდა 10% წინა წელთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - დონაციის მნიშვნელობის შესახებ მოსახლეობის ცოდნის დაბალი დონე; საწარმოო ტრანსფუზიოლოგიასთან დაკავშირებული კომერციული ინტერესები (დონორის და სერვისის მიმწოდებლის მხრიდან) **3.** **ინდიკატორის დასახელება** - სისხლის ნიმუშების ხარისხის კონტროლი; **საბაზისო მაჩვენებელი** - ხარისხის კონტროლის მიზნით, ლუგარის ცენტრის მიერ განხორციელებული სისხლის ბანკებიდან შერჩევითად ამოღებული რეტროსპექტული ტესტირება - 1500 ნიმუში; (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამაში მონაწილე ყველა სისხლის ბანკში პროფესიული ტესტირების განხორციელება საკონტროლო პანელებზე კვლევების ჩატარება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%; **შესაძლო რისკები** - სისხლის ბანკების დაბალი მოტივაცია ხარისხის გარე კონტროლისა და სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემების განხორციელების მიმართ **4.** **ინდიკატორის დასახელება** - NAT ლაბორატორიის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

	საბაზისო მაჩვენებელი - ლუგარის ცენტრის მიერ უზრუნველყოფილია დონაციების 100%-ის ტესტირება NAT მეთოდოლოგიით კვლევა; (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დონაციების 100%-ის ტესტირება NAT მეთოდოლოგიით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%; **შესაძლო რისკები** - NAT კვლევებისთვის საჭირო რეაქტივების მაღალი ფასი

საზოგადოებრივი ჯანდაცვის, გარემოსა და პროფესიულ დაავადებათა ჯანმრთელობის სფეროში არსებული ვალდებულებების ხელშეწყობა (27 03 02 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და გარემოს ჯანმრთელობის სფეროში აღებული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობა; სხვადასხვა ტიპის საწარმოში დასაქმებულ პირთა პროფესიულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, კერძოდ: დასაქმებულთა პროფესიული ჯანმრთელობის კვლევა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით და გამოვლენილ პროფესიულ დაავადებათა დიაგნოზების მონაცემთა ბაზაში აგრეგირება; კონკრეტული საწარმოსთვის სამუშაო ადგილებზე არსებული პროფესიული რისკების ინვენტარიზაცია და შეფასება; პროფესიული რისკფაქტორების პირველადი პრევენციის ღონისძიებათა კომპლექსისა და მავნე ფაქტორების ექსპოზიციის დონის შემცირების რეკომენდაციების შემუშავება; დასაქმებულთა ჯანმრთელობის მონიტორინგის ოპტიმალური სქემისა და სამედიცინო შემოწმების პერიოდულობის განსაზღვრა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით; საწარმოს ადმინისტრაციისა და დასაქმებულთათვის პროფესიული დაავადებების პრევენციის, პროფესიული რისკების შეფასებისა და კონტროლის მექანიზმების საკითხების სწავლება; ქვეყნის მასშტაბით კონკრეტულ საწარმოებში არსებული პროფესიული რისკების ეპიდემიოლოგიური რუკისა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა/განახლება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროფესიული დაავადებების რეგისტრაცია დარგების მიხედვით, მათი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და სათანადო რეკომენდაციების მომზადება არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - საწარმოთა მონიტორინგით მოცვა; **საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიული რისკ-ფაქტორების პირველადი პრევენციის ღონისძიებათა კომპლექსისა და მავნე ფაქტორების ექსპოზიციის დონის შემცირების შემუშავებული რეკომენდაციების გადაცემა შემოწმებულ საწარმოთა 90%-ში; დასაქმებულთა ჯანმრთელობის მონიტორინგის ოპტიმალური სქემებისა და სამედიცინო შემოწმების პერიოდულობის განსაზღვრა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით შემოწმებული საწარმოთა 90%-ში; შეფასებულ საწარმოთა 90%-ში ადმინისტრაციასა და დასაქმებულებისათვის სწავლების ჩატარება პროფესიული დაავადებების პრევენციის, პროფესიული რისკების შეფასებისა და კონტროლის მექანიზმების საკითხებზე;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** კერძო საკუთრებაში არსებულ საწარმოებში მონიტორინგის ჩატარების საკანონმდებლო ბარიერები. პროფესიული დაავადების რისკების შეფასების შემდგომი რეალიზაციის პრობლემები

ტუბერკულოზის მართვა (27 03 02 06)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო
აღწერა და მიზანი	ტუბერკულოზის ყველა სავარაუდო შემთხვევის გამოკვლევა, დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურება (ანტიტუბერკულოზური პრეპარატებით უზრუნველყოფა და მკურნალობა უშუალო მეთვალყურეობით); ფთიზიატრიული სტაციონარული დახმარების ფარგლებში დიაგნოსტიკური, თერაპიული და ქირურგიული მომსახურება; ტუბერკულოზის სენსიტიური და რეზისტენტული ფორმების მკურნალობა (მათ შორის, მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის ახალი მედიკამენტებით მკურნალობა და მკურნალობის მონიტორინგი); ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, მათ შორის, პირველი რიგისა და მეორე რიგის ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების შესყიდვა; მომსახურების სრულად ანაზღაურება; ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ამბულატორიულ მკურნალობაში ჩართული პაციენტების დამყოლობის გაუმჯობესება; ტუბერკულოზით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის და ინფექციის გავრცელების შემცირება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხანგრძლივვადიან ამბულატორიულ მკურნალობაზე პაციენტთა დამყოლობა; ტუბერკულოზის პრევალენტობის შემცირება; შემცირებული ახალი შემთხვევები; ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა უზრუნველყოფა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პირველი და მეორე რიგის მედიკამენტებით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე;

	საბაზისო მაჩვენებელი - 39 (2023 წლის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ტუბერკულოზის პრევალენტობის მაჩვენებლის შემცირება საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 3%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - პაციენტთა დამყოლობის დაბალი მაჩვენებელი **2.** **ინდიკატორის დასახელება** - ტუბერკულოზის ახალი შემთხვევები და რეციდივები 100 000 მოსახლეზე; **საბაზისო მაჩვენებელი** - 31 (2023 წლის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების და რეციდივების მაჩვენებლის შემცირება საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 3%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - დაგვიანებული დიაგნოსტიკა და შეწყვეტილი მკურნალობა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ტუბერკულოზით დაავადებულ ბენეფიციართა მოცვა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტებით; **საბაზისო მაჩვენებელი** - მოცულია ბენეფიციართა 100%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მედიკამენტები შესყიდულია დაგეგმილი რაოდენობის მიხედვით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ფარმაცევტულ ბაზარზე წამლის დეფიციტი **4.** **ინდიკატორის დასახელება** - მკურნალობაზე კარგი დამყოლობისათვის საჭიროების მქონე ბენეფიციარების ფულადი წახალისებით მოცვა; **საბაზისო მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია საჭიროების მქონე ბენეფიციართა 100%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - პაციენტთა ცნობიერების დაბალი დონე **5.** **ინდიკატორის დასახელება** - კონტაქტების მიდევნება; **საბაზისო მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია დადასტურებული შემთხვევის კონტაქტების მიდევნება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დადასტურებული შემთხვევის კონტაქტის მოძიება და ჩართვა პროგრამულ სერვისებში, ლოჯისტიკური პროცესების მონიტორინგი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ცუდი დამყოლობა

აივ ინფექციის/შიდსის მართვა (27 03 02 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	აივ ინფექციის/შიდსის გავრცელების შეფერხება და აივ ინფექციით/შიდსით დაავადებულთათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ეს პროგრამა არ ითვალისწინებს მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდას); აივ ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტაცია და ტესტირება (მათ შორის, ჰოსპიტალიზებული და პირველად ჯანმრთელობის დაცვაში ინტეგრირებულ სკრინინგში ჩართული პაციენტების ნებაყოფლობითი ტესტირება); აივ ინფექციით/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა; აივ ინფექციის/შიდსის სამკურნალო პირველი რიგისა და მეორე რიგის მედიკამენტების შესყიდვა; ამ პროგრამის სერვისების უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მაღალი რისკის ჯგუფების სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფა (სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სიფილისი, ქლამიდია, გონორეა და ტრიქომონიაზი) დიაგნოსტიკა და მკურნალობა; აივ ინფექციის/შიდსის პრევენცია ნარკოტიკების ინიექციურ მომხმარებლებში (ნიმ), მსმ პირებში, ტრანსგენდერ პირებსა და კომერციულ სექსმუშაკ ქალებში; აივ ინფექციაზე/შიდსზე და C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი პირებისგან საკვლევი მასალის აღება და ტრანსპორტირება კონფირმაციისთვის პასუხისმგებელ დაწესებულებაში ან/და უშუალოდ ტესტირება ჯინექსპერტმეთოდით, მათ შორის, C ჰეპატიტზე მდგრადი ვირუსული რეაქციის – SVR 12/SVR 24-ის და მაღალი რისკის ბენეფიციართა შორის რეინფექციის დასადგენად); აივ ინფექციის/შიდსის მართვის ღონისძიების ფარგლებში ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელების შედეგად შესრულდება მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მე-3 მიზნის 3.3.1 ინდიკატორი – 2030 წლისთვის აივ ინფექციით/შიდსით ინფიცირების შემთხვევების 1000 მოსახლეზე 0.125-მდე შემცირება. მოხდება მისი შემცირების ხელშეწყობა. მდგრადი განვითარების მიზნების მე-3 მიზნის 3.3.1 ინდიკატორის შესასრულებლად მომზადდა საქართველოს 2023–2025 წლების აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ამასთანავე, აივ ინფექციის/შიდსის მართვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსება და მომსახურების მოცულობა ყოველწლიურად იზრდება. სახელმწიფო ეტაპობრივად ანაცვლებს გლობალური ფონდის ღონისძიებებს.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფების აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი სკრინინგით მაქსიმალური მოცვა; ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით სრულად უზრუნველყოფა; შიდსით დაავადებულებში აივ-ინფექციასთან დაკავშირებული ლეტალობის შემცირება; აივ ინფექციის ახალი შემთხვევების შემცირების ტენდენციის შენარჩუნება.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - აივ ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირებით მოცულ პირთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 426 ათასზე მეტი (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 3% წინა წელთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლების მხრიდან სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის სტიგმა (კრიმინალიზაციის საფრთხე); B და C ჰეპატიტის დიაგნოზის მქონე პირების ტესტირებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ბარიერების არსებობა; ტესტ სისტემების მომწოდებელი კომპანიის (ტენდერში გამარჯვებული) მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება (მაგ.: დაგვიანება ტესტ სისტემების მოწოდებაში და ა.შ) **2.** **ინდიკატორის დასახელება** - აივ ინფიცირებული პირების ბინაზე მოვლის მომსახურების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 18 პაციენტი (პალიატიური პაციენტების რაოდენობის შემცირების ტენდენცია, თუმცა ყველა საჭიროება უზრუნველყოფილია); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0.5-1%; **შესაძლო რისკები** - პაციენტის სამედიცინო ჩვენების სტატუსის ცვლილება **3.** **ინდიკატორის დასახელება** - აივ-ით ინფიცირების ახალი შემთხვევების რაოდენობა 1000 მოსახლეზე; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2023 – 0.16; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 0.1; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-5%; **შესაძლო რისკები** - დაბალი მიმართვიანობა; სტიგმა **4.** **ინდიკატორის დასახელება** - სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების დიაგნოსტიკის რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - სექს-მუშაკების, მათი კლიენტების და მსმ-ები გამოკვლეულია 1941 პირი, გამოვლინდა 141 სავარაუდო დადებითი შემთხვევა, რომელთაგან კონფირმაციული კვლევით დადასტურდა 125 შემთხვევა (2023 წლის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - არსებული რაოდენობის შენარჩუნება და 10%-ით ზრდა წინა წელთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-5%; **შესაძლო რისკები** - დაბალი მიმართვიანობა; სტიგმა **5.** **ინდიკატორის დასახელება** - სამკურნალო მედიკამენტებით მოცვა; **საბაზისო მაჩვენებელი** - პაციენტების რაოდენობა 2023 წელს - 6.5 ათასამდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პაციენტების რაოდენობა 6.6 ათასი;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; **შესაძლო რისკები -** ფარმაცევტულ ბაზარზე წამლის დეფიციტი

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (27 03 02 08)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	გენდერული თანასწორობა ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	ორსულთა ეფექტიანი პატრონაჟისა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით: ანტენატალური მეთვალყურეობა; გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა; ორსულებში B და C ჰეპატიტების, აივ ინფექციის/შიდსის და ათაშანგის სკრინინგი; ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიაზე, მუკოვისციდოზზე, გალაქტოზემიაზე, ადრენოგენიტალურ სინდრომსა და ბიოტინიდაზას დეფიციტზე; ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება; ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება; ანტენატალური ვიზიტით მოცვის გაზრდა; ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევით მოცვის ზრდა; საჭირო მედიკამენტებით ორსულთა უზრუნველყოფის მოცვის გაზრდა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** ანტენატალური ვიზიტებით მოცვა; **საბაზისო მაჩვენებელი -** ორსულთა ვიზიტების 165.2 ათასზე მეტი შემთხვევა (2023 წლის მაჩვენებელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სრული ანტენატალური ვიზიტებით მოცვის მაჩვენებელის ზრდა 3-5% წინა წელთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15%; **შესაძლო რისკები -** არასრულად განხორციელებული ვიზიტები

	2. **ინდიკატორის დასახელება** - ორსულთა სკრინინგული კვლევებით მოცვა; **საბაზისო მაჩვენებელი** - ანტენატალური მომსახურების მიმღებ ორსულ ქალთა 95%-ს ჩატარებული აქვს სკრინინგი B და C ჰეპატიტზე, სიფილისზე და აივ ინფექცია/შიდსზე (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 3% წინა წელთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - ორსულ ქალთა ცნობიერების დონე, ანტენატალური მეთვალყურეობის საჭიროების შესახებ **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიაზე, მუკოვისციდოზზე, გალაქტოზემიაზე, ადრენოგენიტალურ სინდრომსა და ბიოტინიდაზას დეფიციტზე სკრინინგით მოცვა; **საბაზისო მაჩვენებელი** - ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიზე, მუკოვისციდოზზე, გალაქტოზემიაზე, ადრენოგენიტალურ სინდრომსა და ბიოტინიდაზას დეფიციტზე ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის კომპონენტის ფარგლებში ჩატარებულია 35.9 ათასზე მეტი ახალშობილის გამოკვლევა (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სკრინინგული კვლევით მოცვის ზრდა 1% წინა წელთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0.5%; **შესაძლო რისკები** - სერვისის წარმოებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ხარვეზები **4.** **ინდიკატორის დასახელება** - ახალშობილთა სმენის სკრინინგით მოცვა; **საბაზისო მაჩვენებელი** - ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა ჩატარებული აქვს 37,5 ათასამდე ახალშობილს. მეორადი სკრინინგი და შემდგომი ჩაღრმავებული კვლევები 914 ბავშვს, (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სკრინინგული კვლევით მოცვა საქართველოს მასშტაბით ყველა სამშობიარო სახლში; პირველადი სკრინინგით შემდგომი დიაგნოსტიკური საჭიროების მქონე ახალშობილების არანაკლებ 100%-ის მოცვა შესაბამისი სამედიცინო სერვისებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2-3%; **შესაძლო რისკები** - ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ახალშობილთა რეფერალი პედიატრიულ კლინიკებში, რომლის დროსაც სამშობიარო სახლში ვერ ხერხდება სმენის სკრინინგის ჩატარება; ელექტრონული სისტემის გაუმართაობა, რაც ხელს უშლის ახალშობილთა შემდგომ მიდევნებას; შემდგომი დიაგნოსტიკური სერვისებისადმი დაბალი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა (ყველა რეგიონში ამ სერვისის მიწოდება ვერ ხორციელდება სათანადო ტექნიკური ბაზისა და კადრების არარსებობის გამო); მშობლების ცნობიერების დაბალი დონე **5.** **ინდიკატორის დასახელება** - ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - ანტენატალური სერვისის მიმღებ ორსულთა 100%-ის (11 559) უზრუნველყოფა ფოლიუმის მჟავით; რკინადეფიციტური ანემიის დიაგნოზის მქონე 321 ორსულის უზრუნველყოფა რკინის პრეპარატით. (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ანტენატალური სერვისის მიმღებ ორსულთა 100%-ის უზრუნველყოფა ფოლიუმის მჟავით; რკინადეფიციტური ანემიის დიაგნოზის მქონე ორსულთა 100%-ის უზრუნველყოფა რკინის პრეპარატით;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20%; **შესაძლო რისკები -** სერვისის მისაღებად ტექნიკური ბარიერების არსებობა; მიზნობრივი კონტინგენტის/მათი (ბავშვები) კანონიერი წარმომადგენლების ცნობიერების დაბალი დონე

ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა (27 03 02 09)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო
აღწერა და მიზანი	ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა (სტაციონარული დეტოქსიკაცია) და პირველადი რეაბილიტაცია, მათი ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა და სამედიცინო მეთვალყურეობა; ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების სტაციონარული მომსახურება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა (სტაციონარული დეტოქსიკაცია) და პირველადი რეაბილიტაცია, მათი ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა და სამედიცინო მეთვალყურეობა; სტაციონარული მომსახურებით უზრუნველყოფილი ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** სტაციონარული დეტოქსიკაციით ნამკურნალებ პირთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 1.3 ათასზე მეტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ოპიოიდების, სტიმულატორების და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების, მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დროს სტაციონარული დეტოქსიკაციითა და პირველადი რეაბილიტაციის რაოდენობის 5%-იანი ზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** პროგრამაში ჩართვისთვის არსებული ბარიერები (რიგითობა); სერვისის მიმწოდებელთა/საწოლების ლიმიტირებული რაოდენობა **2.** **ინდიკატორის დასახელება -** ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ ბენეფიციართა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 15.1 ათასზე მეტი (2023 წლის მაჩვენებლები - 100%); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** პაციენტების 100%-ით უზრუნველყოფა ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** შესაძლო არათანაბარი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა ქვეყნის მასშტაბით **3.**

	ინდიკატორის დასახელება - ნარკომანიით დაავადებულ პირთა ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით უზრუნველყოფა; **საბაზისო მაჩვენებელი** - კომპონენტის ფარგლებში მედიკამენტები 100%-ით შესყიდულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - მიწოდების წყვეტის საშიშროება შესყიდული მედიკამენტის მოწოდების ვადების დარღვევის გამო; დეფიციტი საერთაშორისო ბაზარზე **4.** **ინდიკატორის დასახელება** - ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე, სტაციონარულ მკურნალობაში ჩართულ პაციენტთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 351 პაციენტი (2023 წლის მაჩვენებლები -100%); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამაში მომართულ პაციენტთა 100%-ით უზრუნველყოფა სტაციონარული მომსახურებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ჰიპერდიაგნოსტიკის გამო ბენეფიციართა რიცხვის დაუგეგმავი ზრდა, სერვისებზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, სერვისის მიმწოდებელთა/საწოლების ლიმიტირებული რაოდენობა

ჯანმრთელობის ხელშეწყობა (27 03 02 10)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ჯანმრთელობის ქცევითი რისკ-ფაქტორების და ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ; ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში არსებული პრევენციული სერვისების შესახებ სამიზნე მოსახლეობის ინფორმირება; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა; საზოგადოების განათლების ამაღლება ჯანმრთელობის ხელშეწყობის საკითხებზე, მათ შორის: თამბაქოს მოხმარების პრევენცია, რეგულარული ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობა, მარილის მოხმარების შემცირების მნიშვნელობა და არტერიული ჰიპერტენზიის პრევენცია, ჯანსაღი გარემოს მნიშვნელობა, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების პრევენცია; თამბაქოს კონტროლის შესახებ არსებული კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგი (მათ შორის, უკანონო ვაჭრობის მონიტორინგი) და მხარდამჭერი ღონისძიებები; თამბაქოსათვის თავის დანებების მსურველთათვის პროფესიული სერვისის - სატელეფონო კონსულტაციის გაწევა;

	ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობა და კვალიფიციური დახმარება პროფესიული სერვისის - სატელეფონო ფსიქოლოგიური მომსახურების მეშვეობით; ნივთიერებადამოკიდებულებისა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების პრევენცია; C და B ჰეპატიტების შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება და ელიმინაციის პროგრამაში მოსახლეობის ჩართვის ხელშეწყობა; კიბოს სკრინგული პროგრამების და პრევენციული ღონისძიებების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა; ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება (რუტინული იმუნიზაციის შესახებ მნიშვნელობა); მოსახლეობაში ცნობიერების დონის ამაღლება სისხლის უანგარო, რეგულარული დონორობის მნიშვნელობის შესახებ და სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერება; პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო პერსონალისათვის ტრენინგების ჩატარება (მათ შორის, კიბოს სრინინგის მნიშვნელობაზე, კომუნიკაციაზე, ორგანიზებული სკრინინგის საორგანიზაციო და ადმინისტრაციული საკითხებზე და სხვა).
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	თამბაქოს კონტროლის მექანიზმის გაძლიერება; თამბაქოს კონტროლის კანონმდებლონის აღსრულების ხელშეწყობა; თამბაქოს მოხმარების შეწყვეტისათვის დახმარების გაუმჯობესება; თამბაქოს საკითხებზე მოსახლეობისა და პროგრამით განსაზღვრული კონტინგენტის ინფორმირებულობის დონის ამაღლება; თამბაქოს ცხელი ხაზის საშუალებით თამბაქოს საკითხებზე კონსულტირებული მოსახლეობის მოცვის მაღალი მაჩვენებელი; ჰეპატიტის პრევენციის, ადრეული გამოვლენისა და დროული მკურნალობის მნიშვნელობის შესახებ სამიზნე კონტიგენტის მოცვის მაჩვენებელი საინფორმაციო და მხარდამჭერი ღონისძიებებით; ჯანსაღი კვების/მარილის მოხმარების შემცირების და რეგულარული ფიზიკურიი აქტივობის მნიშვნელობის და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების მავნეობის თაობაზე სამიზნე კონტიგენტის წვდომის მაჩვენებელი; კიბოს სკრინინგული პროგრამების შესახებ სამიზე კონტიგენტის ინფორმირება და მოცვის მაჩვენებელი; აპვ ვაქცინაციის მნიშვნელობის შესახებ სამიზნე კონტიგენტის მოცვა მხარდამჭერი ღონისძებებით; სისხლის უანაგრო, რეფულარული დონორობის შესახებ სამიზნე კონტიგენტის მოცვა საინფორმაციო და რეკრუტინგლი ღონისძიებების მეშვეობით და ბარიერების კვლევის ანგარიში; ტრენირებული პჯდ პერსონალი.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიების მეშვეობით მიზნობრივი პოპულაციის მოცვა; **საბაზისო მაჩვენებელი** - თამბაქოსათვის თავის დანებების ცხელი ხაზის საკონსულტაციო სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა - 4,410 (2023 წ.); თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგი სხვადასხვა ტიპის დაწესებულებაში - მ.შ.

	პირველადი ვიზიტები 5112 დაწესებულებაში, განმეორებითი ვიზიტები - 517 დაწესებულებაში; თამბაქოს ნაწარმის ვაჭრობის ქსელის მონიტორინგი 3905 დაწესებულებაში (პირველადი ვიზიტი) (2023 წ.); 1878 სატრანსპორტო ერთეულის მონიტორინგი (2023 წ) 54 სამუშაო შეხვედრა თამბაქოს კონტროლზე პასუხისმგებელი აღმასრულებელი სტრუქტურების წარმომადგენლების მონაწილეობით;კრიზისული ფსიქოლოგიური დახმარების ცხელი ხაზის სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა-2098 (2023 წელი); ფიზიკური აქტივობის 2024-2030 წწ ეროვნული სტრატეგიისა და 2024-2026 წწ სამოქმედო გეგმა წარედგინა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.; მომზადებულია საქართველოში სისხლის მიწოდების ჯაჭვის საკომუნიკაციო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2023 -2027 წლებისათვის; რომელიც წარმოადგენს კამპანიის დაგეგმვის სახელმძღვანელო დოკუმენტს ,მომზადებულია ჯანმრთლების ხელშეწყობის საკითხებზე მომზადებული მულტიმედიური მასალის, მ.შ. ვიდეო და აუდიო როგლები, ინფოგრაფიკები და პოსტერები) - დაგეგმილის 100%; პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებაზე სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით (მედია, სოციალური, დიგიტალური მედია, ქუჩის რეკლამა) მოცული სამიზნე აუდიტორია - 100%; %; მომზადებულია ვიდე რგოლები (დაგეგმილის 100%) ჯანმრთელობის ხელშეწყობის და პრევენციული სერვისების შესახებ საინფორმაცო ბანერები განთასვებულია დიგიატლურ მედიაში (დაგეგმილის 100%); განთავსებულია ბანერები გარე სარეკლამო სივრცეში (ბილბორდები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მ.შ. მეტროსადგურები), დაგეგმილის 100%; ბენეფიციართა რაოდენობა, ვისაც მიეწოდა ინფორმაცია პრევენციულ სერვისებზე. ტრენირებული პჯდ პერსონალი- 3249 ; განხორციელებული ბარიერების კვლევის ანგარიშები (1); ჯანმრთელობის ეროვნული და მსოფლიო დღეების/კვირეულების შესახებ საინფორმაციო მასალის მომზადება და გავრცელება (დაგეგმილის 100%). ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის შეფასის დოკუმენტი მომზადებულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3-5%; **შესაძლო რისკები -** მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე; შესყიდვის პროცედურების გაჭიანურება; არასაკმარისი ფინანსური რესურსი; თამბაქოს ინდუსტრიის მცდელობები ხელი შეუშალოს კანონმდებლობის აღსრულებას; მათი მხრიდან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელებაა

ჰეპატიტის მართვა (27 03 02 11)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	B და C ჰეპატიტიებზე სკრინინგული კვლევა; C და B ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა, მათ შორის, მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევებისა და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა; C და B ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით უზრუნველყოფა;

	B და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა მკურნალობაში ჩართვა B და C ჰეპატიტების სამკურნალო მედიკამენტების ლოჯისტიკა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	C და B ჰეპატიტის სკრინინგული კვლევების მოცვის არეალის გაფართოება; პროგრამაში ჩართული განკურნებული პაციენტების რაოდენობის ზრდა; C და B ჰეპატიტის პრევალენტობის და ინციდენტობის შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - C და B ჰეპატიტზე დასკრინულ პაციენტთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - C ჰეპატიტზე ჩატარებული სკრინინგის რაოდენობა - 878622 ტესტი, მათგან საეჭვო დადებითი აღმოჩნდა 8 255 (0.94%) (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოზრდილი მოსახლეობიდან დარჩენილი გასატესტი 600 ათასი პირიდან, 300 ათასი უნიკალური პირის ტესტირება, სკრინინგით დადებითი 20 ათასამდე მოზრდილი პირიდან 50%-ის ჩართვა შემდგომ დიაგნოსტიკურ კვლევებსა და მკურნალობაში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - ცნობიერების დაბალი დონე; სტიგმა; დიდ ქალაქებში ოჯახის ექიმების მხრიდან ბენეფიციართა მართვის დაბალი დონე **2.** **ინდიკატორის დასახელება** - სკრინინგით გამოვლენილ პაციენტთა დიაგნოსტიკური კვლევების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - მომართულ პაციენტთა 100%-ის უზრუნველყოფა დიაგნოსტიკური კვლევებითა და მკურნალობით პროგრამას მომართა და სადიაგნოსტიკო კვლევები ჩაუტარდა 13.3 ათასამდე პირს (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - ცნობიერების დაბალი დონე; გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - მედიკამენტებით უზრუნველყოფილი პაციენტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მომართულ პაციენტთა 100% უზრუნველყოფილია C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით (2021 წელს 74 150 ბენეფიციარი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - მომწოდებლის მიერ ვადების შესაძლო დარღვევა, ცნობიერების დაბალი დონე, პაციენტების მხრიდან მკურნალობის თვითნებური შეწყვეტა'

	4. **ინდიკატორის დასახელება** - მკურნალობის დასრულებული კურსის რაოდენობა (მ.შ. დადებითი შედეგით); **საბაზისო მაჩვენებელი** - მკურნალობის კომპონენტში მყოფი პაციენტების დასრულებული კურსი - 90%; პროგრამაში ჩართულ პაციენტთა შორის, რომლებმაც დაასრულეს მკურნალობა, 99%-ში მიღწეულია დადებითი შედეგი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ცნობიერების დაბალი დონე, მკურნალობისადმი რეზისტენტობა

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა (27 03 02 12)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში არსებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სამსახურების მიერ ეპიდზედამხედველობის განხორციელება; სამედიცინო სტატისტიკური სისტემის წარმოება; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მუნიციპალიტეტებისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების შესრულების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიებით განსაზღვრული კრიტერიუმების შესრულება
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - მუნიციპალიტეტებში გადამდები და არაგადამდები დაავადებების არსებული ეპიდემიური სიტუაციის კონტროლი; **საბაზისო მაჩვენებელი** - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება - 100%; პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისთვის მიწოდებული მასალების მიღება, შენახვა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისთვის განაწილება - 100%; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა - 100%; ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული სერვისების განხორციელების ხელშეწყობა - 100%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2-5%; **შესაძლო რისკები -** სერვისის წარმოებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ხარვეზები

მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (27 03 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო; სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმრების ცენტრი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ა(ა)იპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი; ა(ა)იპ-საქართველოს სოლიდარობის ფონდი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფა; დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურების უზრუნველყოფა; რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; ორგანოთა ტრანსპლანტაციის უზრუნველყოფა; საქართველოს თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტთა მომსახურების უზრუნველყოფა; პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შეუფერხებელი მიწოდება.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირების სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მომართული პირები 100%–ით უზრუნველყოფილნი არიან ამბულატორიული, სათემო და სტაციონარული მომსახურებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა 2. **ინდიკატორის დასახელება** - პირველადი ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; **საბაზისო მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია 100%–იანი ხელმისაწვდომობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - კვალიფიციური/ადგილობრივი კადრის ნაკლებობა

ფსიქიკური ჯანმრთელობა (27 03 03 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	მოსახლეობისთვის ფსიქიატრიული მომსახურების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება; ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია; ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია; თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება; ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - ამბულატორიული სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 23.9 ათასზე მეტი პირი (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოცვის მაჩვენებლის ზრდა 10%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, რეგიონებში კვალიფიციური ადამიანური რესურსების სიმცირე **2.** **ინდიკატორის დასახელება** - თავშესაფარით უზრუნველყოფილ ბენეფიციართა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - კომპონენტით ისარგებლა 136 პირმა (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - საჭიროების მქონე ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა არსებული პროგრამული რესურსის ფონზე **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ბავშვთა ამბულატორიული მომსახურებით მოსარგებლეთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მომსახურებით ისარგებლა 296 ბავშვმა (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ფსიქიკური მდგომარეობის და ქცევის ცვლილების მქონე, 18 წლამდე ასაკის ბავშვები უზრუნველყოფილი არიან ნეიროგანვითარებითი და ფსიქიატრიული გუნდის მომსახურებით. მომართვის შემთხვევაში 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, რეგიონებში კვალიფიციური ადამიანური რესურსების სიმცირე **4.** **ინდიკატორის დასახელება** - კრიზისული ინტერვენციული სერვისებით მოცული ბენეფიციარების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მომსახურება გაეწია 418 პაციენტს (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოცვის მაჩვენებლის ზრდა 10%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, რეგიონებში კვალიფიციური ადამიანური რესურსების სიმცირე **5.** **ინდიკატორის დასახელება** - სტაციონარული სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა ; **საბაზისო მაჩვენებელი** - 5.5 ათასზე მეტი პირი (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა არსებულ სტაციონარულ საწოლფონდთან შეფარდებით

დიაბეტის მართვა (27 03 03 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო
აღწერა და მიზანი	შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება; სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების გაწევა; შაქრიანი დიაბეტითა და უშაქრო დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა; შაქრიანი დიაბეტითა და უშაქრო დიაბეტით დაავადებული პაციენტების შესაძლო გართულებების პრევენცია.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა; დიაბეტით გამოწვეული სპეციფიკური გართულებების შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - სერვისებით მოსარგებლე შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მომსახურებით ისარგებლა 1449-მა დიაბეტით დაავადებულმა ბავშვმა (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - წინა წელთან შედარებით მოცვის მაჩვენებლის ზრდა 10; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - საჭიროების მქონე ბენეფიციართა რაოდენობის დაუგეგმავი გაზრდა არსებული პროგრამული რესურსის ფარგლებში **2.** **ინდიკატორის დასახელება** - სპეციალიზებული ამბულატორიული სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - ისარგებლა 2.6 ათასამდე პირმა (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამაში ჩართულ პაციენტთა 100% უზრუნველყოფა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ჰიპერდიაგნოსტიკა, პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა არსებული პროგრამული რესურსის ფარგლებში **3.** **ინდიკატორის დასახელება** - მედიკამენტებით უზრუნველყოფა; **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამაში ჩართული 30 ათასზე მეტი პაციენტი 100% უზრუნველყოფილია მედიკამენტებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - მედიკამენტების მოწოდების ვადების დარღვევის გამო მომარაგების მოსალოდნელი წყვეტა

	4. **ინდიკატორის დასახელება** - დიაბეტის მქონე ბავშვთა რაოდენობა, უწყვეტი გლუკოზის მონიტორის (CGM) სისტემით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამაში მომართულ პაციენტთა 100% უზრუნველყოფილია უწყვეტი გლუკოზის მონიტორის (CGM) სისტემით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - აპარატების მოწოდების ვადების დარღვევის გამო მომარაგების მოსალოდნელი წყვეტა

ორგანოთა ტრანსპლანტაცია (27 03 03 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო
აღწერა და მიზანი	ონკოჰემატოლოგიური დიაგნოზის მქონე პირებისათვის ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის, აგრეთვე ღვიძლის დაავადებების მქონე პირებისთვის ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული პირებისა)
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობა, ონკოჰემატოლოგიური და ღვიძლის დაავადებების მქონე პაციენტებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაციას
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - ჩატარებული ღვიძლის ტრანსპლანტაციის რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 6 ოპერაცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაფინანსებული ოპერაციების რაოდენობა - 6; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - საჭიროების მქონე ბენეფიციართა რაოდენობის დაუგეგმავი გაზრდა; პაციენტების მიერ დონორის მოძიების პროცესთან დაკავშირებული სირთულე **2.** **ინდიკატორის დასახელება** - ჩატარებული ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 10 ოპერაცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - საჭიროების მქონე ბენეფიციართა რაოდენობის დაუგეგმავი გაზრდა/დაბალი მომართვიანობა

დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (27 03 03 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო
აღწერა და მიზანი	პაციენტთა ჰემოდიალიზით და პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა; ჰემოდიალიზისა და პერიტონეული დიალიზისთვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება; თირკმლის ტრანსპლანტაცია; ორგანოგადანერგილთა იმუნოსუპრესიული მედიკამენტებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული პირების დიალიზით უზრუნველყოფა და მოცვა
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** ჰემოდიალიზით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** ისარგებლა 3.2 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ჰემოდიალიზის საჭიროების მქონე პაციენტთა 100%-ით მოცვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა ცალკეულ რეგიონებში **2.** **ინდიკატორის დასახელება -** პერიტონეულ დიალიზზე მყოფი პაციენტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** ისარგებლა 90-მა პაციენტმა (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** პერიტონეული დიალიზის საჭიროების მქონე პაციენტთა 100% მოცვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 1%; **შესაძლო რისკები -** გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა ცალკეულ რეგიონებში **3.** **ინდიკატორის დასახელება -** თირკმლის ტრანსპლანტაციების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** რაოდენობა 35 (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სერვისით უზრუნველყოფის მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** საჭიროების მქონე ბენეფიციართა რაოდენობის დაუგეგმავი გაზრდა; პაციენტების მიერ დონორის მოძიების პროცესთან დაკავშირებული სირთულე **4.**

	ინდიკატორის დასახელება - ორგანოგადანერგილ ბენეფიციართა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 512 პაციენტი უზრუნველყოფილია იმუნოსუპრესული მედიკამენტებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - პაციენტები, რომლებიც არ მომართავენ პროგრამას, პროგრამის ფარგლებში შესყიდული მედიკამენტებისგან განსხვავებული მედიკამენტის საჭიროების მქონე პაციენტები

ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (27 03 03 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო
აღწერა და მიზანი	ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა; ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობა; ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - ამბულატორიული პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 434 (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამით მოცულ არეალში მიზნობრივი პოპულაცია უზრუნველყოფილია ამბულატორიულ პალიატიურ მზრუნველობაზე ხელმისაწვდომობით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - არათანაბარი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა; კვალიფიციური ადამიანური რესურსის ნაკლებობა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - სტაციონარული პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 1991; (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომართული ინკურაბელური პაციენტების 100% უზრუნველყოფილია სტაციონარული პალიატიური მზრუნველობით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა; პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა არსებულ სტაციონარულ საწოლფონდთან შეფარდებით

	3. **ინდიკატორის დასახელება** - საჭიროებისას, ინკურაბელური ბენეფიციარების ნარკოტიკული ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტებით უზრუნველყოფა; **საბაზისო მაჩვენებელი** - შესაბამისი საჭიროების მქონე ინკურაბელური ბენეფიციარების 100% უზრუნველყოფილია ნარკოტიკული ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - ჰიპერდიაგნოსტიკა (დაავადების ან მისი გართულების მცდარი დიაგნოზი); მედიკამენტების მიწოდების შეფერხება

იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (27 03 03 06)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო
აღწერა და მიზანი	იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება; იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება; ჰემოფილიითა და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრეობითი პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება; იშვიათი დაავადებების (ჰემოფილია, ფენილკეტონურია, მუკოვისციდოზი, მემკვიდრეობითი ჰიპოგამაგლობულინემია (ბრუტონის დაავადება), ზრდის ჰორმონის დეფიციტი, ტერნერის სინდრომი, იუვენილური ართრიტი, დიდი თალასემია და თანდაყოლილი დიზერითროპოეტური ანემია (II ტიპი), ფილტვების იდიოპათიკური ფიბროზი, სპინალური კუნთოვანი ატროფია, დიუშენის კუნთოვანი დისტროფია, აქონდროპლაზია) მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მკურნალობის საჭიროების მქონე ბენეფიციართა მოცვა; იშვიათ დაავადებათა და ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული ნოზოლოგიების რაოდენობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - 18 წლამდე პაციენტების ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფილთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მომსახურება გაეწია 186 ბავშვს (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამით განსაზღვრული ნოზოლოგიების მქონე 18 წლამდე პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან

	ამბულატორიული მეთვალყურეობით -მიმართვის შემთხვევაში 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - არათანაბარი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - 18 წლამდე ასაკის ბავშვების სტაციონარული სერვისებით უზრუნველყოფა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მომსახურება გაეწია 166 ბავშვს (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამით განსაზღვრული ნოზოლოგიების მქონე 18 წლამდე პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან სტაციონარული მომსახურებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - არათანაბარი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ჰემოფილიით დაავადებულთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით უზრუნველყოფილთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - დახმარება გაეწია 316 პაციენტს (2023 წლის მაჩვენებლები 100%); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჰემოფილიით დაავადებული პირები უზრუნველყოფილნი არიან ამბუალტორიული და სტაციონარული მომსახურებით -100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - არათანაბარი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა **4.** **ინდიკატორის დასახელება** - პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 100%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - შესასყიდი რომელიმე საშუალების დეფიციტი ბაზარზე; მოწოდების ვადების გახანგრძლივება

პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა (27 03 03 07)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი; სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო; ა(ა)იპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი
აღწერა და მიზანი	სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და სამედიცინო ტრანსპორტირების უზრუნველყოფა; სოფლად პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება (მათ შორის, ამბულატორიული მომსახურებისთვის აუცილებელი მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების საგნების, ექიმის ჩანთისა და სამედიცინო დოკუმენტაციის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა);

	სპეციალურ დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება; სოფლის მოსახლეობისთვის პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა (საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე).
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შესრულებული გამოძახებების საერთო რაოდენობა; სოფლად მცხოვრები მოსახლეობის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** რეფერალური დახმარებების ფარგლებში გამოძახებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 14.8 ათასამდე გამოძახება; (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 100%-ით უზრუნველყოფილია კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ბენეფიციართა რეფერალური დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3%; **შესაძლო რისკები -** შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსის ნაკლებობა, დაგვაინებული მომართვა სამედიცინო დაწესებულების მიერ. ასევე რთული სეზონური კლიმატური პირობები, დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურა **2.** **ინდიკატორის დასახელება -** სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებების რაოდენობა 1 სულ მოსახლეზე; **საბაზისო მაჩვენებელი -** 0,29 (2023 წელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 100%-ით უზრუნველყოფილია მოსახლეობა სასწრაფო დახმარებით და სამედიცინო ტრანსპორტირებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 1%; **შესაძლო რისკები -** რთული სეზონური კლიმატური პირობები, დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურა **3.** **ინდიკატორის დასახელება -** სოფლის ექიმთან ვიზიტების რაოდენობა ერთ სულზე სამიზნე პოპულაციაში (სოფლის მოსახლეობაში); **საბაზისო მაჩვენებელი -** 0.84 (2023 წელი); (პირველადი ჯანდაცვის რეფორმის გზამკვლევის სამიზნე ინდიკატორი); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;'; **შესაძლო რისკები -** კვალიფიციური/ადგილობრივი კადრის ნაკლებობა **4.**

	ინდიკატორის დასახელება - ოკუპირებულ ტერიტორიაზე (გალი) სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებების რაოდენობა 1 სულ მოსახლეზე; **საბაზისო მაჩვენებელი** - 0.02 (2023 წელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ვერ ხორციელდება შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი

რეფერალური მომსახურება (27 03 03 08)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო; ა(ა)იპ-საქართველოს სოლიდარობის ფონდი
აღწერა და მიზანი	სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთათვის და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა; მოსახლეობის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება; ფილტვის ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა რეაბილიტაციის უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული შემთხვევების შედეგად ბენეფიციართა ჯამრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - შემოსული და დაფინანსებული შემთხვევების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - შემოვიდა 49.8 ათასზე მეტი შემთხვევა, დაფინანსდა 32.8 ათასზე მეტი (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელის შენერჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა დაუგეგმავი ზრდა, სერვისის მისაღებად ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა მიერ პირობითი საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული პრობლემები **2.** **ინდიკატორის დასახელება** - სარეაბილიტაციო ღონისძიებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - ფილტვის ქრონიკული დაავადების მქონე პირებისათვის სარეაბილიტაციო ღონისძიებებით ისარგებლა - 1142 პირმა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელის შენერჩუნება;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%; **შესაძლო რისკები -** დაბალი მიმართვიანობა

თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (27 03 03 09)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო
აღწერა და მიზანი	თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმება და მათთვის დამატებითი გამოკვლევების ჩატარება
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	თავდაცვის ძალების შევსება ჯანმრთელი კონტინგენტით
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** ამბულატორიულად გამოკვლეულ წვევამდელთა ხვედრითი წილი; **საბაზისო მაჩვენებელი -** ამბულატორიულად გამოკვლეულ იქნა 11.6 ათასზე მეტი წვევამდელი (2023 წლის მონაცემები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** თავდაცვის ძალებში გასაწვევი სრული კონტიგენტის 100% შემოწმებულია **2.** **ინდიკატორის დასახელება -** წვევამდელთა დამატებითი სტაციონარული გამოკვლევით უზრუნველყოფა; **საბაზისო მაჩვენებელი -** ჩატარდა 902 წვევამდელის დამატებითი სტაციონარული გამოკვლევა (2023 წლის მაჩვენებლები); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** თავდაცვის ძალებში გასაწვევი პირები სრულად უზრუნველყოფილნი არიან პროგრამით გათვალისწინებული დამატებითი კვლევებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 0,5%; **შესაძლო რისკები -** დამატებით გამოკვლევაზე გაგზავნილი პაციენტები, რომლებიც აღარ იტარებენ დანიშნულ კვლევას

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (27 03 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა
აღწერა და მიზანი	„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიებისა და მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების მოსახლეობისათვის სამედიცინო სერვისების მიწოდების უწყვეტობისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ამ მუნიციპალიტეტებისთვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში პირთა მომზადებით;

	დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამების ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; პროფესიული რეგულირების მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებსა და „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებში სამედიცინო სერვისების შენარჩუნება და მათი უწყვეტობის უზრუნველყოფა; დიპლომისშემდგომ განათლებაზე (პროფესიულ მზადებაზე) ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა (მ.შ. სოციალურად დაუცველი საექიმო სპეციალობის მაძიებელთათვის, ასევე, მაძიებელთა დაფინანსება პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში).
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - დიპლომისშემდგომი განათლების პროგრამაში ჩართული მაძიებლების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 30; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - მაძიებელთა დაბალი ინტერესი მომავალი სავალდებულო დასაქმების ადგილის, ასევე, კონკრეტული საექიმო სპეციალობების მიმართ

შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (27 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო; სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური; სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ადამიანური კაპიტალის მიზნები N3.1.2 (დასაქმება) ადამიანური კაპიტალის მიზნები N3.2 (დასაქმება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა ადამიანური კაპიტალის მიზნები N3.1.1 (დასაქმება) ადამიანური კაპიტალის მიზნები N3.3.2 (დასაქმება)
აღწერა და მიზანი	ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარებით/განხორციელებით სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით დასაქმების ხელშეწყობა; სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია, მათთვის კონსულტაციის გაწევა, მომსახურებების განვითარება, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა, მათ შორის, ქალთა, დასაქმების ხელშეწყობა;

	სამუშაოს მაძიებელთა შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადება ან/და სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებითა და საკვანძო კომპეტენციების განვითარებით მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა, მათ შორის, ქალთა მონაწილეობის უპირატესობის გათვალისწინებით; საქართველოში შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა, მათ შორის საქართველოს შრომის კანონდებლობით დადგენილი შრომითი ნორმების გამოყენება და აღსრულებაზე ზედამხედველობა. დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების, გენდერული თანასწორობის, იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის მიმართულებით შესაბამისი აქტივობების განხორციელება; საქართველოში მოქმედი ობიექტების/სამუშაო ადგილების ინსპექტირება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მანდატის ფარგლებში; შრომის ბაზარზე, შრომის კანონმდებლობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა; დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შრომის კულტურის ამაღლებისა და აგრეთვე, შრომის პირობების გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, საქართველოს შრომითი ნორმების შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საინფორმაციო კამპანიებისა და სხვა ქმედითი ღონისძიებების განხორციელებით; შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელება სოციალურად დაუცველი პირების მიმართ, მათი დასაქმება საზოგადოებრივ სამუშაოებზე, რომლებიც განსაკუთრებულ პროფესიულ მომზადებას არ საჭიროებს; არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ორგანიზების წესის შესაბამისად არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის მართვა და დაფინანსების უზრუნველყოფა. *ახალი მიმართულება - საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობა* შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელების გზით სოციალურად დაუცველი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგად დასაქმებულთა, როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა რაოდენობის ზრდა; შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ქალთა მომატებული მაჩვენებლით;

	შრომითი ნორმების აღსრულებაზე ზედამხედველობა შემოწმებული ობიექტების რაოდენობის შესაბამისად; საქართველოში მოქმედი შრომითი ნორმების/სტანდარტების დასახვეწად და მისი გამოყენების გასაუმჯობესებლად შესაბამისი წინადადებების/სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება, მათ შორის შრომის უსაფრთხოების, საწარმოო სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, ტრეფიკინგისა და შრომითი უფლებების დაცვის მიზნით შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება; „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში შრომის ინსპექტორთა საქმიანობის აღრიცხვა, დამუშავება და მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზება; შრომით ურთიერთობებში ჩართული მხარეებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ცნობიერების ამაღლება; საზოგადოებრივ სამუშაოებზე ჩართული სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი ბენეფიციარების რაოდენობა, რომლებიც დასაქმდნენ ისეთ საზოგადოებრივ სამუშაოებზე, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ პროფესიულ მომზადებას; არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგად არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურში დასაქმებულთა რაოდენობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** დასაქმების ხელშეწყობის სხვადასხვა აქტივობებში ჩართულ პირთა დასაქმების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი -** დასაქმების ხელშეწყობის სხვადასხვა აქტივობების შედეგად დასაქმებულია – 5 ათასამდე სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის დასაქმებულ ქალთა რაოდენობა 60%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა: 2025წ. – 6,0 ათასი 2026წ. -8,0 ათასი; 2027წ. – 10,0 ათასი; 2028წ. – 15,0 ათასი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15%; **შესაძლო რისკები -** სამუშაო ადგილების შეზღუდული რაოდენობა. სამუშაოს მაძიებელთა დაბალი მოტივაცია **2.** **ინდიკატორის დასახელება -** შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, კარიერის დაგეგმვით, საკვანძო კომპეტენციებით, მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადებით, პროფესიული გადამზადებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით, გადამზადებულთა და დასაქმებულთა სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** გადამზადებულ ბენეფიცართა რაოდეონობა 4 ,0 ათასი, მათ შორის მოსარგებლე ქალთა რაოდენობა - 70%. ასევე, დასაქმებულთა რაოდენობა 20% - მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამაში ჩართული ბენეფიცარების რაოდენობა წლების მიხედვით: 2025წ. – 4.8 ათასამდე; 2026წ. – 6.0 ათასამდე; 2027წ. – 7.2 ათასამდე; 2028 წ. -9.0

	ათასამდე. ყოველწლიურად მოსარგებლე ქალთა რაოდენობა - 70 %. ასევე, დასაქმებულთა რაოდენობა 20%-ი ყოველწლიურად; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15%; **შესაძლო რისკები -** დამსაქმებელთა და სამუშაოს მაძიებელთა, მათ შორის ქალთა ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი **3.** **ინდიკატორის დასახელება -** საზოგადოებრივ სამუშაოებზე ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა და ღია შრომის ბაზარზე დასაქმების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი -** სამუშაოზე ჩართულთა მაჩვენებელი 30.0 ათასამდე, მათ შორის მოსარგებლე ქალთა რაოდენობა - 50 %. ღია შრომის ბაზარზე დასაქმებული -15 ათასი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ჩართულთა რაოდენობა წლების მიხედვით: 2025წ. - 30.0 ათასამდე; 2026წ. - 30.0 ათასამდე; 2027წ. – 30.0ათასამდე; 2028 30.0 მათ შორის მოსარგებლე ქალთა რაოდენობა - 55 %-ი ყოველწლიურად; ღია შრომის ბაზარზე სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების რაოდენობა წლების მიხედვით 2025 წ. 20.0ათასი 2026წ. 25.0 ათასი; 2027წ. 30.0 ათასი; 2028 წ. 35.0 ათასი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15%; **შესაძლო რისკები -** ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი **4.** **ინდიკატორის დასახელება -** შრომის ინსპექციის მანდატის ფარგლებში განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 1 600-მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** წლების მიხედვით: 2025წ. – 1 700-მდე; 2026წ. – 1 800-მდე; 2027წ. – 1 900-მდე; 2028წ. – 2 000-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** არასათანადო აღსრულების მექანიზმი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაკლებობა და საკადრო დეფიციტი **5.** **ინდიკატორის დასახელება -** არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში დასაქმების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი -** დასაქმებულ პირთა საპროგნოზო მაჩვენებელი -1.0 ათასი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** დასაქმების რაოდენობა წლების მიხედვით 2025 წ -1.1 ათასი. 2026წ. 1.1 ათასი;2027წ. 1.1 ათასი; 2028 წ. 1.1 ათასი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15%; **შესაძლო რისკები -** წვევამდელთა დაბალი ჩართულობა

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (27 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო; სსიპ - საგანგებო სიტუაციების

	კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი; სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო; სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო; სსიპ-ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო; სსიპ-ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტო; ა(ა)იპ-საქართველოს სოლიდაროზის ფონდი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.6 (სოციალური) ადამიანური კაპიტალის მიზნები N2.4 (დასაქმება) ადამიანური კაპიტალის მიზნები N3.3.1 (დასაქმება) ადამიანური კაპიტალის მიზნები N4.4 (სოციალური) ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.5.2 (სოციალური)
აღწერა და მიზანი	მოსახლეობის შრომისა და დასაქმების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, შესაბამისი საქმიანობის კოორდინაცია; დევნილთა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებულ პირთა (ეკომიგრანტთა) სოციალური დაცვისა და განსახლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია; ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მარეგულირებელი აქტების მომზადება; სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კონტროლი; სამკურნალო საშუალებების ხარისხსა და მიმოქცევაზე და ფარმაცევტულ საქმიანობაზე ზედამხედველობა; საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შეუფერხებელი მიწოდება; სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვა ფულადი და არაფულადი სახელმწიფო ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა და აღრიცხვა, მათთვის დახმარების დანიშვნა და მისი გაცემის ორგანიზება; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების განხორციელების გასაუმჯობესებლად სერვისების განვითარება/სრულყოფა; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვა და დახმარება/მხარდაჭერა; მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა/ბავშვთა მოვლა-პატრონობა

	გრძელვადიან პერიოდში; საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვა; ქვეყანაში შრომის ბაზრის პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმების მართვა; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების დროებით ლეგალურად დასაქმების ხელშეწყობა; იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, ეკომიგრანტთა და მიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო საინფორმაციო სისტემების, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვა, ინტეგრირებული სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი საიმედო და ეფექტიანი მუშაობისა და განვითარების უზრუნველყოფა; კატასტროფული სოციალური დანახარჯების რისკის წინაშე მდგარი პირებისთვის ალტერნატიული (არასაბიუჯეტო) რესურსების მობილიზება და პრიორიტეტული სოციალური საჭიროებებისთვის მიმართვა საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მონაწილეობით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ხარისხიანი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფო პროგრამების და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგი; ქვეყანაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა; ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება; უკანონო სამედიცინო და საექიმო საქმიანობისაგან დაცული მოსახლეობა; სრულყოფილი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა; გაუვარგისებული, უხარისხო და წუნდებული პროდუქტისაგან დაცული ფარმაცევტული ბაზარი; ბენეფიციართა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, ხარისხის მაღალი სტანდარტების შესაბამისი მომსახურება,

	გაუმჯობესებული კეთილდღეობა და ცხოვრების ხარისხი; საქართველოს მოსახლეობისათვის პირველადი სასწრაფო გადაუდებელი დახმარების სერვისის გამართული, დროული და ეფექტური მიწოდება რეგიონებში და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში; იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა, ეკომიგრანტთა და მიგრანტთა გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გატარების უზრუნველყოფა; დასაქმების ხელშეწყობისა და სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმების მართვა; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების დროებით ლეგალურად დასაქმების უზრუნველყოფა; სამინისტროს სისტემის ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფილია საინფორმაციო სისტემების, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინტეგრირებული სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურა; სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროექტების დაფინანსება, მათ შორის, ერთჯერადი დახმარებების, აგრეთვე რეგულარული სოციალური შემწეობების/პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის ბაზრის პოლიტიკის შემუშავება და მართვა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მოსახლეობა საჭიროების შესაბამისად უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შეუფერხებელი ფუნქციონირებით; ხორციელდება შრომის ბაზრის მონიტორინგი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჯანმრთელობის პროგრამებში ჩართული სამიზნე ჯგუფების შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფა; საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები; მოსახლეობის კმაყოფილება (კვლევა); ხორციელდება შრომის ბაზრის მონიტორინგი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი; **საბაზისო მაჩვენებელი** - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი; უზრუნველყოფილია ქვეყანაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა; ლაბორატორიული საქმიანობა, ეროვნული რეფერალური ლაბორატორიების ორგანიზება და ფუნქციონირება, განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან დაკავშირებული საქმიანობა; იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და მისი განხორციელების ზედამხედველობა;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ბიოლოგიური უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფილი ეპიდემიოლოგიური და ბიოლოგიური უსაფრთხოება; დროულად ინფორმირებული საზოგადოება, გამოვლენილი გადამდები და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე არაგადამდები დაავადებების და ჯანმრთელობის რისკები; გამართულად ფუნქციონირებადი ზედამხედველობისა და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემები; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფო პროგრამების და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15% **3.** **ინდიკატორის დასახელება -** სოციალური დაცვის სფეროს მხარდაჭერა; **საბაზისო მაჩვენებელი** - სოციალური დაცვის პროგრამები მიმართულია ყველაზე შეჭირვებული მოსახლეობისთვის; ბენეფიცარების მაქსიმალური სიზუსტით აღრიცხვის უზრუნველყოფა; გასაცემლების/მომსახურების სრული და დროული მიწოდება; შშმ პირთა უწყვეტი ფინანსური მხარდაჭერა; გასაცემლის/მომსახურების დაგვიანებით ან არასრულად მიღებაზე საჩივრების განხილვა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0.05% **4.** **ინდიკატორის დასახელება -** სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ზედამხედველობა და რეგულირება; **საბაზისო მაჩვენებელი** - სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლი - 300; სამედიცინო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებების სხვდასხვა სახის კონტროლი - 900; სამედიცინო- სოციალური ექსპერტიზის კონტროლი, 3100 შშ სტატუსის მქონე პირის გადამოწმება, ფარმაცევტული პროდუქტების ლეგალურ ბრუნვაზე ზედამხედველობა და საკონტროლო შესყიდვა-გადამოწმება - 150; საცალო და საბითუმო რეალიზატორების კონტროლი - 400; ფარმაცევტული პროდუქტის სარეგისტრაციო ნიმუშის ლაბორატორიული კონტროლი - 150; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (27 01 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	მოსახლეობის შრომისა და დასაქმების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, შესაბამისი საქმიანობის კოორდინაცია; დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალური დაცვისა და განსახლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, აგრეთვე საქართველოში ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა

	რეინტეგრაციისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების, დევნილთა, ეკომიგრანტთა სოციალური დაცვისა და განსახლების პროგრამების შეუფერხებელი ფუნქციონირებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა; შრომის ბაზრის მონიტორინგი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის ბაზრის პოლიტიკის შემუშავება და მართვა; **საბაზისო მაჩვენებელი -** მოსახლეობა საჭიროების შესაბამისად უზრუნველყოფილია შრომისა და დასაქმების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების შეუფერხებელი ფუნქციონირებით; ხორციელდება შრომის ბაზრის მონიტორინგი/იძულებით გადაადგილებული პირების - დევნილების, ეკომიგრანტებისა და მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ჯანმრთელობის პროგრამებში ჩართული სამიზნე ჯგუფების შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფა; საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები; შრომის ბაზრის მონიტორინგი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა

სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამა (27 01 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კონტროლი; სამკურნალო საშუალებების ხარისხსა და მიმოქცევაზე და ფარმაცევტულ საქმიანობაზე ზედამხედველობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უკანონო სამედიცინო და საექიმო საქმიანობისაგან დაცული მოსახლეობა; სრულყოფილი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა; გაუვარგისებული, უხარისხო და წუნდებული პროდუქტისაგან დაცული ფარმაცევტული ბაზარი.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სამედიცინო საქმიანობის ზედამხედველობა და რეგულირება; **საბაზისო მაჩვენებელი** - სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლი - 300; სამედიცინო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებების სხვდასხვა სახის კონტროლი - 900; სამედიცინო- სოციალური ექსპერტიზის კონტროლი, 3100 შშ სტატუსის მქონე პირის გადამოწმება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - მოთხოვნების შემცირება 2. **ინდიკატორის დასახელება** - ფარმაცევტული საქმიანობის ზედამხედველობა და რეგულირება; **საბაზისო მაჩვენებელი** - ფარმაცევტული პროდუქტების ლეგალურ ბრუნვაზე ზედამხედველობა და საკონტროლო შესყიდვა-გადამოწმება - 150; საცალო და საბითუმო რეალიზატორების კონტროლი - 400; ფარმაცევტული პროდუქტის სარეგისტრაციო ნიმუშის ლაბორატორიული კონტროლი - 150; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%

დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა (27 01 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
აღწერა და მიზანი	საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შეუფერხებელი მიწოდება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხარისხიანი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი; უზრუნველყოფილია ქვეყანაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა; ლაბორატორიული საქმიანობა, ეროვნული რეფერალური ლაბორატორიების ორგანიზება და ფუნქციონირება, განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან დაკავშირებული საქმიანობა; იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და მისი

	განხორციელების ზედამხედველობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ბიოლოგიური უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფილი ეპიდემიოლოგიური და ბიოლოგიური უსაფრთხოება; დროულად ინფორმირებული საზოგადოება, გამოვლენილი გადამდები და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე არაგადამდები დაავადებების და ჯანმრთელობის რისკები; გამართულად ფუნქციონირებადი ზედამხედველობისა და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემები; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფო პროგრამების და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15

სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (27 01 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.6 (სოციალური) ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.5.2 (სოციალური)
აღწერა და მიზანი	მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და მისი ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენის მხარდაჭერა, მოქალაქეთათვის გაწეული მომსახურების დახვეწა და მისი ხარისხის ამაღლება, უფრო მოქნილი, მარტივი, სწრაფი და მოსახლეობისთვის ადვილად ხელმისაწვდომი მექანიზმების დანერგვა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი და არაფულადი სახელმწიფო ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა და აღრიცხვა, მათთვის დახმარების დანიშვნა და მისი დროულად გაცემის ორგანიზება; ოჯახების გაძლიერება, ალტერნატიული სერვისების განვითარება და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სოციალური დაცვის სფეროს მხარდაჭერა; **საბაზისო მაჩვენებელი** - სოციალური დაცვის პროგრამები მიმართულია ყველაზე შეჭირვებული მოსახლეობისთვის, კანონით განსაზღვრული ბენეფიციარები და მიზნობრივი სოციალური ჯგუფები დროულად იღებენ პენსიას/კომპენსაციას, საარსებო შემწეობას, სოციალურ პაკეტს და სხვა მიზნობრივ დახმარებას; ბენეფიციარები აღრიცხულია მაქსიმალური სიზუსტით; გასაცემლები/მომსახურება უზრუნველყოფილია სრულად და დროულად, ხორციელდება შშმ პირთა უწყვეტი ფინანსური მხარდაჭერა; გასაცემლის/მომსახურების დაგვიანებით ან არასრულად მიღებაზე განხილულია 171 საჩივარი (2023 წლის მონაცემები);

	მიზნობრივი მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0,05%

სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მართვა (27 01 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა; საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცენტრალური და ადგილობრივი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების უზრუნველყოფა, აგრეთვე სხვა სახელმწიფოში გაშვილების მიზნებისთვის ცენტრალური მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციის უზრუნველყოფა; მეურვეობის, მზრუნველობის, მხარდაჭერის, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვა, დახმარება/მხარდაჭერა და მათი რეაბილიტაციის ხელშეწყობა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, ხანდაზმულებისა და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, ხარისხის მაღალი სტანდარტების შესაბამისი მომსახურება, გაუმჯობესებული კეთილდღეობა და ცხოვრების ხარისხი.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - დანერგილი სახელმძღვანელო პრინციპების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 6 ერთეული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვა (27 01 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობისთვის ყოველდღიურ 24 საათიან რეჟიმში, აგრეთვე სხვადასხვა სახის კატასტროფის, მათ შორის, ეპიდემიის, პანდემიის, საომარი მდგომარეობის დროს შექმნილი საგანგებო სიტუაციისას სწრაფი და ხარისხიანი გადაუდებელი/სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და რეფერალური დახმარების გაწევისა და მოსახლეობისთვის პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა/კოორდინაცია; პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სასწავლო ან/და სატრენინგო მომსახურების მიწოდების ადმინისტრირება; საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოსახლეობისათვის ყოველდღიურ რეჟიმში, ასევე სხვადასხვა სახის კატასტროფის, მათ შორის ეპიდემიისა და პანდემიების, საომარი მდგომარეობის დროს დამდგარი საგანგებო სიტუაციებისას სწრაფი და ხარისხიანი გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო და რეფერალური დახმარებისა და მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა/კოორდინირება; პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ადმინისტრირებული სასწავლო ან/და სატრენინგო მომსახურების მიწოდება; საქართველოს მოსახლეობისათვის პირველადი სასწრაფო გადაუდებელი დახმარების სერვისის გამართული, დროული და ეფექტური მიწოდება რეგიონებში და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (გამოძახებების) მართვა; **საბაზისო მაჩვენებელი** - გამოძახებების 100%-ით შესრულება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - არამიზნობრივი გამოძახებები

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა (27 01 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
აღწერა და მიზანი	იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებულ პირთა (ეკომიგრანტთა) მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა, მათ შორის, საარსებო წყაროების შექმნით; უსახლკარო/მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახ(ებ)ის განსახლების ადმინისტრირება; საქართველოში ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაციისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებულ პირთა, უსახლკარო/მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახ(ებ)ის, საქართველოში ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა, საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - დევნილთა უწყვეტი რეგისტრაცია (სტატუსის მინიჭება, შეწყვეტა, აღდგენა); **საბაზისო მაჩვენებელი** - 10 000; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი **2.** **ინდიკატორის დასახელება** - დევნილთა და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მიერ შევსებული განაცხადების მონიტორინგი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 15 000; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 20 000; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი მიმართვიანობა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - მიღებული განაცხადების შეფასება/გადაფასება; **საბაზისო მაჩვენებელი** - 13 000; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 15 000; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი მიმართვიანობა

დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვა (27 01 08)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ადამიანური კაპიტალის მიზნები N2.4 (დასაქმება)
აღწერა და მიზანი	ქვეყანაში შრომისა და დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა; ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მექანიზმების მართვა; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების დროებით ლეგალურად დასაქმების ხელშეწყობა; ცირკულარული შრომითი მიგრაციის ფარგლებში დაბრუნებული შრომითი მიგრანტების ადგილობრივ შრომის ბაზარზე დასაქმების ხელშეწყობა; დამსაქმებლებისა და სამუშაო ძალის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი; სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების მიმართ შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა მათი საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროცესში; არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ორგანიზების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეყანაში უზრუნველყოფილია შრომისა და დასაქმების ხელშეწყობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მექანიზმების მართვა; სამუშაოს მაძიებელთა და თავისუფალი (ვაკანტური) სამუშაო ადგილების რეგისტრაცია და შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირება; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმების სრულყოფილად მართვა; სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის ადმინისტრირება; უზრუნველყოფილია საქართველოში დაბრუნებული შრომითი მიგრანტების ადგილობრივ შრომით ბაზარზე დასაქმების, აგრეთვე, საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების დროებით ლეგალურად დასაქმების ხელშეწყობა; ხორციელდება დასაქმების ფორუმების ჩატარების ორგანიზება; უზრუნველყოფილია არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ორგანიზება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - შრომითი ურთიერთობებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა;

	საბაზისო მაჩვენებელი - 13; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 20; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15%; **შესაძლო რისკები -** სამიზნე ჯგუფების დაბალი ინტერესი

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა (27 01 09)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო
აღწერა და მიზანი	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და მისი ხელშეწყობა; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების განხორციელების გასაუმჯობესებლად სერვისების განვითარება/სრულყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსახლეობა საჭიროების შესაბამისად უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შეუფერხებელი ფუნქციონირებით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** ჯანმრთელობის პროგრამებში ჩართული სამიზნე ჯგუფების შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფა, ინფორმაციის მუდმივი განახლება; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებლები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 0,05%

ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების განვითარება და მართვა (27 01 10)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ადამიანური კაპიტალის მიზნები N4.4 (სოციალური) ადამიანური კაპიტალის მიზნები N3.3.1 (დასაქმება)
აღწერა და მიზანი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემის ფუნქციონირებისთვის საჭირო საინფორმაციო სისტემების, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვა, ინტეგრირებული სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი საიმედო და ეფექტიანი მუშაობისა და განვითარების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სამინისტროს სისტემის ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფილია საინფორმაციო სისტემების, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინტეგრირებული სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურა; დაცული ელექტრონული სისტემები და სასერვერო სისტემა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - საინფორმაციო სისტემების პროგრამული უზრუნველყოფისა და მხარდაჭერის ამოცანების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამული უზრუნველყოფა-169; მხარდაჭერის ამოცანები-14 126; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდეს საბაზისო მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%

მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ხელშეწყობა და მართვა (27 01 11)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი
აღწერა და მიზანი	კატასტროფული სოციალური დანახარჯების რისკის წინაშე მდგარი პირებისთვის ალტერნატიული (არასაბიუჯეტო) რესურსების მობილიზება და პრიორიტეტული სოციალური საჭიროებებისთვის მიმართვა საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მონაწილეობით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ან კატასტროფული სოციალური დანახარჯების რისკის წინაშე მდგარი პირებისთვის ალტერნატიული (არასაბიუჯეტო) რესურსების მობილიზება და პრიორიტეტული სოციალური საჭიროებებისთვის მიმართვა საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მონაწილეობით; სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროექტების დაფინანსება, მათ შორის, ერთჯერადი დახმარებების. აგრეთვე, რეგულარული სოციალური შემწეობების/პროექტების დაგეგმვა და განხორციელება; ონკოლოგიური დაავადებების მქონე 22 წლამდე ასაკის ბენეფიციართა მხარდაჭერა სახელმწიფო და მუნიციპალური დაფინანსების ლიმიტის ფარგლების გარეთ მოხვედრილი თერაპიისა და დიაგნოსტიკის შემთხვევაში. აგრეთვე, ძვირად ღირებული დიაგნოსტიკური მომსახურება და მკურნალობა საზღვარგარეთ დადასტურებული სამედიცინო აუცილებლობის შემთხვევაში; ონკოლოგიური დაავადებების მქონე მოზრდილთათვის ძვირად ღირებული მედიკამენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ონკოლოგიური დაავადებების მქონე 22 წლამდე ასაკის ბენეფიციართა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 150; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მონაცემები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%

სამინისტროს სისტემაში შემავალი სამედიცინო და სხვა დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (27 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯანმრთელობის დაცვის ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის განახლება, სამედიცინო დაწესებულებებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა; სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა, რეაბილიტაცია, აღჭურვა და მათი ფუნქციონირების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ინფრასტრუქტურისა და აღჭურვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების მიერ ჯანდაცვის სერვისების შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველყოფა; რეაბილიტირებული და აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - რეაბილიტირებული და აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის სტაციონარების და პჯდ ცენტრების რეაბილიტაცია და აღჭურვა (ეტაპობრივად); „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ რეაბილიტაცია/აღჭურვა; ბედიანის მიუსაფართა დროებითი თავშესაფრის, ახალი კორპუსების სარემონტო, საპროექტო სამუშაოები დასრულებულია; „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ შენობის/შენობების მშენებლობის მიზნით არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შესყიდვა; საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში არსებული სიმულაციის ცენტრის სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების შესყიდვა და სასწრაფო დახმარების ავტოპარკი განახლებულია ნაწილობრივ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქ.თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს სრული რეკონსტრუქციისათვის სადემონტაჟო, საპროექტო, სამშენებლო სარემონტო სამუშაოების შესყიდვა; საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის სტაციონარების და პჯდ ცენტრების რეაბილიტაცია და აღჭურვა (ეტაპობრივად); ქ.რუსთავში მსჯავრდებულთა ფსიქიატრიული სერვისების მიმწოდებელი ახალი დაწესებულების სტანდარტების შესაბამისად დაპროექტება, რეკონსრუქცია, რემონტი და მოწყობა; შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ მართვაში არსებული ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულების სამედიცინო აპარატურით აღჭურვა და ნაგებობების

	რეაბილიტაცია; საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრების მშენებლობა/რეაბილიტაცია და სასწრაფო დახმარების ავტოპარკის ეტაპობრივი განახლება; „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ რეაბილიტაცია/აღჭურვის დასრულება; სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების სარემონტო სამუშაოების და აღჭურვილობის შესყიდვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - +-10%; **შესაძლო რისკები** - სახელმწიფო ტენდერების არ განხორციელება; მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა/არაჯეროვნად შესრულება/ვადების დარღვევით შესრულება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (30 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური
აღწერა და მიზანი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური განვითარების შენარჩუნება და განმტკიცება, ავადობისა და შრომისუუნარობის შემთხვევების შემცირება; სამედიცინო ქვედანაყოფების მაღალი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფა; საჭიროების შემთხვევაში, დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების გაწევისა და მათი ევაკუაციის ორგანიზება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სანიტარიულ-ჰიგიენურ და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა კონტროლი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ბენეფიციართა უზრუნველყოფა თანამედროვე და შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო საშუალებებით;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2023 წელს სამსახურის ბაზაზე (არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) მომართულ კონტიგენტთა 100% უზრუნველყოფილ იქნა სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებით, კერძოდ: ექიმ-სპეციალისტებთან განხორციელდა 59 314 ვიზიტი; სტომატოლოგიური მომსახურება 5 747 პაციენტს; განხორციელდა 13 355 სხვადასხვა ულტრაბგერითი კვლევა; ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 3 573 გამოკვლევა; ფიზიოთერაპიულ კაბინეტში

	განხორციელდა 22 411 პროცედურა; რენტგენოგრაფიულად გაშუქდა 11 794 პაციენტი; ჩატარდა 96 950 სხვადასხვა ლაბორატორიული კვლევა; საინექციო კაბინეტში განხორციელდა 1 186 პროცედურა; მასაჟის კაბინეტში ჩატარებულ იქნა 4 334 სამკურნალო პროცედურა; სამხედრო-საექიმო კომისია გაიარა 5 805 პირმა. სხვადასხვა კლინიკებში (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ) ამბულატორიული და სტაციონალური მკურნალობა გაეწია 1 324 პაციენტს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნებულია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - აღნიშნული მაჩვენებელი დამოკიდებულია მოსალოდნელ ავადობათა სიხშირესა და სახეობებზე ასევე სამინისტროს პოლიტიკის ცვლილება თანამშრომელთა მკურნალობასთან დაკავშირებით

სსიპ - საპენსიო სააგენტო (60 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საპენსიო სააგენტო
აღწერა და მიზანი	„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დაგროვებითი საპენსიო სქემის მართვა და ადმინისტრირება; დაგროვებითი საპენსიო სქემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა; საპენსიო აქტივების განკარგვა კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპების დაცვით, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეებისა და მათი მემკვიდრეების ინტერესების შესაბამისად; დაგროვებითი საპენსიო სქემის ანალიზი, რისკების შეფასება, ამ საქმის განვითარებასა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ხედვის ჩამოყალიბება და რეკომენდაციების მომზადება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დანერგილი დაგროვებითი საპენსიო სისტემის მოდელი, რომლის მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს 1546 ათას ადამიანს. დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით და თვითდასაქმებულ ჩართულთა ოდენობის ზრდა; შემუშავებული საინვესტიციო პოლიტიკა და რისკების კონტროლის პოლიტიკა, პროცედურები, მეთოდოლოგია და დოკუმენტაცია. საინვეტიციო საქმიანობის შედეგად აქტივების ღირებულების 100 პროცენტით ინვესტირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - რეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მონაწილეთა რაოდენობა შეფასებულია 1 570 ათასი ადამიანით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს 1546 ათასი ადამიანს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;

	შესაძლო რისკები - ეკონომიკის ზრდაზე ზეგავლენის მქონე საშინაო და საგარეო ფაქტორების გაუარესება, შედეგად დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება. ფორს-მაჟორული სიტუაციები

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი
30 01	საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება	1,056,860.0	1,056,860.0	0.0	1,136,855.0	1,176,855.0	1,256,855.0
29 01	თავდაცვის მართვა	657,470.0	657,470.0	0.0	716,710.0	776,190.0	838,280.0
29 08	ლოჯისტიკური უზრუნველყოფა	300,000.0	300,000.0	0.0	304,000.0	309,200.0	315,000.0
26 02	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება	295,000.0	295,000.0	0.0	302,000.0	312,700.0	315,200.0
29 07	თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება	250,000.0	250,000.0	0.0	253,130.0	273,400.0	295,270.0
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	174,000.0	174,000.0	0.0	180,000.0	184,000.0	187,200.0
29 05	ინფრასტრუქტურის განვითარება	160,000.0	160,000.0	0.0	160,000.0	160,000.0	160,000.0
30 02	სახელმწიფო საზღვრის დაცვა	144,300.0	144,300.0	0.0	144,300.0	144,300.0	144,300.0
30 06	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	127,640.0	125,540.0	2,100.0	127,645.0	127,645.0	127,645.0
29 02	პროფესიული სამხედრო განათლება	106,461.0	106,085.0	376.0	107,300.0	116,990.0	126,320.0
40 01	დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	96,650.0	96,650.0	0.0	98,400.0	100,400.0	103,000.0
21 00	საქართველოს პროკურატურა	68,000.0	68,000.0	0.0	71,000.0	74,000.0	77,000.0
29 03	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	76,465.0	58,815.0	17,650.0	81,020.0	84,400.0	89,500.0
29 06	სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება	61,398.0	52,030.0	9,368.0	59,780.0	59,140.0	63,250.0
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	48,400.0	48,400.0	0.0	47,000.0	48,700.0	49,000.0
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	48,030.0	48,030.0	0.0	50,000.0	52,000.0	54,000.0
34 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	24,000.0	24,000.0	0.0	26,000.0	27,000.0	28,000.0
24 10	ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება	20,000.0	20,000.0	0.0	20,000.0	20,000.0	20,000.0
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	24,300.0	19,500.0	4,800.0	24,500.0	25,500.0	26,500.0
29 04	მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები	15,600.0	15,600.0	0.0	16,000.0	17,300.0	18,690.0

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი
26 06	დანაშაულის პრევენცია, პრობაციის სისტემის განვითარება და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია	17,700.0	15,200.0	2,500.0	18,500.0	19,300.0	19,300.0
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება	227,956.0	10,200.0	217,756.0	227,956.0	227,956.0	227,956.0
54 00	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	5,100.0	5,100.0	0.0	5,300.0	5,400.0	5,400.0
40 03	სსიპ - სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს ხელშეწყობა	2,579.0	600.0	1,979.0	2,579.0	2,579.0	2,579.0
30 08	საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება	40,560.0	0.0	40,560.0	40,560.0	40,560.0	40,560.0
30 07	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა	195,056.0	0.0	195,056.0	195,056.0	195,056.0	195,056.0
ჯამი		**4,243,525.0**	**3,751,380.0**	**492,145.0**	**4,415,591.0**	**4,580,571.0**	**4,785,861.0**

საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (30 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები ხედვა 2030 (თავდაცვა და უსაფრთხოება)
აღწერა და მიზანი	პრევენციული და საგამოძიებო ფუნქციების გაძლიერება; ეფექტიანი და ანგარიშვალდებული სამართალდამცავი უწყების ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას, დანაშაულზე სწრაფ რეაგირებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, მართლწესრიგსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფაქტების გამოვლენას; ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე დროული რეაგირებისა და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის გაზრდა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ავტოპარკის მუდმივი განახლება, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, სამინისტროს სისტემის მოსამსახურეებისთვის სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ადამიანის უფლებათა დაცვის ამაღლებული ხარისხი; დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში გაუმჯობესებული ოპერატიული და საერთაშორისო თანამშრომლობა; გაუმჯობესებული საზოგადოებრივი წესრიგი და დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმები; საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ფუნქციონირების სრულყოფა; სამინისტროს განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ავტოპარკი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა, გაუმჯობესებული და დაცული შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური გარანტიები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** საზოგადოებრივი წესრიგის და დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმების ეფექტურობის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი -** მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი მოქმედებს შსს-ს 3 ტერიტორიულ ორგანოში; ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განვითარებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განახლებულია/შევსებულია

	- შეძენილია 20 კომპიუტერი; შს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ფუნქციების გაფართოებასთან ერთად გაზრდილია სერვერული ინფრასტრუქტურის საჭიროებები; ISO17025:2017-ის მიხედვით აკრედიტაცია გავლილი აქვს 15 ლაბორატორიას; ერთიანი ეროვნული დნმ-ის მონაცემთა ბაზისთვის შეძენილია შესაბამისი აღჭურვილობა, განხორციელებულია დნმ-ის ნიმუშის პროფილირების მეთოდის ვალიდაცია და დნმ-ის ნიმუშების შეგროვება და შემდგომი პროფილირება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 19 ქვეყანაში ჰყავს წარგზავნილი პოლიციის ატაშე, მათგან ორი პარალელურად ასრულებს მეკავშირე ოფიცრის ფუნქციას; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი მოქმედებს შსს-ს 5 ტერიტორიულ ორგანოში; ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განვითარებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განახლებულია/შევსებულია (100%); შს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის სერვერული ინფრასტრუქტურა შევსებულია (100 %); საექსპერტო ლაბორატორიები საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილია (აკრედიტირებულია 24 ლაბორატორია) და მიღწეული შედეგები შენარჩუნებულია; ერთიანი ეროვნული დნმ-ის მონაცემთა ბაზა შექმნილია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს CODIS-ის ბაზის პლატფორმაზე და თავდაპირველად განთავსებულია 100,000 დნმ პროფილი შემდეგი კატეგორიების მიხედვით:სისხლის სამართლის საქმეების მონაცემთა ბაზა; რისკ ჯგუფის პერსონალის მონაცემთა ბაზა;დაკარგულ პირთა მონაცემთა ბაზა დამატებით ერთ ქვეყანაში პოლიციის ატაშე წარგზავნილია, საერთაშორისო ურთიერთობები გაუმჯობესებულია და მიღწეული შედეგები შენარჩუნებულია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - ლიმიტირებული საკადრო რესურსი; შესყიდვების პროცედურებთან დაკავშირებული რისკები (მაგ. ტენდერში კომპანიების მონაწილეობის არ მიღება, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულება და სხვ.); კვალიფიციური პერსონალის გადინება; დნმ-ის ნიმუშების აღებისა და პროფილირების პროცესის შეფერხება; კვალიფიციური პერსონალის გადინება; საქართველოს პარლამენტის მიერ საკითხის რატიფიცირება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - საქართველოს შინგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებული სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციული საქმის წარმოების დროს ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხის და სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - სსიპ - შსს აკადემიაში და თბილისის, ქვემო ქართლის, კახეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და იმერეთის პოლიციის დეპარტამენტებში შექმნილია ბავშვის ინტერესზე მორგებული სივრცე; შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებულია 12 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი; 35 პარტნიორ სახელმწიფოსთან გაფორმებულია შეთანხმება/მემორანდუმი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის/პოლიციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ; ევროკავშირთან და 9 პარტნიორ სახელმწიფოსთან ხელმოწერილია შეთანხმებები უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ; ევროკავშირის წევრ 13 სახელმწიფოსთან გაფორმებულია რეადმისიის საიმპლემენტაციო ოქმები; ამასთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან გაფორმებულია მიგრაციისა და მობილობის შესახებ შეთანხმება; გაფორმებულია 15 შეთანხმება/მემორანდუმი საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ; 9 პარტნიორ სახელმწიფოსთან გაფორმებულია შეთანხმება სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ; 1 პარტნიორ სახელმწიფოსთან (ესპანეთის სამეფო) გაფორმებულია მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ შეთანხმება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შსს 10 დანაყოფში მოქმედებს ბავშვზე მორგებული გარემო/სივრცე; მოწმისა და დაზარალებულის

	მინიმუმ 23 კოორდინატორი არსებობს შსს-ს სტრუქტურაში; დამატებით 5 პარტნიორ სახელმწიფოსთან (ფინეთი, სერბეთი, ირლანდია, ისლანდია, სლოვენია,) გაფორმებულია შეთანხმება/მემორანდუმი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის/პოლიციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ; დამატებით 3 პარტნიორ სახელმწიფოსთან (აზერბაიჯანი, სომხეთი, სერბეთი) გაფორმებულია შეთანხმებები უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ; დამატებით ევროკავშირის წევრ 2 სახელმწიფოსთან (ლატვია, პოლონეთი) გაფორმებულია რეადმისიის საიმპლემენტაციო ოქმები; დამატებით 2 პარტნიორ სახელმწიფოსთან (რუმინეთი და ჩეხეთი) საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ გაფორმებულია შეთანხმებები; მოლაპარაკებები წარმოებულია სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გასაფორმებლად; დამატებით 2 პარტნიორ სახელმწიფოსთან (ლიეტუვა და იტალია) გაფორმებულია მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ შეთანხმებები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი კვალიფიკაციის/უნარების მქონე ადამიანური რესურსის ვერ მოძიება. მოლაპარაკების არასასურველი შედეგით დასრულება; შესაბამისი ვიზიტის გადადება/არ განხორციელება **3.** **ინდიკატორის დასახელება** - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორების სპეციალური საშუალებებით აღჭურვის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორები აღჭურვილნი არიან არასრულად განახლებული სპეციალური საშუალებებით. განახლებულია სპეც-აღჭურვილობის 50%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორები აღჭურვილნი არიან განახლებული სპეციალური საშუალებებით (აღჭურვილობის 23%); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - სპეც-აღჭურვილობის ბაზარზე არსებული არაპროგნოზირებადი გარემო მიზეზით მიწოდების შეფერხება **4.** **ინდიკატორის დასახელება** - სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ავტოპარკის და ინფრასტრუქტურის განახლების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - გასაახლებელია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 65%. სამინისტროს ბალანსზე ერიცხება 5 324 ავტოსატრანსპორტო საშუალება, საიდანაც გამოუსადეგარ მდგომარეობაშია 600 ავტოსატრანსპორტო საშუალება (საერთო რაოდენობის დაახლოებით 11%). სამინისტროს ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობების 30% აკმაყოფილებს სამუშაო პირობებს სრულად; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 20%-ით განახლებულია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; 8%-ით განახლებულია ავტოპარკი; 28%-ით რეაბილიტირებულია სამინისტროს ინფრასტრუქტურა, აშენებულია დამატებით 8 შენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - სიძველიდან გამომდინარე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუთვალისწინებელი ოდენობით მწყობრიდან გამოსვლა;სატრანსპორტო საშუალებების ღირებულების ზრდა; ასაშენებელი შენობებისთვის შესაბამისი მიწის ნაკვეთების მოძიება; კლიმატური პირობებიდან გამომდინარე არსებულ შენობებზე მიყენებული ზიანი **5.**

	ინდიკატორის დასახელება - პოლიციელების საცხოვრებლით უზრუნველყოფის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - სამინისტროს მოსამსახურეთათვის სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა არაერთი პროექტი. მათ შორის ბოლო წლებში, ექსპლუატაციაში შევიდა და თანამშრომლებს გადაეცათ თბილისსა და რუსთავში 166 საცხოვრებელი ბინა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აშენებულია 1100 ბინიანი „პოლიციის ქალაქი“; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი სამშენებლო კომპანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე მშენებლობის პროცესების გაჭიანურება

თავდაცვის მართვა (29 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	გენდერული თანასწორობა ხედვა 2030 (თავდაცვა და უსაფრთხოება)
აღწერა და მიზანი	საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება; პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ნატო, ევროკავშირი, ეუთო, გაერო, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალი და სხვა) ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ღონისძიებების განხორციელება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დიპლომატიური (სამოქალაქო და სამხედრო) წარმომადგენლების მხარდაჭერა და შეიარაღების კონტროლისა და ვერიფიკაციის ღონისძიებებში მონაწილეობა; დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის, უსაფრთხოების სექტორის მართვის ჟენევის ცენტრის (DCAF) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალებში თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, მათ შორის ქალთა გაზრდილი მონაწილეობისთვის პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა; თავდაცვის ძალების სამხედრო კონტიგენტის შენარჩუნება, გაძლიერება, მოსამსახურეთა მოტივაციის ამაღლება და მაღალი საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფა;

	სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების უზრუნველყოფა; ერთიანი თანამედროვე სტანდარტების სამხედრო აღრიცხვიანობის სისტემის ჩამოყალიბება/ოპტიმიზაცია და მართვა;წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზება; სამხედრო სამსახურისათვის პერსონალის მოზიდვა/რეკრუტირება; საზოგადოებასთან პროაქტიული კომუნიკაციის განხორციელებით სამხედრო სამსახურის პოპულარიზაციის გაზრდა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის კონცეპტუალური და ორგანიზაციული ბაზა შემუშავებული/განახლებულია. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ საზოგადოება ინფორმირებულია და ცნობიერება ამაღლებულია; ნატოსა და ევროკავშირთან, ასევე, ამ ორგანიზაციების წევრ ქვეყნებთან გაზრდილია ურთიერთთავსებადობა. საქართველოს პარტნიორ ქვეყნებთან, საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან (ნატო, ევროკავშირი, გაერო, ეუთო, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალი და სხვა ორგანიზაციები) ორმხრივი/მრავალმხრივი თანამშრომლობა გაღრმავებულია და საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერა გაზრდილია; პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატები შემუშავებული/განხორციელებულია; თავდაცვის სამინისტროს სისტემაში უზრუნველყოფილია ქალთა თანაბარი ჩართულობა, ასევე, განვითარებულია გენდერული თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული გარემო. სამხედრო სამსახურში გაწვევა უზრუნველყოფილია; რეკრუტირების პროცესის ეფექტურობა გაზრდილია; ერთიანი, თანამედროვე სტანდარტების სამხედრო აღრიცხვიანობის სისტემა ჩამოყალიბებულია; საზოგადოებასთან პროაქტიული კომუნიკაციის განხორციელებით სამხედრო სამსახურის პოპულარიზაცია გაზრდილია.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - უწყებრივი დონის კონცეპტუალური დოკუმენტები; **საბაზისო მაჩვენებელი** - შემუშავებულია: თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის სამოქმედო გეგმა 2024-2025; თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელო 2025-2028; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2026-2030“ დოკუმენტის შემუშავება; თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის სამოქმედო გეგმა; თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელო; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - კვალიფიციური პერსონალის გადინება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს: • 500-მდე მასალის მედია საშუალებით გაშუქება და ელექტრონულად განთავსება; • ჟურნალი

	„ქართული ჯარის“ გამოცემა (2 ნომერი); • საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეთა რეკრუტირებისა და ჯარის პოპულარიზაციის კამპანიის ფარგლებში, ბეჭდური მასალის გავრცელება, 32 ბილბორდის დამზადება; • ვიდეო-რგოლის გავრცელება ტელევიზიებსა და ციფრულ მონიტორებზე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შეხვედრის, ტრენინგისა და პროექტის საშუალებით 80 000-მდე მონაწილის ცნობიერების ამაღლება; სატელევიზიო სივრცისა და სოციალური მედიის საშუალებით 3 მლნ-მდე ადამიანისთვის ინფორმაციის მიწოდება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - სამიზნე აუდიტორიის დაბალი ინტერესი **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა ნატოს 26 წევრ და 8 არაწევრ პარტნიორ ქვეყანასთან; ნატოსთან თანამშრომლობა NGC ფორმატისა და შემდეგი მექანიზმების ფარგლებში (ANP, Enhanced SNGP, ITPP, MC+GEO Work Plan); ევროკავშირთან თანამშრომლობა ევროპული სამშვიდობო მექანიზმის (EPF) ფარგლებში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ორმხრივი/მრავალმხრივი ურთიერთობების პარტნიორ ქვეყნებთან შენარჩუნება/გაღრმავება; ნატოსთან აღებული ვალდებულებების შესრულება და თანამშრომლობის გაღრმავება გაწევრების ხელშეწყობის მიზნით; გაძლიერებული ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში მოქმედ ინიციატივებში გაწერილი მიზნებისა და ამოცანების განხორციელება; ევროკავშირთან არსებული თანამშრომლობის შენარჩუნება და გაღრმავება ევროპული სამშვიდობო (EPF) და სხვა მექანიზმების ფარგლებში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - გლობალური, რეგიონული და ლოკალური გამოწვევებიდან გამომდინარე, დაგეგმილი აქტივობების ნაკლებად ეფექტურად შესრულება **4.** **ინდიკატორის დასახელება** - გენდერული თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული გარემოს განვითარების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - გენდერული თანასწორობისა და გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“, შესახებ სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის გადამზადება; გენდერული მრჩევლების გადამზადება (არსებული გენდერული მრჩევლების სულ მცირე 5%); უსაფრთხოების სექტორის მართვის ჟენევის ცენტრთან (DCAF) და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობით გენდერული თანასწორობის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გენდერული თანასწორობისა და გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის შესახებ თანამშრომელთა სულ მცირე 10%-ის გადამზადება; ყოველწლიურად, არსებული გენდერული მრჩევლების სულ მცირე 5%-ის გადამზადება; გენდერული მონიტორინგის ჯგუფის შეხვედრის ჩატარება (სულ მცირე 1 შეხვედრა წლიურად); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - საერთაშორისო პარტნიორებისგან მხარდაჭერის შეფერხება; პრიორიტეტების ცვლილება; გადამზადებული პერსონალის გადინება; არასაკმარისი ადამიანური რესურსი; გარე ფაქტორები **5.** **ინდიკატორის დასახელება** - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების უზრუნველყოფის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევა; ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის

	შექმნა/ოპერირება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - კვალიფიციური პერსონალის დეფიციტი

ლოჯისტიკური უზრუნველყოფა (29 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (თავდაცვა და უსაფრთხოება)
აღწერა და მიზანი	სამხედრო ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის ასამაღლებლად სრული ლოჯისტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ლოჯისტიკური უზრუნველყოფის შესაძლებლობების შენარჩუნება/გაუმჯობესება; ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ჩასატარებელი სწავლებების, აგრეთვე წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურისა და რეზერვის ახალი სისტემის სრული ამოქმედებისათვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვედანაყოფების მობილურობა შენარჩუნებულია და ლოჯისტიკური შესაძლებლობები გაზრდილია; მიმდინარეობს თავდაცვის ძალების სრული სპექტრის ოპერაციების უწყვეტი და დროული მომარაგების პროცესი; ლოჯისტიკურად უზრუნველყოფილია ქვეყნის შიგნით/გარეთ ჩატარებული სწავლებები და შესაბამისად შენარჩუნებულია საბრძოლო მზადყოფნის დონე. წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახური და რეზერვის სისტემა უზრუნველყოფილია მატერიალური და ტექნიკური საშუალებებით და მზადაა ამოქმედებისთვის.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სწავლებების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს 4 უწყებრივი და უწყებათაშორისი სწავლების და 6 საერთაშორისო (ქვეყნის შიგნით და გარეთ) სწავლების ლოჯისტიკური უზრუნველყოფა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად 4 უწყებრივი და უწყებათაშორისი და 4 საერთაშორისო (ქვეყნის შიგნით და გარეთ) სწავლების ლოჯისტიკური უზრუნველყოფა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი ალბათობა; **შესაძლო რისკები** - გეგმით გათვალისწინებული სწავლებების გაუქმება/გადავადება

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (26 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სპეციალური პენიტენციური სამსახური
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები ხედვა 2030 (თავდაცვა და უსაფრთხოება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება
აღწერა და მიზანი	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოსაყალიბებლად, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და ღონისძიებების განხორციელება; პენიტენციური სისტემის ადმინისტრირების სრულყოფა; პენიტენციური სისტემის კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა; პენიტენციური სისტემის უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენისთვის აუცილებელი საშუალებებით უზრუნველყოფა; ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით სატრენინგო/საგანმანათლებლო და ფსიქოსოციალურ პროგრამებში, ტრენინგებსა და კურსებში, კულტურულ ღონისძიებებსა და დასაქმების პროგრამებში მსჯავრდებულთა ჩართულობის უზრუნველყოფა; პენიტენციური სისტემის აუცილებელი მედიკამენტებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ლაბორატორიული საგნებითა და რეაქტივებით უზრუნველყოფა; ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის სხვადასხვა პროფილის მოწვეული ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციების, სამოქალაქო სექტორის კლინიკებში სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების გაწევა და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში მომსახურების შეთავაზება; ანტიტუბერკულოზური მკურნალობის საჭიროების მქონე პირთა, აივ ინფექციის/შიდსის გამოვლენის მიზნით და C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სკრინინგი და შესაბამისი მკურნალობის კურსის ჩატარება, პაციენტების ჩართვა აივ ინფექციის/შიდსის ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამაში; დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

	პენიტენციური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით პატიმართა და ამ სისტემის თანამშრომელთა საჭიროებებზე მორგებული პენიტენციური ინფრასტრუქტურის შექმნა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - პენიტენციური სისტემის მართვა, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია; **საბაზისო მაჩვენებელი** - პენიტენციურ სისტემის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები გატარდა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი შემუშავებულია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - რიგი რეკომენდაციების გათვალისწინება სისტემას არ შეუძლია სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო. მათ შორის, რიგ შემთხვევებში, არარელევანტურობის, სხვა პრიორიტეტული მიმართულებებისა და საჭიროებებიდან გამომდინარე; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა რიცხოვნობის ზრდა 2. **ინდიკატორის დასახელება** - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; **საბაზისო მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა 100%-ის უზრუნველყოფა პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევითა და სამკურნალწამლო საშუალებებით, მათთვის სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება პენიტენციურ სისტემასა და მის გარეთ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად ბრალდებულები და მსჯავრდებულები 100%-ით უზრუნველყოფილნი არიან პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევითა და სამკურნალწამლო საშუალებებით, მათთვის სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიწოდებით პენიტენციურ სისტემასა და მის გარეთ 3. **ინდიკატორის დასახელება** - პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; **საბაზისო მაჩვენებელი** - ინფრასტრუქტურის განახლებითა და საჭირო მანქანა-დანადგარების შეძენით პენიტენციურ დაწესებულებებში გაუმჯობესებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის გაუმჯობესებულია ყოფითი და საცხოვრებელი პირობები

პენიტენციური სისტემის მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება (26 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სპეციალური პენიტენციური სამსახური
აღწერა და მიზანი	პენიტენციური სისტემის ადმინისტრირების სრულყოფა; პენიტენციური სისტემის უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენისთვის აუცილებელი საშუალებებით უზრუნველყოფა; პენიტენციური სისტემის კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა; ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით სატრენინგო/საგანმანათლებლო და ფსიქოსოციალურ პროგრამებში, ტრენინგებსა და კურსებში, კულტურულ ღონისძიებებსა და დასაქმების პროგრამებში მსჯავრდებულთა ჩართულობის უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სისტემის ეფექტიანი მართვა და ფუნქციონირების გაუმჯობესება; პენიტენციურ სისტემაში კვებითი მომსახურების შენარჩუნება; პენიტენციური სისტემის უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით აღჭურვა; ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** სისტემის ეფექტიანი მართვა და ფუნქციონირების გაუმჯობესება კვალიფიციური კადრებით; **საბაზისო მაჩვენებელი -** 800; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** გაზრდილია 25% -ით წინა წელთან შედარებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** 1. იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ ტრენინგების ჩატარების შეუძლებლობა **2.** **ინდიკატორის დასახელება -** პენიტენციურ სისტემაში კვებითი მომსახურების შენარჩუნება; **საბაზისო მაჩვენებელი -** 100%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 100% **3.** **ინდიკატორის დასახელება -** პენიტენციური სისტემის უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით აღჭურვა;

	საბაზისო მაჩვენებელი - ბრალდებულ/მსჯავრდებულთა, პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა (რომელთაც კანონით ეკუთვნით) უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფა შენარჩუნებულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100% **4.** **ინდიკატორის დასახელება** - ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებთანაც მიმდინარეობს შემთხვევის მართვის განახლებული მეთოდოლოგიით მუშაობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - პენიტენციურ სისტემაში სარეაბილიტაციო, სატრენინგო და საგანმანათლებლო სწავლების პროგრამებსა და შრომით საქმიანობაში პატიმართა ჩართვის უზრუნველყოფა ხდება შემთხვევის მართვის მეთოდოლოგიითა და გამოკითხვის შედეგების მიხედვით. შემთხვევის მართვის განახლებული მეთოდოლოგიით მუშაობა მიმდინარეობს 900 ბენეფიციართან; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - არანაკლებ 5%-ით გაზრდილია იმ ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებთანაც შემთხვევის მართვის განახლებული მეთოდოლოგიით მიმდინარეობს მუშაობა **5.** **ინდიკატორის დასახელება** - დაწესებულებების რაოდენობა, სადაც დანერგილია სპორტის მართვის სტრატეგია; **საბაზისო მაჩვენებელი** - სპორტის მართვის სტრატეგია დანერგილია 5 პენიტენციურ დაწესებულებაში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - არანაკლებ 1 დაწესებულებით გაზრდილია იმ პენიტენციური დაწესებულებების რაოდენობა, სადაც დანერგილია სპორტის მართვის სტრატეგია

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა (26 02 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სპეციალური პენიტენციური სამსახური
აღწერა და მიზანი	პენიტენციური სისტემის აუცილებელი მედიკამენტებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ლაბორატორიული საგნებითა და რეაქტივებით უზრუნველყოფა; ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის სხვადასხვა პროფილის მოწვეული ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციების, სამოქალაქო სექტორის კლინიკებში სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების გაწევა და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში მომსახურების შეთავაზება; ანტიტუბერკულოზური მკურნალობის საჭიროების მქონე პირთა, აივ ინფექციის/შიდსის გამოვლენის მიზნით და C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სკრინინგი და შესაბამისი მკურნალობის კურსის ჩატარება, პაციენტების ჩართვა აივ ინფექციის/შიდსის ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამაში;

	დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 100%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100%

პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (26 02 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სპეციალური პენიტენციური სამსახური
აღწერა და მიზანი	პენიტენციური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით პატიმართა და ამ სისტემის თანამშრომელთა საჭიროებებზე მორგებული პენიტენციური ინფრასტრუქტურის შექმნა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პატიმართა და თანამშრომელთა საჭიროებებზე მორგებული პენიტენციური ინფრასტრუქტურა შექმნილია.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; **საბაზისო მაჩვენებელი** - ინფრასტრუქტურის განახლებითა და საჭირო მანქანა-დანადგარების შეძენით პენიტენციურ დაწესებულებებში გაუმჯობესებულია ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობები; აშენებულია 1 ახალი დაწესებულება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მიმდინარეობს ერთი ახალი დაწესებულების მშენებლობა; არსებულ დაწესებულებებს ჩაუტარდება რემონტი-რეკონსტრუქცია და აღიჭურვება შესაბამისი მანქანა-დანადგარებით მათი საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - პატიმართა და თანამშრომელთა საჭიროებებზე მორგებული პენიტენციური ინფრასტრუქტურა;

	საბაზისო მაჩვენებელი - ინფრასტრუქტურის განახლებითა და საჭირო მანქანა-დანადგარების შეძენით პენიტენციურ დაწესებულებებში გაუმჯობესებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის ყოფითი და საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესებულია. 2025-2028 წლებში იფუნქციონირებს 1 ახალი მცირე ზომის დაწესებულება, დაწესებულება. არსებულ დაწესებულებებს ჩაუტარდება რემონტი-რეკონსტრუქცია და აღიჭურვება შესაბამისი მანქანა-დანადგარებით მათი საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით

თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება (29 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	ეროვნული თავდაცვის მიზნების და ამოცანების მისაღწევად, საქართველოს თავდაცვის ძალების ნატოსთან თავსებადი შესაძლებლობების განვითარება საბრძოლო ფუნქციების მიხედვით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ნატოსთან თავსებადი თავდაცვის ძალების გაუმჯობესებული/გაძლიერებული შესაძლებლობები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - შეძენილი სისტემებისა და საშუალებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - ნატოსთან თავსებადი და მოდერნიზებული სისტემების და საშუალებების რაოდენობრივი მაჩვენებელი გაუმჯობესებულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ნატოსთან თავსებადი და მოდერნიზებული სისტემების და საშუალებების რაოდენობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესება, გაცხადებული პრიორიტეტების მიხედვით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი ალბათობა; **შესაძლო რისკები** - ბაზარზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა; შესყიდვების პროცესის გაჭიანურება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - მოდერნიზებული სისტემებისა და საშუალებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - ნატოსთან თავსებადი და მოდერნიზებული სისტემების და საშუალებების რაოდენობრივი მაჩვენებელი გაუმჯობესებულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ნატოსთან თავსებადი და მოდერნიზებული სისტემების და საშუალებების რაოდენობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესება, გაცხადებული პრიორიტეტების მიხედვით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი ალბათობა; **შესაძლო რისკები** - ბაზარზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა; შესყიდვების პროცესის გაჭიანურება

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა (20 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
აღწერა და მიზანი	საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო პოტენციალის უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისგან დაცვა; სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილებისა და სახელმწიფო ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლის გამოვლენა და დაცვის უზრუნველყოფა; ტერორიზმთან ბრძოლა; სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველ ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ და საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლა; ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება; სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება და მისი კონტროლი.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დროულად გამოვლენილი და თავიდან აცილებული უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების სადაზვერვო და სხვა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა; სახელმწიფოსთვის მოსალოდნელი საფრთხეები პროგნოზირებულია და პრევენცირებულია.

ინფრასტრუქტურის განვითარება (29 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (თავდაცვა და უსაფრთხოება)
აღწერა და მიზანი	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და განვითარება, კერძოდ: სამხედრო ბაზებში შემავალი ყველა ფუნქციური ზონის რეაბილიტაცია და განვითარება; ახალი სამხედრო ობიექტების მშენებლობა; სპორტული დარბაზების მშენებლობა/კაპიტალური რემონტი; საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების რეაბილიტაცია; სამხედრო მოსამსახურეებისთვის საბინაო ფონდის შექმნა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	თავდაცვის ძალების განვითარებული ინფრასტრუქტურა. აღდგენილი და რეაბილიტირებული სამხედრო ქალაქების ფუნქციური ზონები. სათანადოდ მოწყობილი საინჟინრო კომუნიკაციები და ქსელები, გაუმჯობესებული პირობები სამხედრო მოსამსახურეებისთვის.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - თავდაცვის ძალების განხორციელბული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 17 ყაზარმა/სენდვიჩ-პანელი; 9 კვების ობიექტი; 26 სასაწყობო მეურნეობა/საცავი; 8 სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტი; 15 ავტოპარკი და საკონტროლო გამშვები პუნქტი; 11 სამუშაო სივრცე (შტაბი); 9 სასწავლო კლასი, სიმულაციური ცენტრი და საკონფერენციო სივრცე. 30 სხვადასხვა დამხმარე ნაგებობები და საინჟინრო კომუნიკაციები. დაწყებულია 3 ბაზის მშენებლობა/რემონტი - I ეტაპი საყაზარმე ფონდის მშენებლობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად დამტკიცებული ინფრასტრუქტურის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმის ცვლილება; სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ვადების დარღვევა

სახელმწიფო საზღვრის დაცვა (30 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (თავდაცვა და უსაფრთხოება)
აღწერა და მიზანი	საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცეში და საქართველოს იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ გემებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა; საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამაშველო ოპერაციების განხორციელება ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადასარჩენად; საქართველოს საზღვაო სივრცეში მისი სუვერენული უფლებების დაცვა; ზღვაოსნობისა და ნაოსნობის წესების დაცვის კონტროლი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულების, რეგიონული სამმართველოებისა და სასაზღვრო სექტორების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საზღვრის მართვის, კონტროლის, დაკვირვებისა და ინფორმაციის გაცვლის ტექნოლოგიების განვითარება, სასაზღვრო ინფრასტრუქტურის მოწყობა;

	სასაზღვრო პოლიციის საჰაერო და საზღვაო ფლოტის განახლება;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ინფორმაციული სისტემების განვითარება; აშენებული და რეაბილიტირებული სასაზღვრო ინფრასტრუქტურა; მოდერნიზებული და განახლებული სასაზღვრო პოლიციის საჰაერო ფლოტი; მოდერნიზებული და განახლებული სასაზღვრო პოლიციის საზღვაო ფლოტი.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - სასაზღვრო სექტორების ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართვის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართულია სახმელეთო დაცვის დეპარტამენტის 63 სასაზღვრო სექტორი (97%); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართულია ყველა 65 სასაზღვრო სექტორი (100%); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - მომწოდებელი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა, მაღალმთიან რეგიონებში ინტერნეტის პროვაიდერების მიერ მომსახურების მიწოდებაზე უარის თქმა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - სასაზღვრო სექტორების მშენებლობის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - სასაზღვრო პოლიციის რეგიონალური სამმართველოების სასაზღვრო სექტორების 82% აშენებულია (ასაშენებელია 12 სასაზღვრო სექტორი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აშენებულია სახმელეთო საზღვრის დაცვის 3 სასაზღვრო სექტორი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - რთული კლიმატური პირობების გამო მშენებლობის პროცესის შეფერხება. მშენებელი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მცურავი საშუალებების განახლების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - სანაპირო დაცვის დეპარტამენტს ერიცხება 36 მცურავი საშუალება, მწყობრშია 14 ერთეული (39%), ხანდაზმულობისა და დატვირთვის სიდიდის გამო ხშირად გამოდის მწყობრიდან; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შეძენილია 4 ერთეული ზომამცირე სწრაფმავალი zodiac–ის ტიპის კატარღა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - მომწოდებელი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა

	4. **ინდიკატორის დასახელება** - სასაზღვრო პოლიციის ავიაციის განახლების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტს ერიცხება 16 საფრენი აპარატი, მწყობრშია 7 ერთეული (43 %) უმეტესობა ხანდაზმულობისა და დატვირთვის სიდიდის გამო ხშირად გამოდის მწყობრიდან; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ერთ შვეულფრენს GBP-10002 ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - მომწოდებელი ან შემკეთებელი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობების დარღვევა

სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (30 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება ხედვა 2030 (თავდაცვა და უსაფრთხოება)
აღწერა და მიზანი	ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეზე საომარი მდგომარეობით, ბუნებრივი ან/და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტისგან/საგანგებო სიტუაციისგან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოს ან/და ქონების დასაცავად სათანადო რესურსებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით შესაბამისი კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა; სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. ურბანული საძიებო სამაშველო ჯგუფისათვის გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის - INSARAG-ის კლასიფიკაციის მინიჭება; სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების გაწევა; სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნასთან, მართვასთან, შენახვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საოპერაციო პროცედურების განხორციელება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეყანაში გაუმჯობესებული სამოქალაქო უსაფრთხოების დონე, გადამზადებული/ მომზადებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველები და მინიჭებული INSARAG-ის (გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის) კლასიფიკაცია; საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განვითარებული ტექნოლოგიები;

	განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი და რეაბილიტირებული სამსახურის ინფრასტრუქტურა, შენარჩუნებული ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დრო (საშუალო მაჩვენებელი); სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში განვითარებული სახელმწიფო სერვისები; შექმნილი სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მარაგები;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და მათზე რეაგირების ხარისხის გაუმჯობესება და მათი პრევენციის მიზნით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციისათვის სამსახური ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს სხვადასხვა სახის (სამთო, წყალქვეშა და სახანძრო-სამაშველო) ოპერაციებს. ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით, სამსახური ახორციელებს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტის ზედამხედველობას, რომელთა საერთო რაოდენობა აღემატება 16 000 ობიექტს. დღეის მდგომარეობით შექმნილია ურბანული საძიებო სამაშველო ჯგუფი (USAR), რომელსაც მენტორობას უწევს გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სამსახური (THW). სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის კოორდინაციის მიზნით სამსახური ახორციელებს აღნიშნული სისტემის სუბიექტების მიერ საგანგებო მართვის გეგმების მომზადების ხელშეწყობის მიზნით მათთვის სწავლებების/ კონსულტაციებისა და სხვადასხვა მზადყოფნის ღონისძიებების ორგანიზებას, უწყებათშორისი თანამშრომლობის კოორდიანციას. მეხანძრე-მაშველთა მომზადების სხვადასხვა პროგრამა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი დამტკიცებული/ დანერგილია; მომზადებული/გადამზადებულია სამსახურის 360 მოსამსახურე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ლიკვიდირებულია ყველა ინციდენტი/საგანგებო სიტუაცია. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებულია 16 000 აქტივობა (მათ შორის ობიექტების შემოწმება). გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფ „INSARAG“-ით აკრედიტირებულია ქართული ურბანული სამაშველო ჯგუფი. სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტებს შემუშავებული აქვთ საგანგებო მართვის გეგმები. სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტების თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია უწყებათშორისი თანამშრომლობის მექანიზმი. სამსახურის 1 440 მოსამსახურე მომზადებული/გადამზადებულია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - ინციდენტებისა და საგანგებო სიტუაციების მატება; არასაკმარისი ადამიანური/ტექნოლოგიური რესურსი; ქვეყანაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც ზრდის მომსახურების მიმღებთა რაოდენობას და საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელებიც მიმდინარეობის პროცესში აფერხებენ საგზაო მოძრაობას; საკანონმდებლო სამართლებრივ ცვლილებებთან დაკავშირებული შეფერხებები; კვალიფიციური პერსონალის გადინება **2.**

	ინდიკატორის დასახელება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდილი მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში საოპერაციო გარემოში პილოტირების რეჟიმში დანერგილია და რეკომენდაციების მიხედვით დახვეწილია ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების აღრიცხვისა და სახანძრო სამაშველო ძალების მართვის ერთიანი ცენტრალიზებული საინფორმაციო სისტემის (eFris) მოდულები; საოპერაციო გარემოში დანერგილია სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის პროცესების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, სამსახურის მიერ შემუშავებული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა (eFss). საოპერაციო გარემოში პილოტირების რეჟიმში, რეკომენდაციების მიხედვით შემუშავებულია სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების ელექტრონული სისტემა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საოპერაციო გარემოში სრულად დანერგილია ინციდენტების აღრიცხვისა და ოპერაციების მართვის ელექტრონული სისტემა (eFris) და მასში აღრიცხულია და სტატისტიკურად დამუშავებულია ქვეყნის მასშტაბით მომხდარი ინციდენტების, ასევე მათი შედეგებისა და რეაგირების შესახებ მონაცემები; სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა (eFss) საოპერაციო გარემოში სრულად დანერგილია და მისი ფუნქციონალი განვითარებულია; საოპერაციო გარემოში სრულად დანერგილია სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების ელექტრონული სისტემა და მისი ფუნქციონალი დახვეწილია/განვითარებულია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - სერვერული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - მეხანძრე-მაშველთა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სახანძრო-სამაშველო სპეციალური ავტოტრანსპორტის და ინფრასტრუქტურის განახლება/მოდერნიზაციის და ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - გასაახლებელია სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 60%; ჩასანაცვლებელია სახანძრო-სამაშველო დანიშნულების ავტომანქანების 33,8%, მცურავი საშულებების 47,5% და სამთო-სამაშველო სატრანსპორტო საშუალებების 37%. ასევე, არ არის საკმარისი სამთო-სამაშველო ავტოპარკის არსებული რაოდენობა; სახანძრო-სამაშველო ობიექტების 84,3% საჭიროებს რეაბილიტაციას; არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ავტოპარკის და ინფრასტრუქტურის ბაზაზე, ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დრო (საშუალო მაჩვენებელი) დედაქალაქში და დასახლებულ ტერიტორიებზე შეადგენს 10 წთ-ს, ხოლო რეგიონებში (რაიონები) - 20 წთ-ს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დამატებით 20%-მდე განახლებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; შეძენილია 4 სახანძრო-სამაშველო მანქანა; ჩანაცვლებულია/ განახლებულია სხვადასხვა ტიპის 10 ერთეული მცურავი/ სამთო-სამაშველო საშუალება; სახანძრო-სამაშველო ობიექტების დამატებით 4% რეაბილიტირებულია; ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დრო (საშუალო მაჩვენებელი) შენარჩუნებულია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მწყობრიდან გამოსვლა; გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაფინანსება; ინციდენტებისა და საგანგებო სიტუაციების მატება; არასაკმარისი ტექნოლოგიური რესურსი; ქვეყანაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც მომსახურების მიმღებთა რაოდენობას ზრდის და საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელებიც მიმდინარეობის პროცესში აფერხებენ საგზაო მოძრაობას

	4. **ინდიკატორის დასახელება** - სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში გაწეული მომსახურებების განვითარების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო ყოველდღიურ რეჟიმში შესაბამის მომსახურებას უწევს სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს; მომსახურების ელექტრონული ფორმით წარმოებაზე სრულად გადასვლისთვის მოსამზადებელი ღონისძიებები დაწყებულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სერვისის მიღების მიზნით მიღებული მომართვების 100%-ი დაკმაყოფილებულია დადგენილ ვადაში; მომსახურების ელექტრონული ფორმით წარმოების პროგრამა (პლატფორმა) შექმნილია; მიღებულ სამოქმედო გეგმაში, დამტკიცებულ სტანდარტულ სამოქმედო პროცედურებში (SOP) და ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის პროგრამაში გამოვლენილი ხარვეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებები განხორციელებულია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - არასაკმარისი ადამიანური რესურსი **5.** **ინდიკატორის დასახელება** - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნის და მართვის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების ხედვის პროექტი დამტკიცებულია და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელებულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაგეგმილია სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შევსებისათვის საჭირო ღონისძიებები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - სახელმწიფო რეზერვის მარაგების შესასყიდად განსაზღვრული, კონკრეტული დასახელების მატერიალური ფასეულობის ხელმიუწვდომლობა

პროფესიული სამხედრო განათლება (29 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი; სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია; სსიპ ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა; სსიპ თავდავცის მოხალისე
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (თავდაცვა და უსაფრთხოება)
აღწერა და მიზანი	მაღალკვალიფიციური პირადი შემადგენლობის ჩამოსაყალიბებლად, ეროვნული სასწავლო გეგმის და დამატებითი სამხედრო პროგრამის მიხედვით, კადეტთა ზოგადი განათლების და დაწყებითი სამხედრო მომზადების უზრუნველყოფა; კვალიფიციური და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე ოფიცერთა კორპუსის აღზრდა და მომზადება; კადრების პროფესიული გადამზადებისთვის სპეციალიზებული მოკლე და გრძელვადიანი კურსების, ტრენინგების, აგრეთვე გამოცდილების გასაზიარებლად შეხვედრებისა და კონფერენციების გამართვა;

	სამხედრო მოსამსახურეების წვრთნისა და განათლების სისტემის განვითარება; სამხედრო მოსამსახურეებისათვის და სამოქალაქო პირებისთვის ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ პროფესიული განვითარების სასწავლო კურსების ჩატარება; თავდაცვის სფეროში მოხალისეობრივ საქმიანობაში საქართველოს მოქალაქეთა ჩართვა და მათი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	კადეტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი განათლებით და სწავლას განაგრძობენ უმაღლეს სამხედრო და სამოქალაქო სასწავლო დაწესებულებებში; უზრუნველყოფილია სამხედრო განათლების და უმაღლესი აკადემიური ხარისხის მქონე კვალიფიციურ ოფიცერთა მომზადება, რომლებსაც ექნებათ სათანადო ცოდნა და უნარ-ჩვევები იმსახურონ საქართველოს თავდაცვის ძალებში; ჩატარებულია რეგიონული უსაფრთხოების თემაზე ფოკუსირებული ღონისძიებები და საერთაშორისო კურსები, ეროვნული, მრავალეროვნული და NATO-ს სწავლებები; გაუმჯობესებულია სამხედრო მოსამსახურეების მომზადების დონე სააღრიცხვო სპეციალიზაციის მიხედვით; გაზრდილია სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის კვალიფიკაცია; მოხალისეები გადამზადებულნი არიან სამხედრო საქმეში და უზრუნველყოფილია სამხედრო საქმის პოპულარიზაცია.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - ლიცეუმის საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაუმჯობესების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 1 მემორანდუმი და 2 გაცვლითი პროგრამა საზღვარგარეთის თანაბარპროფილიან სასწავლებელთან; ბიბლიოთეკის მშენებლობა და სრულად აღჭურვა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პარტნიორული ურთიერთობის დამყარება მინიმუმ 3 საზღვარგარეთის თანაბარპროფილიან სასწავლებელთან; კადეტების საერთო საცხოვრებლის მშენებლობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - მისაღები კონტიგენტის დაბალი აქტივობა; მომწოდებლის მხრიდან სახელშეკრულებო პირობების დარღვევა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - აკადემიის საგანმანათლებლო და სამეცნიერო შესაძლებლობების განვითარების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაცია/რეაკრედიტაცია - 4; სამეცნიერო ნაშრომთა კრებული - 3; სამეცნიერო კონფერენცია - 6; კვლევითი პროექტი - 4; დისტანციური სწავლება - 12 კურსი; საერთაშორისო თანამშრომლობა - 40 აქტივობა; 1 ურთიერთგაგების მემორანდუმი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია/რეაკრედიტაცია; სამეცნიერო საქმიანობის უზრუნველყოფა; დისტანციური სასწავლო კურსების შექმნა/განხორციელება; საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მინიმუმ 40 აქტივობის ჩატარება; აკადემიის ავტორიზაციის განახლება;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - დაბალი; **შესაძლო რისკები** - ავტორიზაციის/აკრედიტაციის გაუქმება; დისტანციური კურსების შექმნა/დანერგვისთვის საჭირო ქსელის, სერვერის და სასწავლო პლატფორმების გაუმართაობა; ინტერესის შემცირება **3.** **ინდიკატორის დასახელება** - გადამზადებული სამინისტროს თანამშრომლებისა და სხვა საჯარო მოხელეების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მინიმუმ 2000 (2024 წელი)ლ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - საერთაშორისო და ქვეყნის შიგნით პარტნიორების სათანადო მხარდაჭერის არარსებობა; შეთავაზებული კურსების მიმართ ინტერესის ნაკლებობა; გეგმით გათვალისწინებული პროგრამის ცვლილება **4.** **ინდიკატორის დასახელება** - ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრისა (JTEC) და საერთო საჯარისო ცენტრის მიერ ჩატარებული წვრთნების/პროგრამების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 205 პროგრამა და 3 წვრთნა/შეფასება (2024 წელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მინიმუმ 200 პროგრამა (ყოველწლიურად); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - NATO-ს მიერ CIS აღჭურვილობის შეძენის შეფერხება; GG-B-UDJ (Miles and IHITS) და GG-B-UDX (VBS4) კონტრაქტების მოწოდების ვადების ცვლილება; NATO-ს შესაბამისი სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა **5.** **ინდიკატორის დასახელება** - თავდაცვის ძალების მხარდამჭერი ფუნქციის მქონე მოხალისეთა მომზადება; **საბაზისო მაჩვენებელი** - 200 (2024 წელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1500 (2028 წელი) 200 (2025 წელი); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - სსიპ მოხალისეს ვერ დაკომპლექტება; მოქალაქეების დაბალი ინტერესი

დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა (40 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური
აღწერა და მიზანი	საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ხელისუფლების სხვა უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელ პირთა, საქართველოში ვიზიტით მყოფ უცხო ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირთა, აგრეთვე სამთავრობო რეზიდენციების დაცვა და მათი უსაფრთხოების დონის ამაღლება.

საქართველოს პროკურატურა (21 00)

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პროკურატურა
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები
აღწერა და მიზანი	ადამიანის უფლებების დაცვა გამოძიების მიმდინარეობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში; ამ სფეროში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევის მიზეზების დადგენა და საერთაშორისო და უფლებადამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება; ოჯახში ძალადობის, წამების, არასათანადო მოპყრობის, უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფაქტებზე ეფექტიანი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება; სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დახვეწა, პროკურორთა საჭიროებებზე მორგებული და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამების დახვეწა, პროკურორთა დატვირთვის ელექტრონული მოდულის მოდერნიზაცია; საქართველოს პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმების სრულყოფა; მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტის დახვეწა და მისი ხელმისაწვდომობის გაზრდა; პროკურატურის ცნობადობის ამაღლება და დანაშაულის პრევენციის (მათ შორის, „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის მეშვეობით) პროცესში მისი როლის გაზრდა; არასრულწლოვანებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების სრულყოფა, არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს შექმნა; საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის, საერთაშორისო სტანდარტების სამუშაო პრაქტიკაში დანერგვის, საკანონმდებლო სიახლეების პრაქტიკაში სწორად განხორციელებისა და დანაშაულთან ბრძოლის ხელშეწყობა პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფით; თანამიმდევრული, კოორდინირებული საქმიანობის ხელშეწყობისა და საერთო მიდგომების დანერგვის მიზნით პროკურატურისა და სხვა საგამოძიებო უწყებების/მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის ერთობლივი სასწავლო პროექტების განხორციელება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გამოძიებაზე ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის შესაძლებლობის ზრდა;

	დანაშაულის (მათ შორის არასრულწლოვანთა შორის) პრევენციაში აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა; კვალიფიციური, მაღალი პროფესიული სტანდარტების მქონე, კომპეტენტური კადრები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლების მიზნით, სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების/სახელმძღვანელო მითითებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წლის განმავლობაში იგეგმება მინიმუმ 4 რეკომენდაციის/სახელმძღვანელო მითითების შემუშავება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საორიენტაციოდ 2025 წლისთვის 5 რეკომენდაციის შემუშავება, ხოლო 2026-დან 2028 წლებში კიდევ 14 რეკომენდაციის გამოცემა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - საქმეების კომპლექსურობა და სამუშაოს მოცულობა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის ფარგლებში ჩატარებული პრევენციული ღონისძიებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში 2024 წელს საორიენტაციოდ 100 აქტივობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ცნობიერების ამაღლების მიზნით 2025 წლისთვის საორიენტაციოდ 100 აქტივობის განხორციელება ხოლო 2026-2028 წლებში საორიენტაციოდ 300 აქტივობის განხორციელება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - საზოგადოების დაინტერესების და ჩართულობის დონე ტრენერი-პროკურორების დატვირთულობა და დროის დეფიციტი საინფორმაციო კამპანიების მიმართ დონორი ორგანიზაციებისგან დაინტერესების და ხელშეწყობის ნაკლებობა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ჩატარებული სასწავლო აქტივობების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - სისტემის თანამშრომლების პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით 2024 წელს საორიენტაციოდ 150 აქტივობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სისტემის თანამშრომლების პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით, 2025 წელს საორიენტაციოდ 150 სასწავლო აქტივობის განხორციელება. ხოლო 2026-2028 წლებში საორიენტაციოდ 450 სასწავლო აქტივობის განხორციელება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - კვალიფიციური ტრენერ-ექსპერტების დატვირთვა და დროის დეფიციტი საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელი მომსახურების გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებული სირთულეები აქტივობების მიმართ დონორი ორგანიზაციებისგან დაინტერესების და ხელშეწყობის ნაკლებობა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (29 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი
აღწერა და მიზანი	საქართველოს თავდაცვის სისტემის მოსამსახურეებისთვის, მათი ოჯახის წევრებისთვის, სამხედრო პენსიონერებისთვის, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებისა და სამოქალაქო პირებისათვის სრული და ეფექტური სამედიცინო მომსახურების გაწევა; სამხედრო-საექიმო კომისიის ორგანიზება და ჩატარება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევის გაუმჯობესება და სოციალური მხარდაჭერის ხელშეწყობა; თავდაცვის ძალების სამედიცინო ქვედანაყოფების მოდერნიზება, პირადი შემადგენლობის კვალიფიკაციის ზრდის ხელშეწყობა; დაჭრილი/დაშავებული მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, მათი საპროთეზო-ორთოპედიული მომსახურების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებით, ხარისხიანი ამბულატორული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურებით; საქართველოს თავდაცვის ძალების მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებულია სოციალური მხარდაჭერის ეფექტიანი პროგრამა; გაუმჯობესებულია სადაზღვევო სერვისები სამხედრო მოსამსახურეების, სამოქალაქო პირებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის; ჩამოყალიბებულია მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი და თანამედროვე ტექნიკა-აპარატურითა და ინვენტარით აღჭურვილია თავდაცვის ძალების სამედიცინო ქვედანაყოფები; გაუმჯობესებულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებში; თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეების, მათ შორის დაჭრილი/დაშავებული მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა გაუმჯობესებულია.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სამხედრო ჰოსპიტალის მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების რაოდენობრივი მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელი: 68,000-მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სტაციონარული და ამბულატორული სამედიცინო მომსახურების მიმართვიანობის შესაბამისად

	უზრუნველყოფა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - სამედიცინო აღჭურვილობა/ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა; მაღალკვალიფიციური კადრების გადინება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - სამედიცინო ქვედანაყოფების მზადყოფნის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელი: • ხარჯვადი და არახარჯვადი სამედიცინო ქონებით მომარაგებული სამედიცინო ქვედანაყოფები; • ჩამოყალიბებული როლი 2 დონის ნაწილობრივ დაკომპლექტებული სამედიცინო ქვედანაყოფები I, II, III და IV ბრიგადებში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამედიცინო ქვედანაყოფების ხარჯვადი და არახარჯვადი სამედიცინო ქონებით მომარაგება; მაღალკვალიფიური სამედიცინო პერსონალის ჩამოყალიბება/შენარჩუნება; 2025 წელს II და IV ბრიგადებში როლი 2 დონის სამედიცინო ქვედანაყოფების სრული, ხოლო I და III ბრიგადების ნაწილობრივი დაკომპლექტება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - შესყიდვების პროცედურების გაჭიანურება; პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან გადაწყვეტილებების ცვლილება **3.** **ინდიკატორის დასახელება** - სოციალური მხარდაჭერის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - ფინანსური დახმარება - 1951 ბენეფიციარი (2023 წელი); დაჭრილ/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების რეაბილიტაცია/რეინტეგრაცია - მინიმუმ 200 ბენეფიციარი (2024 წელი); ფსიქოლოგიური მხარდაჭერა - მინიმუმ 2000 ბენეფიციარი (2024 წელი); სოციალური პროგრამები/პროექტები მინიმუმ 2500 ბენეფიციარი (2024 წელი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სოციალური მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება მოთხოვნის შესაბამისად; საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - სოციალური პროგრამების ცვლილება; მომართვიანობის დაბალი მაჩვენებელი; პარტნიორების მხრიდან გადაწყვეტილების ცვლილება და/ან შეთანხმების მიუღწევლობა; ადამიანური რესურსის/სპეციალისტების ნაკლებობა

სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება (29 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო–ტექნიკური ცენტრი ,,დელტა"; სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი; სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი; სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი; სსიპ - მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი; სსიპ - ინსტიტუტი ,,ოპტიკა”; სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა - ტექნიკის ინსტიტუტი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (თავდაცვა და უსაფრთხოება)
აღწერა და მიზანი	ვადაგასული, გამოუყენებელი საბრძოლო მასალის, იარაღის და სამხედრო ტექნიკის უტილიზაცია, დახარისხება, რეალიზება;

	საბრძოლო იარაღის, საბრძოლო მასალების, სამხედრო/ სამრეწველო დანიშნულების ტექნიკის და საჯავშნე მასალების შექმნა; სამხედრო სამრეწველო დანიშნულების სპეციალური ობიექტების დაპროექტება და მშენებლობის ორგანიზება; ჰუმანიტარული განაღმვითი საქმიანობების განხორციელება და კოორდინაცია; სეტყვასაწინააღდეგო სისტემების დამუშავება, მოდერნიზება, შექმნა, დანერგვა და მომსახურება; სამეცნიერო კვლევების ჩატარება სამთო ინჟინერიაში, გამოყენებით ფიზიკაში, ფიზიკურ ქიმიასა და ელექტრონიკის სფეროში, მანქანათმშენებლობასა და სატრანსპორტო საშუალებებში, გამოყენებითი ოპტიკის სფეროში, მეტალურგიასა და მასალათმცოდნეობაში, მიკრო და ნანო ელექტრონიკაში.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სსიპ - დელტას მიერ საერთაშორისო ორგანიზაცია ITF-თან თანამშრომლობის ფარგლებში ყოველწლიურად უტილიზებულია საშუალოდ 600 ტონამდე ჩამოწერილი და ვადაგასული საბრძოლო მასალა. განხორციელებულია სეტყვასაწინააღმდეგო სისტემის დანადგარების და საცეცხლე წერტილების დამატება და მონტაჟი. განხორციელებულია სამეცნიერო კვლევები სამთო ინჟინერიაში, გამოყენებით ფიზიკაში, ფიზიკურ ქიმიასა და ელექტრონიკის სფეროში, მანქანათმშენებლობასა და სატრანსპორტო საშუალებებში, გამოყენებითი ოპტიკის სფეროში, მეტალურგიასა და მასალათმცოდნეობაში, მიკრო და ნანო ელექტრონიკაში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სეტყვასაწინააღმდეგო სისტემის დანადგარების შეცვლა/აღდგენის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 6 ახალი საცეცხლე წერტილი; 6 სეტყვასაწინაღდეგო დანადგარი; 5000 ერთეული რაკეტა; 1 მეტეორადარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 30 ახალი საცეცხლე წერტილი, 30 სეტყვასაწინააღმდეგო დანადგარი, სეტყვასაწინააღდეგო რაკეტები; 1 მეტეორადარის მონტაჟი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - დანადგარების, არსებული მეტეო რადარის მწყობრიდან გამოსვლა 2. **ინდიკატორის დასახელება** - უტილიზებული საბრძოლო მასალების და განაღმვის ღონისძიებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს უტილიზებულია 500 ტონამდე ჩამოწერილი ვადაგასული საბრძოლო მასალა. საუტილიზაციო დანადგარების დისტანციურად მართვისთვის საჭირო ღონისძიებები დასრულებულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უტილიზებულია 2800 ტონამდე ჩამოწერილი ვადაგასული საბრძოლო მასალა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩამოწერილი და ვადაგასული საბრძოლო მასალის მოწოდების შეფერხება 3.

	ინდიკატორის დასახელება - სამეცნიერო საქმიანობის რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2024 წელს 165 სამეცნიერო საქმიანობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2028 წლისთვის: სამეცნიერო საქმიანობები -670; სამშენებლო-სარემონტო პროექტების რაოდენობა - 82; 2025 წლისთვის: სამეცნიერო საქმიანობები -173; სამშენებლო-სარემონტო პროექტების რაოდენობა - 18; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** დაბალი; **შესაძლო რისკები -** მაღალკვალიფიციური კადრების გადინება

ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა (20 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო
აღწერა და მიზანი	უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის საფუძველზე, სპეციალური ტექნოლოგიური საშუალებებით, ფარული მეთოდებით საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგისა და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვება, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება და ამ მიზნით ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია: სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან; კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოპოვებასთან; კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვებასთან; გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრასთან; საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის კონტროლთან; ფარულ ვიდეოჩაწერასთან ან/და აუდიოჩაწერასთან, ფარულ ფოტოგადაღებასთან; „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების და იმავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელება; სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა; სასაზღვრო ტექნოლოგიების განვითარება და სასაზღვრო გამტარი პუნქტების საინფორმაციო-ტექნოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების გზით სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება; კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკურ ღონისძიებების და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების გზით უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფებისა და ცალკეული პირების სადაზვერვო ან/და ტერორისტული ქმედებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (23 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური
აღწერა და მიზანი	საფინანსო და ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ქვეყანაში ჯანსაღი, კონკურენტული გარემოს ამაღლება, კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის დაცვა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება; დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; საქართველოსა და უცხო ქვეყნებში პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებსა და პროცედურებთან დაკავშირებით დაგროვილი გამოცდილების შესწავლა; ფინანსური დანაშაულის გამოძიების საერთაშორისო ქსელის პროექტებში მონაწილეობა; საქართველოს ეკონომიკურ საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება გადასახადების გადახდისთვის თავის არიდების ფაქტების აღსაკვეთად, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; თაღლითობის ფაქტების აღმოჩენის/გამოვლენის, აგრეთვე კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებთან დაკავშირებით ევროპული სამსახურების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებსა და სემინარებში სისტემატური მონაწილეობის უზრუნველყოფა; ინტელექტუალური საკუთრების უფლების ეკონომიკურ დანაშაულად მიჩნევისთვის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში თანამშრომლობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საფინანსო და ფისკალურ სფეროში დანაშაულის დონის შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა; ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტიანი გარემოს შექმნა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლა; **საბაზისო მაჩვენებელი** - გატარებული პრევენციული ღონისძიებები ეკონომიკურ დანაშაულებათა შესამცირებლად ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საფინანსო სფეროში დანაშაულის დაბალი მაჩვენებული; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი ალბათობა; **შესაძლო რისკები** - არაჯანსაღი საკანონმდებლო ბაზა და საკადრო რესურსების დეფიციტი

ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება (24 10)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება; კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობა; ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება; ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციითა და პილოტაჟით უზრუნველყოფა; ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფა; რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის ქვეყნის მასშტაბით მგზავრთა საჰაერო გადაყვანა; სახელმწიფოს მხრიდან საჯარო ინტერესის გათვალისწინებით (ისეთ მიმართულებებზე რომლებზეც მომსახურების გამწევს/სარკინიგზო ოპერატორს არ გააჩნია კომერციული ინტერესი) სარკინიგზო სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის მომსახურების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ამაღლებული ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების ხარისხი; საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, გაზრდილი ცნობადობა; სარკინიგზო ოპერატორი გათავისუფლდება საჯარო საზოგადოებრივი მომსახურების შესრულებისგან, რაც კანონმდებლობით წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას; სატრანსპორტო ბაზარზე გაზრდილი სარკინიგზო სამგზავრო გადაყვანების წილი.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - საქართველოში ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება;

	საბაზისო მაჩვენებელი - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები შესრულებულია; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საქართველოში ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლების თაობაზე დადებითი დასკვნის გამოტანა 2025-2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** -; **შესაძლო რისკები -** -

სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (37 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ვეტერანების სახელმწიფო სამსახური
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.2.2 (ჯანდაცვა)
აღწერა და მიზანი	ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ პირთა ოჯახების სათანადო ცხოვრების პირობებისა და კეთილდღეობისთვის მყარი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლის შექმნის უზრუნველყოფა; სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ვეტერანთა პოტენციალის სრულფასოვანი გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობა, მათი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობისთვის სათანადო, ღირსეული პირობების შექმნა; სამშობლოსთვის თავდადებულ გმირთა სახელების სადიდებლად და მათი საქმის უკვდავსაყოფად საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის განმტკიცებისთვის მუდმივი ზრუნვა; ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა; საზოგადოებაში მხედრული ტრადიციების განმტკიცება, სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ ვეტერანთა ღვაწლისა და დამსახურების სათანადო აღიარება, მომავალ თაობებში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის სამედიცინო მომსახურებისა და ერთჯერადი მატერიალური დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა სახელების სადიდებლად და მათი საქმის უკვდავსაყოფად, საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა მიმართ საზოგადოებაში ხსოვნის განმტკიცებისათვის მუდმივი ზრუნვა.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ჯანმრთელობის, განათლების, სოციალური დაცვის, სამართლებრივი და რეაბილიტაციის მიმართულებით განხორციელებული პროექტების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 4500; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 5500; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - არასაკმარისი დაფინანსება

მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები (29 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (თავდაცვა და უსაფრთხოება)
აღწერა და მიზანი	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებში სტაბილური, ეფექტური და უსაფრთხო ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემების შექმნა/განვითარება; პერსონალის შესაძლებლობების განვითარება; სამხედრო სწავლებებში კიბერუსაფრთხოების ელემენტების ინტეგრირება; ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება, ფორუმების, სემინარებისა და კონფერენციების გამართვა; კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების განვითარება საქართველოს თავდაცვის ძალების მართვისა და კონტროლის სისტემის მხარდასაჭერად; საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება; სერვისების უწყვეტობის უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების ხარისხის ამაღლება; რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემის (IRMS) ეტაპობრივი დანერგვის მხარდაჭერა; კავშირგაბმულობის სერვისების, ინტერნეტისა და საფოსტო-საკურიერო მომსახურების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ნებისმიერი კიბერთავდასხმის საზიანო შედეგები მინიმუმამდე შემცირებულია და თავდასხმის შემთხვევაში ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების სისტემების ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება სრულად აღდგენილია უმოკლეს დროში; პერსონალის კვალიფიკაცია ამაღლებულია, დამატებით მოზიდულია სამხედრო პერსონალი; თავდაცვის ძალებში სამხედრო სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე მართვისა და კონტროლის სისტემა დანერგილია; კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების რესურსი შენარჩუნებულია; მონაცემთა ელექტრონიზაციის გზით, აღრიცხვიანობისა და ანგარიშგებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება გაუმჯობესებულია; ქსელური ინფრასტრუქტურის ფიზიკური უსაფრთხოება და ქვედანაყოფების კავშირგაბმულობის საშუალებებით აღჭურვის პროცესი უზრუნველყოფილია.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - კიბერუსაფრთხოების მიმართულებით პერსონალის შესაძლებლობების განვითარების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - გადამზადებული პერსონალი - მინიმუმ 600 თანამშრომელი; კიბერსწავლებები - მინიმუმ 4; კიბერ/ინფორმაციული უსაფრთხოების სწავლებები - მინიმუმ 3; კიბერუსაფრთხოების გვარეობის კოდის შესაბამისად დარეკრუტირებული სამხედრო მოსამსახურეები - 5; კონფერენციები - 1; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან არასათანადო მხარდაჭერა; შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების ვერ მოძიება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - ტექნოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - დანერგილი ტექნიკური/პროგრამული უზრუნველყოფა/აპარატურა - მინიმუმ 1; მიღებული ქსელური და სასერვერო ინფრასტუქტურა, კიბერსავარჯიშოების სიმულაციური პლატფორმა; შექმნილი კიბერუსაფრთხოების ლაბორატორია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ტექნიკური/პროგრამული საჭიროებების გამოვლენა და საჭიროებებზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფის/აპარატურის დანერგვა; კიბერუსაფრთხოების ოპერაციების ცენტრის (CSOC) აშენება/ფუნქციონირება/განვითარება; კიბერუსაფრთხოების ლაბორატორიის ფუნქციონირება/ განვითარება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან არასათანადო მხარდაჭერა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - მართვისა და კონტროლის მხარდამჭერი კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების შენარჩუნების/აღდგენის/ განვითარების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კავშირგაბმულობის საშუალებებით აღჭურვილი ბრიგადები; აგებული სამეთაურო-საშტაბო მანქანები და ჯავშანტექნიკაში ჩანაცვლებული რადიოსადგურები; თავდაცვის ძალებში არსებული

	ხელის არატაქტიკური რადიოსადგურებისა და ინფორმაციული სისტემების შესყიდული აქსესუარები, მაკომპლექტებელი და სარემონტო ნაწილები; თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებამდე ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის მიყვანისთვის, განვითარებისა და შენარჩუნებისთვის განხორციელებული ღონისძიებები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სარდლობებისა და ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კავშირგაბმულობის საშუალებებით აღჭურვა; საავტომობილო და ჯავშანტექნიკის პლატფორმაზე კავშირგაბმულობის სპეციალური ტექნიკის აგება/მოდერნიზება; თავდაცვის ძალებში არსებული კომპიუტერული ტექნიკისა და ინფორმაციული სისტემების აქსესუარების, მაკომპლექტებელი და სარემონტო ნაწილების შესყიდვა; თავდაცვის ძალებში ბატალიონებისა და ცალკეული ასეულის დონეზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის მიყვანის დასრულება და შენარჩუნების ღონისძიებების უზრუნველყოფა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - შესყიდვების პროცედურების გაჭიანურება **4.** **ინდიკატორის დასახელება** - რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემის (IRMS) დანერგვის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამულად უზრუნველყოფილი მოდულები - 1; შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის რეპორტინგის ნაწილი - 1 მოდული; მოწყობილი საკომუნიკაციო ოთახები - მინიმუმ 7; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებში რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემის (IRMS) ქსელის აკრედიტაცია; არსებული სერვისების უწყვეტობის უზრუნველყოფა; მათ შორის, 2025 წელს IRMS-ის ეტაპობრივი დანერგვის ხელშეწყობა და მონაცემთა გაჟონვისა და პრევენციის სისტემის (DLP) განახლება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემის (IRMS) მოდულის დამკვეთის მიერ ცვლილების მოთხოვნით შესაბამისი მოდულის შემუშავების გადავადება; შესყიდვების პროცედურების გაჭიანურება

დანაშაულის პრევენცია, პრობაციის სისტემის განვითარება და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია (26 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (თავდაცვა და უსაფრთხოება)
აღწერა და მიზანი	ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის პრევენცია, მათ შორის, დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ხელშეწყობა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია, რთული ქცევისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ არასრულწლოვანებთან მუშაობა, დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების, სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება და მათში არასაპატიმრო სასჯელით მსჯავრდებულთა, განრიდებულ არასრულწლოვანთა, რთული ქცევისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი მოზარდების ჩართულობის უზრუნველყოფა; საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არასაპატიმრო სასჯელებისა და სამართლებრივი აქტების აღსრულების

	უზრუნველყოფა და ამ გზით საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის გარანტიების შექმნა, რომლებიც მოიცავს სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, იურიდიული პირისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას, გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნას, შინაპატიმრობას (მათ შორის, ელექტრონული მონიტორინგის საშუალებას), იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვას; საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არასაპატიმრო სასჯელებისა და სამართლებრივი აქტების აღსრულებასთან ერთად, დანაშაულის გამომწვევი რისკფაქტორების შემცირებისა და აღმოფხვრის მიზნით ბენეფიციარების ფსიქოსოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პირობით მსჯავრდებულებისა და ყოფილი პატიმრების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გადასაჭრელად ამ პირთა მხარდაჭერა და შესაბამისი სერვისების მისაღებად გადამისამართება; მათთვის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ტრენინგების/პროფესიული გადამზადების კურსების შეთავაზება და პოტენციურ დამსაქმებელთან რეკომენდაციების გაწევა; აღდგენითი მართლმსაჯულების, განრიდება-მედიაციის სფეროს ინსტიტუციური ჩარჩოს დახვეწა, აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების პრაქტიკაში დანერგვა, საგრანტო პროგრამების საშუალებით დეფიციტური სერვისების მიწოდება და მათი განვითარება; ფსიქოსოციალური, პროსოციალური და სარეაბილიტაციო მომსახურებების, პროფესიული გადამზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში არასაპატიმრო სასჯელებით მსჯავრდებული, პრობაციონერი, განრიდებული და რეფერირების ცენტრის ბენეფიციარების ჩართვა; პრობაციის ბიუროების ახალ ოფისებში პრობაციონერთა სარეგისტრაციო სივრცის, ინდივიდუალური გასაუბრების და ჯგუფური შეხვედრების ოთახების ფუნქციონირება და სხვა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ და რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა რეფერირება, შეფასება და მათთვის საჭირო სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა; სარეაბილიტაციო და რესოციალიზაციის პროგრამებში არასაპატიმრო სასჯელით მსჯავრდებული ბენეფიციარების ჩართულობის ზრდა; არასაპატიმრო სასჯელისა და პრობაციის ეფექტიანი აღსრულება;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში ჩართული 155 ბენეფიციარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად 155 ბენეფიციარი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 51 ბენეფიციარი;

	შესაძლო რისკები - არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში შემთხვევების გადმომისამართების სიმცირე/დაბალი მაჩვენებელი **2.** **ინდიკატორის დასახელება** - პირობით მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამების ბენეფიციართა და მათი ოჯახის წევრებისთვის მიწოდებული სერვისი/სერვისების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს პროგრამების 1500 ბენეფიციარისთვის და ბენეფიციარის ოჯახის წევრისთვის მიწოდებული სერვისი/სერვისები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ბენეფიციარისა და ბენეფიციარის ოჯახის წევრისათვის მიწოდებული მომსახურება: 2025 წელს –1650, 2026 წელს –1750; 2027 წელს –1850; 2028 წელს –1950; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 9%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების მხრიდან სარეაბილიტაციო პროგრამებით დაინტერესების დაბალი მაჩვენებელი, პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან მოწოდებული სერვისების სიმცირე **3.** **ინდიკატორის დასახელება** - განრიდების შემთხვევების რაოდენობა, როდესაც გამოყენებულია მედიაციის კომპონენტი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს განრიდების შემთხვევების (სადაც იყო დაზარალებული) 45%-ში გამოყენებული მედიაციის კომპონენტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2025 წელი – საერთო საქმეების 45%; 2026 წელი – საერთო საქმეების 45%; 2027 წელი – საერთო საქმეების 45%; 2028 წელი – საერთო საქმეების 45%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - დაზარალებულების მხრიდან უარი მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე

ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება (30 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
აღწერა და მიზანი	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მოძრავი ტვირთების დაცვა და გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა და ინკასირება, დადებული ხელშეკრულებებისა და სახელმწიფო შეკვეთების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან, დასაცავი ობიექტების დაცვის ხარისხის ამაღლება, ობიექტების ციფრული კავშირგაბმულობისა და თანამედროვე დაცვითი საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემებით აღჭურვა; ავტოპარკის მუდმივი განახლება; ინფრასტრუქტურის მუდმივი რეაბილიტაცია.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მეტად დახვეწილი და გამართული დაცვითი მომსახურება; თანამედროვე და მაღალი ხარისხის დაცვითი სისტემებით აღჭურვილი დასაცავი ობიექტები;

	თანამედროვე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილი ოპერატიული რეაგირების, დაცვა-გაცილების და ინკასაციის ჯგუფები, ასევე დასაცავი ობიექტები; თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად რეაბილიტირებული და აშენებული დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - დაცვის ობიექტების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - ხორციელდება 15 851 ობიექტის დაცვა. მ.შ. საპოლიციო ძალით დაცულია 592 ობიექტი, ტექნიკური საშუალებებით – 15 091 ობიექტი, შერეული დაცვა ხორციელდება 168 ობიექტზე, პირადი დაცვით უზრუნველყოფილია 264 ფიზიკური პირი. GPS-ით დაცული ავტომანქანების რაოდენობა შეადგენს 3 568 ერთეულს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელი გაზრდილია 20%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 8%; **შესაძლო რისკები** - მზარდი კონკურენციის გამო დასაცავი ობიექტების რაოდენობის შემცირება, დაბალი სახელფასო ანაზღაურების გამო კვალიფიციური კადრების გადინება 2. **ინდიკატორის დასახელება** - დასაცავი ობიექტების თანამედროვე და მაღალი ხარისხის დაცვითი სისტემებით აღჭურვის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - დღევანდელი მდგომარეობით AES და SIS სისტემური და პროგრამული მომსახურება უზრუნველყოფს საქართველოს მასშტაბით 15 000-მდე აბონენტის გამართულ მუშაობას; არსებული სიგნალების მიმღებ-გადამცემი გამაძლიერებელი სისტემა ჩასანაცვლებელია ციფრული სიგნალების მიმღებ-გადამცემი IP სისტემით; არსებული სიგნალების დამუშავება ხდება ცენტრალური დაკვირვების პუნქტებზე განლაგებულ სერვერებზე და სადისპეჩერო სადგურებზე რომლებიც ექსპლუატაციაშია 2018 წლიდან და ნაწილობრივ ამორტიზირებულია. დაცვითი-ტექნიკური საშუალებებით დაცვაში არსებული ობიექტები, რომელთა ტექნიკური საშუალებებით დაცვა ხორციელდება GSM გადამცემებით, არ არის ცენტრალიზებული, არ აქვს აღრიცხვის და მონიტორინგის სისტემა (ინფორმაციის მიღება ხდება მობილური ტელეფონით). დეპარტამენტსა და რეგიონებში ტექნიკურად მოძველებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები, ხარვეზით მუშაობს ობიექტებზე დამონტაჟებული გარე პერიმეტრის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები; თანამედროვე ციფრული რადიო კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფილია ქ. თბილისი და მისი შემოგარენი, აჭარის რეგიონი, ინკასაციის სამმართველო, მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველო და ოპერატიული რეაგირების ჯგუფები. ინკასაციის სამმართველოს პროგრამული უზრუნველყოფა რისი მეშვეობითაც ინკასაციის სამსახური ორგანიზაციებიდან ღებულობს და ანაწილებს დავალებებს ამ ეტაპზე ემსახურება 26 ორგანიზაციას; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - თბილისში, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში პროგრამული და ფიზიკური დაცვითი - საგანგაშო სიგნალების მიმღებ-გადამცემი სისტემა (AES) განახლებულია, დაფარვის ქსელი გაზრდილია და არსებული სიგნალების მიმღებ-გადამცემი გამაძლიერებელი სისტემა ჩანაცვლებულია

	ციფრული სიგნალების მიმღებ-გადამცემი IP სისტემით, სიგნალების მონიტორინგის სისტემის (SIS) პროგრამული უზრუნველყოფა განახლებულია, სიგნალების დამუშავების სერვერები და სადისპჩერო სადგურები განახლებული-ჩანაცვლებულია,აღნიშნულ რეგიონებში მდებარე ობიექტებში, რომელთა ტექნიკური საშუალებებით დაცვა ხორციელდება GSM გადამცემით და არ არის ცენტრალიზებული, GSM სისტემა ცენტრალიზებული და დანერგილია. დაცვითი-ტექნიკური საშუალებები განახლებული - ჩანაცვლებულია იმ დროისთვის არსებული სტანდარტების შესაბამისად. ციფრული რადიო საშუალებებით აღჭურვილია და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები განახლებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთი-გურიის, აჭარის, სამმართველოებში ინკასაციის სამმართველოს და მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველოს ახალი პროგრამული უზრუნველყოფა შექმნილია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - დაცვის ობიექტების რაოდენობის მკვეთრი ცვლილება, ახალი, მეტად თანამედროვე სპეცტექნიკის ბაზარზე გამოჩენა და დამკვეთისგან მისი მოთხოვნა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ოპერატიული რეაგირების, დაცვა-გაცილებისა და ინკასაციის ჯგუფების, ასევე დასაცავი ობიექტების თანამედროვე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - ვარგისია ექსპლუატაციისათვის ინკასაციის მანქანების 63%, ხოლო ოპერატიული რეაგირების ჯგუფის მანქანების - 97%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შეძენილია 30 ერთეული დაჯავშნილი ავტომანქანა, 40 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა და 20 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - დაცვის ობიექტების რაოდენობის ცვლილება, ავტომანქანების მწყობრიდან სრულად, გაუთვალისწინებლად გამოსვლა (ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად) **4.** **ინდიკატორის დასახელება** - შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ან/და მშენებლობის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - დეპარტამენტის ბალანსზე ირიცხება 55 შენობა-ნაგებობა, საიდანაც 26 შენობა აკმაყოფილებს სამუშაო პირობებისთვის საჭირო მოთხოვნებს, ხოლო დარჩენილი 29 შენობა სარემონტოა (მ.შ. 15 საჭიროებს კოსმეტიკურს, ხოლო 14 – კაპიტალურ რემონტს). დასაცავი ობიექტების გაზრდილი რაოდენობიდან გამომდინარე საჭიროა ახალი ჯიხურების შეძენა და არსებულის გარემონტება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გარემონტებულია ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული შენობა, ისანი-სამგორის დპ სამმართველო, ინკასაციის სამმართველოსა და მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობა; შეღებილია დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის ფასადი; ქ. თბილისში და დასავლეთ საქართველოში აშენებულია ინკასაციის სამმართველოს საცავი ე.წ. საკასო ცენტრი, დასაცავი ობიექტებისათვის შეძენილია 40 ცალი და გარემონტებულია 240 ცალი დაცვის ჯიხური; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - გაუთვალისწინებელი ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად დაუგეგმავი რემონტი, აღნიშნული პროექტების შეცვლა

სსიპ - სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს ხელშეწყობა (40 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტო
აღწერა და მიზანი	სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემით სახელმწიფო სტრუქტურების უზრუნველყოფა.

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა (30 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (თავდაცვა და უსაფრთხოება)
აღწერა და მიზანი	სააგენტოს მიერ შეთავაზებული სერვისების გაფართოების და გაუმჯობესების გზით სააგენტოს მიმართ ნდობის ხარისხის ამაღლება; სააგენტოს მიერ სწრაფი, მოქნილი და მეტად ხელმისაწვდომი (მომსახურების დისტანციური არხების განვითარება) მომსახურების უზრუნველყოფა, რაც მორგებული იქნება მოქალაქეების საჭიროებებზე.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაუმჯობესებული, მოქნილი და მეტად ხელმისაწვდომი მომსახურება; რეაბილიტირებული და აშენებული სააგენტოს ინფრასტრუქტურა; უზრუნველყოფილი სააგენტოს კიბერ უსაფრთხოების შესაბამისი დონე, გაუმჯობესებული, მოხერხებული და უფრო მეტად აღქმადი ინფორმაციული შემოსავლების პროგრამა; განახლებული საგამოცდო ავტოპარკი; განახლებული სააგენტოს რეგიონალური დანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სააგენტოს მიერ შეთავაზებული მომსახურების და ელექტრონული დისტანციური არხების გამოყენებით მიღებული მომსახურების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველდღიურ რეჟიმში სააგენტო შესაბამის მომსახურებას უწევს ასეულობით მოქალაქეს, რომელთაგანაც 100% უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის მომსახურებით; სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეობებიდან 35%-მდე არის შესაძლებელი ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - არსებული მაჩვენებელი შენარჩუნებულია; ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით მიღებული მომსახურების სახეობების მაჩვენებელი 50%-მდე გაზრდილია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - ინტერნეტქსელის მწყობრიდან გამოსვლა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - სააგენტოს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და მშენებლობის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - სააგენტოს ინფრასტრუქტურა გასაახლებელია, ქ. ახალციხეში და ქ. ოზურგეთში, მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ბალისტიკა ხორციელდება რკინის ყუთში კვლარის დანადგარში, რაც ხშირად აზიანებს ტყვიებს. მომსახურების სააგენტო განთავსებულია ქ. ბათუმში, მაგრამ ვინაიდან გაზრდილია მოქალაქეთა ნაკადი და საკმარისი არ არის არსებული შენობა რათა შეუფერხებლად მოხდეს სერვისის მიწოდება, მიზანშეწონილია ქ. გონიოში სააგენტოს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე აშენდეს ახალი შენობები და შესაბამისი საგამოცდო მოედნები. ქ. ამბროლაურში მომსახურების სააგენტო განთავსებულია ნაქირავებ პატარა ფართში, სადაც 2 კვირაში ერთხელ არასრულყოფილად ხდება მომსახურების გაწევა. ვინაიდან, საგრძნობლად გაზრდილია მოქალაქეთა მომართვიანობა მიზანშეწონილია აშენდეს ახალი შენობა და მოეწყოს საგამოცდო მოედანი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებულია ინფრასტრუქტურა; ქ. ახალციხეში და ქ. ოზურგეთში მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ბალისტიკისთვის აშენებულია შენობები და მოწყობილი ბასეინები. ქ. გონიოში აშენებულია ახალი შენობები და მოწყობილი საგამოცდო მოედნები. ქ. ამბროლაურში აშენებულია ახალი შენობა და მოწყობილი საგამოცდო მოედანი **3.** **ინდიკატორის დასახელება** - სააგენტოს კიბერ უსაფრთხოების შესაბამისი დონის უზრუნველყოფის და ინფორმაციული პროგრამის გაუმჯობესების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით სააგენტოში დანერგილია კიბერ უსაფრთხოების სხვადასხვა სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ: ინტერნეტიდან სააგენტოს კომპიუტერულ სისტემებზე შეტევისგან ან შემოღწევისაგან დაცვა/პრევენციას და დროულ რეაგირებისათვის I.T.-ის თანამშრომლების შეტყობინებას; სააგენტოს კომპიუტერულ სიტემებში მიმდინარე ქმედებების და მოვლენების ერთიან ინფორმაციულ საცავს, შემდგომში კიბერ უსაფრთხოების კუთხით ანალიზისთვის; მავნე პროგრამების გარედან შემოღწევის და სააგენტოს შიდა კომპიუტერულ სისტემაში გავრცელებისგან დაცვა/პრევენციას; ინფორმაციის გადინების კონტროლს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად; სააგენტოს თანამშრომლებისათვის ვებ გვერდებზე წვდომის შეზღუდვების განხორციელებას სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების და ორგანიზაციული პოლიტიკის შესაბამისად. სააგენტოს შემოსავლები ირიცხება დღის ჭრილში ჯამურად, რისი იდენტიფიცირება ინდივიდუალურ სერვისის სახეობამდე და გადამხედელებამდე მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამული ლიცენზიები, მწარმოებლის და ლოკალური მხარდაჭერა განახლებულია 100 %. შემუშავებული და დანერგილია სრულყოფილი პროგრამა, რომლის საშუალებითაც მარტივად მოხდება გადამხდელის და შესაბამისი გაწეული სერვისების, სახეობების მიხედვით იდენტიფიცირება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - მოწყობილობების ფიზიკური დაზიანება, არასაკმარისი წარმადობის ან ფუნქციონალის გამო ჩანაცვლების საჭიროება

	4. **ინდიკატორის დასახელება -** საგამოცდო ავტოპარკის განახლების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი -** დღეის მდგომარეობით საგამოცდო ავტოპარკი განახლებულია, მაგრამ ვინაიდან აღნიშნულ ავტომანქანებს მართავენ მართვის უფლების არმქონე მოქალაქეები და ავტოსატრანსპორტო საშუალებები განიცდიან არანორმირებულ ცვეთას, მიზანშეწონილია ავტოპარკის 100%-ით განახლება ყოველ 4-5 წელიწადში ერთხელ; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდისთვის საგამოცდო ავტოპარკი განახლებულია 100%-ით **5.** **ინდიკატორის დასახელება -** სააგენტოს რეგიონალური დანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი -** რეგიონებში სააგენტოს სარეგისტრაციო დარბაზებში და სასტუმრო ოთახებში განთავსებულია მოძველებული ავეჯი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** რეგიონებში სრულად შეცვლილია/განახლებულია ავეჯი

საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება (30 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი "112"
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები კლიმატის ცვლილება ხედვა 2030 (თავდაცვა და უსაფრთხოება)
აღწერა და მიზანი	ქვეყანაში გადაუდებელი დახმარების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით მაღალი დონის და მარტივად ხელმისაწვდომი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფა, რეაგირებაზე პასუხისმგებელი სუბიექტების სწორი და დროული ინფორმირება, გადაუდებელი დახმარების შეტყობინების მიღების და დამუშავების სისტემის გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით ფუნქციონირება, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა, ეროვნული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის განვითარება, საზოგადოებრივი და საგზაო უსაფრთხოების დონის ამაღლება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაუმჯობესებული არსებული და დანერგილი ახალი სერვისები; ეროვნული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა განვითარებული და ამაღლებული საგზაო უსაფრთხოების დონე. რეაბილიტირებული/აშენებული ინფრასტრუქტურა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** გაუმჯობესებული არსებული და დანერგილი ახალი სერვისები; **საბაზისო მაჩვენებელი -** საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-თან დაკავშირება შესაძლებელია სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით: ფიქსირებული და მობილური ტელეფონებით, მობილური აპლიკაციის, SMS და VIDEO ზარის

	სერვისის საშუალებით. 2023 წლის განმავლობაში 112-ის ოპერატორებმა უპასუხეს 3 883 727 ზარს. ბიზნეს პროცესის გაუმჯობესების მიზნით პროგრამულ უზრუნველყოფა „ERC“-ში ინტეგრირებულია ამერიკული პროგრამა ProQA-ს საპოლიციო, სახანძრო/სამაშველო და სამედიცინო დისციპლინების ქართული რეალობის შესატყვისი კითხვარები და პირველადი ინსტრუქციები; სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სასწავლო ცენტრი სერტიფიცირებულია საერთაშორისო ISO 21001:2018 და ოპერატიული მართვის სამმართველო ISO 9001:2015 სტანდარტების შესაბამისად; სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხი, მობილური აპლიკაცია განახლებულია. აპლიკაციიდან შეტყობინების მიღება შესაძლებელია ზარის განხორციელებით,“SOS” ღილაკის, “Chat”-ის ფუნქციითა და ვიდეოზარის საშუალებით, რომელიც მხოლოდ ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვისაა ხელმისაწვდომი. შეცვლილია აპლიკაციის დიზაინი; აპლიკაცია ხელმისაწვდომია ხუთ ენაზე: ქართულად, ინგლისურად, რუსულად, სომხურად და აზერბაიჯანულად დანერგილია სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე გადაყვანილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ადმინისტრირებისა და მათი სადგომიდან გაყვანის ეფექტიანი მექანიზმი. 112-ის ოფიციალურ ვებგვერდზე ამოქმედებულია პორტალი, რომელიც მოქალაქეს საშუალებას აძლევს, მიიღოს ინფორმაცია, თუ რომელ (საჯარიმო) სადგომზე იქნა გადაყვანილი მის მფლობელობაში არსებული ა/საშულება. სპეციალურად დაცულ სადგომზე (დიღომი/ვარკეთილი) მოქალაქეებისათვის მოწყობილია სერვისცენტრები; სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ ახორციელებს კერძო დაცვითი საქმიანობის კონტროლს; საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ ახორციელებს ლიცენზირებული ავტორიზებული, სანებართვო, სარეგისტრაციო დაწესებულებების გარე ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოქმედ კანომდებლობასთან შესაბამისობის დადგენას. გაზრდილია ობიექტების სპექტრი და ამოქმედებულია ლიცენზირებული დაწესებულებების სარეგისტრაციო პორტალი camera.mia.gov.ge; „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის შესაბამისად, დანერგილია ელექტრონული მონიტორინგის სისტემა, რომელიც შემაკავებელი ორდერის ვადით მიზნად ისახავს მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესებას; საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სასწავლო ცენტრს (განყოფილება) 3 წლის ვადით 2023 და 2022 წელს მინიჭებული აქვს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამები „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი“ და „დისტანციური ცენტრის ოპერატორის მომზადება“; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** განხორციელებულია სისტემური განახლება, ჩატარებულია ცნობიერების ამაღლების კამპანიები; გაუმჯობესებულია სამუშაო პროცესი და გაზრდილია ცენტრის მუშაობის ეფექტიანობა; მიმდინარეობს პროგრამულ უზრუნველყოფა „ERC-112“-ში ინტეგრირებული კითხვარების და პირველადი ინსტრუქციების დახვეწა/გაუმჯობესება; განხორციელებულია რესერტიფიცირების პროცესი. ჩატარებულია როგორც საინსპექციო/საზედამხედველო, აგრეთვე, შიდა და საჭიროების შემთხვევაში, არაგეგმიური შიდა აუდიტები; სამუშაო პროცესი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს; გაზრდილია აპლიკაციით მომართვიანობა. აპლიკაციის შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით ჩატარებულია სხვადასხვა აქტივობა; სპეციალურად დაცულ ავტოსადგომზე, სატრანსპორტო საშუალებათა გაზრდილი რაოდენობის განთავსების მიზნით მოწყობილია დამატებითი სივრცე; ეფექტიანად ხორციელდება (საჯარიმო) სადგომიდან მოქალაქეთა მიერ საკუთარი სატრანსპორტო საშუალების გაყვანა; გაუმჯობესებულია კერძო დაცვითი საქმიანობის კონტროლის მექანიზმი. განახლებულია მცველის მოწმობების დამზადება/აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა. განახლებულია „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შეტყობინების გაგზავნა/მიღების პროგრამული უზრუნველყოფა, პორტალი. გაზრდილია ობიექტების სპექტრი, ხორციელდება გარე ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის კონტროლის გაუმჯობესება და მოქმედ

	კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის ეფექტიანი აღსრულება; ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში არსებულ სერვისებთან დაკავშირებით საზოგადოებაში ცნობიერება ამაღლებულია; გაზრდილია მომართვიანობა, რის შედეგადაც პროპორციულად გაზრდილია ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების შემთხვევები; საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სასწავლო ცენტრმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან მოიპოვა უფლება, 3 წლის ვადით განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამები „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი“ და „დისტანციური ცენტრის ოპერატორის მომზადება“; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - ტექნიკური ხარვეზი პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილში; რესერტიფიცირებაზე უარის თქმა, გაცემული სერტიფიკატის გაუქმება; პროგრამული ხარვეზი; სამიზნე ჯგუფის მხრიდან ინტერესის ნაკლებობა; ა/საშუალების მესაკუთრის/კანონიერი მფლობელის ვერ მოძიება, ა/საშუალების მესაკუთრის/კანონიერი მფლობელისათვის ა/საშუალების გაყვანის ინტერესის არარსებობა; ინტერესის/ადამიანური რესურსის ნაკლებობა ტექნიკური ხარვეზი; ადამიანური და ტექნიკური რესურსის ნაკლებობა. ობიექტების მხრიდან პორტალზე რეგისტრაციისგან თავის არიდება, რაც გაართულებს შესამოწმებელი ობიექტის საკუთრებაში ან/და მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა შენობა-ნაგებობის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შემოწმებას; ტექნიკური ხარვეზი; შესაბამისი საბჭოს მიერ უფლების მოპოვებაზე უარის თქმა, 112-ის მიერ პროგრამის განხორციელებაზე უარის თქმა, პროფესიული მომზადების პროგრამაზე „დისტანციური ცენტრის ოპერატორის მომზადება“ დაინტერესებული მხარის მიერ ინტერესის ნაკლებობა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - ქვეყნის მასშტაბით უწყვეტი ვიდეომეთვალყურეობის სისტემის გაუმჯობესება; **საბაზისო მაჩვენებელი** - ქვეყნის მასშტაბით სულ დამონტაჟებულია 7 379 ვიდეოკამერა. ამოქმედებულია სიჩქარის კონტროლის სექციები, რის საფუძველზეც, ჯამურად კონტროლდება 1 987 კმ. სიგრძის საგზაო მონაკვეთი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქვეყნის მასშტაბით დამატებით დამონტაჟებულია 1 200 ვიდეოკამერა; ამოქმედებულია სიჩქარის კონტროლის სექციები დამატებით არანაკლებ 800 კმ საგზაო მონაკვეთზე; შესყიდულია ოპერირებისთვის საჭირო სერვერული ინფრასტრუქტურა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - პროგრამული ხარვეზი; ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შესყიდვის მიზნით, მუნიციპალიტეტების მხრიდან საბიუჯეტო სახსრების ვერ მოძიება; მსოფლიო ბაზარზე მიკროჩიპების წარმოების პრობლემა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ინფრასტრუქტურის მშენებლობა/ რეაბილიტაცია; **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით, მოქალაქეთა მისაღები ფუნქციონირებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ადმინისტრაციულ შენობაში. ვიდეო-აუდიო ჩანაწერების გამოთხოვისა და 112-თვის განცხადებით მომართვიანობის მაჩვენებლის ზრდის პირობებში, არ არის საკმარისი სივრცე, რაც 112-ს ერთდროულად მეტი განმცხადებლის მომსახურების საშუალებას მისცემს და ხელს შეუწყობს 112-ის თანამშრომლების ადმინისტრაციული ნაწილისათვის სამუშაო პირობების გაუმჯობესებას; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აშენებულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ახალი ადმინისტრაციული შენობა;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; **შესაძლო რისკები -** სამშენებლო სამუშაოების დასრულების დაგვიანება

რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი
25 02	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	1,652,600.0	1,652,600.0	0.0	1,600,000.0	1,600,000.0	1,600,000.0
25 04	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	747,700.0	747,700.0	0.0	800,000.0	900,000.0	900,000.0
25 03	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	256,930.0	213,800.0	43,130.0	250,000.0	250,000.0	250,000.0
25 07	ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	150,000.0	150,000.0	0.0	150,000.0	150,000.0	150,000.0
24 14	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	149,000.0	149,000.0	0.0	160,000.0	180,000.0	100,000.0
24 08	საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	91,650.0	86,550.0	5,100.0	90,000.0	90,000.0	80,000.0
25 05	მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა	79,500.0	79,500.0	0.0	60,000.0	60,000.0	60,000.0
24 15	მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება	53,700.0	53,700.0	0.0	53,700.0	53,700.0	53,700.0
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	47,700.0	45,700.0	2,000.0	51,000.0	56,300.0	61,600.0
24 19	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)	21,000.0	21,000.0	0.0	40,000.0	30,000.0	30,000.0
24 11	ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	12,000.0	12,000.0	0.0	12,000.0	12,000.0	14,000.0
25 01	რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	10,400.0	10,400.0	0.0	10,600.0	11,000.0	11,500.0
24 12	საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა - სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს კომპონენტი (ADB)	10,000.0	10,000.0	0.0	4,450.0	0.0	0.0
24 20	სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარება	12,700.0	9,500.0	3,200.0	11,150.0	12,600.0	14,400.0
24 21	კურორტების განვითარების ხელშეწყობა	6,000.0	6,000.0	0.0	6,200.0	6,700.0	7,000.0
24 17	ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარება	4,000.0	4,000.0	0.0	3,200.0	3,200.0	3,500.0
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	2,540.0	2,500.0	40.0	2,840.0	3,240.0	3,640.0
24 22	სარკინიგზო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება	2,200.0	1,500.0	700.0	1,500.0	1,500.0	2,300.0
24 28	სახმელეთო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება	26,107.0	0.0	26,107.0	26,200.0	26,300.0	26,400.0

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი
24 26	სამოქალაქო ავიაციის სფეროს რეგულირება და მართვა	8,145.0	0.0	8,145.0	8,500.0	9,000.0	9,500.0
24 29	შავ ზღვაში საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაზე (წყლებზე) უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფა	5,445.0	0.0	5,445.0	5,500.0	5,500.0	5,500.0
24 27	საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება	10,460.0	0.0	10,460.0	11,258.0	12,385.0	12,485.0
ჯამი		**3,359,777.0**	**3,255,450.0**	**104,327.0**	**3,358,098.0**	**3,473,425.0**	**3,395,525.0**

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (25 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება - ადაპტაცია გენდერული თანასწორობა ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება)
აღწერა და მიზანი	საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება; ჩქაროსნული ავტომაგისტრალებისა და საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მშენებლობა; საქართველოს საგზაო ქსელის საერთაშორისო საგზაო კომუნიკაციების სისტემაში ინტეგრირება; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და სახიდე გადასასვლელების, მუნიციპალიტეტებთან, საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან, მოსაზღვრე ქვეყნებთან მისასვლელი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება, რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია-მშენებლობა; საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში; სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისა და პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარება; ზღვის ნაპირების, მდინარეების კალაპოტებისა და ნაპირების გამაგრება; საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტით მგზავრთა უსაფრთხო, კომფორტული და შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფა; ავტომაგისტრალების მშენებლობის პროცესში თანამედროვე ტიპის ადაპტირებული სავაჭრო ობიექტების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალების, ეკონომიკურ გაძლიერებას; გენდერული საჭიროებების კვლევა და ყველა ბენეფიციარის ინტერესების გათვალისწინება დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფების (საბავშვო ბაღების აღსაზრდელები, სკოლის მოსწავლეები, ქალები, შშმ პირები) საჭიროებების გათვალისწინება, მათ შორის სამუშაოების დაგეგმვის, შეუფერხებელი გადაადგილების და შესრულების პროცესში.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში, განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. რეაბილიტირებული და მნიშვნელოვნად მოწესრიგებული მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებთან, თვითმმართველ ქალაქებთან, ისტორიულ ძეგლებთან და ტურისტულ ადგილებთან მისასვლელი საავტომობილო გზები და სახიდე გადასასვლელები. გაუმჯობესებული სახელმწიფოთაშორისი და რეგიონთაშორისი ავტოსაგზაო კავშირები. მგზავრთა გაუმჯობესებული უსაფრთხოება, კომფორტული და შეუფერხებელი გადაადგილება. ავტოტრანსპორტით შემცირებული მგზავრობის დრო და სატრანსპორტო დანახარჯები. საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის გაზრდილი კონკურენტუნარიანობა სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში და საავტომობილო გზების გაზრდილი გამტარუნარიანობა. ამაღლებული ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის/მშენებლობის/მოვლა-შენახვის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი -** ამორტიზირებული: საავტომობილო გზა - 102.9 კმ; ხიდი - 1. რეაბილიტირებული-რეკონსტრუირებული: საავტომობილო გზა - 2 492.8 კმ; სახიდე გადასასვლელი - 432 ერთეული. საავტომობილო გზების ცალკეულ მონაკვეთებზე პერიოდული შეკეთება: 1 516.3 კმ. შეკეთებული და შენახული საავტომობილო გზები ზამთრის პერიოდში - 6,000 კმ-მდე. რეკონსტრუირებული-აშენებული: საავტომობილო გზა - 39 კმ; სახიდე გადასასვლელი - 33 ერთეული. ობიექტების რაოდენობა, სადაც ჩატარდა სამუშაოები სტიქიური მოვლენების ლიკვიდაცია-პრევენციის მიზნით - 168 ობიექტი. ობიექტების რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ ნაპირსამაგრი სამუშაოები - 238 ობიექტი. განათებული აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო ავტომაგისტრალი (ზაჰესი-სოფ. აგარების მონაკვეთი, სოფ. აგარები-ჩუმათელეთის მონაკვეთი, ხევი-უბისას მონაკვეთი, უბისა-შორაპანის მონაკვეთი, ზესტაფონი-სამტრედიის მონაკვეთი, რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთი, ქობულეთის შემოვლითი საავტომობილო გზის კმ0-კმ32 მონაკვეთი, ლოჭინი-საგარეჯოს საავტომობილო გზის კმ0-კმ4 მონაკვეთი). 32 ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე და სხვადასხვა მოწყობილობებზე შენარჩუნებული გამართული მდგომარეობა. მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. მიმდინარე სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები. დასრულებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 6,000 კმ-მდე საავტომობილო გზის მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში. რეაბილიტირებული-რეკონსტრუირებული: საავტომობილო გზა - 1 302.9 კმ; სახიდე გადასასვლელი - 160 ერთეული. რეკონსტრუირებული-აშენებული: საავტომობილო გზა - 198.7 კმ; გვირაბი - 24; სახიდე გადასასვლელი - 59 ერთეული. სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებელი სამუშაოები 80-მდე ობიექტზე. სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები 120-მდე ობიექტზე. განათებული ავტომაგისტრალები და საავტომობილო გზები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** სახელმწიფო პრიორიტეტების ცვლილება. კადრების ცვლილება. სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები

საავტომობილო გზების პროგრამების მართვა (25 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	გენდერული თანასწორობა კლიმატის ცვლილება - ადაპტაცია ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება)
აღწერა და მიზანი	საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის ადმინისტრირება და მონიტორინგი.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში, განხორციელებული გენდერული ასპექტებით გათვალისწინებული სახელმწიფო პოლიტიკა და ქვეპროგრამები/ღონისძიებები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 27 ღონისძიების ადმინისტრირება და მონიტორინგი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შეუფერხებლად განხორციელებული 22 ღონისძიება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სახელმწიფო პრიორიტეტების ცვლილება. კადრების ცვლილება

საავტომობილო გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (25 02 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი; სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი (საფინანსო ნაწილში)
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება) კლიმატის ცვლილება - ადაპტაცია გენდერული თანასწორობა
აღწერა და მიზანი	საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და სახიდე გადასასვლელების პერიოდული შეკეთება, რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია-მშენებლობა, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით; საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში; ავტომაგისტრალებსა და საავტომობილო გზებზე არსებული გარე განათებისა და საინფორმაციო ბილბორდების

	ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, სახიდე გადასასვლელების მდგომარეობის შესწავლა; სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისა და პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარება; ზღვის ნაპირების, მდინარეების კალაპოტებისა და ნაპირების გამაგრება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეაბილიტირებული საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები და სახიდე გადასასვლელები, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. შენარჩუნებული საავტომობილო გზების არსებული საექსპლუატაციო პარამეტრები და უზრუნველყოფილი შეუფერხებელი მოძრაობა ზამთრის პერიოდში. ოპტიმალური ფუნქციონირება რიკოთის საუღელტეხილო გვირაბის და საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე არსებული გვირაბების. ელექტროენერგიით მომარაგებული თბილისი-სენაკი-ლესელიძის კმ16-კმ121, კმ121-კმ133, კმ149-კმ161, კმ161-კმ174 და კმ201-კმ257 მონაკვეთებზე, რიკოთის საუღელტეხილო საავტომობილო გზის მონაკვეთზე, ქობულეთის ახალი შემოვლითი საავტომობილო გზის კმ0-კმ32 მონაკვეთზე, ლოჭინი-საგარეჯოს საავტომობილო გზის კმ0-კმ4 მონაკვეთზე არსებული გარე განათები და საინფორმაციო ბილბორდები. გამოკვლეული-გამოცდილი სახიდე გადასასვლელები. სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების ფარგლებში, დროულად აღდგენილი საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების ცალკეული დაზიანებული მონაკვეთები. ჩატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად, გამაგრებული ზღვის ნაპირები, მდინარეების კალაპოტები და ნაპირები. გადარიცხული დაკავებული თანხები კონტრაქტორ ორგანიზაციებზე. საერთაშორისო საფოსტო გზავნილების, საერთაშორისო ტენდერების გამოცხადების მომსახურების შეუფერხებელი უზრუნველყოფა. შესწავლილი დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების სარგებლიანობა. უცხოური სახსრებით შეძენილი სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვადასხვა მოწყობილობების გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება და სხვადასხვა ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფა. მიმდინარე სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები. დასრულებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** საავტომობილო გზის რეაბილიტაცია/შეკეთების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - ამორტიზირებული 102.9 კმ საავტომობილო გზა. რეაბილიტირებული-რეკონსტრუირებული საავტომობილო გზა - 2 492.8 კმ. საავტომობილო გზების ცალკეულ მონაკვეთებზე პერიოდული შეკეთება: 1 516.3 კმ. შეკეთებული და შენახული საავტომობილო გზები ზამთრის პერიოდში - 6,000 კმ-მდე. განათებული აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო ავტომაგისტრალი (ზაჰესი-სოფ. აგარების მონაკვეთი, სოფ. აგარები-ჩუმათელეთის მონაკვეთი, ხევი-უბისას მონაკვეთი, უბისა-შორაპანის მონაკვეთი, ზესტაფონი-სამტრედიის მონაკვეთი, რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთი, ქობულეთის შემოვლითი საავტომობილო გზის კმ0-კმ32 მონაკვეთი, ლოჭინი-საგარეჯოს საავტომობილო გზის კმ0-კმ4 მონაკვეთი). 32 ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე და სხვადასხვა მოწყობილობებზე შენარჩუნებული გამართული მდგომარეობა. მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. მიმდინარე სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები. დასრულებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** რეაბილიტირებული-რეკონსტრუირებული საავტომობილო გზა - 402.9 კმ. 6,000 კმ-მდე საავტომობილო

	გზის მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში. განათებული ავტომაგისტრალები და საავტომობილო გზები. უცხოური სახსრებით შეძენილი სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვადასხვა მოწყობილობების გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება. მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. მიმდინარე სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები. დასრულებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები **2.** **ინდიკატორის დასახელება** - რეაბილიტირებული სახიდე გადასასვლელების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 432 ერთეული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 40 ერთეული. გამოკვლეული-გამოცდილი სახიდე გადასასვლელები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ობიექტების რაოდენობა, სადაც ჩატარდა სამუშაოები სტიქიური მოვლენების ლიკვიდაცია-პრევენციის მიზნით; **საბაზისო მაჩვენებელი** - 168 ობიექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 20-მდე ობიექტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები **4.** **ინდიკატორის დასახელება** - ობიექტების რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ ნაპირსამაგრი სამუშაოები; **საბაზისო მაჩვენებელი** - 238 ობიექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 30-მდე ობიექტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები

ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (25 02 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი; სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი (საფინანსო ნაწილში)
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება) გენდერული თანასწორობა კლიმატის ცვლილება - ადაპტაცია

აღწერა და მიზანი	ავტოტრანსპორტით მგზავრთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველსაყოფად ჩქაროსნული ავტომაგისტრალების, საავტომობილო გზების, სახიდე გადასასვლელებისა და გვირაბების რეკონსტრუქცია-მშენებლობა, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით; ავტომაგისტრალების მშენებლობის პროცესში თანამედროვე ტიპის ადაპტირებული სავაჭრო ობიექტების მოწყობა, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალების, ეკონომიკურ გაძლიერებას; გენდერული საჭიროებების კვლევა და ყველა ბენეფიციარის ინტერესების გათვალისწინება სათანადო სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფების (საბავშვო ბაღების აღსაზრდელები, სკოლის მოსწავლეები, ქალები, შშმ პირები) საჭიროებების გათვალისწინება, მათ შორის სამუშაოების დაგეგმვის, შეუფერხებელი გადაადგილების და შესრულების პროცესში.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ჩქაროსნულ ავტომაგისტრალებზე, საავტომობილო გზებზე, სახიდე გადასასვლელებზე და გვირაბებზე დაწყებული და მიმდინარე სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოები, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. რეკონსტრუირებული-აშენებული საავტომობილო გზები, სახიდე გადასასვლელები და გვირაბები. მიწების გამოსყიდვასთან დაკავშირებით, მიმდინარე პროცედურები. დასრულებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - რეკონსტრუირებული-აშენებული საავტომობილო გზის სიგრძე; **საბაზისო მაჩვენებელი** - 39 კმ საავტომობილო გზა. მიმდინარე სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოები და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი. მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები და ტექნიკურ-ეკონომიკური დოკუმენტები (Feasibility Study). მიწების გამოსყიდვასთან დაკავშირებით, მიმდინარე პროცედურები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 81 კმ საავტომობილო გზა. მიმდინარე სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოები, მიწების გამოსყიდვასთან დაკავშირებით, შესაბამისი პროცედურები და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები **2.** **ინდიკატორის დასახელება** - რეკონსტრუირებული-აშენებული სახიდე გადასასვლელების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 33 ერთეული. ამორტიზირებული 1 ხიდი. მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 8 ერთეული. მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები **3.**

	ინდიკატორის დასახელება - აშენებული გვირაბების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1 ერთეული; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები

წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (25 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება) გენდერული თანასწორობა კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია
აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტებში/სოფლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია/მოწყობა, წყალმომარაგებისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია/მშენებლობა; მუნიციპალიტეტების მოსახლეობის ეკოლოგიურად სუფთა, გაფილტრული, ზედაპირული გრუნტის წყლების მოხვედრისგან დაცული სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა; აბონენტთა გამრიცხველიანება, დანაკარგების შემცირება და გარემოსდაცვითი სტანდარტების უზრუნველყოფა; გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარება და გენდერულად მგრძნობიარე ინფრასტრუქტურის მოწყობა, წყალმომარაგების სისტემის, სუფთა წყლისა და სანიტარიული სერვისების გაუმჯობესება, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობის გაზრდა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად; გადაწყვეტილებების მიღება მოსახლეობასთან კონსულტაციებისა და მისი აქტიური ჩართულობის საფუძველზე, მათ შორის, ქალების, მამაკაცების, ასაკობრივი ჯგუფების, სოციალურად დაუცველი, ფინანსურად ნაკლები შესაძლებლობის მქონე პირებისა და სხვა მოწყვლადი კატეგორიის ინტერესების გათვალისწინებით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტებში მაცხოვრებელი მოსახლეობის მომარაგება სუფთა და გაფილტრული სასმელი წყლით (24 საათის განმავლობაში). გაუმჯობესებული წყალმომარაგების (გაუმჯობესებული სასმელი წყლის ხარისხი, მიწოდების გრაფიკი და სხვა) და წყალარინების სისტემები, სოციალური პირობები. შემცირებული მავნე ზემოქმედება გარემოზე. გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები და არაანაზღაურებად შრომაში ჩართული პირების, განსაკუთრებით კი ქალების მდგომარეობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - რეაბილიტირებული-აშენებული წყალმომარაგების სისტემების რაოდენობა;

	საბაზისო მაჩვენებელი - მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. დასრულებული სატენდერო პროცედურები და გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებები. დასრულებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი. დასრულებულ ობიექტებზე საბოლოო ანგარიშსწორება. წყალმომარაგების სისტემებზე დაწყებული და მიმდინარე სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული-მოწყობილი: წყალმომარაგების სისტემა - 41; წყალმომარაგების ქსელი - 4; წყალმომარაგების მაგისტრალური მილი - 4; სერვის-ცენტრის შენობა - 6. აშენებული: სათავე ნაგებობა - 4; გამწმენდი ნაგებობა - 3; სერვის-ცენტრის შენობა - 5. მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. დასრულებული სატენდერო პროცედურები და გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებები. დასრულებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი. დასრულებულ ობიექტებზე საბოლოო ანგარიშსწორება. წყალმომარაგების სისტემებზე დაწყებული და მიმდინარე სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები **2.** **ინდიკატორის დასახელება** - რეაბილიტირებული-აშენებული წყალარინების სისტემების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. დასრულებული სატენდერო პროცედურები და გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებები. დასრულებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი. დასრულებულ ობიექტებზე საბოლოო ანგარიშსწორება. წყალარინების სისტემებზე დაწყებული და მიმდინარე სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული-მოწყობილი: წყალარინების სისტემა - 5; წყალარინების ქსელი - 3; კოლექტორის ნაგებობა - 1. აშენებული: გამწმენდი ნაგებობა - 9. მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. დასრულებული სატენდერო პროცედურები და გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებები. დასრულებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი. დასრულებულ ობიექტებზე საბოლოო ანგარიშსწორება. წყალარინების სისტემებზე დაწყებული და მიმდინარე სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (25 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სახელმწიფო მმართველობა) გენდერული თანასწორობა კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება)

აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურების შესყიდვა; საჯარო სერვისების მიწოდების გაძლიერება ჩართულობისა და თანასწორობის ხელშესაწყობად; სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის (ადმინისტრაციული, სტრატეგიული, კულტურული, სპორტული და სხვა დანიშნულების) ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია; გენდერულად მგრძნობიარე და გენდერულად პასუხისმგებლიანი ინფრასტრუქტურის შექმნა; ინფრასტრუქტურულ პროექტებში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის, ქალთა და მამაკაცთა განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინება და შშმ პირების დამოუკიდებელი გადაადგილებისა და სოციალიზაციისთვის უნივერსალური ინფრასტრუქტურის შექმნა. ადგილობრივი მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება ახალი კომფორტული საბავშვო ბაღებით, წყალმომარაგებით, საავტომობილო გზებით, სპორტული და გასართობი ინფრასტრუქტურით, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის, ბავშვების, აღმზრდელ-პედაგოგების, სპორტსმენებისა და მწვრთნელების ყოფით და სამუშაო პირობებს, განსაკუთრებით დადებით ზეგავლენას კი მოახდენს ქალთა მდგომარეობაზე როგორც დროის, საქმიანობის, ისე გადაადგილების კუთხით; ქვეყანაში ურბანული სატრანსპორტო სისტემის მუშაობის სრულყოფა; ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება; საქართველოს რეგიონების ურბანული განახლების, განვითარებისა და ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერების ხელშეწყობა; დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება, დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების ანალიზი; სოციალური და გენდერული კონსულტაციების ჩატარების უზრუნველყოფა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობა და მათი შესაძლებლობების გაძლიერება გენდერული ბალანსის გაუმჯობესების მიზნით; ქალთა და მამაკაცთა თანაბარი დასაქმების შესაძლებლობების შექმნა; ქალებისა და მამაკაცების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა პროექტების განხორციელების ყველა ეტაპზე; ბენეფიციარი მამაკაცებისა და ქალების განსხვავებული მოთხოვნების/მოლოდინების განხილვა სოციალური ანგარიშვალდებულების მექანიზმების ფარგლებში.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტებში გაუმჯობესებული და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა. მოწყობილი გენდერულად მგრძნობიარე და პასუხისმგებლიანი ინფრასტრუქტურა. ამაღლებული საინვესტიციო მიმზიდველობა და გაზრდილი ტურისტული პოტენციალი. განახლებული რეგიონები. გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები, ურბანული, ტურისტული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის შექმნილი პირობები. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაცული კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - რეაბილიტირებული-აშენებული სახელმწიფო, საზოგადოებრივი და ტურისტული ობიექტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული 54.8 კმ საავტომობილო გზა. 1 ქალაქსა და 24 სოფელში რეაბილიტირებული-აშენებული წყალმომარაგების სისტემები, წყლის მაგისტრალური მილსადენი და 2 სათავე ნაგებობა. აშენებული: სპორტული კომპლექსი - 1; საციგურაო მოედანი - 2; ბიატლონის ტრასა - 1; ტრამპლინი - 3. მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. მიმდინარე სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები და სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურებები. დასრულებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აშენებული: საბავშვო ბაღი - 3; საფეხბურთო სტადიონი - 1; სათადარიგო სტადიონი - 1; სპორტული კომპლექსი - 2; ობიექტი - 7. რეაბილიტირებული-მოწყობილი: საავტომობილო გზა - 28.3 კმ; საფეხმავლო ბილიკები; ველობილიკები; დასასვენებელი პარკები-სკვერები; ობიექტი - 1. შეძენილი 3 ერთეული სპეცტექნიკა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები

ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (25 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია გენდერული თანასწორობა
აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტებში ცენტრალური უბნების ურბანული განახლება, ტურისტულად მიმზიდველი სივრცეების შექმნა-განვითარება და სხვადასხვა შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. დასრულებული სატენდერო პროცედურები. სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მიმდინარე სარეაბილიტაციო და ურბანული განახლების სამუშაოები.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტებში გაუმჯობესებული და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა. ამაღლებული საინვესტიციო მიმზიდველობა და გაზრდილი ტურისტული პოტენციალი. გაუმჯობესებული ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური გარემო.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. დასრულებული სატენდერო პროცედურები. მიმდინარე სარეაბილიტაციო და ურბანული განახლების სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. დასრულებული სატენდერო პროცედურები. მიმდინარე სარეაბილიტაციო და ურბანული განახლების სამუშაოები;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; **შესაძლო რისკები -** სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები

სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (24 14)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 1 - არა სიღარიბეს მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 11 - ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 7 - ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია ენერგოეფექტურობა
აღწერა და მიზანი	ქვეყანაში არსებული მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების, მათ შორის, მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ხაზების, მშენებლობა-რეაბილიტაცია; ენერგოსისტემის მოძველებული ქვესადგურების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და სხვადასხვა სიმძლავრის ახალი ქვესადგურების მშენებლობა; თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებისთვის შესაბამისი ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა; შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშნებლობისთვის გეოტექნიკური კვლევა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზრდილია სისტემის მდგრადობა და საექსპორტო პოტენციალი; გაზრდილია მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერგიის გამტარუნარიანობა; 500 კვ მაგისტრალი - ენგური/ზესტაფონი/ახალციხე (ეგხ „იმერეთი“ და ეგხ „ზეკარი“) და 500 კვ ძაბვის ხაზის „კავკასიონის” (საქართველო-რუსეთი) დარეზერვებულია; ხუდონი/ენგურის კვანძიდან სიმძლავრის გატანის უსაფრთხოება თურქეთსა და საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონისკენ (სომხეთისკენ) და რუსეთიდან და ენგურის კვანძიდან თურქეთისკენ ამაღლებულია; აფხაზეთის, სამეგრელოს, აჭარისა და გურიის ელექტრომომარაგების საიმედოობა ამაღლებულია;

	პერსპექტიული ჰესების სიმძლავრის უსაფრთხო ევაკუაცია: კახეთის რეგიონში პერსპექტიული ჰესების, მესტიის რეგიონის ჰესების, მდ. თერგის პერსპექტიული ჰესების, მდინარე ნენსკრას შენაკადების და ნენსკრაჰესის, ხუდონჰესის, ცხენისწყლის კასკადის ჰესების და ხელედულაჰესის, აჭარა-გურიის რეგიონის პერსპექტიული ჰესების, მდინარე რიონის ქვემო ზონის (ვარციხის კასკადის) ჰესების სიმძლავრეების ქსელში ინტეგრირება და ტრანზიტი მომხმარებლებისკენ.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** ქვეყანაში არსებული მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების, მათ შორის, მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ხაზების, მშენებლობა-რეაბილიტაცია; **საბაზისო მაჩვენებელი -** დასრულებული 500 კვ წყალტუბოს ქვესადგური, მიმდინარე მშენებლობები; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 500 კვ და 400 კვ ეგხ წყალტუბო -ახალციხე - თორთუმი - დასრულება-2026 წელი, ხაზის ტესტირება და ექსპლუატაციაში მიღება 2027 წელი; 500 კვ „ლაჯანური - წყალტუბო“ მშენებლობის დასრულება, ტესტირება და ექსპლუატაციაში მიღება -2026წ; 220 კვ „წყალტუბო - ნამახვანი - ტვიში - ლაჯანური" დასრულება- 2026 წ.; ახალი 110 კვ ეგხ „ოზურგეთი - ზოტიჰესი" და ახალი ქ/ს „ოზურგეთის“ მშენებლობის დასრულება - 2024 წელი, ტესტირება და ექსპლუატაციაში მიღება - 2025წ; 500 კვ ეგხ ჯვარი-წყალტუბო მშენებლობის დასრულება, ხაზის ტესტირება და ექსპლუატაციაში მიღება -2026 წელი; სტორი-თელავი მშენებლობის დასრულება -2025 წელი, ტესტირება და ექსპლუატაციაში მიღება -2026წ; ახალი ხაზები: 220 კვ ხელედულა-ლაჯანური-ონი- 2028 წელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-25% / განხორციელების ვადები; **შესაძლო რისკები -** გარემოს დაცვის თემები: ხე-ტყის ჭრის ნებართვები, განსახლების საკითხები: საკომპენსაციო თანხების განსაზღვრადა ანაზღაურება საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში

რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტი (24 14 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 11 - ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ენერგოეფექტურობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 1 - არა სიღარიბეს მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 7 - ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია
აღწერა და მიზანი	ქვეყანაში არსებული მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების, მათ შორის, მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ხაზების, მშენებლობა-რეაბილიტაცია;

	ენერგოსისტემის მოძველებული ქვესადგურების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და სხვადასხვა სიმძლავრის ახალი ქვესადგურების მშენებლობა; თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებისთვის შესაბამისი ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა; გურიის რეგიონის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირებისა და რეგიონის კვების საიმედოობის ამაღლების, კახეთის რეგიონის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირების, კახეთის და დუშეთის რეგიონების კვების საიმედოობის ამაღლების, ცხენისწყლის კასკადის ჰესებისა და ხელედულაჰესის სიმძლავრის გამოტანის და საიმედოობის ამაღლების, ონის მუნიციპალიტეტის ჰესების კასკადის და რაჭის რეგიონის ჰესების სიმძლავრის გამოტანისა და საიმედოობის ამაღლების მიზნით: 500-კილოვოლტიანი, ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო–ახალციხე“ მშენებლობა; პროექტის „ნამახვანი - წყალტუბო – ლაჯანური“ მშენებლობა; 500 -კილოვოლტიანი, ერთჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი – წყალტუბო“ მშენებლობა; 110 -კილოვოლტიანიელექტროგადამცემი ხაზის „ოზურგეთი - ზოტიჰესი " მშენებლობა; 110 - კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის „სტორი-თელავი“ მშენებლობა; ახალციხის მუდმივი დენის მესამე ჩანართის მშენებლობა;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	2025 წელს დაგეგმილია 500 კვ ერთჯაჭვა ეგხ-ის ლაჯანური - წყალტუბო, ასევე 220 კვ ერთჯაჭვა ეგხ-ის ქ/ს ლაჯანური -ლაჯანურის ჰესის სამშენებლო სამუშაოების დაწყება; 2025 წელს დაგეგმილია 500 კვ ეგხ „ჯვარი-წყალტუბოს" სამშენებლო სამუშაოები; 2025 წელს დაგეგმილია 110 კვ „ოზურგეთი-ზოტი" და 220 კვ პალიასტომების ტესტირება და ექსპლუატაციაში გაშვება; 2025 წლისთვის მოპოვებული იქნება სამშენებლო ნებართვა და დაიწყება სამშენებლო სამუშაოები 110 კვ „სტორი-თელავი“; 2025 წელს დაგეგმილია 220/110 კვ ლაჯანურის მშენებლობის დასრულება და ტესტირება; 2025 წელს დაგეგმილია პროექტირებაზე მუშაობა 220 კვ ორჯაჭვა „ხელედულა-ლაჯანური-ონი".

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** ახალი ქვესადგურები და ელექტროგადამცემი ხაზები; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2024 წელს დასრულდება და დაიტესტება 500 კვ ქვესადგური წყალტუბო, მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები

500 კვ ეგხ "წყალტუბო-ახალციხე-თორთუმი" (EU-NIF, KfW) (24 14 01 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
აღწერა და მიზანი	500-კილოვოლტიანი მაგისტრალის „ენგური – ზესტაფონი – ახალციხე“ (ელექტროგადამცემი ხაზი „იმერეთი“ და ელექტროგადამცემი ხაზი „ზეკარი“) რეზერვირება; სიმძლავრის ხუდონი – ენგურის კვანძიდან თურქეთისა და საქართველოს აღმოსავლეთი რეგიონისკენ (სომხეთისკენ) გატანის უსაფრთხოება; ჰესების სიმძლავრის რუსეთიდან და ენგურის კვანძიდან თურქეთისკენ გატანა: ნენსკრაჰესის, ენგურის და მისი შენაკადების ჰესების, ცხენისწყლის კასკადის, ნამახვანის კასკადის და ხელედულაჰესის სიმძლავრის ქსელში გამოტანა, მომხმარებლებისკენ ტრანზიტი (თბილისი – რუსთავის კვანძი) და ექსპორტი (სომხეთისა და თურქეთისკენ); საქართველოსა და თურქეთს შორის სიმძლავრის გაცვლის უნარისა და საიმედოობის გაზრდის ხელშეწყობა; ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე – ბორჩხა“ რეზერვირება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	2025 წლის ბოლოსთვის დაგეგმილია განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების დასრულება და სამშენებლო სამუშაოების დაწყება 500კვ ორჯაჭვა ეგხ-ის „წყალტუბო-ახალციხე" და 400 კვ ეგხ-ის „ახალციხე-თორთუმის"; 2025 წლის ბოლოსთვის დაგეგმილია გაფართოების სამუშაოების დასრულება 500კვ ქვესადგური „ახალციხის" (500 კვ-იანი და 400 კვ-იანი ხაზის) მისაერთებლად.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დასრულებული 500 კვ. ეგხ „წყალტუბო - ახალციხე - თორთუმი"-ს მშენებლობა, ჩატარებულია ტესტირება და მიღებულია ექსპლუატაციაში.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** 500 კვ. ეგხ „წყალტუბო - ახალციხე“ 400 კვ „ახალციხე- თორთუმი"-ს მშენებლობისთვის საჭირო

	პროცესები; 220/110/10 კვ წყალტუბოს ქვესადგურის გადამრთველის220 კვ-ით გაფართოებისთვის საჭირო პროცესები; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წლის პერიოდში დასრულდება გარემოსდაცვითი დოკუმენტების მომზადება და შესაბამისი ნებართვების მოპოვება, ასევე, დაიწყება განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2025წ. - განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელება და სამშენებლო სამუშაოების დაწყება; 2026წ. - განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელება და სამშენებლო სამუშაოების დასრულება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20-25% შესრულების ვადების ცდომილება; **შესაძლო რისკები** - გარემოს დაცვის თემები: ხე-ტყის ჭრის ნებართვები, განსახლების საკითხები: საკომპენსაციო თანხების განსაზღვრა და ანაზღაურება საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ახალი 500 კვ. ეგხ „წყალტუბო - ახალციხე“ 400 კვ „ახალციხე - თორთუმი"-ს დასრულებული მშენებლობა; 220/110/10 კვ წყალტუბოს ქვესადგურის გადამრთველის გაფართოება 220 კვ-ით; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წლის პერიოდში დასრულდება გარემოსდაცვითი დოკუმენტების მომზადება და შესაბამისი ნებართვების მოპოვება, ასევე, დაიწყება განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2025წ.- განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელება და სამშენებლო სამუშაოების დაწყება; 2026წ. - განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელება და სამშენებლო სამუშაოების დასრულება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20-25% შესრულების ვადების ცდომილება; **შესაძლო რისკები** - გარემოს დაცვის თემები: ხე-ტყის ჭრის ნებართვები, განსახლების საკითხები: საკომპენსაციო თანხების განსაზღვრა და ანაზღაურება საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში

ჩრდილოეთის რგოლი (EBRD), ნამახვანი - წყალტუბო - ლაჯანური (EBRD, EU-NIF, KfW) (24 14 01 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
აღწერა და მიზანი	ლაჯანურის სიმძლავრის გამოტანა და საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	2025 წელს დაგეგმილია 500 კვ ერთჯაჭვა ეგხ-ის ლაჯანური - წყალტუბო, ასევე 220 კვ ერთჯაჭვა ეგხ-ის ქ/ს ლაჯანური -ლაჯანურის ჰესი სამშენებლო სამუშაოების დაწყება
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ახალი ელექტროგადამცემი ხაზების: 500 კვ ერთჯაჭვა ლაჯანური - წყალტუბო, 220 კვ ორჯაჭვა წყალტუბო - ნამახვანი - ტვიში - ლაჯანური და 220 კვ ერთჯაჭვა ლაჯანური-ლაჯანურიჰესის დასრულებული მშენებლობა;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ახალი ელექტროგადამცემი ხაზის „ლაჯანური-წყალტუბოს” მშენებლობისთვის საჭირო პროცესები; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს დაგეგმილია 500 კვ ეგხ-ის ლაჯანური- წყალტუბო დეტალური დიზაინის დასრულება; ასევე,

	220 კვ ერთჯაჭვა ეგხ-ის ქ/ს ლაჯანური -ლაჯანურიჰესი დეტალური დიზაინის დასრულება; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2025წ. - სამშენებლო სამუშაოების დაწყება 500 კვ ეგხ-ზე ლაჯანური-წყალტუბო, ასევე, 220 კვ ერთჯაჭვა ეგხ-ზე ქ/ს ლაჯანური -ლაჯანურიჰესი. ; ქ/ს ლაჯანური -ლაჯანურიჰესი; 2026წ. - სამშენებლო სამუშაოების დაწყება 500 კვ ეგხ-ზე ლაჯანური-წყალტუბო, ასევე, 220 კვ ერთჯაჭვა ეგხ-ზე ქ/ს ლაჯანური -ლაჯანურიჰესი. ; ქ/ს ლაჯანური -ლაჯანურიჰესი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 25-35% შესრულების ვადების ცდომილება; **შესაძლო რისკები -** გარემოს დაცვის თემები: ხე-ტყის ჭრის ნებართვები, განსახლების საკითხები: საკომპენსაციო თანხების განსაზღვრა და ანაზღაურება საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** ახალი ელექტროგადამცემი ხაზის „ლაჯანური-წყალტუბოს” მშენებლობისთვის საჭირო პროცესები; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2024 წელს დაგეგმილია 500 კვ ეგხ-ის ლაჯანური- წყალტუბო დეტალური დიზაინის დასრულება; ასევე, 220 კვ ერთჯაჭვა ეგხ-ის ქ/ს ლაჯანური -ლაჯანურიჰესი დეტალური დიზაინის დასრულება; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2025წ. - სამშენებლო სამუშაოების დაწყება 500 კვ ეგხ-ზე ლაჯანური-წყალტუბო, ასევე, 220 კვ ერთჯაჭვა ეგხ-ზე ქ/ს ლაჯანური -ლაჯანურიჰესი. ; ქ/ს ლაჯანური -ლაჯანურიჰესი; 2026წ. - სამშენებლო სამუშაოების დაწყება 500 კვ ეგხ-ზე ლაჯანური-წყალტუბო, ასევე, 220 კვ ერთჯაჭვა ეგხ-ზე ქ/ს ლაჯანური -ლაჯანურიჰესი. ; ქ/ს ლაჯანური -ლაჯანურიჰესი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 25-35% შესრულების ვადების ცდომილება; **შესაძლო რისკები -** გარემოს დაცვის თემები: ხე-ტყის ჭრის ნებართვები, განსახლების საკითხები: საკომპენსაციო თანხების განსაზღვრა და ანაზღაურება საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში

500 კვ ეგხ ჯვარი-წყალტუბო (WB) (24 14 01 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
აღწერა და მიზანი	500-კილოვოლტიანი მაგისტრალის „ენგური – ზესტაფონი – ახალციხე“ (ელექტროგადამცემი ხაზი „იმერეთი“ და ელექტროგადამცემი ხაზი „ზეკარი“) რეზერვირება; სიმძლავრის ხუდონი – ენგურის კვანძიდან თურქეთისა და საქართველოს აღმოსავლეთი რეგიონისკენ (სომხეთისკენ) გატანის უსაფრთხოება; ჰესების სიმძლავრის რუსეთიდან და ენგურის კვანძიდან თურქეთისკენ გატანა: ნენსკრაჰესის, ენგურისა და მისი შენაკადების ჰესების, ცხენისწყლის კასკადის, ნამახვანის კასკადისა და ხელედულაჰესის სიმძლავრის ქსელში გამოტანა, მომხმარებლებისკენ ტრანზიტი (თბილისი – რუსთავის კვანძი) და ექსპორტი (სომხეთისა და თურქეთისკენ); საქართველოსა და თურქეთს შორის სიმძლავრის გაცვლის უნარისა და საიმედოობის გაზრდის ხელშეწყობა;

	ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე – ბორჩხა“ რეზერვირება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	2025 წელს დაგეგმილია 500 კვ ეგხ „ჯვარი-წყალტუბოს" სამშენებლო სამუშაოები;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	500კვ ერთჯაჭვა ეგხ-ის „ჯვარი-წყალტუბოს" დასრულებული მშენებლობა; ახალი 500 კვ ქ/ს „წყალტუბოს“ მშენებლობის დასრულება, ტესტირება და ექსპლუატაციაში მიღება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** ახალი ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი-წყალტუბოს” მშნებლობისთვის საჭირო პროცესები; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2024 წლის ბოლოსთვის დასრულდება 500 კვ ქვესადგური წყალტუბოს მშენებლობა, მოპოვებული იქნება 500 კვ ეგხ „ჯვარი-წყალტუბოს“ სამშენებლო ნებართვა და დაიწყება წინასამშენებლო სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2025წ. - 500კვ ერთჯაჭვა ეგხ "ჯვარი-წყალტუბო" სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობა; 2026წ. - 500კვ ერთჯაჭვა ეგხ "ჯვარი-წყალტუბო" სამშენებლო სამუშაოების დასრულება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15-25%შესრულების ვადების ცდომილება; **შესაძლო რისკები -** გარემოს დაცვის თემები: ეგხ-ის მეორე ნაწილის (მარტვილის შეცვლილი მარშრუტის) დამტკიცების შეფერხება; ხე-ტყის ჭრის ნებართვები, განსახლების საკითხები: საკომპენსაციო თანხების განსაზღვრა და ანაზღაურება საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** ახალი ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი-წყალტუბოს” მშნებლობისთვის საჭირო პროცესები; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2024 წლის ბოლოსთვის დასრულდება 500 კვ ქვესადგური წყალტუბოს მშენებლობა, მოპოვებული იქნება 500 კვ ეგხ „ჯვარი-წყალტუბოს“ სამშენებლო ნებართვა და დაიწყება წინასამშენებლო სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2025წ. - 500კვ ერთჯაჭვა ეგხ "ჯვარი-წყალტუბო" სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობა; 2026წ. - 500კვ ერთჯაჭვა ეგხ "ჯვარი-წყალტუბო" სამშენებლო სამუშაოების დასრულება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15-25%შესრულების ვადების ცდომილება; **შესაძლო რისკები -** გარემოს დაცვის თემები: ეგხ-ის მეორე ნაწილის (მარტვილის შეცვლილი მარშრუტის) დამტკიცების შეფერხება; ხე-ტყის ჭრის ნებართვები, განსახლების საკითხები: საკომპენსაციო თანხების განსაზღვრა და ანაზღაურება საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში

გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (EU-NIF, KfW) (24 14 01 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
აღწერა და მიზანი	გურიის რეგიონის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირება; გურიის რეგიონის კვების საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა; მდინარე რიონის ქვემო ზონის (ვარციხის კასკადის) ჰესების სიმძლავრის გამოტანის საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა; ბათუმის კვების საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა; ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე – ბორჩხა“ რეზერვირება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	110 კვ ეგხ „ოზურგეთი - ზოტიჰესი"-ს მშენებლობა, 220კვ ეგხ „პალიასტომის“ ორჯაჭვა ეგხ-ის შეჭრა ქს-ში „ოზურგეთი“ და დასრულების ფაზაში იქნება 220/110 ოზურგეთის მშენებლობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	110 კვ ელექტროგადმცემი ხაზის „ოზურგეთი - ზოტიჰესი" დასრულებული მშენებლობა; ახალი ქვესადგური „ოზურგეთის" დასრულებული მშენებლობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** ახალი ელექტროგადამცემი ხაზის „ოზურგეთი - ზოტიჰესი " მშენებლობისთვის საჭირო პროცესები; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2024 წლისთვის დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები 110 კვ ხაზზე „ოზურგეთი - ზოტიჰესი ", 220 კვ ხაზზე დასრულდა ანძების აღმართვის სამუშაოები. მიმდინარეობს სამშნეებლო სამუშაოები 220/110კვ ქვესადგური "ოზურგეთი"; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** დასრულებული ახალი ქ/ს "ოზურგეთი“; 110 კვ ეგხ "ოზურგეთი - ზოტიჰესი"-ის ტესტირება და ექსპლუატაციაში მიღება; 2025-2026წწ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15-25% შესრულების ვადების ცდომილება; **შესაძლო რისკები -** გარემოს დაცვის თემები: ხე-ტყის ჭრის ნებართვები, განსახლების საკითხები: საკომპენსაციო თანხების განსაზღვრა და ანაზღაურება საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში. აღნიშნული მიზეზების გამო პროექტის დასრულების ვადის გახანგრძლივება
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** ახალი ელექტროგადამცემი ხაზის „ოზურგეთი - ზოტიჰესი " მშენებლობისთვის საჭირო პროცესები; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2024 წლისთვის დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები 110 კვ ხაზზე „ოზურგეთი - ზოტიჰესი ", 220 კვ ხაზზე დასრულდა ანძების აღმართვის სამუშაოები. მიმდინარეობს სამშნეებლო სამუშაოები 220/110კვ ქვესადგური "ოზურგეთი"; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** დასრულებული ახალი ქ/ს "ოზურგეთი“; 110 კვ ეგხ "ოზურგეთი - ზოტიჰესი"-ის ტესტირება და

	ექსპლუატაციაში მიღება; 2025-2026წწ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15-25% შესრულების ვადების ცდომილება; **შესაძლო რისკები** - გარემოს დაცვის თემები: ხე-ტყის ჭრის ნებართვები, განსახლების საკითხები: საკომპენსაციო თანხების განსაზღვრა და ანაზღაურება საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში. აღნიშნული მიზეზების გამო პროექტის დასრულების ვადის გახანგრძლივება

კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (24 14 01 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
აღწერა და მიზანი	220-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი „ჟინვალი-თელავი-გურჯაანი“; ქვესადგურების მშენებლობა-რეაბილიტაცია: „220/110 გურჯაანის“ რეაბილიტაცია, „220/110 თელავის“ მშენებლობა, „220/110 ჟინვალის“ მშენებლობა; კახეთის რეგიონის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირება; კახეთის რეგიონისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის კვების საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	2025 წლისთვის მოპოვებული იქნება საშემებლო ნებართვა და დაიწყება სამშენებლო სამუშაოები 110 კვ „სტორი-თელავი“;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რაბილიტირებული ელექტროგადამცემი ქსელი და შესაბამისი ინფრასტრქეტურა; ელექტროსისტემის ქსელში ინტეგრირებული კახეთის რეგიონის პერსპექტიული ჰესები; კახეთის და დუშეთის რეგიონის გაუმჯობესებული ელეტქრომომარაგება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - კახეთის რეგიონის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირებისთვის საჭირო მშენებლობის პროცესი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს მომზადებულია დეტალური დიზაინი და დაწყებულია ნებართვების მოპოვების პროცესი 110 კვ „სტორი-თელავი“; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამშენებლო სამუშაოები სამშენებლო სამუშაოები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15-25% შესრულების ვადების ცდომილება; **შესაძლო რისკები** - გარემოს დაცვის თემები: ხე-ტყის ჭრის ნებართვები, განსახლების საკითხები: საკომპენსაციო თანხების განსაზღვრა და ანაზღაურება საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** კახეთის რეგიონის გაუმჯობესებული ელექტრომომარაგება; **საბაზისო მაჩვენებელი -** მომზადებულია დეტალური დიზაინი და დაწყებულია ნებართვების მოპოვების პროცესი 110 კვ „სტორი-თელავი“; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სამშენებლო სამუშაოები სამშენებლო სამუშაოები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15-25% შესრულების ვადების ცდომილება; **შესაძლო რისკები -** გარემოს დაცვის თემები: ხე-ტყის ჭრის ნებართვები, განსახლების საკითხები: საკომპენსაციო თანხების განსაზღვრა და ანაზღაურება საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში

ხელედულა-ლაჯანური-ონი (KfW) (24 14 01 06)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
აღწერა და მიზანი	220/110-კილოვოლტიანი ქვესადგური – ლაჯანური; 220-კილოვოლტიანი, ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზი „ხელედულა-ლაჯანური-ონი“; „ხელედულა-ლაჯანური-ონი“-ს მშენებლობა; 220/110-კილოვოლტიანი ქვესადგურის – ლაჯანურის მშენებლობა; ცხენისწყლის კასკადის ჰესებისა და ხელედულაჰესის სიმძლავრის გამოტანა და საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	2025 წელს დაგეგმილია 220/110 კვ ლაჯანურის მშენებლობის დასრულება და ტესტირება და პროექტირებაზე მუშაობა 220 კვ ორჯაჭვა „ხელედულა-ლაჯანური-ონი"-ზე;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დასრულებული 220/110 კვ ქვესადგური ლაჯანურში; ახალი ორჯაჭვა 220 კვ. ელექტროგადამცემი ხაზი „ხელედულა-ლაჯანური- ონი".
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** "ხელედულა-ლაჯანური-ონი"-ს 220/110 კვ ქვესადგური ლაჯანურის მშენებლობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** მიმდინარეობს 220/110 კვ ლაჯანურის ქ/ს-ის მშენებლობა და ასევე, მიმდინარეობს სატენდერო წინადებების ტექნიკური შეფასების პროცესი. ტენდერში მონაწილეობას იღებს ხუთი კომპანია; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 220/110 კვ ქვესადგური ლაჯანურის დასრულება და ტექსტირება; 220 კვ ხელედულა-ლაჯანური ონის პროექტის დეტალური დიზაინის მომზადება. 2025-2028წწ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15-25% შესრულების ვადების ცდომილება;

	შესაძლო რისკები - დეტალური დიზაინის მომზადების ეტაპზე, სოციალური და გეოგრაფიული ფაქტორებისგან გამოწვეული ხაზის მარშრუტის ცვლილება
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - "ხელედულა-ლაჯანური-ონი"-ს 220/110 კვ ქვესადგური ლაჯანურის მშენებლობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობს 220/110 კვ ლაჯანურის ქ/ს-ის მშენებლობა და ასევე, მიმდინარეობს სატენდერო წინადებების ტექნიკური შეფასების პროცესი. ტენდერში მონაწილეობას იღებს ხუთი კომპანია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 220/110 კვ ქვესადგური ლაჯანურის დასრულება და ტექსტირება; 220 კვ ხელედულა-ლაჯანური ონის პროექტის დეტალური დიზაინის მომზადება. 2025-2028წწ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15-25% შესრულების ვადების ცდომილება; **შესაძლო რისკები** - დეტალური დიზაინის მომზადების ეტაპზე, სოციალური და გეოგრაფიული ფაქტორებისგან გამოწვეული ხაზის მარშრუტის ცვლილება

შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი (WB) (24 14 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
აღწერა და მიზანი	ევროკავშირისა და კავკასიის რეგიონის ენერგეტიკული უსაფრთხოების ხელშეწყობა და განახლებადი ენერგიის სექტორის განვითარება; საქართველოს ენერგეტიკული სისტემის/სამხრეთ კავკასიის რეგიონის ცენტრალური ევროპის სინქრონულ ზონასთან დაკავშირება, რაც ევროპის ქვეყნებთან ელექტროენერგიით ვაჭრობის შესაძლებლობას იძლევა; შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის ფარგლეში გეოტექნიკური კვლევის განხორციელბის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	2025 წელს ხელმოწერილია ხელშეკრულება და დაწყებულია ღრმა წყლოვანი კვლევები.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ზღვის ფსკერის დასრულებული კვლევები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - შავი ზღვის ფსკერის კვლევები; **საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობს მზადება ღრმა წყლოვანი კვლევების და მათთან დაკავშირებული საკონსულტაციო

	მომსახურებების ტენდერის გამოცხადებისთვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2025წ. - ხელმოწერილია ხელშეკრულება და დაწყებულია ღრმა წყლოვანი კვლევები; 2026წ. - მიმდინარეობს ზღვის ფსკერის კვლევები; 2027წ. - საბოლოო გადახდები; 2028წ. - სხვა დაგეგმილი აქტივიბების დაწყება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15-25% შესრულების ვადების ცდომილება; **შესაძლო რისკები -** საერთაშორისო ნებართვების მოპოვების სირთულეები, რუსეთ-უკრაინის ომის მიერ გამოწვეული სირთულეები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** შავი ზღვის ფსკერის კვლევები; **საბაზისო მაჩვენებელი -** მიმდინარეობს მზადება ღრმა წყლოვანი კვლევების და მათთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებების ტენდერის გამოცხადებისთვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2025წ. - ხელმოწერილია ხელშეკრულება და დაწყებულია ღრმა წყლოვანი კვლევები; 2026წ. - მიმდინარეობს ზღვის ფსკერის კვლევები; 2027წ. - საბოლოო გადახდები; 2028წ. - სხვა დაგეგმილი აქტივიბების დაწყება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15-25% შესრულების ვადების ცდომილება; **შესაძლო რისკები -** საერთაშორისო ნებართვების მოპოვების სირთულეები, რუსეთ-უკრაინის ომის მიერ გამოწვეული სირთულეები

საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (24 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ-საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო; ა(ა)იპ - ოუფენ ნეტი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა
აღწერა და მიზანი	საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა, უცხოური გამოცდილების გაზიარება და საქართველოში დანერგვა; დაგეგმილი პროექტების განხორციელებისთვის საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადება და დასაქმება, მათთვის პროდუქტიული სამუშაო გარემოს შექმნა და განსახორციელებელი პროექტების ადმინისტრაციული რესურსით უზრუნველყოფა; საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს და ინოვაციების მიმართულების სპეციალისტებისა და კომპანიების რაოდენობის გაზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; საქართველოში ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა/მხარდაჭერა, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში ინოვაციების ეკოსისტემის განვითარებას;

	საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტების გადამზადება საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიების საკითხებში, რისი საბოლოო მიზანიცაა აღნიშნული სპეციალისტების საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში დასაქმება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე; საჯარო-კერძო პარტნიორობის გაღრმავება და სტარტაპებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ინოვაციების შემდგომი კომერციალიზაციის და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების მიზნით; საქართველოს იმ დასახლებულ პუნქტებში, რომლებიც პროგრამის სამიზნე გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს, ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რის შედეგადაც საქართველოს რეგიონების მცხოვრები მოსახლეობა ისარგებლებს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით და ისეთი პროგრამებით/სერვისებით, როგორებიცაა: ელექტრონული ჯანმრთელობის დაცვა, ელექტრონული განათლება, ელექტრონული მმართველობა, კომერცია და სხვა თანამედროვე სერვისები.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გამარტივებული ინოვაციური იდეების რეალიზების პროცესი, ინფრასტრუქტურული რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდით; ქვეყნის მასშტაბით ახალი ინოვაციური პროდუქტები და პროექტები; გაზრდილი მცირე და საშუალო მეწარმეების კონკურენტუნარიანობა; ამაღლებული კომპიუტერული წიგნიერება, გაზრდილი ინტერნეტიზაცია რეგიონებში და მაღალკვლიფიციური კადრების რაოდენობა ინტერნეტ ტექნოლოგიებში; 2025 წლისთვის საქართველოს სამიზნე გეოგრაფიული არეალის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ფართოზოლოვანი მომსახურებებით და ინტერნეტწვდომის სიჩქარით არანაკლებ 100 მბ/წმ-ით. სატელეკომუნიკაციო სფეროში ამაღლებული თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობა, გაზრდილი კონკურენცია და მოზიდული კერძო ინვესტიციები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ტექნოპარკებისა და ინოვაციების ცენტრებით მოსარგებლე 242,905 ბენეფიციარი და ვიზიტორი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2016-2024 წლებში ტექნოპარკებისა და ინოვაციების ცენტრების ბენეფიციართა და ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 182,905 ერთეული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 60,000 ბენეფიციარი-2025-2028წ. ბენეფიციართა და ვიზიტორთა რაოდენობა გაიზრდება ყოველწლიურად - 15 000 ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-30%;

	შესაძლო რისკები - სამიზნე ჯგუფის დაბალი აქტივობა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - „ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“ პროგრამით დაფინანსებული 241 ბენეფიციარი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2023-2024 წლებში „ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“ პროგრამით დაფინანსებული 81 ბენეფიციარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 160 სტარტაპის დაფინანსება 2025-2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-20%; **შესაძლო რისკები** - არასათანადოდ შევსებული განაცხადები, კონკურსის მოთხოვნებთან განმცხადებლების შეუსაბამობა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - 217 სტარტაპის აქსელერაცია; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2021-2024 წელს 92 სტარტაპის აქსელერაცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 120 სტარტაპის აქსელერაცია 2025-2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; **შესაძლო რისკები** - სამიზნე ჯგუფის დაბალი აქტივობა; პროექტების დადგენილ კრიტერიუმებთან შეუსაბამობა **4.** **ინდიკატორის დასახელება** - 6 კომერციალიზებული ტექნოლოგია; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წლის ბოლოს 1 კომერციალიზებული ტექნოლოგია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 5 კომერციალიზებული ტექნოლოგია 2025-2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30-40%; **შესაძლო რისკები** - კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე პროექტების სიმცირე, კერძო სექტორის დაბალი ინტერესი, მოლაპარაკების პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე უკეთესი ტექნოლოგიების/ინოვაციების გამოჩენა ბაზარზე **5.** **ინდიკატორის დასახელება** - ქვეყნის მასშტაბით 1000-მდე დასახლებულ პუნქტში ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მოწყობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 187 დასახლებული პუნტისთვის აშენებულია 800 კმ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტუქტურა. ჩოხატაური-სამტრედიის და ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გეოგრაფიულ არეალებში დასრულებულია ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა. რაჭის და ქობულეთი-ხელვაჩაურის გეოგრაფიულ არეალებში მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, ხოლო ჯვარი-მესტიის და ზუგდიდი-ხობის გეოგრაფიულ არეალებში სამშენებლო სამუშაოებისათვის გაფორმებულია ხელშეკრულებები და მიმდინარეობს პროექტირების ეტაპი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ასაშენებელი ინფრასტრუქტურის 30%-ის დასრულება 2025-2026წწ. აშენებული ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვა. ყოველ ახალ რეგიონში ინფრასტრუქტურის აშენების შემდეგ, ადგილობრივ ოპერატორთან საბითუმო მომსახურების გაფორმებული ხელშეკრულებები; 2025-2028წწ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სამიზნე ჯგუფის დაბალი აქტივობა

მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა (25 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	გენდერული თანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 11 - ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება)
აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტების (ნაგავსაყრელები) აშენება და მართვა; ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების აშენება; მუნიციპალიტეტების აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა, რაც გაზრდის დასახლებულ პუნქტებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ხელმისაწვდომობასა და ინტენსივობას; არსებული ძველი ნაგავსაყრელების ეტაპობრივი დახურვა, სტანდარტების შესაბამისად; ნარჩენების მართვის პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინება და გენდერულად პასუხისმგებლიანი ინფრასტრუქტურის შექმნა; ქალებისა და მამაკაცების თანაბარი ჩართულობა ნარჩენების მართვის პოლიტიკის შემუშავებისა და არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტების (ნაგავსაყრელები) მშენებლობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში; სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, სექტორში ქალებისა და მამაკაცების დასაქმებისთვის თანაბარი პირობების შექმნა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	აშენებული ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტები (ნაგავსაყრელები) და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურები. დახურული არსებული ძველი ნაგავსაყრელები. შემცირებული გარემოზე მავნე ზემოქმედება, გაუმჯობესებული ეკოლოგიური მდგომარეობა და საცხოვრებელი პირობები. აღჭურვილი მუნიციპალიტეტები აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით. მუნიციპალიტეტებში დანერგილი მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ექსპლუატაციაში შენარჩუნებული არსებული ნაგავსაყრელების, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურებისა და დახურული ნაგავსაყრელების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - ექსპლუატაციაში შენარჩუნებული არსებული 27 ნაგავსაყრელი და 5 ნარჩენების გადამტვირთავი სადგური. დახურული 1 ნაგავსაყრელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ექსპლუატაციაში შენარჩუნებული არსებული 23 ნაგავსაყრელი და 7 ნარჩენების გადამტვირთავი სადგური. დახურული 4 ნაგავსაყრელი. ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი მუნიციპალიტეტები;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; **შესაძლო რისკები** - სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები **2.** **ინდიკატორის დასახელება** - აშენებული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტების (ნაგავსაყრელი) და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დოკუმენტები. მოპოვებული სხვადასხვა სამშენებლო ნებართვები. დაწყებული სამშენებლო სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აშენებული 2 არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტი (ნაგავსაყრელი) და 2 ნარჩენების გადამტვირთავი სადგური. დახურული 2 ნაგავსაყრელი. ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი მუნიციპალიტეტები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები

მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (24 15)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაზისა და ელექტროენერგიის არმქონე სოფლების გაზიფიცირება და ელექტრიფიცირება; საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობისთვის გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდების ხელმისაწვდომობის გაზრდა, მათ შორის, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივ ანაზღაურება; ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების გათბობით უზრუნველყოფა ზამთრის პერიოდში.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	2025 წელს ბუნებრივი აირის ქსელში ჩართული დამატებით 10 074 აბონენტი (სულ ქვეყნის მასშტაბით გაზიფიცირებული საყოფაცხოვრებო 1 253 322 აბონენტი).
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეყნის მასშტაბით გაზიფიცირებული საყოფაცხოვრებო 1 270 719 აბონენტი.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - პროგრამის ფარგლებში დამატებით გაზიფიცირებული პოტენციური აბონენტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წლის ბოლოს ქვეყნის მასშტაბით გაზიფიცირებულია დაახლოებით 1 213 882 აბონენტი - სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2024 წელს გაზიფიცირებული 1 243 248 საყოფაცხოვრებო აბონენტი; 2025 წელს გაზიფიცირებული 1 253

	322 საყოფაცხოვრებო აბონენტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15-25% შესრულების ვადების ცდომილება; **შესაძლო რისკები -** გარემოს დაცვის თემები: ხე-ტყის ჭრის ნებართვები, განსახლების საკითხები: საკომპენსაციო თანხების განსაზღვრა და ანაზღაურება საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** პროგრამის ფარგლებში დამატებით გაზიფიცირებული პოტენციური აბონენტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2023 წლის ბოლოს ქვეყნის მასშტაბით გაზიფიცირებულია დაახლოებით 1 218 326 აბონენტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ქვეყნის მასშტაბით გაზიფიცირებული დაახლოებით საყოფაცხოვრებო 1 270 719 აბონენტი-2026; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5% მოსახლეობის რაოდენობის დაზუსტების შედეგად; **შესაძლო რისკები -** სატენდერო და შესყიდვის პროცედურები, ბუნებრივი პირობები

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (24 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 17 - თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 11 - ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება
აღწერა და მიზანი	საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, პოპულარიზაცია; ახალი ტურისტული პროდუქტის განვითარება და არსებული ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია (მარშრუტების შემუშავება, პროდუქტის ბეჭდური საინფორმაციო მასალის მომზადება); მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება; ტურისტებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, გაზრდილი ცნობადობა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ქვეყნის გაზრდილი კონკურენტუნარიანობა; საქართველოს საქმიანი ტურიზმის პოპულარიზაციის შედეგად, ქვეყანაში შესაბამისი მიზნით ჩამოსული ვიზიტორების გაზრდილი რაოდენობა;

	საქართველოს საკურორტო რესურსების შესახებ ამაღლებული ცნობადობა და ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2023 წელს 7,072,220 საერთაშორისო მოგზაური დაფიქსირდა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2025-2028 წლებში 2023 წლის მაჩვენებლის გაუმჯობესება 11.2%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა

ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU) (24 19)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 7 - ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 15 - დედამიწის ეკოსისტემა
აღწერა და მიზანი	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის დასრულება საშუალოვადიანი პროგრამის მიხედვით: ენგურის კაშხლის სტრუქტურული სტაბილურობისა და სეისმომედეგობის ამაღლებისთვის ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგის ინსტრუმენტის განახლება, სადაწნეო გვირაბზე ფილტრაციული და დაწნევის კარგვების შემცირება, ჰესის ექსპლუატაციის საიმედოობის ამაღლება; მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი მოწყობილობების შეცვლა; ენგურის კაშხლის მისადგომი და საექსპლუატაციო გზების რეაბილიტაცია.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სერიოზული დაზიანებების პრევენცია გვირაბზე და ელენერგიის გამომუშავების გაზრდა. ენგურის კაშხლის სტრუქტურული სტაბილურობა და სეისმური მდგრადობა ამაღლებულია და განახლებულია მონიტორინგის ინსტრუმენტი. აღმოიფხვრება ფილტრაციული წყლების გაზრდილი მოდინება, შემცირდება ელენერგიის ხარჯი ტუმბოების მუშაობაზე.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ჰესის ექსპლუატაციის საიმედოობა ამაღლებულია.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - კაშხლის სტრუქტურული სტაბილურობისა და სეისმური მდგრადობის ამაღლება; **საბაზისო მაჩვენებელი** - ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება შეადგენს 4.2 მლრდ კვ/სთ; კაშხლის ფუძისა და ფერდებთან მიერთების გამორეცხვის გაზრდილი დონე;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - 2025წ. - დაიწყება სამუშაოები; 2026წ. - მიმდინარეობს სამუშაოები; 2027წ. - მიმდინარეობს სამუშაოები; 2028წ. - მიმდინარეობს სამუშაოები კაშხლის სეისმური მდგრადობის ICOLD-ის სტანდარტებთან გასათანაბრებლად: 8 ბალიდან 9 ბალამდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** -; **შესაძლო რისკები -** - **2.** **ინდიკატორის დასახელება -** კაშხლის მონიტორინგის ინსტრუმენტაცის განახლება მოძველებულია. სეისმური მონიტორინგის ინსტრუმენტები გამოსულია მწყობრიდან; **საბაზისო მაჩვენებელი -** მონიტორინგის ინსტრუმენტაცია მოძველებულია. სეისმური მონიტორინგის ინსტრუმენტები გამოსულია მწყობრიდან; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2025წ. - დაიწყება სამუშაოები; 2026წ. - მიმდინარეობს სამუშაოები; 2027წ. - ახალი მონიტორინგის ინსტრუმენტაცია დაყენებულია; 2028წ. - ახალი მონიტორინგის ინსტრუმენტაცია დაყენებულია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** -; **შესაძლო რისკები -** - **3.** **ინდიკატორის დასახელება -** სადაწნეო გვირაბზე ფილტრაციული და დაწნევის კარგვების არსებობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** სადაწნეო გვირაბზე ფილტრაციული და დაწნევის კარგვები განპირობებულია გვირაბის ძირის დაზიანებებით. გვირაბის ძირი მთლიანად უნდა ამოიჭრას და ჩაეკეროს ახალი რკინა-ბეტონის კონსტრუქცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2025წ. - დაიწყება სამუშაოები; 2026წ. - მიმდინარეობს სამუშაოები; 2027წ. - ელექტროენერგიის გაზრდილი გამომუშავება იქნება 25 მვტ. 2028წ. - ელექტროენერგიის გაზრდილი გამომუშავება იქნება 25 მვტ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 25%; **შესაძლო რისკები -** / დამოკიდებულია წყლის საშუალოწლიურ შემოდინებაზე
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** კაშხლის სტრუქტურული სტაბილურობისა და სეისმური მდგრადობის ამაღლება; **საბაზისო მაჩვენებელი -** ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება შეადგენს 4.2 მლრდ კვ/სთ; კაშხლის ფუძისა და ფერდებთან მიერთების გამორეცხვის გაზრდილი დონე; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ელექტროენერგიის გაზრდილი გამომუშავება იქნება 25-30 მვტ დამატებითი სიმძლავრით. კაშხლის ფუძისა და ფერდებთან მიერთების ბურღვა-ცემენტაციის განხორციელება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** -; **შესაძლო რისკები -** - **2.** **ინდიკატორის დასახელება -** კაშხლის მონიტორინგის ინსტრუმენტაცის განახლება მოძველებულია. სეისმური მონიტორინგის ინსტრუმენტები გამოსულია მწყობრიდან; **საბაზისო მაჩვენებელი -** მონიტორინგის ინსტრუმენტაცია მოძველებულია. სეისმური მონიტორინგის ინსტრუმენტები გამოსულია

	მწყობრიდან; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მონიტორინგის ინსტრუმენტაციის განახლება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - -; **შესაძლო რისკები** - - **3.** **ინდიკატორის დასახელება** - სადაწნეო გვირაბზე ფილტრაციული და დაწნევის კარგვები განპირობებულია გვირაბის ძირის დაზიანებებით. გვირაბის ძირი მთლიანად უნდა ამოიჭრას და ჩაეკეროს ახალი რკინა-ბეტონის კონსტრუქცია; **საბაზისო მაჩვენებელი** - სადაწნეო გვირაბზე ფილტრაციული და დაწნევის კარგვების არსებობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სადაწნეო გვირაბზე ფილტრაციული და სადაწნეო გვირაბზე ფილტრაციული და დაწნევის კარგვების დასაშვებ მინიმუმამდე დაყვანა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - გვირაბის ირგვლივ კარსტული ღრმულების ბოლომოდე ცემენტის ხსნარით ამოვსება არ არის ეკონომიკურად გამართლებული. ამასთან არსებული კარსტების სრულმა ამოვსებამ შესაძლოა გამოიწვიოს სხვა ტექტონიკური უარყოფითი მოვლენები. შესაბამისად დავალების ამოცანაა მხოლოდ გვირაბის სტრუქტურული წყალმედეგობის მაქსიმალური გაზრდა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (24 11)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
აღწერა და მიზანი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტსა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ამ პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისთვის ანაზღაურება შესაბამის პერიოდებში.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის სუბსიდირება; **საბაზისო მაჩვენებელი** - ყაზბეგის მუნიციპალიტეტსა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ ზამთრის პერიოდში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური ანაზღაურებულია სრულად (სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ ზამთრის პერიოდში მოხმარებული ბუნაბრივი აირის საფასურის სრულად სუბსიდირება 2025-

	2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** აბონენტების რაოდენობის ცვლილება 5%

რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (25 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება) გენდერული თანასწორობა
აღწერა და მიზანი	რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და განხორციელების კოორდინაცია, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში მისი განხორციელების მონიტორინგი და ანალიზი; მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხებზე, აგრეთვე, მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური გაძლიერებისათვის, დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ერთ-ერთი პრინციპის „გენდერული თანასწორობის“ უზრუნველსაყოფად, დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ქალებისა და მამაკაცების თანასწორი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი წინადადებების შემუშავება; გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში მაღალი ხარისხის ჩართულობის ხელშეწყობა, მათ შორის, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში; კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთობის კოორდინაცია; კომპეტენციის ფარგლებში, ადგილობრივი და უცხოური წყაროებით დაფინანსებული რეგიონული პროგრამებისა და პროექტების კოორდინაცია და მათი განხორციელების ეფექტიანობის შეფასება; კომპეტენციის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მოხელეთა სწავლების საკითხების კოორდინაცია; „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტებისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე დარგობრივი ზედამხედველობის განხორციელება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და

	სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებზე ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში, როგორც სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი, ისე სხვა სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობისთვის მიკუთვნებული, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების უზრუნველყოფა, აგრეთვე ამ პროექტებით გათვალისწინებული ობიექტების სამშენებლო-სარეაბილიტაციო და სხვა სამუშაოების განხორციელების კოორდინაცია და კომპეტენციის ფარგლებში მისი მონიტორინგი; კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს წყლით უზრუნველყოფისა და მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა და კოორდინაცია; არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტების (ნაგავსაყრელები) მოწყობა, მართვა და დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა); კომპეტენციის ფარგლებში, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების შესახებ წინადადებების მომზადება და ამ ღონისძიებათა განხორციელება/განხორციელებაში მონაწილეობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეგიონულ განვითარებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაზე შემუშავებული საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები; შემუშავებული და განხორციელებული ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტები; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურა; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარებასთან დაკავშირებით შემუშავებული ერთიანი სახელმწიფო პოლტიკა; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებული დეცენტრალიზაციის პროცესი.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავება (გენდერული ასპექტების გათვალისწინებით), განხორციელება და განხორციელების კოორდინაცია, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში მისი განხორციელების მონიტორინგი და ანალიზი; მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხებზე და მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური გაძლიერებისათვის შესაბამისი წინადადებების შემუშავება; კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთობის კოორდინაცია; კომპეტენციის ფარგლებში, ადგილობრივი და უცხოური წყაროებით დაფინანსებული რეგიონული პროგრამებისა და პროექტების კოორდინაცია და მათი განხორციელების ეფექტიანობის შეფასება;

	კომპეტენციის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მოხელეთა სწავლების საკითხების კოორდინაცია; „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტებისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე დარგობრივი ზედამხედველობის განხორციელება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში, როგორც სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი, ისე სხვა სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობისთვის მიკუთვნებული, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების უზრუნველყოფა, აგრეთვე ამ პროექტებით გათვალისწინებული ობიექტების სამშენებლო-სარეაბილიტაციო და სხვა სამუშაოების განხორციელების კოორდინაცია და კომპეტენციის ფარგლებში მისი მონიტორინგი; კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს წყლით უზრუნველყოფისა და მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა და კოორდინაცია; არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტების (ნაგავსაყრელი) მოწყობა, მართვა და დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა).

საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა - სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს კომპონენტი (ADB) (24 12)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ- სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 13 - კლიმატის მდგრადობის მიღწევა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 11 - ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 17 - თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის
აღწერა და მიზანი	„საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის 2019 წლის 9 დეკემბერს ხელმოწერილი სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა) ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 აპრილის №686 განკარგულების შესაბამისად, „საქართველოს მასშტაბით ურბანული განაშენიანების დეტალური პროექტირების“ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სივრცითი და ქალაქმშენებლობითი

	განვითარების კონცეფციის/გეგმების მომზადება (საქართველოს სივრცითი განვითარების კონცეფცია „საქ. 2030“; ფასანაური, ბარისახო-როშკას ქალაქმშენებლობითი განვითარების გეგმები; საქართველოს სანაპირო ზონის სივრცითი განვითრების გეგმა; სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების გეგმები რაჭისა და სვანეთის მუნიციპალიტეტებში; მუხრანის ველის სივრცითი განვითარების გეგმა; ოზურგეთისა და ახალციხის ქალაქმშენებლობითი განვითარების გეგმები).
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სივრცითი და/ან ქალაქმშენებლობითი განვითარების განხორციელებული პროექტები საქართველოს 10-ზე მეტ მუნიციპალიტეტში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - შემუშავებული სივრცითი და ქალაქმშენებლობითი გეგმების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წლის 12 ივნისის მდგომარეობით ყველა პროექტზე დაწყებულია ტექნიკური დავალების მომზადება და შესყიდვების პროცედურები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შემუშავებული სივცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების გეგმები პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დასახლებებისთვის. -2025წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - ხანგძლივი სატენდერო დრო; კვალიფიციური კადრების ნაკლებობა; დამტკიცების პროცესის გაჭიანურება

სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარება (24 20)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ- სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 17 - თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 11 - ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება კლიმატის ცვლილება - ადაპტაცია მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 13 - კლიმატის მდგრადობის მიღწევა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა
აღწერა და მიზანი	სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დარგის პოლიტიკის შემუშავება, კოორდინაცია და მართვა; გეგმების განხორციელების უზრუნველყოფა; შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავების/სრულყოფის პროცესში მონაწილეობა; გეგმების საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სივრცის დაგეგმარებაზე ზეგავლენის მქონე პროექტების წინასწარი შეფასება; პერსპექტიული კურორტების ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების უზრუნველყოფა; განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიის/ზონის სტატუსის მინიჭების საკითხის საქართველოს მთავრობისთვის დამუშავება; საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ქალაქთმშენებლობითი გეგმების განხილვა და დამტკიცება;

	სარეკრეაციო ტერიტორიებზე ქალაქთმმშენებლობითი გეგმების განხილვა და დამტკიცება; სარეკრეაციო ტერიტორიებზე არქიტექტურული პროექტების შეთანხმება; დარგის სპეციფიკური ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა საქმიანობის განხორციელება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განვითარებული დასახლებები, რომლებიც ადამიანისთვის ღირსეული და ჯანსაღი გარემოს შექმნაზეა ორიენტირებული და საცხოვრებელი, სამუშაო და დასასვენებელი პირობები უზრუნველყოფილია, ხოლო გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა გარანტირებული; გაუმჯობესებული და ეფექტიანი კაპიტალდაბანდებების პროგრამა; მიღწეული დაბალანსებული რეგიონალური განვითარება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - სივრცითი დაგეგმარების გეგმა; **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს მაშტაბით შემუშავებულია სივრცითი დაგეგმარების გეგმა. ტექნიკური დავალება შედგენილია და შემუშავების პროცესშია სივრცითი გეგმა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქვეყნის მიწათდაფარულობა ასახულია გეოსაინფორმაციო სისტემებში და გამოკვეთილია სტრატეგიული განვითარების მიმართულებები.2025-2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-15%; **შესაძლო რისკები** - კვალიფიციურიკადრების ნაკლებობა; გეგმის დამტკიცების პროცესის გაჭიანურება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - შემუშავებული სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი გეგმები; **საბაზისო მაჩვენებელი** - • შემუშავებულია 3 კურორტის გუდაურის, ხადის, ურეკის ნაწილის ქალაქთმშენებლობითი გეგმის კონცეფცია. დამტკიცებულია ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის კონცეფცია. • სარეკრეაციო ტერიტორიაზე: სააგენტოს მიერ დამტკიცდა განაშენიანების დეტალური გეგმის 5 კონცეფცია; 5 განაშენიანების დეტალური გეგმა; 2 კორექტირებული განაშენიანების გეგმა; • გამოიცა განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისათვის 14 ბრძანება; • მომზადდა 27 საექსპერტო დასკვნა ქალაქთმშენებლობითი გეგმებთან დაკავშირებით: • დასრულდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის და ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტის შემუშავების II ეტაპის სამუშაოები; გეგმის მოსამზადებელი კვლევა და კონცეფცია. • დასრულდა ბახმაროს ახალი უბნის განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის შემუშავების I ეტაპის სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად განხორციელდება 5-7 დასახლების/ტერიტორიის/არეალის გეგმის ტექნიკური

	დამუშავება 2025-2028წწ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** კვალიფიციურიკადრების ნაკლებობა; გეგმის დამტკიცების პროცესის გაჭიანურება **3.** **ინდიკატორის დასახელება -** სივრცის დაგეგმარების საინფორმაციო სისტემა; **საბაზისო მაჩვენებელი -** დაწყებულია სივრცითი და ქალაქმშენებლობითი დარგის საინფორმაციო სისტემის შემუშავება; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სივრცის დაგეგმარების საინფორმაციო სისტემის მეშვეობით ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ციფრული გზებით მოიპოვონ სივრცით და ქალაქთმშენებლობით გეგმებთან დაკავშირებით ყველა საჭირო ინფორმაცია.2025-2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** სივრცის დაგეგმარების საინფორმაციო სისტემის შემუშავების პროცესში ტექნიკური სირთულეების წარმოქმნა. დაგეგმილ დროში მუნიციპალიტეტების მხრიდან საინფორმაციო სისტემის სრულად ვერ ათვისება

კურორტების განვითარების ხელშეწყობა (24 21)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - კურორტების განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 15 - დედამიწის ეკოსისტემა
აღწერა და მიზანი	კურორტებსა და საკურორტო ადგილებზე ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, კურორტების განახლება (რენოვაცია); კურორტების და საკურორტო ადგილების განვითარებისთვის ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; განვითარების ეკონომიკური მიზანშეწონილობის გეგმების მომზადება, ახალი საკურორტო ადგილების იდენტიფიკაცია; საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება, განაშენიანების რეგულირების გეგმების შექმნის ხელშეწყობა; საქართველოს, როგორც მაღალი საკურორტო შესაძლებლობების მქონე ქვეყნის პოპულარიზაცია; კურორტებისა და საკურორტო ადგილების განვითარების მიზნით, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება; კურორტებსა და საკურორტო ადგილებზე მასობრივი სპორტისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განახლებული კურორტები; ინვესტორების დაინტერესების/შემოყვანის მიზნით მომზადებული კურორტებისა და საკურორტო ადგილების ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის და სიცოცხლისუნარიანობის კვლევის გეგმები; საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით დამკვიდრებული კურორტების/საკურორტო ადგილების ეფექტური მართვა და ფუნქციონირება; საქართველოს, როგორც მრავალფეროვანი კურორტების ქვეყნის მიმართ საერთაშორისო და ადგილობრივი დამსვენებლების გაზრდილი ინტერესი.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - კურორტების განახლების და განვითარების გეგმების შემუშავება; **საბაზისო მაჩვენებელი** - მომზადებული საკურორტო ადგილების საინვესტიციო შეთავაზებები 10 ლოკაციზე; მომზადებული ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევები 37 ლოკაციებზე შექმნილი ორგანიზაციის ვებ-გვერდი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საქართველოში არსებული კურორტების და საკურორტო ადგილების მდგომარეობის/მათი განვითარების შესაძლებლობების შესახებ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად: არანაკლებ 4 კურორტის და საკურორტო ადგილის ეკონომიკური მიზანშეწონილობის გეგმისა და საინვესტიციო პაკეტის მომზადება; არანაკლებ ერთი საინვესტიციო პროექტის დაწყება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ბიზნეს გარემო; ადამიანური რესურსის ნაკლებობა საქმიანობაში ეფექტური ჩართულობის უზრუნველსაყოფად **2.** **ინდიკატორის დასახელება** - კურორტების და საკურორტო ადგილების ეფექტური ფუნქციონირება; **საბაზისო მაჩვენებელი** - შექმნილი დოკუმენტი - საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილების დარგის განვითარების 2025-2030 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე, რომელიც იქნება კურორტებისა და საკურორტო ადგილების განვითარების გზამკვლევი დოკუმენტი; მომზადებული ,,კურორტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2025-2028 წლებში თითოეული წლისათვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განხორციელებული 2 პროექტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ბიზნეს გარემო; ადამიანური რესურსის ნაკლებობა საქმიანობაში ეფექტური ჩართულობის უზრუნველსაყოფად

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარება (24 17)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
აღწერა და მიზანი	ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების პროექტის ხელშეწყობა და ახალი საინვესტიციო ხელშეკრულებების მონიტორინგი.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	კერძო პარტნიორის შესარჩევი პროცესის შედეგად ახალი ინვესტორის გამოვლენა, მოლაპარაკებების წარმოება და კონცესიის ხელშეკრულების გაფორმება; პროექტის ფინანსური დახურვა, სასესხო ხელშეკრულებების გაფორმება, სამშენებლო სამუშაოების განხორციელება და პორტის ოპერირების დაწყება, რაზეც სააგენტო განახორციელებს მონიტორინგს, მათ შორის ოპერირების პროცესში გაწერილი ინდიკატორების შესრულების პროცესზე; ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის დასრულება/ოპერირების დაწყება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობა/ოპერირება; **საბაზისო მაჩვენებელი** - პროექტის განზრახულობის შესახებ განაცხადი გამოქვეყნდა, მივიღეთ განაცხადები და მოხდა 2 კვალიფიციურ კანდიდატის შერჩევა და შეტყობინების გაგზავნა.; „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესარჩევი პროცესის რიგი დოკუმენტების შემუშავება, მათ შორის: წინადადებათა წარმოდგენის შესახებ მოწვევის დოკუმენტი (RFP), პარტნიორთა შეთანხმებისა (Shareholders agreement) და კონცესიის ხელშეკრულება (Concession Agreement); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოლაპარაკებების წარმოება და კონცესიის ხელშეკრულების გაფორმება ; მოლაპარაკებების წარმოება საფინანსო ინსტიტუტებთან ფინანსური დახურვის/სასესხო ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით-2025წ.; პროექტის ფინანსური დახურვა/სასესხო ხელშეკრულებების გაფორმება; სამშენებლო სამუშაოების დაწყება-2026წ.; სამშენებლო სამუშაოების განხორციელება-2027წ.; სამშენებლო სამუშაოების დასრულება და ოპერირების დაწყება - 2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - რეგიონში ეკონომიკური მდგომარეობა

ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (24 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

აღწერა და მიზანი	მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების უსაფრთხოების დონის ამაღლების ხელშეწყობა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების დახვეწით; განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების კონტროლით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე გაზრდილი უსაფრთხოება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების დახვეწით; განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობა შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების კონტროლის საშუალებით.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** საქართველოს ტექნიკური რეგლამენტები; **საბაზისო მაჩვენებელი -** დარეგისტრირდა საქართველოს სტანდარტი „ჰაერის დაყოფის პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების შესახებ“; - შემუშავებულია 1 ახალი ტექნიკური რეგლამენტის პროექტი ჰიდროენერგეტიკული ნაგებობების სფეროში; - დამტკიცდა ცვლილება 2 ტექნიკურ რეგლამენტში: • გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე; • ლიფტის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე - შემუშავებულია ცვლილებების პროექტები 5 ტექნიკურ რეგლამენტში, რომლებიც არეგულირებენ შემდეგ სფეროებს: • საამფეთქებლო სამუშაოები; ბუნებრივ გაზზე მომუშავე საავტომობილო გაზსავსები • საკომპრესორო სადგურები; კარიერების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ; • საამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ; • ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ; მადნეული და არამადნეული საბადოების მიწისქვეშა წესით დამუშავების შესახებ; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ცვლილებების შეტანა 4 ტექნიკურ რეგლამენტში: ბოლომდე); „ამწე მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“ (2027 წლის ბოლომდე); „წნევაზე მომუშავე ჭურჭლების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ" (2026 წლის ბოლომდე); „საამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ“ (2025 წლის ბოლომდე); „ნახშირის შახტების უსაფრთხოების შესახებ“ (2028 წლის ბოლომდე); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** -; **შესაძლო რისკები -** რესურსების ნაკლებობა, მათ შორის საკადრო რესურსების ნაკლებობა, ტექნიკური ცოდნის მქონე პერსონალის სააგენტოდან გადინების მაღალი მაჩვენებელი. რესურსები

სარკინიგზო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება (24 22)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო

აღწერა და მიზანი	სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება; სარკინიგზო ტრანსპორტის დარგში საერთაშორისო აქტივობების გაძლიერება; სარკინიგზო სატრანსპორტო სისტემებისა და გადაზიდვების ოპერაციების უსაფრთხოების ზედამხედველობა და სარკინიგზო ტრანსპორტის დარგში ტექნიკური რეგულირების განხორციელება; სარკინიგზო ტრანსპორტის დარგში უსაფრთხოების სისტემებზე მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების შემუშავება; სარკინიგზო ტრანსპორტის დარგში მგზავრთა გადაყვანის საჯარო მომსახურების უზრუნველყოფა და შესაბამისი სარკინიგზო ოპერატორების მონიტორინგი; საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს სპეციალისტების გადამზადება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზრდილი სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვების და სამგზავრო გადაყვანების უსაფრთხოების დონე და უზრუნველყოფილი სარკინიგზო სატრანსპორტო სისტემების (ინფრასტრუქტურა, მოძრავი შემადგენლობა და სხვა) უსაფრთხოება;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სარკინიგზო ტრანსპორტის კანონმდებლობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - დაწყებულია მუშაობა ტრანსპორტის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მოსამზადებლად; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული და დანერგილი სარკინიგზო ტრანსპორტის კანონმდებლობა; საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული სარკინიგზო ტრანსპორტის სისტემები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 40%; **შესაძლო რისკები** - კანონმდებლობის და ტექნიკური რეგლამენტების დროულად ვერ მიღება

სახმელეთო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება (24 28)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 13 - კლიმატის მდგრადობის მიღწევა კლიმატის ცვლილება - ადაპტაცია მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა
აღწერა და მიზანი	საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებში ჩართული სატრანსპორტო საშუალებების გზებზე შემოწმების რეფორმის (სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური დათვალიერება, მასების/გაბარიტების შემოწმება, მძღოლის შრომისა და დასვენების რეჟიმის კონტროლი და სხვა) განხორციელება;

	საერთაშორისო სამგზავრო გადაყვანაში ან/და სატვირთო გადაზიდვაში ჩართული პირების განებართვიანება (სატრანსპორტო ოპერატორებისთვის ე.წ. ბაზარზე დაშვების ნებართვის შემოღება); საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განვითარების და დივერსიფიკაციისათვის პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარება (მათ შორის პარტნიორთა არეალის ზრდა); თანამედროვე სტანდარტების სასწავლო და საგამოცდო ცენტრის მოწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული დირექტივების/რეგულაციების საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაცია. დახვეწილი/განვითარებული საგზაო უსაფრთხოების სტანდარტი; საქართველოში არსებული სტაბილური და განვითარებული სატრანსპორტო ოპერატორების ბაზარი; საქართველოსა და ახალ პარტნიორ ქვეყნებს შორის გაღრმავებული ურთიერთობები. საერთაშორისო სატვირთო გადაყვანა - გადაზიდვის სანებართვო დოკუმენტების გაზრდილი რაოდენობა; საერთაშორისო გადაყვანა - გადაზიდვებში ჩართული მძღოლებისა და ტრანსპორტის მენეჯერებისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის მოწყობილი განვითერებული ინფრასტრუქტურა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** გზებზე კონტროლის სისტემის დანერგვა; **საბაზისო მაჩვენებელი -** დღეის მდგომარეობით არ ხორციელდება საერთაშორისო გადაზიდვა-გადაყვანაში ჩართულ პირთა გზებზე კონტროლი, მომზადებულია კანონპრორექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2025 წ-თვის დასრულებული საკანონმდებლო ბაზა. 2026-2028წ. დაიწყება გზებზე კონტროლი და გაუმჯობესდება საერთაშორისო გადაზიდვაში ჩართული პირებისთვის დადგენილი მოთხოვნების შესრულება, დაცული იქნება ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** საკანომდებლო ინიციატივების განხილვებს დასჭირდეს პროგნოზირებულზე მეტი ვადა 2. **ინდიკატორის დასახელება -** სააგენტოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაღრმავება ახალ ქვეყნებთან პარტნიორობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** სააგენტო დღეის მდგომარეობით თანამშრომლობს 36 ქვეყანასთან; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** თანამშრომლობა 37 ახალ ქვეყანასთან - 2025წ; თანამშრომლობა 38 ახალ ქვეყანასთან -2026წ; თანამშრომლობა 39 ახალ ქვეყანასთან -2027წ; თანამშრომლობა 40 ახალ ქვეყანასთან -2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 50%;

	შესაძლო რისკები - ქვეყნებს შორის შეუთანხმებლობა **3.** **ინდიკატორის დასახელება -** საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვებში ჩართული სუბიექტებისთვის საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** გაზრდილი საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვებში ჩართული კვალიფიციური მძღოლებისა და ტრანსპორტის მენეჯერებისთვის რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მომზადდება 300 CPC მძღოლი, 50 CPC მენეჯერი, 600 ADR მძღოლი - 2025 წელი; მომზადდება 310 CPC მძღოლი, 55 CPC მენეჯერი, 620 ADR მძღოლი - 2026 წელი; მომზადდება 450 CPC მძღოლი, 80 CPC მენეჯერი, 700 ADR მძღოლი - 2027 წელი; მომზადდება 450 CPC მძღოლი, 80 CPC მენეჯერი, 700 ADR მძღოლი - 2028 წელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა

საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება (24 27)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა
აღწერა და მიზანი	საქართველოს დროშით მცურავი საშუალებების და საქართველოს ნავსადგურების საზღვაო უსაფრთხოების და უშიშროების უზრუნველყოფა; სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებსა/კონფერენციებში მონაწილეობის მიღება, საკუთარი ცნობადობის გაზრდისა და საერთაშორისო დონეზე საზღვაო სფეროში არსებული ინოვაციების გაცნობის მიზნით; საქართველოს, როგორც საზღვაო სახელმწიფოს, იმიჯის ამაღლების მიზნით საქართველოს საერთაშორისო საზღვაო ფორუმის (GIMF) ჩატარება, რომელიც წარმოაჩენს შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე მოვლენებსა და აგრეთვე, საქართველოს მიერ საზღვაო დარგში განხორციელებულ რეფორმებს; ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს (EMSA) აუდიტის წარმატებით გავლა და მეზღვაურთა კვალიფიკაციის/კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების აღიარების შენარჩუნება; მეზღვაურთა მომზადებისა და სერტიფიცირების სისტემის გამართული ფუნქციონირება; საქართველოს გემების სახელმწიფო ელექტრონული რეესტრის მოდიფიკაცია;

	საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება; 0%-იანი დაკავების კოეფიციენტის შენარჩუნება ქართული დროშის ქვეშ მცურავ გემებზე; საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში/ტერიტორიულ ზღვაში უსაფრთხო ნაოსნობის, ძებნა-გადარჩენის და გარემოს დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად; საქართველოს საზღვაო კონცეფციის დოკუმენტის დამტკიცება; საქართველოს ნავსადგურებში ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვა და დაკავშირება ნავსადგურების გაერთიანების სისტემასთან; საქართველოს ნავსადგურებში ნარჩენების მდგრადი მართვა; ნავსადგურების ენერგოეფექტურობისა და მართვის გეგმის შექმნა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საზღვაო დროშის გაზრდილი ცნობადობა და საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემები, PARIS MOU-სა და TOKYO MOU-ს შავი/ნაცრისფერი/თეთრი დროშის კატეგორიებში ქართული დროშის გაუმჯობესებული პოზიციები, (0%-იანი დაკავებების კოეფიციენტი ქართული დროშის ქვეშ მცურავ გემებზე); დანერგილი საერთაშორისო სტანდარტი - ISO 9001:2015 და 27001:2011 საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებული საქართველოს საზღვაო კანონმდებლობა; საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და ტერიტორიულ ზღვაში უსაფრთხო ნაოსნობის, ძებნა-გადარჩენის და გარემოს დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული გემების ჩართულობა საერთაშორისო ნაოსნობაში; **საბაზისო მაჩვენებელი** - დროშის ადმინისტრირება და სახელმწიფო კონტროლის ხარისხი - საქართველო არ ირიცხება PARIS MOU-სა და TOKYO MOU-ს დროშის კატეგორიაში; საქართველოს გემების რეესტრში დღეის მდგომარეობით ირიცხება საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული 26 მცურავი საშუალება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემების მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს PARIS MOU-სა და TOKYO MOU-ს შავი/ნაცრისფერი/თეთრი დროშის კატეგორიებში ქართული დროშის პოზიციების გაუმჯობესებას. მცურავი საშუალებების რაოდენობის ზრდა: 2024 წ. - 15%-იანი ზრდა; 2025წ. - 15%-იანი ზრდა; 2026წ. - 15-იანი ზრდა; 2027წ. - 15%-იანი

	ზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკურად გაუმართავი გემების საქართველოს დროშით ნაოსნობა; გემის დაკავება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - საერთაშორისო სტანდარტებთან და მოთხოვნებთან დაახლოებული საზღვაო კანონმდებლობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში დანერგილია 20 ევრო-დირექტივა. უწყებრივ განხილვებზეა გადაგზავნილი შემდეგი კონვენციები: „სახიფათო და მავნე ნივთიერებების საზღვაო გადაზიდვასთან დაკავშირებული ზარალისთვის პასუხისმგებლობის და კომპენსაციის შესახებ“ 1996 წლის საერთაშორისო კონვენცია და „საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ „2005 წლის (SUA 2005) საერთაშორისო კონვენცია“; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საზღვაო ტრანსპორტის სფეროში ევროკავშირის დირექტივების იმპლემენტაცია; საერთაშორისო საზღვაო კონვენციების რატიფიკაცია 2025-2028; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - კომპეტენტური სახელმწიფო უწყებებიდან დაგვიანებული რეაგირება **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ნავსადგურების გაერთიანების სისტემა (PCS); **საბაზისო მაჩვენებელი** - პროექტის "ერთი ფანჯრის პრინციპით მომსახურება საქართველოს ნავსადგურებში" მეორე ეტაპის ფარგლებში დონორ ორგანიზაციებთან (EBRD, UK Good Governance Fund) და საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად (Actual IT) გაიმართა სამუშაო შეხვედრები სექტორის წარმომადგენლებთან. ამ ეტაპისთვის დაფინანსებულია 3 საზღვაო პაკეტი და საკონსულტაციო ჯგუფის მიერ შემუშავებულია სისტემის პირველადი იერსახე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სანავსადგურე და ლოგისტიკური პროცესების ერთიან პლატფორმაზე მართვა, გამარტივებული და ერთიან სტანდარტში მოქცეული ნავსადგურიდან გასვლისა და შემოსვლის ნებართვების პროცედურული დოკუმენტაცია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - დაინტერესებული მხარეების დაბალი ჩართულობა; ინტეგრირებული სისტემების ხარვეზები

სამოქალაქო ავიაციის სფეროს რეგულირება და მართვა (24 26)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა
აღწერა და მიზანი	„საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ'' (ECAA) შეთანხმების გათვალისწინებული რეგულაციებისა და დირექტივების ქართულ საავიაციო კანონმდებლობაში ასახვა; საქართველოს საავიაციო დარგისათვის პრიორიტეტული რეგულაციებისა და დირექტივების განსაზღვრა, მათი დანერგვის დროში გაწერა, სამართლებრივი ანალიზი და ამ მიზნით, შესაბამისი დასკვნებისა და წინადადებების შემუშავება;

	საქართველოს საავიაციო კანონმდებლობის ჩიკაგოს კონვენციის, მისი დანართებისა და შესწორებების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. საერთო დანიშნულების ავიაციის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შემუშავება და დანერგვა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ევროპულ მარეგულირებელ აქტებთან ჰარმონიზებული და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილი საავიაციო კანონმდებლობა; დანერგილი უსაფრთხოების ევროპული სტანდარტები, მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, პროცედურების გამარტივება, მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა; ICAO-ს კონვენციის, მისი დანართებისა და შესწორებების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანილი საქართველოს საავიაციო კანონმდებლობა. გაუმჯობესებული ფრენის უსაფრთხოება და სრულყოფილი არსებული მარეგულირებელი სტრანდარტები, მათ შორის საერთო დანიშნულების ავიაციის მიმართულებით.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - დანერგილი ევროპული რეგულაციების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დანერგილია სრულად 25, ხოლო ნაწილობრივ 12 ევროპული რეგულაცია. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დანერგილი იქნება სრულად 30, ხოლო ნაწილობრივ 12 რეგულაცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საშუალოვადიან პერიოდში 14-მდე ევრორეგულაციის დანერგვა და ეროვნულ მოთხოვნებში ასახვა; მათ შორის, 2025 წელს - 3 ევრო რეგულაცია, 2026 წელს - 3 ევრო რეგულაცია; 2027 წელს - 4 ევრო რეგულაცია; ხოლო 2028 წელს 4 ევრო რეგულაცია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - რეგულაციების დანერგვის ვადების დაუცველობა რეგულაციების სისტემატიური ცვლილებების გამო 2. **ინდიკატორის დასახელება** - იკაოს სტანდარტების ეფექტური დანერგვის მაჩვენებლი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით იკაოს სტანდარტების ეფექტური დანერგვის მაჩვენებლი იქნება 87,64%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო სტანდარტების და პრაქტიკის ეფექტური იმპლემენტაციის არსებული მაჩვენებლის (87.64%) შენარჩუნება და გაუმჯობესება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - დანერგვის ვადების დაუცველობა კვალიფიკაციის სპეციალისტების შენარჩუნების/მოზიდვის სირთულიდან გამომდინარე

შავ ზღვაში საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაზე (წყლებზე) უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფა (24 29)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 14 - წყალქვეშა რესურსები
აღწერა და მიზანი	შავ ზღვაში საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაზე (წყლებზე) თანამედროვე სანავიგაციო საშუალებების და მოწყობილობების მუდმივი ჩანაცვლებისა და განახლების უზრუნველყოფა; უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად პორტების აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მეტეოროლოგიური მოწყობილობებით; უსაფრთხო ნაოსნობის მხარდასაჭერად სანავიგაციო ქაღალდის და ელექტრონული რუქების ახალი სახეობისა და მასშტაბის განვითარება; პორტების თანამდეროვე რადიო-ნავიგაციური მოწყობილობებით აღჭურვა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შავ ზღვაში საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაზე (წყლებზე) განთავსებული თანამდეროვე მოთხოვნების შესაბამისი სანავიგაციო მოწყობილობათა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს ნაოსნობის უსაფრთხოების დონის ამაღლებას (IALA-ს სახელმძღვანელო: 1077 - სანავიგაციო ნიშნების ტექნიკური მომსახურება; IALA-ს რეკომენდაცია: R1001- IALA - MBS (MARITIME BUOYAGE SYSTEM) - საზღვაო ქერქეჭელების სისტემა; IALA-ს რეკომენდაცია: R E110- სანავიგაციო ნიშნების ნათების გამოკრთომების რიტმების მახასიათებლები; IALA-ს რეკომენდაცია: R0108(E-108) – საზღვაო სანავიგაციო ნიშნებზე ვიზუალურ სიგნალებად გამოყენებული ზედაპირი ფერები); თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მეტეოროლოგიური მოწყობილობები, რომლებიც უზრუნველყოფს ფაქტიური ამინდის სიზუსტეს. მომხმარებლებს მიეწოდებათ მონაცემები ზღვის სანაპიროს დამატებითი რაიონებიდან უსაფრთხო ნავიგაციის უზრუნველსაყოფად; საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის რეკომენდაციებისა და რეზოლუციის შესაბამისად შექმნილი ნაოსნობის უსაფრთხოების საჭიროების დამაკმაყოფილებელი საზღვაო (ქაღალდისა და ელექტრონული) ახალი რაიონებისა და მასშტაბების რუკები. გამოცემული საზღვაო პუბლიკაციები რეკომენდირებული გზების (ნაოსნობის რეჟიმი) და შუქურების ჩამონათვალის შესახებ. საერთაშორისო რუკების კატალოგში (MEDINTECHART, INT NUMBER) GE ლოგოთი და ნაციონალურ კატალოგში ნაციონალური ნომრით (NATIONAL NUMBER) გამოქვეყნებული და მომხმარებლამდე მიწოდებული საქართველოს საზღვაო რუკები; ნავიგაციური ტელექსის (NAVDAT) მეშვეობით გაგზავნილი შეტყობინებების გაზრდილი გავრცელების არეალი (500 KHz). უფრო მეტ მცურავ საშუალებას ექნება შესაძლებლობა მიიღოს სანავიგაციო შეტყობინებები და იხელმძღვანელოს ინფორმაციით.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში, გამართული მუშაობის მხარდასაჭერად, თანამედროვე სანავიგაციო საშუალებათა მოწყობილობების ჩანაცვლება, განახლების უზრუნველყოფა; **საბაზისო მაჩვენებელი** - საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში, ნავსადგურებსა და მისასვლელ არხებში განთავსებულია სახმელეთო და მცურავი სანავიგაციო ნიშნები, რომლებსაც ნაოსნობის უსაფრთხოების დონის ზრდადი მოთხოვნების და ამ მიმართულებით მსოფლიოში დანერგილ სტადარტების შესაბამისად მუდმივად ესაჭიროება მოდერნიზაცია და ახლის დანერგვა; სანავიგაციო ნიშნების მომსახურება- აწევა-დატვირთვისთვის სამსახურს არ გააჩნია ავტო ამწე, ყოველწლიურად ხორციელდება ელ. ტენდერის მეშვეობით ავტოამწის მომსახურების შესყიდვა, იხარჯება დიდი ფინანსური რესურსი და ყოვნდება მომსახურების ოპერატიულობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სანავიგაციო საშუალებათა მოწყობილობების შეძენა/ჩანაცვლება ახალი თანამედროვე მოწყობილობა–დანადგარებით; უსაფრთხო ნავიგაციისათვის სანავიგაციო ნიშნების განთავსება ნავიგაციის ინტენსივობის გათვალისწინებით საჭიროების შესაბამისად (2025-2028წწ) ფოთის ახალი ნავსადგურის მარკირება სტანდარტის შესაბამისი სახმელეთო და მცურავი სანავიგაციო ნიშნებით უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად;(2026-2027წწ); ავტოამწის შესყიდვა 2025წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო სანავიგაციო ნიშნების მოწყვეტა/გადაადგილება საშტატო ადგილიდან ან დაზიანება; ფოთის ნავსადგურის გაფართოების, დაღრმავებითი სამუშაოების და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პროექტების შეფერხება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად პორტების აღჭურვა ალტერნატიული თანამედროვე მეტეოროლოგიური მოწყობილობებით; **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს საზღვაო სივრცეში, სანაპირო ზოლში (ანაკლია,ყულევი,ქობულეთი,სარფი-კვარიათი) მეტეო მონაცემების მისაღებად სამსახურს არა აქვს განთავსებული თანამედროვე ტექნოლოგებით აღჭურვილი სახმელეთო მეტეოროლოგიური სადგურები. ფოთის პორტში განთავსებული ზღვის დონის და ნჩქრევის საზომი მეტეო სადგური. ხანგრძლივი ექსპულატაციის პერიოდში, განიცდის ტექნიკურ ცვეთას, იწურება ექსპლუატაციის ვადა და ამორტიზირებული ხდება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყულევის პორტში ზღვაზე მეტეოროლოგიური მონაცემების მისაწოდებელი ახალი მეტეოროლოგიურ-ოკეანოგრაფიული ტივტივაის განთავსება-2026წ; კოლხეთისა და აჭარის მონაკვეთების სანაპირო ზოლის აღჭურვა თანამედროვე სახმელეთო მეტეოროლოგიური სადგურებით (2025-2026წწ.); ფოთის პორტის აკვატორიაში ახალი ზღვის დონის და ნჩქრევის საზომი მეტეო სადგურის განთავსება (2028წ.); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - შეძენილი მანქანა დანადგარების მოწოდების შეფერხება **3.** **ინდიკატორის დასახელება** - უსაფრთხო ნაოსნობის მხარდასაჭერად სანავიგაციო ქაღალდის და ელექტრონული რუკების ახალი სახეობისა და მასშტაბის განვითარება; **საბაზისო მაჩვენებელი** - ზღვის ბათიმეტრიული კვლევებისა და გეოდეზიური აღწერის შედეგად შექმნილია ქაღალდისა და

	სანავიგაციო ელექტრონული რუკები, რომლებიც გემების კაპიტნებისათვის უზრუნველყოფენ უსაფრთხო საზღვაო მარშრუტების მიწოდებას. ასათვისებელია ზღვის გამოუკვლევი რაიონები; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** რუკების პორტფოლიოში ახალი რუკების დამატება, სანავიგაციო, ელექტრონული და ქაღალდის რუკების წარმოება ,ბათიმეტრიული კვლევების ჩატარება, ახალი საზღვაო რაიონების სიღრმეების იდენტიფიცირება და მონაცემების განახლება (2025-2028 წწ) HYPACK - ჰიდროგრაფიული კვლევის პროგრამული უზრუნველყოფის განახლება, მრავალსხივიანი და ერთსხივიანი ექოლოტებისათვის - 2025წ; ჰიდროგრაფიული კვლევის, გრუნტისა და ფსკერქვეშა პროფილების შემსწავლელი აპარატის შეძენა - 2026წ; საზღვაო მაგნიტომეტრის შეძენა, ზღვის ფსკერზე მეტალის ობიექტების აღმოსაჩენად - 2027; დისტანციურად მართვადი წყალქვეშა კამერა-მანიპულატორი - წყალქვეშა ობიექტების დათვალიერება, ინსპექტირება, ძებნა და საჭიროების შემთხვევაში მანიპულატორის საშუალებით წყლიდან ამოღება ან/და მასზე ბაგირის დამაგრება, წყალქვეშ დამონტაჟებული საკვლევი აღჭურვულობების დათვალიერება- ინსპექტირება, ნავმისადგომების ხიმინჯების ინსპექტირება, მცურავი საშუალებების წყალქვეშა ნაგებობების შემოწმება. -2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** საკვლევი აღჭურვილობებისა და კომპიუტერული სისტემების მწყობრიდან გამოსვლა; კადრების გადინება **4.** **ინდიკატორის დასახელება -** პორტების რადიო-ნავიგაციური მოწყობილობებით აღჭურვა; NAVDAT სისტემის დანერგვა; **საბაზისო მაჩვენებელი -** ნავიგაციური ტელექსის მეშვეობით შეტყობინებები იგზავნება მხოლოდ ნაციონალურ სიხშირეზე; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ნავიგაციური ტელექსის (NAVDAT) მეშვეობით გაგზავნილი შეტყობინებების გაზრდილი გავრცელების არეალი (500 KHz). უფრო მეტ მცურავ საშუალებას ექნება შესაძლებლობა მიიღოს სანავიგაციო შეტყობინებები და იხელმძღვანელოს ინფორმაციით-(2027-2028წწ); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** მწარმოებლის მოძიება და მასთან კომუნიკაციის დროში დაყოვნება, ტექნიკოსების მოძიება რომლებიც დააინსტალირებენ და გამართავენ სისტემას

განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი
32 02	სკოლამდელი და ზოგადი განათლება	1,808,455.0	1,808,275.0	180.0	2,000,215.0	2,088,425.0	2,218,310.0
32 07	ინფრასტრუქტურის განვითარება	450,115.0	450,115.0	0.0	550,000.0	600,000.0	600,000.0
25 06	ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	346,000.0	346,000.0	0.0	200,000.0	100,000.0	100,000.0
32 04	უმაღლესი განათლება	636,405.0	171,320.0	465,085.0	638,820.0	653,670.0	667,270.0
32 03	პროფესიული განათლება	188,965.0	144,000.0	44,965.0	210,905.0	220,460.0	229,700.0
32 05	მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	89,280.0	86,080.0	3,200.0	96,029.0	103,440.0	109,121.0
32 06	ინკლუზიური განათლება	79,500.0	79,500.0	0.0	83,885.0	84,490.0	85,180.0
32 01	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	98,910.0	76,880.0	22,030.0	128,404.0	133,085.0	138,605.0
33 02	სახელოვნებო და სასპორტო სფეროში უმაღლესი განათლება	33,012.0	21,750.0	11,262.0	33,006.0	33,006.0	33,006.0
32 11	თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის - პროექტი (ADB)	20,000.0	20,000.0	0.0	17,250.0	2,320.0	0.0
32 10	პროფესიული განათლება I (KfW)	20,000.0	20,000.0	0.0	29,550.0	31,000.0	0.0
32 09	ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB)	15,500.0	15,500.0	0.0	9,000.0	0.0	0.0
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	14,697.0	14,697.0	0.0	15,571.8	15,571.8	15,571.8
33 04	სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა	10,417.0	8,980.0	1,437.0	10,928.0	10,928.0	10,928.0
30 04	სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება	8,520.0	8,300.0	220.0	8,520.0	8,520.0	8,520.0
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	6,355.0	5,600.0	755.0	6,555.0	6,755.0	6,955.0
26 04	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებული პირების გადამზადება	8,618.0	4,000.0	4,618.0	9,118.0	9,818.0	9,818.0

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	3,600.0	3,600.0	0.0	3,000.0	3,300.0	3,800.0
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	3,500.0	3,470.0	30.0	3,630.0	3,830.0	4,030.0
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	2,245.0	1,500.0	745.0	2,595.0	2,945.0	3,295.0
24 16	საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა	10,600.0	1,400.0	9,200.0	11,400.0	11,900.0	12,400.0
28 02	მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში	1,320.0	1,300.0	20.0	1,370.0	1,420.0	1,470.0
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	693.1	693.1	0.0	752.5	827.7	910.5
58 00	ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი	689.0	0.0	689.0	700.0	700.0	700.0
61 01	სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - "საქპატენტი"	13,000.0	0.0	13,000.0	13,000.0	13,000.0	13,000.0
61 02	ა(ა)იპ - ორიჯინ-საქართველო	300.0	0.0	300.0	300.0	300.0	300.0
ჯამი		**3,870,696.1**	**3,292,960.1**	**577,736.0**	**4,084,504.3**	**4,139,711.5**	**4,272,890.3**

სკოლამდელი და ზოგადი განათლება (32 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური; სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო; სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა; სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი; სსიპ - ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ თბილისის N123 საჯარო სკოლა
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.1.2 (განათლება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 5 - გენდერული თანასწორობა ადამიანური კაპიტალის მიზნები N2.1.1 (განათლება) ადამიანური კაპიტალის მიზნები N4.1 (განათლება) გენდერული თანასწორობა ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.1.1 (განათლება) ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება ადამიანური კაპიტალის მიზნები N2.1.2 (განათლება) ადამიანური კაპიტალის მიზნები N2.1.3 (განათლება)
აღწერა და მიზანი	ზოგადი განათლების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და სისტემის განვითარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ადრეული და სკოლამდელი განათლების საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტების განვითარება და მათი დანერგვის ხელშეწყობა; ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მეთოდოლოგიური მხარდაჭერა; ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტებისა და პროცედურების დამტკიცება/დანერგვა, მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება სტანდარტების დასაკმაყოფილებლად; 2030-2031 სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა საჯარო სკოლის ავტორიზაციის უზრუნველყოფა; ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შესაბამისი სასწავლო რესურსების შექმნა და განვითარება; ფართომასშტაბიანი სასკოლო შეფასების სისტემა დანერგვა;

	ახალი სახელმძღვანელოების შექმნა გრიფირების განახლებული პროცედურებით; მთელი საქართველოს მასშტაბით ინკლუზიური განათლების კომპონენტების დანერგვა და განვითარება სსსმ/შშმ პირებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მათზე მორგებული სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით; ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ დაწესებულებსა და სკოლებში სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით სახელმწიფო ენის ფლობის დონის ასამაღლებლად და სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმების შექმნა, მანდატურების, ასევე უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირების გადამზადების პროგრამების განხორციელება; მასწავლებლის პროფესიის რეგულირების ახალი წესის შემუშავება, მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათი პროფესიული საჭიროებების შესაბამისად; სწავლა-სწავლების პროცესისა და სკოლების მართვის გასაუმჯობესებლად სკოლების დირექტორების, როგორც საგანმანათლებლო ლიდერების, პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; ზოგადი განათლების სისტემაში ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების მოზიდვა; სწავლა-სწავლების პროცესში საჯარო სკოლებში ტექნოლოგიების გამოყენებისა და დისტანციური სწავლების როლის გაძლიერება და მრავალფეროვანი ციფრული რესურსებისა და დამხმარე სასწავლო მასალების შექმნა/დანერგვა; სკოლებში თანამედროვე მოთხოვნებისა და შესაძლებლობების საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება; სკოლების აღჭურვა შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიებითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით; იმ მოსწავლეების სკოლებში ტრანსპორტირების ხელშეწყობა, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა), სადაც სკოლები არ ფუნქციონირებს და სოფლებს/დაბებს შორის დიდი მანძილია, აგრეთვე აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები; სასკოლო ინიციატივების წახალისება;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მნიშვნელოვნად გაზრდილია სკოლების საინფორმაციო-ტექნოლოგიური შესაძლებლობები და შესაბამისად, განათლების ხარისხი; სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიები, რაც სწავლას უფრო საინტერესოს და ინფორმატიულს ხდის; სასკოლო გარემო მოსწავლეებისათვის მიმზიდველი, საინტერესო და ხალისიანია; ოკუპირებულ რეგიონებში ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესი მხარდაჭერილია; მოსწავლეების ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფილია აუცილებელი ფინანსური რესურსებით, სასკოლო სახელმძღვანელოებით, სამუშაო რვეულებით, მოსწავლეთა მიზნობრივი ჯგუფები კი - უფასო ტრანსპორტირებით; წახალისებულია სასკოლო ინიციატივები; ეროვნული სასწავლო გეგმა, საგნობრივი სტანდარტები და პროგრამები გადამუშავებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ადგილობრივი გამოწვევების გათვალისწინებით; ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი განათლების დივერსიფიცირებული პროგრამები შემუშავებულია, რაც ხელს უწყობს სტანდარტების დანერგვასა და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უკეთ წარმართვას; 2030-2031 სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა საჯარო სკოლა ავტორიზირებულია.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - უსადენო (wi-fi) ინტერნეტით აჭურვილი სულ სკოლების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 500; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1000-ზე მეტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკური შეფერხება და დამატებითი სამუშაოები **2.** **ინდიკატორის დასახელება** - ეროვნულ სასწავლო და საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებულ მოსწავლეთა წლიური მაქსიმალური რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 150;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - 200; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ავტორიზებული სკოლების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2023 წელს ავტორიზაცია მოიპოვა 310 სამსაფეხურიანმა და 22 ორსაფეხურიანმა საჯარო სკოლამ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 600-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკური შეფერხება და დამატებითი სამუშაოები **4.** **ინდიკატორის დასახელება** - პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 41 718; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 70 000; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - პირისპირ ტრენინგკურსის ჩატარებისას ჯგუფების ორგანიზება გეოგრაფიული ფაქტორის მაქსიმალური გათვალისწინებით **5.** **ინდიკატორის დასახელება** - საჯარო სკოლის მოსწავლეების ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა: მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის % - ული მაჩვენებელი სასკოლო სახელმძღვანელოების ბენეფიციარების % - ული მაჩვენებელი პირველკლასელებისა და მათი დამრიგებლების პორტაბელური კომპიუტერით/ბუქით უზრუნველყოფის % - ული მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 100% (86 500); 100%; 100% (58 000); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100%; 100%; 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკური შეფერხება და დამატებითი სამუშაოები; მეტეოროლოგიური პირობები და უამინდობა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (32 02 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ადამიანური კაპიტალის მიზნები N2.1.2 (განათლება) ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.1.2 (განათლება) ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) ადამიანური კაპიტალის მიზნები N2.1.1 (განათლება)

აღწერა და მიზანი	საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების დაფინანსების უზრუნველყოფა ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერით ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეთა რაოდენობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობის, სკოლის ექიმის/ექთნისა და საჯარო სკოლაში ბილინგვური სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის კოორდინატორის შრომის ანაზღაურების, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის, ადმინისტრაციული, სკოლის მოვლა-შენახვისა და სკოლის განვითარებისთვის საჭირო და სხვა ხარჯების გათვალისწინებით, რაც სკოლებს შესაძლებლობას აძლევს, სრულად შეასრულონ თავიანთი ფუნქცია-მოვალეობები.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უზრუნველყოფა აუცილებელი ფინანსური რესურსით; მოსწავლეთათვის ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** დაფინანსებული სკოლების პროცენტული მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი -** 100%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 100%

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (32 02 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება
აღწერა და მიზანი	განათლების სისტემაში დასაქმებულ პირთა, მათ შორის, სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაწესებულებაში მომუშავე პირების (დირექტორებისა და მასწავლებლების) პროფესიული განვითარება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება; ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლისა და სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვის, ხელმისაწვდომობისა და გავრცელების ხელშეწყობა; მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების განვითარების, ეფექტური დანერგვისა და რესურსების შექმნის გზით მასწავლებელთა ზოგადი და საგნობრივი პროფესიული კომპეტენციების განვითარება; ეროვნული უმცირესობებისთვის ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფა სახელმწიფო ენის გაძლიერებით;

	მაღალმთიანი და ბარის შორეული სოფლების საჯარო სკოლებში კვალიფიციური კადრების მოზიდვის გზით სწავლა - სწავლების პროცესის ხელშეწყობა და განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა; არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერა - ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაწესებულებებში მომუშავე პირებისთვის (დირექტორებისა და მასწავლებლებისთვის), განხორციელებულია პროფესიულ გადამზადებაზე ორიენტირებული აქტივობები (ტრენინგი, სემინარი, ვებინარი, მასტერკლასი და სხვა); განათლების სისტემაში სახელმწიფო ინსტიტუციებისა და დონორების მიერ შექმნილი რესურსები და სერვისები ხელმისაწვდომია მასწავლებელებისათვის, დირექტორებისათვის, მშობლებისა და მოსწავლეებისათვის; ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მუნიციპალიტეტების არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივმა მასწავლებლებმა გაიუმჯობესეს ქართული ენის ფლობის დონე, მეორე ენის მასწავლებლებმა კი - საგნის სწავლების მეთოდური უნარები. ამასთანავე, ნაწილობრივ შეივსო არაქართულენოვანი სკოლების საკადრო დეფიციტი.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული მუნიციპალიტეტების არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მივლენელი კონსულტანტ მასწავლებლების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 145; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 188; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - მასწავლებელთა ცვალებადი საჭიროებები **2.** **ინდიკატორის დასახელება** - მაღალმთიანი და ბარის შორეული სოფლების საჯარო სკოლებში მივლენელი კვალიფიციური მასწავლებლების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 144; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 160; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - მასწავლებელთა ცვალებადი საჭიროებები **3.** **ინდიკატორის დასახელება** - პორტალზე „განათლების e-სახლი“ ხელმისაწვდომი რესურსების (სტატიები, ბლოგები, ვიდეო-აუდიო ჩანაწერები) რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2 500;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - 3 200; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** ახლად შექმნილი პორტალთან დაკავშირებული სირთულეები

უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (32 02 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება გენდერული თანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 5 - გენდერული თანასწორობა ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა უსაფრთხო გარემოს შექმნა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; საგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემა; საგანმანათლებლო დაწესებულებაში განაწილებული საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაზრდილია მანდატურთა ჩართულობა რისკის ქვეშ მყოფი შემთხვევების მართვაში, უზრუნველყოფილია რისკის ქვეშ მყოფ შემთხვევათა სწრაფი იდენტიფიკაცია და ადეკვატური რეაგირება; გაცემულია რეკომენდაციები უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე; განხორციელებულია საგანმანათლებლო დაწესებულებებში განაწილებულ მანდატურთა მონიტორინგი;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების რაოდენობა, რომელიბიც საჯარო სკოლებში უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას; **საბაზისო მაჩვენებელი -** 1880 (1600 ქალი, 280 მამაკაცი); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 1880 (1600 ქალი, 280 მამაკაცი); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%;

	შესაძლო რისკები - კადრების გადინების მაღალი მაჩვენებელი **2.** **ინდიკატორის დასახელება** - სკოლების რაოდენობა, სადაც წარმოდგენილია მანდატურის სამსახური; **საბაზისო მაჩვენებელი** - 719; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 719; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%; **შესაძლო რისკები** - კადრების გადინების მაღალი მაჩვენებელი **3.** **ინდიკატორის დასახელება** - სკოლების რაოდენობა, სადაც გაცემულია რეკომენდაციები უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე; **საბაზისო მაჩვენებელი** - 150; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 150; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 4%; **შესაძლო რისკები** - კადრების გადინების მაღალი მაჩვენებელი

წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (32 02 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო; სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება გენდერული თანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 5 - გენდერული თანასწორობა
აღწერა და მიზანი	მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების თანაბრად კონკურენტულ გარემოში რეალიზების ხელშეწყობისა და მათი საერთაშორისო დონეზე წარმოჩენის მიზნით ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადების ორგანიზება; საერთაშორისო ოლიმპიადებზე, მათ შორის ევროპის გოგონათა მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე (European Girls Mathematical Olympiad) საქართველოს სასკოლო/ეროვნული გუნდების მონაწილეობის ხელშეწყობა. მოსწავლეების აკადემიური მოსწრების წახალისება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსწავლეები მოტივირებული არიან მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში და გაიღრმავონ ცოდნა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კონკრეტულ საგნებში;

	სასწავლო ოლიმპიადების შედეგად, საგნების მიხედვით, გამოვლენილია მოსწავლეთა საუკეთესო ათეულები; გამოვლენილია საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილე ნაკრები გუნდების კანდიდატები; გაზრდილია ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით მოსწავლეების დაინტერესება; საქართველო 100-ზე მეტ ქვეყანასთან ერთად ჩართულია ერთობლივ საგანმანათლებლო ღონისძიებაში; წარჩინებული მოსწავლეები დაჯილდოებულნი არიან ოქროსა და ვერცხლის მედლებით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - ეროვნულ ოლიმპიადაზე მონაწილე ბენეფიციართა მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 19 000 - მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 20 000; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია **2.** **ინდიკატორის დასახელება** - საერთაშორისო ოლიმპიადაზე მონაწილე გუნდების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 5; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 5; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - მოსწავლეთა დაბალი მოსწრება და მოტივაცია **3.** **ინდიკატორის დასახელება** - მედალოსანი მოსწავლეების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 7 000; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 7 000; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - მოსწავლეთა დაბალი მოსწრება და მოტივაცია

განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა (32 02 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ – ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლა
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება

აღწერა და მიზანი	განსაკუთრებული ფიზიკურ-მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების მიერ საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზების ხელშეწყობის მიზნით მათი ხარისხიანი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდებით; სკოლა-პანსიონის ბენეფიციარებისთვის უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სსიპ – ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ პანსიონური მომსახურებით; **საბაზისო მაჩვენებელი** - 100; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - პანსიონური მომსახურების საჭიროების მქონე მოსწავლეთა ნაკლებობა

მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (32 02 06)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლეების, კერძო სკოლების იმ მოსწავლეების, რომლებიც სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი ოჯახებიდან არიან და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული სხვა კატეგორიების მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელმისაწვდომია სახელმძღვანელოები საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა კატეგორიების მოსწავლეებისთვის, ასევე კერძო სკოლის იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებიდან და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - საჯარო სკოლის მოსწავლეთა %-ული მაჩვენებელი, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან სასკოლო სახელმძღვანელოებით; **საბაზისო მაჩვენებელი** - 100%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100%;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 2%; **შესაძლო რისკები -** ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით შეფერხებები

ოკუპირებული რეგიონების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (32 02 07)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება
აღწერა და მიზანი	გალის რაიონის სკოლებისა და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე ახალგორის რაიონის ფუნქციონირებადი სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფილია ოკუპირებული რეგიონების პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** ოკუპირებულ რეგიონებში ფუნქციონირებადი სკოლების მასწავლებელებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებით; **საბაზისო მაჩვენებელი -** 1066; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 1066; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება

ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (32 02 08)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ - თბილისის N123 საჯარო სკოლა
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება
აღწერა და მიზანი	პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ბრალდებული და მსჯავრდებული მოსწავლეების ზოგადი განათლების უფლების უზრუნველყოფა, რაც მნიშვნელოვანია მათი პიროვნული და აკადემიური განვითარებისთვის; პენიტენციურ დაწესებულებებში ყოფნის პერიოდში ბრალდებულისა და მსჯავრდებულის მიერ იმ უნარების შეძენა, რომლებიც მათ გათავისუფლების შემდეგ დასაქმებაში დაეხმარება;

	პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ბრალდებული და მსჯავრდებული მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების მომსახურების მიწოდება და მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვნებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ სრული ზოგადი განათლება, რაც მათ განათლების შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელების და/ან დასაქმების საშუალებას მისცემს.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ზოგად განათლების მომსახურების მომღები ბრალდებული-მსჯავრდებული მოსწავლეების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 100; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - პენიტენციურ დაწესებულებაში ბენეფიციართა არარსებობა ან უარი სასწავლო პროცესში ჩართვაზე

ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სახელმძღვანელოების განვითარება (32 02 09)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება
აღწერა და მიზანი	ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ახალი დოკუმენტის შესაბამისად ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება, ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე საგნობრივი სასწავლო გეგმების რევიზია და ეროვნული სასწავლო გეგმის სხვა მხარდამჭერი ღონისძიებების (საკონსულტაციო მხარდაჭერა სკოლებისთვის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვა უწყებებთან თანამშრომლობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებულ საკითხებზე, საექსპერტო შეფასებები და სხვა) განხორციელება; ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდაჭერა ქართულენოვან სკოლებში სამუშაო შეხვედრების მოწყობით, ამ გეგმის პრიორიტეტული თემების პილოტირებით, საგნობრივი გზამკვლევებისა და სხვა ინსტრუქციების მომზადებით; ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება და სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში: ბილინგვური სკოლამდელი განათლება და ბილინგვური სკოლა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა დანერგილია ყველა სკოლაში; ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარებისა და დანერგვის მიზნით გადამუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის

	სტანდარტები; განხორციელებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული თემების პილოტირება სკოლებში; შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი გზამკვლევები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - განახლებულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 16; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსის მოძიება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - ბილინგვური განათლების დანერგვაში ჩართული არაქართულენოვანი სკოლებისა და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 184/34; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 295/56; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ადამიანური რესურსის დეფიციტი

საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (32 02 10)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება
აღწერა და მიზანი	ისეთ დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) მცხოვრები მოსწავლეების, სადაც სკოლები არ ფუნქციონირებს ან სოფლებს/დაბებს შორის დიდი მანძილია, ასევე სოფლის/დაბის/ქალაქის საჯარო სკოლის შშმ და სსსმ სტატუსის მქონე, ეტლით მოსარგებლე მოსწავლეების და საჯარო სკოლებში მიმდინარე სამშენებლო/სარებილიტაციო სამუშაოებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა რთული გეოგრაფიული და კლიმატური პირობების მქონე დასახლებების მოსწავლეთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის;

	გაზრდილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებელი. მინიმუმამდეა დაყვანილი გაკვეთილებზე დაგვიანების ფაქტები;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 86 500 (ბენეფიციართა 100%); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ბენეფიციართა 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - მეტეოროლოგიური პირობები და უამინდობა; შიდა საგზაო ინფრასტრუქტურა; კონტრაქტორის მიერ შეუსრულებელი მომსახურება

პროგრამა "ჩემი პირველი კომპიუტერი" (32 02 11)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება
აღწერა და მიზანი	საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეებისა და მათი დამრიგებლების პორტაბელური კომპიუტერებით (ნოუთბუქებით) უზრუნველყოფა;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პირველკლასელი მოსწავლეები და მათი დამრიგებლები უზრუნველყოფილია პორტაბელური კომპიუტერებით (ნოუთბუქებით);
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - პორტაბელური კომპიუტერების (ბუკები) რაოდენობა, რომელიც შესყიდულია პირველკლასელი მოსწავლეებსა და მათი დამრიგებლებისთვის; **საბაზისო მაჩვენებელი** - 58 000; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 55 500; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ტექნიკური შეფერხება და დამატებითი სამუშაოები

ზოგადი განათლების ხელშეწყობა (32 02 12)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება
აღწერა და მიზანი	საქართველოში თავშესაფრის მაძიებლებისა და საერთაშორისო დაცვის მქონე არასრულწლოვანებისთვის ქართული ენის სწავლება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული არასრულწლოვანებისთვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეების ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა; დუშეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ბაზაზე დამატებითი მომსახურების სახით პანსიონური მომსახურების მიწოდებისას მოსწავლეების მიერ საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზების ხელშეწყობის მიზნით მათი ხარისხიანი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებით უზრუნველყოფა; მოსწავლეებში პატრიოტული სულისკვეთების, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლება; საქართველოსა და მსოფლიოს წინაშე არსებული საფრთხეებისა და მათზე რეაგირების მექანიზმების გაცნობა; საგანგებო ვითარებაში უსაფრთხო ქცევის, თვითგადარჩენისა და სხვისი დახმარების უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობა; უკრაინიდან საომარი მოქმედებების შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსული არასრულწლოვნებისთვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ზოგადი განათლების მიღებით უზრუნველყოფილნი არიან თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე და შსს მიგრაციის დეპარტამენტში დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული არასრულწლოვნები; გაზრდილია გალის რაიონში სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა კონკურენტუნარიანობა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე; დუშეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლა-პანსიონების ბენეფიციარებში უზრუნველყოფილია სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა, შექმნილია ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული სადღეღამისო მომსახურების პირობები. სკოლებში გაზრდილია არაფორმალური განათლების როლი;

	მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ საგანგებო ვითარებაში უსაფრთხო ქცევის, თვითგადარჩენისა და სხვისი დახმარების უნარ-ჩვევები. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უკრაინულ ენაზე ზოგადი განათლების მიღების მსურველი მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია უკრაინული და ქართული ეროვნული სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული მომსახურებები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი და საერთაშორისო დაცვის მქონე არასრულწლოვან ბენეფიციართა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 23; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 25; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - უკრაინიდან დევნილი მოსწავლეების რაოდენობა, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან ზოგადი განათლების მიღებით; **საბაზისო მაჩვენებელი** - 1 500-მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1 500-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება **3.** **ინდიკატორის დასახელება** - გალის რაიონის პედაგოგთა/მოსწავლეთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 46/280; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 46/280; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით **4.** **ინდიკატორის დასახელება** - პანსიონური მომსახურების ხელმისაწვდომობა და ბენეფიციარების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 18; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 18; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების ნაკლებობა **5.** **ინდიკატორის დასახელება** - მოსწავლეების რაოდენობა ვინც სწავლობს საგანს „სამხედრო საქმე“; **საბაზისო მაჩვენებელი** - 5 000;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - 5 100; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** საპილოტე სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილება

მასწავლებლის ეროვნული პრემია (32 02 13)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება
აღწერა და მიზანი	განათლების სისტემის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ღვაწლმოსილ მასწავლებლების დაჯილდოვება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ამაღლებულია მასწავლებელთა მოტივაცია
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** ეროვნული პრემიით დაჯილდოვებული მასწავლებელების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 10; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 10; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** მონაწილეთა ნაკლები ჩართულობა

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (32 02 14)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო; სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) ადამიანური კაპიტალის მიზნები N4.1 (განათლება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება
აღწერა და მიზანი	სასწავლო პროცესში კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირების, ელექტრონული რესურსებისა და სერვისების, ვირტუალური ლაბორატორიების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საჯარო სკოლების Wi-Fi-ითა და შესაბამისი ტექნოლოგიებით (ნოუტბუკი, პროექტორი, პრინტერი) უზრუნველყოფა;

	სკოლების ვირტუალური საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვა; სასწავლო პროცესში ელექტრონული რესურსებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის მიზნით, საჯარო სკოლებში ინტერნეტკავშირის უზრუნველყოფა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობა; სასწავლო პროცესში ელექტრონული რესურსებისა და სერვისების უზრუნველყოფის მხარდაჭერა; საჯარო სკოლებში ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამართული ფუნქციონირება და ინტერნეტკავშირის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სკოლები აღჭურვილია კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიებით ვირტულაური საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით და wifi-ის სისტემით, სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიები. საჯარო სკოლები უზრუნველყოფილია ინტერნეტ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით; გაზრდილია სასწავლო პროცესში ადგილობრივი და საერთაშორისო საგანმანათლებლო ელ. რესურსებისა და აპლიკაციების ხელმისაწვდომობა; სკოლებში დანერგილია ელექტრონული ჟურნალი, რაც ხელმისაწვდომს ხდის მშობლებისთვის, ონლაინ რეჟიმში, მოსწავლეების დასწრებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციას; სკოლებში სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; ქსელური ინფრასტრუქტურის და თანამედროვე სისტემების დანერგვის შედეგად, გაუმჯობესდა მონაცემთა გადაცემისა და უსაფრთხოების ხარისხი.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სულ საჯარო სკოლების რაოდენობა, მოწყობილია კორპორატიული სტანდარტის უსადენო (Wi-Fi) ქსელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 500; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 350-მდე (მათ შორის 300 სკოლაში სწავლობს 170 და მეტი მოსწავლე); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი შესყიდვის პროცესის გახანგრძლივება/ შემსრულებლის მიერ მომსახურების მოწოდების ვადების გადაცდომა. საჯარო სკოლების ცენტრალიზებული უკაბელო ქსელით უზრუვნელყოფის პოლიტიკის ცვლილება

	2. **ინდიკატორის დასახელება -** სკოლების/კომპიუტერული ლაბორატორიების რაოდენობა, სადაც სწავლობს 170 და მეტი მოსწავლე; **საბაზისო მაჩვენებელი -** 279 საჯარო სკოლა: 13 611 - პორტაბელური კომპიუტერი; 546 - პრინტერი და კარტრიჯი; 1 423 - პროექტორი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 261 საჯარო სკოლა: 12 686 - პორტაბელური კომპიუტერი; 522 - პრინტერი და კარტრიჯი; 1 384 - პროექტორი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 30%; **შესაძლო რისკები -** ტექნიკური შეფერხება და დამატებითი სამუშაოები **3.** **ინდიკატორის დასახელება -** სულ სკოლების რაოდენობა, სადაც განთავსებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 0; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 100; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 30%; **შესაძლო რისკები -** ტექნიკური შეფერხება და დამატებითი სამუშაოები **4.** **ინდიკატორის დასახელება -** სკოლების ინტერნეტ კავშირის ხელმისაწვდომობა და კავშირების სიჩქარის გაუმჯობესება; **საბაზისო მაჩვენებელი -** სკოლების (სსიპ ძირითადი შენობები) 100% ინტერნეტიზირებულია და ჩართულია ერთიან საგანმანათლებლო ქსელში. აქედან მაღალ გამტარიანი ოპტიკური არხებით უზრუნველყოფილია სკოლების 64% (50 Mb), ხოლო დანარჩენი სკოლების შემთხვევაში, სადაც კავშირი უზრუნველყოფილია რადიო ტექნოლოგიით, კავშირის სიჩქარე: 5-10 Mb; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მაღალ გამტარიანი ოპტიკური არხებით უზრუნველყოფილი იქნება სკოლების 66% (100 და 50 Mb), ხოლო დანარჩენი სკოლების შემთხვევაში, სადაც კავშირი უზრუნველყოფილია რადიო ტექნოლოგიით, გაუმჯობესდება კავშირის სიჩქარე: 10-20 და 30 Mb; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** ოპტიკური კავშირების დანერგვის დაბალი ტემპი რეგიონებში, შესაბამისად, მომწოდებელთა შეზღუდული შესაძლებლობები **5.** **ინდიკატორის დასახელება -** ავტორიზებული სკოლების/კომპიუტერული ლაბორატორიების რაოდენობა, სადაც სწავლობს 170 - ზე ნაკლები მოსწავლე; **საბაზისო მაჩვენებელი -** 96 საჯარო სკოლა: 2 045 - პორტაბელური კომპიუტერი; 162 - პრინტერი და კარტრიჯი; 304 - პროექტორი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მოთხოვნის შესაბამისად ავტორიზებული სკოლები აღჭურვილია კომპიუტერული ლაბორატორიებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** ტექნიკური შეფერხება და დამატებითი სამუშაოები

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა (32 02 15)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 5 - გენდერული თანასწორობა გენდერული თანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება
აღწერა და მიზანი	ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; სკოლამდელი განათლების საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა; მუნიციპალური შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხიანი და ინკლუზიური ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უზრუნველსაყოფად ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემაში დასაქმებული საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ყველა მუნიციპალიტეტში განხორციელებულია მეთოდოლოგიური და საინფორმაციო მხარდაჭერა, სახელმწიფო სტანდარტებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად; არაქართულენოვანი საბავშვო ბაღებში სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები დანერგილია ბილინგვური მიდგომით; ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში დასაქმებული საგანმანათლებლო პერსონალისათვის განხორციელებულია პროფესიულ გადამზადებაზე ორიენტირებული აქტივობები (ტრენინგ-მოდულების შემუშავება, ტრენერთა ტრენინგი, სემინარი, ვებინარი, მასტერკლასი და სხვა); ამაღლებულია მშობლების, თემის და სხვა დაინტერესებული პირების ცნობიერების დონე სკოლამდელი განათლების მნიშვნელობაზე და გაზრდილია მათი მონაწილეობა დაწესებულებებში მიმდინარე პროცესში;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 15; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 30; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ადამიანური რესურსის დეფიციტი

	2. **ინდიკატორის დასახელება** - სკოლამდელი განათლების ინკლუზიური და სამოქალაქო განათლების პრინციპების დაფუძნებით შემუშავებული მეთოდოლოგიური რესურსები/ პროგრამების რაოდენობა მუნიციპალიტეტებში; **საბაზისო მაჩვენებელი** - დანერგილია ახალი კურიკულუმი „თამაში“ 21 მუნიციპალიტეტში და სასკოლო მზაობის პროგრამა 20 მუნიციპალიტეტში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კურიკულუმი დანერგილია 21 მუნიციპალიტეტში. თანასწორთა შორის მენტორინგის პილოტირება მიმდინარეობს 10 მუნიციპალიტეტში. სასკოლო მზაობის პროგრამის დანერგვა განხორციელებულია 20 მუნიციპალიტეტში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ადამიანური რესურსის დეფიციტი **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ჩატარებული ვებინარების რაოდენობა, სკოლამდელი განათლების მნიშვნელობაზე, მშობლების ცნობიერების დონის ამაღლების მიმართულებით; **საბაზისო მაჩვენებელი** - 3; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 3 (მ.შ 1 - გენდერული თანასწორობის საკითხზე); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 35%; **შესაძლო რისკები** - ადამიანური რესურსის დეფიციტი **4.** **ინდიკატორის დასახელება** - ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმართულებით გადამზადებული ტრენერების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 100; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ადამიანური რესურსის დეფიციტი

ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 5 - გენდერული თანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) გენდერული თანასწორობა
აღწერა და მიზანი	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის სრულად ადაპტირებული და გენდერული ასპექტების გათვალისინებით ახალი სკოლების მშენებლობა, ავარიული საჯარო სკოლების გამაგრება/სრული რეაბილიტაცია. ასევე, სასკოლო ავეჯითა და შესაბამისი საჭირო ინვენტარით ყველა ახალაშენებული და რეაბილიტირებული საჯარო სკოლის აღჭურვა;

	სხვადასხვა მუნიციპალიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მშენებლობა/რეაბილიტაცია, სტუდენტური საცხოვრებლების განვითარება, საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატში არსებული დაწესებულებების ქსელის გაფართოების ხელშეწყობა, სკოლებსა და უნივერსიტეტებში პროფესიული განათლების მიწოდების მიზნით ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გამჯობესების მიზნით; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება. 2024 – 2028 წლებში საქართველოს მთავრობისა და დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და მშენებლობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებებში შექმნილია სრულყოფილი სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი პროცესის შესაფერისი გარემო;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - რეაბილიტირებული/ახალაშენებული საჯარო სკოლების/პროფესიული/უმაღლესი/სამეცნიერო/სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - დასრულებული 5 და დაწყებული 14-მდე საჯარო სკოლის მშენებლობა; დასრულებული 2 პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა; დასრულებული 3-მდე საგანმანათლებლო რესურსცენტრის რეაბილიტაცია; დასრულებული 170-მდე საჯარო სკოლის სრული და 150-მდე სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები; დასრულებული - 4-მდე პროფესიული სასწავლებლის/სახელოსნოს სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები; განხორციელდა 5-მდე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეაბილიტაცია/აღჭურვა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დასრულდება 9-მდე საჯარო სკოლის მშენებლობა, დაიწყება 30-მდე საჯარო სკოლის მშენებლობა, განხორციელდება 150-მდე საჯარო სკოლის სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია; დასრულდება 2 პროფესიული სასწავლებელის მშენებლობა და 4-მდე რეაბილიტაცია (მათ შორის სახელოსნოს მშენებლობა), რეაბილიტირებულია სამინისტროს სისტემაში შემავალი 3-მდე საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ტერიტორიული ორგანოს შენობა; განხორციელდება 4 უმაღლესი სასწავლებლის რეაბილიტაცია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით; დაქირავებული სამშენებლო კომპანი(ებ)ის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშოების არაჯეროვანი, ან დაგვიანებით შესრულება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაცია; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიის სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	აშენებული/რეაბილიტირებული/სხვადასხვა სახის ინვენტარით აღჭურვილია საჯარო სკოლები
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განვითარებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** ახალაშენებული საჯარო სკოლების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** დასრულდება - 5; დაიწყება - 14-მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** დასრულდება - 9-მდე; დაიწყება - 30-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით; დაქირავებული სამშენებლო კომპანი(ებ)ის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშოების არაჯეროვანი, ან დაგვიანებით შესრულება **2.** **ინდიკატორის დასახელება -** რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** სრული რეაბილიტაცია - 170-მდე; სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 150 მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სრული რეაბილიტაცია - 100-მდე; სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 50 მდე, მათ შორის საჯარო სკოლებში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით; მიმდინარე სასწავლო პროცესის პარალელურად სამუშაოების წარმართვა **3.** **ინდიკატორის დასახელება -** ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 42 500 ერთეული სასკოლო მერხით და სკამით უზრუნველყოფილია 358 საჯარო სკოლა; 1 415 ერთეული სასკოლო დაფით - 200 საჯარო სკოლა; სასკოლო საოფისე ავეჯით - 57 საჯარო სკოლა; 2 500 ერთეული პერსონალური

	კომპიუტერით - 245 საჯარო სკოლა; 1 150 ერთეული პრინტერით - 383 საჯარო სკოლა; სამედიცინო ოთახის ავეჯით - 500-მდე საჯარო სკოლა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების უზრუნველყოფა სხვადასხვა სახის ინვენტარით მოთხოვნის შესაბამისად; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აშენებული/აღჭურვილი საჯარო სკოლები; **საბაზისო მაჩვენებელი** - მოთხოვნის შესაბამისად თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასკოლო ავეჯითა, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვილია საჯარო სკოლები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილია საჯარო სკოლები

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის, მათ შორის, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის, გაზრდის მიზნით არსებული დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი კოლეჯების მშენებლობა და რეაბილიტაცია; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	აშენებული/რეაბილიტირებულია და სხვადასხვა ინვენტარით აღჭურვილია პროფესიული კოლეჯები
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განვითარებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - აშენებული/მშენებარე პროფესიული კოლეჯების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - დასრულდება - 2; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დასრულდება-2; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით; დაქირავებული სამშენებლო კომპანი(ებ)ის მიერ

	ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშოების არაჯეროვანი, ან დაგვიანებით შესრულება. სამშენებლო ტერიტორიის მოძიება და სანებართვო პროცედურები **2.** **ინდიკატორის დასახელება** - აშენებული/რეაბილიტირებული სახელოსნოების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - დასრულება - 4-მდე პროფესიული სასწავლებლის/სახელოსნოს სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დასრულება - 4-მდე პროფესიული სასწავლებლის/სახელოსნოს სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით **3.** **ინდიკატორის დასახელება** - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, რომლებიც აღიჭურვებიან ინვენტარით/განვითარდება ინფრასტრუქტურა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 10-მდე საგანმანათლებლო დაწესებულებაში (სპორტული მოედანი; სასაწყობე სივრცე და ა.შ); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 5; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - რეაბილიტირებული და ახალაშენებული პროფესიული დაწესებულებები; **საბაზისო მაჩვენებელი** - ახალაშენებული, რეაბილიტირებული და მატერუალური ტექნიკური ბაზით აღჭურვილი პროფესიული დაწესებულებები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაიზრდება ახალაშენებული და რეაბილიტირებული პროფესიული დაწესებულებების რაოდენობა

სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების მშენებლობა - რეაბილიტაცია, მათი სხვადასხა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეაბილიტირებულია სამინისტროს სისტემაში შემავალი რიგი სსიპ-ები და ტერიტორიული ორგანოები

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განვითარებულია სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი რიგი სსიპ-ები და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურა
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - რეაბილიტირებული, სამინისტროსა და მის სისტემაში სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების და ტერიტორიული ორგანოების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - რეაბილიტაცია - 3-მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტაცია - 3-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 35%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით; შეფერხება ტენდერით გამოვლენილი მომწოდებლების მიერ
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სამინისტროსა და მის სისტემაში სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების და ტერიტორიული ორგანოების რეაბილიტაცია; **საბაზისო მაჩვენებელი** - 3 - მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებულია სამინისტროსა და მის სისტემაში სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების და ტერიტორიული ორგანოები

უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ხელშეწყობა სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და მათი სხვადასხვა ინვენტარით აღჭურვის მიზნით;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დაფინანსებულია უმაღლსი/სამეცნიერო დაწესებულებები ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განვითარებულია უმაღლსი/სამეცნიერო დაწესებულებები ინფრასტრუქტურა
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და საჭირო ინვენტარით აღჭურვის მიზნით დაფინანსებული/განხორციელებული სამუშაოები უმაღლესი/სამეცნიერო დაწესებულებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 5; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 4;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 25%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და საჭირო ინვენტარით აღჭურვის მიზნით დაფინანსებული/განხორციელებული სამუშაოები უმაღლესი/სამეცნიერო დაწესებულებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 5; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და საჭირო ინვენტარით აღჭურვის მიზნით დაფინანსებულია/განხორციელებულია სამუშაოები უმაღლესი/სამეცნიერო დაწესებულებებში

საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება (32 07 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარების ხელშეწყობა; საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობისთვის პასუხისმგებელი მხარეების შესაძლებლობების განვითარება; საჯარო სკოლების ინვენტარიზაცია და ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის ჩამოყალიბებასათვის საწყისი ამოცანების შესრულებას, რაც უზრუნველყოფს შემდგომ წლებში მის მდგრად მუშაობას.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - საჯარო სკოლების რაოდენობა, სადაც განხორციელდება სამუშაოები მდგრადობის შენარჩუნების მიზნით; **საბაზისო მაჩვენებელი** - 26; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 30-მდე საჯარო სკოლაში განხორციელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით 2. **ინდიკატორის დასახელება** - საჯარო სკოლების რაოდენობა, რომლებიც დაფინასდა/ მიეწოდა გათბობის მიზნით საწვავი

	ბრიკეტები; **საბაზისო მაჩვენებელი** - 354 საჯარო სკოლა დაფინანსდა საწვავი ბრიკეტების შესაძენად 2023-2024 სასწავლო წელს 327 საჯარო სკოლას მიეწოდა 2 533.1 ტონა ბრიკეტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს საჯარო სკოლები მოთხოვნის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება საწვავი ბრიკეტებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით

ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია (25 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	გენდერული თანასწორობა ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება) კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია
აღწერა და მიზანი	ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განვითარება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება; სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ახალი საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების მშენებლობა, ხოლო არსებულთა რეაბილიტაცია; შშმ პირებისთვის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გაუმჯობესებული სასწავლო გარემო, ენერგოეფექტურობა და ინფრასტრუქტურა. მუნიციპალიტეტებში აშენებული-რეაბილიტირებული საჯარო სკოლები და საბავშვო ბაღები. გენდერულად თანაბარი ხელმისაწვდომობა სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე, შშმ პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - რეაბილიტირებული-აშენებული საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული-რეკონსტრუირებული და ენერგოეფექტური 13 საჯარო სკოლა. აშენებული 1 საჯარო სკოლა. მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. დაწყებული და მიმდინარე სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები. დასრულებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი. ამორტიზირებული საჯარო სკოლები და საბავშვო ბაღები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული-რეკონსტრუირებული და ენერგოეფექტური 148 საჯარო სკოლა. აშენებული 16

	ენერგოეფექტური საჯარო სკოლა. რეაბილიტირებული 555-მდე საბავშვო ბაღი. აშენებული 330-მდე საბავშვო ბაღი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები

საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია (25 06 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	გენდერული თანასწორობა კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება)
აღწერა და მიზანი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარება და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება; სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ახალი საჯარო სკოლების მშენებლობა და არსებულთა რეაბილიტაცია, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გაუმჯობესებული სასწავლო გარემო, ენერგოეფექტურობა და ინფრასტრუქტურა. მუნიციპალიტეტებში აშენებული-რეაბილიტირებული საჯარო სკოლები, გენდერულად თანაბარი ხელმისაწვდომობა სასკოლო დაწესებულებებზე და შშმ პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - რეაბილიტირებული-რეკონსტრუირებული და ენერგოეფექტური საჯარო სკოლების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული-რეკონსტრუირებული და ენერგოეფექტური 13 საჯარო სკოლა. მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. მიმდინარე სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. დასრულებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი. ამორტიზირებული საჯარო სკოლები. განხორციელებული სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურებები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული-რეკონსტრუირებული და ენერგოეფექტური 28 საჯარო სკოლა. დასრულებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი. მიმდინარე სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები 2. **ინდიკატორის დასახელება** - აშენებული ენერგოეფექტური საჯარო სკოლების რაოდენობა;

	საბაზისო მაჩვენებელი - აშენებული 1 საჯარო სკოლა. მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები. დასრულებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი. ამორტიზირებული საჯარო სკოლები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აშენებული ენერგოეფექტური 5 საჯარო სკოლა. დასრულებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი. მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია (25 06 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება) კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია გენდერული თანასწორობა
აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტებში ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მშენებლობა და არსებულთა რეაბილიტაცია, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სხვადასხვა მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებული და აშენებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები. მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. დასრულებული სატენდერო პროცედურები. სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სხვადასხვა მუნიციპალიტეტში აშენებული ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და რეაბილიტირებული არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები. დაწესებულებებში გაუმჯობესებული სასწავლო გარემო და ინფრასტრუქტურა. გენდერულად თანაბარი ხელმისაწვდომობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე და შშმ პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - რეაბილიტირებული საბავშვო ბაღების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული 8 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. დასრულებული სატენდერო პროცედურები. მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული 61 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება.მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. დასრულებული სატენდერო პროცედურები. მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;

	შესაძლო რისკები - სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები 2. **ინდიკატორის დასახელება** - აშენებული საბავშვო ბაღების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - აშენებული 30 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. დასრულებული სატენდერო პროცედურები. მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აშენებული 70 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. მომზადებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. დასრულებული სატენდერო პროცედურები. მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სხვა ტექნიკური შეფერხებები და დამატებითი სამუშაოები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	 1. **ინდიკატორის დასახელება** - რეაბილიტირებული საბავშვო ბაღების რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული 555-მდე საბავშვო ბაღი 2. **ინდიკატორის დასახელება** - აშენებული საბავშვო ბაღების რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აშენებული 330-მდე საბავშვო ბაღი

უმაღლესი განათლება (32 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ადამიანური კაპიტალის მიზნები N2.1.5 (განათლება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება ადამიანური კაპიტალის მიზნები N2.1.3 (განათლება) ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) ადამიანური კაპიტალის მიზნები N2.1.4 (განათლება)
აღწერა და მიზანი	საგამოცდო პროცესის სრულად წარმართვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას; ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სადოქტორო პროგრამების შეფასების ერთიანი კონცეფციის შემუშავება;

	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების ხელშეწყობა; პროგრამის „ვისწავლოთ საქართველში“ გაგრძელება; მასწავლებლის მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პირთა დაფინანსების უზრუნველყოფა, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედება, სკოლისშემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამის განხორციელება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთათვის, მსჯავრდადებულის მიერ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე განათლების მიღების ხელშემწყობის უზრუნველყოფა; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად; სახელმწიფო უნივერსიტეტებში ერთობლივი/ორმაგი საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა; რეგიონული უნივერსიტეტების პროექტების მხარდაჭერა;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განვითარებულია საგამოცდო სისტემა, გამოცდების ჩატარებულია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა განათლებისა და მომზადების მაღალი დონე; უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მოდერნიზაცია - შედეგსა და ხარისხზე ორიენტირებული მართვის მოდელის ოპტიმიზაცია; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაფინანსების ახალ საბაზო მოდელზე გადასვლა, შესრულებაზე ორიენტირებული მოდელის დანერგვა; განსაკუთრებით ნიჭიერი სტუდენტების ხელშეწყობა; საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობა და ადამიანური კაპიტალის ეტაპობრივი გაძლიერება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; უმაღლესი განათლების ხარისხის ეტაპობრივი განვითარება; საქართველოს, როგორც მაღალი ხარისხის განათლების, უსაფრთხო და კომფორტული საგანმანათლებლო ცენტრის იმიჯის ეტაპობრივი ფორმირება;

	უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოენოვანი საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამები პასუხობს საერთაშორისო მოთხოვნებს.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტებით დაფინანსებული და სტიპენდიით უზრუნველყოფილი სტუდენტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 62 000; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 65 000; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%; **შესაძლო რისკები** - სტუდენტთა სტატუსების ცვლილება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 185; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 270; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - კონკურსანტთა მიერ ალტერნატიული დაფინანსების მიღება ან/და კონკურსანტთა დაბალი აქტივობა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსებული პროექტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 8; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 8; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - წარმოდგენილი პროექტების არაჯეროვანი შესრულება **4.** **ინდიკატორის დასახელება** - საქართველოს უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებებში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 20 000; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 20 000-ზე მეტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ჩართული მხარეების ნაკლები აქტივობა სტუდენტების ნაკლები ინტერესი **5.** **ინდიკატორის დასახელება** - სულ გამოცდებზე მონაწილე აპლიკანტთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 73 000-მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აპლიკანტთა სრული დაფარვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მინიმალური ცდომილების ალბათობა, ვინაიდან დაგროვებულია სისტემების შემუშავების გამოცდილება და სისტემების განვითარების პროცესში ჩართულნი არიან კვალიფიციური სპეციალისტები

გამოცდების ორგანიზება (32 04 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება
აღწერა და მიზანი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ხელშეწყობა, პროფესიული ტესტირების, საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და მასწავლებლის გამოცდების ჩატარება; სტუდენტთა საგრანტო კონკურსის ჩატარება, რომელიც გულისხმობს გრანტის ნაწილობრივი ოდენობის მფლობელი სტუდენტის მიერ, საგრანტო კონკურსის შედეგად მეტი ოდენობის გრანტის მოპოვების ხელშეწყობას; სახელმწიფო ენის გამოცდის ჩატარება;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ჩატარებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის ერთიანი ეროვნული გამოცდები; საერთო სამაგისტრო გამოცდები; მასწავლებლის საგნის გამოცდა; სტუდენტთა საგრანტო კონკურსი და პროფესიული ტესტირება;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - გამოცდებში მონაწილე აპლიკანტთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - ერთიანი ეროვნული გამოცდები - 44 000 - მდე; სტუდენტთა საგრანტო კონკურსი - 2 000 - ზე მეტი; საერთო სამაგისტრო გამოცდა - 8 000 - ზე მეტი; მასწავლებელის საგნის გამოცდა და საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების გამოცდა - 16 000-ზე მეტი; პროფესიული ტესტირება 3 000-ზე მეტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გამოცდაზე დარეგისტრირებულ/გამოცხადებულ აპლიკანტთა სრული დაფარვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მინიმალური ცდომილების ალბათობა, ვინაიდან დაგროვებულია სისტემების შემუშავების გამოცდილება და სისტემების განვითარების პროცესში ჩართულნი არიან კვალიფიციური სპეციალისტები; **შესაძლო რისკები** - გამოცდაზე დარეგისტრირებულთა და გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა სხვაობა

სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების ხელშეწყობა (32 04 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება

აღწერა და მიზანი	პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა და წახალისება; მასწავლებლობის მსურველთა პროფესიული საქმიანობისთვის მომზადება; საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირება, საგანმანათლებლო სისტემასთან დაკავშირება და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა; უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სწავლების ხელშეწყობით საერთაშორისო კავშირების განმტკიცება, განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა; საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა; საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით, ერთობლივი აკადემიური ხარისხის (მათ შორის, ე.წ. „ორმაგი ხარისხის“) მინიჭების და/ან საერთაშორისო აკრედიტაციის ხელშეწყობის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/განვითარება; საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელშეწყობა საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების მიზნით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით/წარჩინებული სტუდენტები სტიპენდიით; გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სწავლის დაფინანსებით; საქართველოს, როგორც მაღალი ხარისხის განათლების, უსაფრთხო და კომფორტული საგანმანათლებლო ცენტრი იმიჯი ფორმირებულია; ქართველი სტუდენტების განათლების ხარისხი ამაღლებულია კონკურენტული გარემოს ფორმირების ფონზე; უცხო ქვეყნის მოქალაქეების, რომლებიც საერთაშორისო შეთანხმებებით, ხელშეკრულებებით, პროგრამებით, აგრეთვე,

	მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში ისწავლიან/სწავლობენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სწავლება ხელშეწყობილია;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - სახელმწიფო სასწავლო გრანტებით უზრუნველყოფილი სტუდენტების რაოდენობა, მათ შორის: საბაკალავრო, სამაგისტრო, პრიორიტეტული და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტები; **საბაზისო მაჩვენებელი** - 57 000; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 57 500; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სტუდენტის სტატუსის შეჩერება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - სტიპენდიანტთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 5 300; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 5 300; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - სტიპენდიის მფლობელის სტუდენტების რაოდენობის ცვლილება/სტუდენტის სტატუსის შეჩერება **3.** **ინდიკატორის დასახელება** - უცხო ქვეყნის მოქალაქე/სტუდენტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 200; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 200; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა მომართვიანობის ნაკლებობა **4.** **ინდიკატორის დასახელება** - მასწავლებლის პროფესიაში შესვლის მსურველთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 1 000; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1 000; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - მასწავლებლის პროფესიაში შესვლის მსურველთა ნაკლებობა

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (32 04 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება

აღწერა და მიზანი	ქართულის, როგორც უცხოური ენის, სწავლებისთვის პროგრამა „ირბახის“ განხორციელება და მის ფარგლებში უცხოელებისთვის ქართული ენის სასწავლო-მეთოდური, კულტუროლოგიური და დამხმარე მასალების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ ქართული ენის სწავლებას, ქართული ენითა და კულტურით დაინტერესებასა და მათ პოპულარიზაციას; ქვეპროგრამაში „სტუდენტური ბარათი“ მონაწილე საწარმოების/ორგანიზაციების მიერ პირადი მოხმარების საქონელსა და გასაწევ მომსახურებაზე შეთავაზებული ფასდაკლების შესახებ ინფორმაციის სტუდენტებისთვის მიწოდება; „ევროსტუდენტის“ ეროვნული პროექტის ფარგლებში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და მათი ცხოვრების პირობების შესწავლა და ანგარიშის მომზადება, სწავლასა და სტუდენტთა საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დასრულებული სასწავლო მასალები განთავსებულია ვებგვერდზე geofl.ge, რათა ისინი ხელმისაწვდომი იყოს ქართული ენის ნებისმიერი უცხოელი შემსწავლელისთვის; გაზრდილია ქართული ენის შემსწავლელთა რაოდენობა; ხორციელდება უცხოეთში ქართული ენის პოპულარიზაცია და ქართული ენის შესწავლით დაინტერესების ხელშეწყობა; ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლება უზრუნველყოფილია თანამედროვე საერთოევროპული მოთხოვნების შესაბამისად; ყველა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია დამატებითი სოციალური შეღავათები; უზრუნველყოფილია ეროვნული კვლევის შემუშავება, სტანდარტიზებული მეთოდით ჩატარებულია გამოგითხვა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ქართულის, როგორც უცხოური ენის სწავლების პროგრამა „ირბახი''; **საბაზისო მაჩვენებელი** - ვებგვერდის განახლება (სტრუქტურულად, პროგრამულად, მხატვრულად, შინაარსობრივად); ვებგვერდის ადმინისტრირება; A1 დონის „ახალი სახელმძღვანელოს“ სერიის (შემსწავლელის წიგნი, მასში ჩაშენებული სავარჯიშოებით და მასწავლებლის წიგნით, აუდიო და ვიდეო ჩანაწერებით) 2 გაკვეთილის მომზადება - ტექსტი, დიზაინი, მხატვრულად გაფორმება და ვებფორმატის შექმნა. Pre-A1 სახელმძღვანელო; განახლდა განმარტებით-თარგმნით-აუდიო სასწავლო ლექსიკონზე მუშაობა „აღმართისა“ და "ახალი სახელმძღვანელოს" გათვალისწინებით (Pre-A1, A1, A2, A2+ დონეები); იქმნებოდა ქართულის, როგორც უცხო ენის ფლობის დონეების შესამოწმებელი ტესტების ნიმუშები (ხუთ-ხუთი ტესტი A1-A2 დონეებისთვის უნარების მიხედვით); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დასრულდება A1 დონის „ახალი სახელმძღვანელოს“ მომზადება - ტექსტის წერა, დიზაინი,

	მხატვრულად გაფორმება; გაგრძელდება განმარტებით-თარგმნით-აუდიო სასწავლო ლექსიკონზე მუშაობა „აღმართისა“ და "ახალი სახელმძღვანელოს" გათვალისწინებით (B1, დონე, ნაწილი I); ქართულის, როგორც უცხო ენის ფლობის დონეების შესამოწმებელი ტესტების ნიმუშების შექმნა. განახლდება როგორც პროგრამულად, ასევე მხატვრულად საბავშვო სახელმძღვანელო „ჩვენი ეზო“. მომზადდება საინფორმაციო პოპულარული სასაჩუქრე მასალა ქართული ენის შესახებ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - მასალის დიდი მოცულობიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვერ მოესწროს სამუშაოს დასრულება და მცირე დროით გადავიდეს შემდეგ წელს **2.** **ინდიკატორის დასახელება** - სტუდენტური ბარათით მოსარგებლე სტუდენტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 100 000-ზე მეტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100 000-ზე მეტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა საერთო რაოდენობის ცვლილება **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ევროსტუდენტის ეროვნული პროექტი; **საბაზისო მაჩვენებელი** - კვლევის ჩატარების ინსტრუმენტები და მეთოდოლოგია, ევროსტუდენტის მე-8 ტალღის შედეგებისა და ეროვნული კვლევის პირველადი შედეგები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ევროსტუდენტის ეროვნული კვლევის ანგარიშის მომზადება, საერთაშორისო შედარებით ანგარიშზე მუშაობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა საერთო რაოდენობის შემცირება ან გაზრდა

საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობა (32 04 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	გენდერული თანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 5 - გენდერული თანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, უცხო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებზე განათლების მიღების ხელშეწყობა;

	ქვეყნის საჯარო/საბიუჯეტო სექტორების გაძლიერება მაღალკვალიფიციური კადრებით, სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამასა და კურსზე მომზადებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით; საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის საქართველოში რეალიზების და მაღალკვალიფიციური საკადრო რესურსების ზრდის ხელშეწყობა; რეგიონული უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაცია რეგიონების განვითარების და ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით; საჯარო სამართლის იურიდიული პირის განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო საქმიანობაში ინტეგრირების ხელშეწყობა მიღებული ცოდნის აკადემიურ სივრცეში გაზიარების მიზნით; საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, უცხო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებზე დაფინანსებული პირების რაოდენობის ზრდა; საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის სახელმწიფოში რეალიზაციის ხელშეწყობა და მაღალკვალიფიციური საკადრო რესურსების ზრდა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამით დაფინანსებული და გრანტით უზრუნველყოფილი ბენეფიციარების რაოდებობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 185; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 200; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები -** კონკურსანტთა მიერ ალტერნატიული დაფინანსების მიღება ან/და კონკურსანტთა დაბალი აქტივობა 2. **ინდიკატორის დასახელება -** საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამით დაფინანსებული სტუდენტების გენდერული განაწილება; **საბაზისო მაჩვენებელი** - 75% - ქალი / 25% - მამაკაცი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 70% - ქალი / 30% - მამაკაცი;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; **შესაძლო რისკები -** სტატისტიკურ ან ერთი ან მეორე სქესისათვის პრიორიტეტული სფეროების სიჭარბე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (32 04 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; აკადემიური პერსონალის განვითარების მხარდაჭერა; საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაუმჯობესებულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო პირობები; ხელშეწყობილია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პერსონალის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები; მხარდაჭერილია საერთაშორისო თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაციის პროცესი;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსებული პროექტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 8; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 8; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** ჩართული მხარეების ნაკლები აქტივობა

პროფესიული განათლება (32 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა; პროფესიული პროგრამების განმახორციებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები; ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტო; სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 10 - შემცირებული უთანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 11 - ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 17 - თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 5 - გენდერული თანასწორობა გენდერული თანასწორობა
აღწერა და მიზანი	ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად საქართველოს მოქალაქეების ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარებით; პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დანერგვის პროცესის ხელშეწყობა; კრედიტების ახალი ევროპული სისტემის და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული კვალიფიკაციების განვითარების მოდელის დანერგვა; პროფესიული განათლების ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად სერვისების განვითარება/გაფართოება, როგორც მოზარდებისა და ახალგაზრდების, ისე ზრდასრულების საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად; პროფესიული განათლების დაფინანსების შედეგებზე დაფუძნებული მოდელის დანერგვის დაწყება, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ახალი მოდელის ამოქმედება; საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვაში კერძო სექტორის შემოყვანის სტიმულირების ხელშეწყობის ხელშეწყობა; პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობის ზრდა და პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმების შემუშავება; ინტეგრირებული პროგრამების მასშტაბების გაზრდა, მათ შორის საჯარო სკოლებში დანერგვის გზით; პროფესიული განათლების სისტემაში პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის სერვისების ახალი სტრატეგიის შესაბამისად უზრუნველყოფა;

	პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის და მომზადების, პროფესიაში შესვლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ახალი მოდელის დამტკიცება; არაფორმალური განათლების აღიარების მასშტაბების გაფართოვება; პროფესიული განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, საერთაშორისო სერტიფიცირების შესაძლებლობების შექმნა საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების განსახორციელებლად და ინგლისური ენის სწავლების გასაძლიერებლად; ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება და ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო ადმინისტრირების მიმართულებით საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ და სხვა დაინტერესებულ პირთა პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების ხელშეწყობა; არსებული გეოგრაფიული ქსელის საჯარო-კერძო ფორმატში გაფართოება; სკოლებსა და უნივერსიტეტებში პროფესიული განათლების მიწოდების გაძლიერება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზრდილია პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა ყველა სამიზნე ჯგუფისთვის; გაზრდილია პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; პროფესიული კვალიფიკაციები ფორმირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით დანერგილია სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური პროგრამები და გაუმჯობესებულია სამეწარმეო სწავლება; გაუმჯობესებულია სწავლა სწავლების ხარისხი; გაზრდილია პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა; პროფესიული განათლების შრომის ბაზართან თავსებადობის მიზნით, შემუშავებულია და დანერგილია ახალი პროფესიული კვალიფიკაციები; გაზრდილია ინტეგრირებული პროგრამების მასშტაბები, მათ შორის საჯარო სკოლებში; უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების სისტემაში მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობები;

	გაუმჯობესებულია საჯარო-კერძო პარტნიორობა და გაზრდილია ერთობლივად განხორციელებული პროექტების მასშტაბი; გაზრდილია ზრდასრულთა განათლების სისტემის მასშტაბი და ამოქმედებულია ფორმალური/არაფორმალური განათლების აღიარების ეფექტური მექანიზმები; განვითარებულია პროფესიულ განათლებაში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისი.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** პროფესიულ პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი -** 74 % - მდე, მათ შორის ქალი -49%, ვაჟი -51%; (2020-2021 წლის კურსდამთავრებული); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 75 % - მდე, მათ შორის ქალი -49%, ვაჟი -51%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** სამუშაო ადგილების სიმცირე და კვალიფიკაციების არარელევანტურობა; **შესაძლო რისკები -** საზოგადოების ნაკლები ინფორმირება და სტერეოტიპები; არსებული ქსელის გეოგრაფიული გაფართოების და სამოსწავლო ადგილების გაზრდის შეფერხება **2.** **ინდიკატორის დასახელება -** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2024 წლის დასაწყისში - 22,646; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 25 900; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** ბენეფიციარების ნაკლები ინტერესი პროფესიული განათლების არსებული იმიჯის გამო; **შესაძლო რისკები -** საზოგადოების ნაკლები ინფორმირება და სტერეოტიპები; არსებული ქსელის გეოგრაფიული გაფართოების და სამოსწავლო ადგილების გაზრდის შეფერხება **3.** **ინდიკატორის დასახელება -** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სახელმწიფო დაწესებულებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 29 (13 ფილიალი) მათ შორის 3 საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ზრდა წელიწადში მინიმუმ 1-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** მიზნობრივ მაჩვენებელზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შეფერხებამ; **შესაძლო რისკები -** ავტორიზაციის პროცესისა და სამშენებლო სამუშაოების გახანგრძლივება **4.** **ინდიკატორის დასახელება -** პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა გენდერული განაწილება; **საბაზისო მაჩვენებელი -** ქალი- მინიმუმ 40%, ვაჟი -მაქსიმუმ 60%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ქალი - მინიმუმ 40%, ვაჟი - მაქსიმუმ 60%;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; **შესაძლო რისკები -** მენტალური შეხედულებები, დაბალი მოტივაცია

პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა (32 03 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	პროფესიული კოლეჯები; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	პროფესიულ სტუდენტთა სწავლების სახელმწიფო დაფინანსების უზრუნველყოფა; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული კოლეჯების ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯებით დაფინანსება; სკოლის მოსწავლეებისათვის სკოლის ბაზაზე პროფესიული განათლების უზრუნველყოფა; სკოლის ბაზაზე; საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვაში კერძო სექტორის შემოყვანის სტიმულირება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაუმჯობესებულია სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის გეოგრაფიული დაფარვა და არსებულ ქსელში ყველა სამიზნე ჯგუფისათვის, უზრუნველყოფილია თანამედროვე სასწავლო გარემო; გაზრდილია პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა და კურსდამთავრებულთა დასაქმების/თვითდასაქმების მაჩვენებელი; სკოლის ბაზაზე მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია პროფესიული განათლება; გაზრდილია კერძო სექტორთან პარტნიორობით განხორციელებული პროექტების რაოდენობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2024 წლის დასაწყისში - 22,646; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 23,725;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20%; **შესაძლო რისკები -** საზოგადოების ნაკლები ინფორმირება და სტერეოტიპები **2.** **ინდიკატორის დასახელება -** პროფესიულ პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი -** 74%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 75% - მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** ბენეფიციარების ნაკლები ინტერესი პროფესიული განათლების არსებული იმიჯის გამო; სამუშაო ადგილების სიმცირე და კვალიფიკაციების არარელევანტურობა; **შესაძლო რისკები -** საზოგადოების ნაკლები ინფორმირება და სტერეოტიპები; არსებული ქსელის გეოგრაფიული გაფართოების და სამოსწავლო ადგილების გაზრდის შეფერხება **3.** **ინდიკატორის დასახელება -** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სახელმწიფო დაწესებულებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 28 (13 ფილიალით) და მათ შორის, 3 საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სასწავლებლების/ლოკაციების რაოდენობა გაზრდილია წელიწადში მინიმუმ 1-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** მიზნობრივ მაჩვენებელზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შეფერხებამ; **შესაძლო რისკები -** ავტორიზაციის პროცესისა და სამშენებლო სამუშაოების გახანგრძლივება **4.** **ინდიკატორის დასახელება -** საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, სადაც ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; **საბაზისო მაჩვენებელი -** 20; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 40; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** სკოლების ნაკლები ინტერესი პროგრამაში ჩასართავად

პროფესიული უნარების განვითარება (32 03 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება
აღწერა და მიზანი	პროფესიული კვალიფიკაციების განვითარების ხელშეწყობა;

	პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების დანერგვის მხარდაჭერა; სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მხარდაჭერა; პროფესიული განათლების საფეხურზე მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა; პროფესიული განათლების ფარგლებში სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა; პროფესიული განათლების საფეხურზე სტუდენტური და არაფორმალური განათლების სერვისების განვითარების ხელშეწყობა; პროფესიული განათლების საფეხურზე ინკლუზიური პოლიტიკის განვითარებისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სერვისების განვითარების ხელშეწყობა; პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეწარმეო ეკოსისტემების განვითარების ხელშეწყობა; პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით; მასწავლებელთა შიდაორგანიზაციული განვითარების მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა; ტექნოლოგიებით გამდიდრებული სწავლების გზით პროფესიულ განათლებაში ინოვაციური პედაგოგიკის გაძლიერება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაზრდილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; შემცირებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა მიტოვების მაჩვენებელი; გაზრდილია ზოგადი განათლებიდან პროფესიული განათლების საფეხურზე პირდაპირი გადმოსვლის მაჩვენებელი, მათ შორის, შშმ და სსსმ პირებისთვის; გაზრდილია ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა; გაზრდილია პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოების ინფორმირების დონე.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1.

	ინდიკატორის დასახელება - ზოგადი განათლების საფეხურიდან პროფესიული განათლების საფეხურზე პირდაპირ გადასვლის პროცენტული მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 5%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 7%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - პრიორიტეტების ცვლილება, კოორდინაციის ნაკლებობა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - სწავლის მიტოვების პროცენტული მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 37%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 34%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - რესურსების ნაკლებობა იმ ინტერვენციების განსახორციელებლად და სერვისების დასანერგად რომელთა მეშვეობითაც უნდა შემცირდეს სწავლის მიტოვების მაჩვენებელი **3.** **ინდიკატორის დასახელება** - პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოების დადებითი დამოკიდებულების პროცენტული მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 40%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 45%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - საინფორმაციო კამპანიის ჩატარებისთვის საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსის ნაკლებობა **4.** **ინდიკატორის დასახელება** - შშმ და სსსმ პირების სრული ზოგადი განათლების საფეხურიდან პროფესიული განათლების საფეხურზე პირდაპირ გადასვლის პროცენტული მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 20%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 25%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოცხადებული ადგილების ხელმისაწვდომობა **5.** **ინდიკატორის დასახელება** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა წილი ჩარიცხული სტუდენტების საერთო მაჩვენებლიდან; **საბაზისო მაჩვენებელი** - 63%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 65%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოცხადებული ადგილების ხელმისაწვდომობა

ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (32 03 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 5 - გენდერული თანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 17 - თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 11 - ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 10 - შემცირებული უთანასწორობა გენდერული თანასწორობა
აღწერა და მიზანი	საქართველოს რეგიონებში სახელმწიფო და ადგილობრივი მართვის სფეროში არსებული საკადრო დეფიციტის დაძლევის ხელშეწყობა; საქართველოს მაღალმთიან და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეთა ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა; ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია საჯარო მოხელეთა/მოსამსახურეთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება; უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირებისათვის სახელმწიფო ენის სწავლება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - სასწავლო-სატრენინგო პროგრამებით/კურსებით გადამზადებულთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 5 450; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 5 450; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სხვა ალტერნატიული პროგრამების არსებობა; ბენეფიციართა დაბალი მოტივაცია **2.** **ინდიკატორის დასახელება** - დანერგილი სასწავლო პროგრამების/კურსების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 56; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 60; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა დაბალი მოტივაცია

	3. **ინდიკატორის დასახელება** - გადამზადებულ მსმენელთა გენდერული განაწილება კაცი/ქალი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 45% კაცი, 55% ქალი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 50%-50%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - მენტალური შეხედულებები, დაბალი მოტივაცია

მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი; სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი; სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი; სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია; სსიპ – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
პოლიტიკის კლასიფიკატორი	გენდერული თანასწორობა ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 5 - გენდერული თანასწორობა
აღწერა და მიზანი	საინჟინრო, ზუსტი, საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური (STEM), აგრეთვე ჰუმანიტარული და ქართველოლოგიური სამეცნიერო საგრანტო კონკურსების, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების მასშტაბის გაფართოება; საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი და უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ქართულ სამეცნიერო სივრცესთან თანამშრომლობის ხელშეწყობა; გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა; უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციის ხელშეწყობა; შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელის შემუშავება; საქართველოში მეცნიერებისა და სწავლების განვითარება, ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვა და მათი ადაპტირება კვლევით და სწავლების პროცესში;

	საერთაშორისო ჩარჩოპროგრამებსა და სამეცნიერო პროექტებში სამეცნიერო ინსტიტუციებისა და კვლევითი ჯგუფების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა, ორმხრივი და მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება; სამეცნიერო ინფრასტრუქტურის მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია გამორჩეული ხარისხის კვლევითი პროექტების გამოვლენა-დაფინანსების უწყვეტობა, მათ შორის საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებათა მიმართულებით; უზრუნველყოფილია საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა კარიერული განვითარება; უზრუნველყოფილია მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია ერთობლივი საერთაშორისო კვლევებისა და უცხოეთში კვლევითი ვიზიტების ხელშეწყობით; უზრუნველყოფილია საქართველოში შექმნილი ახალი ცოდნის საერთაშორისო გამომცემლობებში გავრცელება პუბლიკაციების სახით; უზრუნველყოფილია კვლევებზე დაფუძნებული ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტების შექმნა; წახალისებულია გენდერული თანასწორობა საქართველოს სამეცნიერო სივრცეში; უზრუნველყოფილია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე წვდომა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - ადმინისტრირებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსებისა და მეცნიერების ხელშემწყობი პროგრამების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 26; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 26; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 4%; **შესაძლო რისკები** - შესაძლოა განვითარდეს დაფინანსების ახალი სქემები **2.** **ინდიკატორის დასახელება** - სამეცნიერო-კვლევითი და შემეცნებითი ღონისძიებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 600; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 700; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ჩართული მხარეების ნაკლები აქტივობა; საერთაშორისო პარტნიორის მოძიების სირთულე

	3. **ინდიკატორის დასახელება** - დაფინანსებული სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 47; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 47; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; **შესაძლო რისკები** - სტრუქტურული ცვლილები

სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 5 - გენდერული თანასწორობა ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) გენდერული თანასწორობა
აღწერა და მიზანი	გამორჩეული სამეცნიერო კვლევების განხორციელების უზრუნველყოფის გზით ცოდნის, ტექნოლოგიების, მეცნიერებიდან განვითარებული ინოვაციების ტრანსფერის ხელშეწყობა; საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების განვითარების, ქართული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კვლევების ხელშეწყობა; ახალგაზრდა მეცნიერთა (პოსტდოქტორანტთა, დოქტორანტთა, მაგისტრანტთა) კვლევებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა. საქართველოში შექმნილი ახალი ცოდნის დისემინაციის ხელშეწყობა; უცხოეთის სხვადასხვა სამეცნიერო ფონდთან თანამშრომლობის გაძლიერების გზით მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია, სამეცნიერო თანამშრომლობისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა; მეცნიერების პოპულარიზაცია; ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებისა და კვლევების ხარისხის გაზრდის მიზნით საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე და ინფრასტრუქტურაზე წვდომის უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია გამორჩეული ხარისხის კვლევითი პროექტების გამოვლენა-დაფინანსების უწყვეტობა, მათ შორის საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებათა მიმართულებით;

	უზრუნველყოფილია საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა კარიერული განვითარება; უზრუნველყოფილია მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია ერთობლივი საერთაშორისო კვლევებისა და უცხოეთში კვლევითი ვიზიტების ხელშეწყობით; უზრუნველყოფილია საქართველოში შექმნილი ახალი ცოდნის საერთაშორისო დისემინაცია პუბლიკაციების სახით; უზრუნველყოფილია კვლევებზე დაფუძნებული ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტების შექმნა; წახალისებულია გენდერული თანასწორობა საქართველოს სამეცნიერო სივრცეში; უზრუნველყოფილია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე და ინფრასტრუქტურაზე წვდომა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებით ყოველწლიურად დაფინანსებული პროექტების რაოდენობა / მათშორის საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით; **საბაზისო მაჩვენებელი** - 350/30; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 350/30; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - საგრანტო კონკურსებისადმი დიდმა დაინტერესებამ შესაძლებელია გაზარდოს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო პროექტების მონაწილეობა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - სახელმწიფო გრანტებისა და პროგრამების ბენეფიციარ მეცნიერთა / მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერთთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 1100 / 440; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1100 / 440; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - მეცნიერთა მხრიდან დაბალი აქტიურობა, ასევე ახალგაზრდა მეცნიერთა გადინება ქვეყნიდან ან კერძო სექტორში საქმიანობით დაინტერესება **3.** **ინდიკატორის დასახელება** - დაფინანსებული პროექტების ფარგლებში ქართველი მეცნიერების (თანა)ავტორობით საერთაშორისო რეფერირებად, რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 240; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 260;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; **შესაძლო რისკები -** საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობის აღნიშნული ტემპით ზრდის შეფერხება **4.** **ინდიკატორის დასახელება -** საპატენტო/საავტორო პროდუქტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 5; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 5; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** საპატენტო განაცხადების და ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტების დარეგისტრირების შეფერხება **5.** **ინდიკატორის დასახელება -** ბენეციართა გენდერული ბალანსი (კაცი/ქალი,%); **საბაზისო მაჩვენებელი -** 45,6% - 54,4%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 50%/50%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** მამაკაცების მხრიდან დაბალი დაინტერესება სამეცნიერო კარიერით

სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (32 05 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი; სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი; სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა
აღწერა და მიზანი	ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების განხორციელება; ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა; სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება; საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმების, კონგრესების, კონფერენციებისა და სემინარები გამართვა, სამეცნიერო და პოპულარული გამოცემების ხელშეწყობა; კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური, წყაროთმცოდნეობითი და ხელოვნებათმცოდნეობითი ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ბიბლიოგრაფიულ-საენციკლოპედიო, საგამოფენო-საგანმანათლებლო მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა;

	ხელნაწერთა რესტავრაცია-კონსერვაცია, ფონდების დიგიტალიზაცია; ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეების სხვადასხვა ბაქტერიული ინფექციის, მათ შორის, ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული ბაქტერიული შტამებით გამოწვეული ინფექციების ეთიოლოგიური სტრუქტურის შესწავლა; ბაქტერიოფაგიაში, მიკრობიოლოგიასა და ვირუსოლოგიაში ფუნდამენტური გამოკვლევების ჩატარება; ბაქტერიული შტამების - გამომწვევების კვლევა და ამ შტამების საწინააღმდეგოდ სპეციფიკური ფაგების გამოყოფა, მათი დეტალური შესწავლა და ფაგური პრეპარატების შექმნა; ასტრონომიის, ასტროფიზიკისა და კოსმოსურ მეცნიერებათა სფეროში სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო, საკონსულტაციო და მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშემწყობი საქმიანობის განხორციელება; ფიზიოლოგიის, ბიოქიმიის, მოლეკულური ბიოლოგიის, ბიოფიზიკის, ნევროლოგიის, ნეირომეცნიერებების, რადიობიოლოგიის, რადიაციული ეკოლოგიის და მათ მომიჯნავე დარგებში ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სამეცნიერო სტატიები, როგორც ქართულ ასევე უცხოურ ჟურნალებში, თეზისები საერთშორისო სიმპოზიუმებში, კონფერენციებსა და ფორუმებში მონაწილეობა საქართველოსა და უცხოეთში; გამოცემულია სამეცნიერო წიგნები მონოგრაფიები და კრებულები; კონკურენტული კვლევითი გარემო; საერთაშორისო და ადგილობრივი (საქართველო) სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება და ჩატარება. მაღალაქტიური, ეფექტური და სპეციფიური ბაქტერიოფაგების კოლექციის გამდიდრება, ახალი ფაგური პრეპარატების შექმნა და მათი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობების დადგენა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციებისა, ღონისძიებების, საერთაშორისო კონფერენციების და პატენტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 150; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 150; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;

	შესაძლო რისკები - საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული პროცედურების შეფერხება **2.** **ინდიკატორის დასახელება -** სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის ჩატარებული კვლევების, სამეცნიერო წიგნების, კრებულების, სტატიების და ღონისძიებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 200; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 200; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** საორგანიზაციო პროცედურების გაჭიანურება **3.** **ინდიკატორის დასახელება -** სსიპ - გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მიერ სამეცნიერო პუბლიკაციების, კონფერენციების და დაფინანსებული საგრანტო განაცხადების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 25; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 25; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** კადრების მოზიდვა და შენარჩუნება **4.** **ინდიკატორის დასახელება -** სსიპ - ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების, კონფერენციების, სემინარების და ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 100; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 100; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული პროცედურების შეფერხება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელშეწყობა (32 05 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
აღწერა და მიზანი	აგროსასურსათო სექტორში გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევების ხელშეწყობა; აგრონომიის, აგროინჟინერიის, სასურსათო ტექნოლოგიების, სურსათის უვნებლობის, მეცხოველეობის, ვეტერინარიის, ეკონომიკისა და სატყეო საქმის სფეროებში სამეცნიერო შეხვედრების გამართვა; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგად რეკომენდაციების შემუშავება, კვლევითი საქმიანობისა და სწავლების ერთობლივი ფუნქციონირების მხარდაჭერა, საერთაშორისო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საქართველოში სოფლის მეურნეობის (აგრარული) მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიების, კრებულების, რეკომენდაციების, სამეცნიერო სტატიების და ჩატარებული კონფერენციების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 150; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 170; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები -** პუბლიკაციების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული პროცედურების შეფერხება

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები; სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
აღწერა და მიზანი	დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების/სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა; სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური კადრების განვითარების ხელშეწყობა/წახალისება; სამეცნიერო პერსონალის საქმიანობისათვის, მათ შორის, სამეცნიერო საქმიანობისთვის, საჭირო ტექნიკური ხასიათის მხარდაჭერის უზრუნველყოფა და შესაფერისი პირობების შექმნა; მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ინტეგრაციის ხელშეწყობა; საქართველოში მეცნიერებისა და სწავლების განვითარება, ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვა და მათი ადაპტირება კვლევისა და სწავლების პროცესში;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მხარდაჭერილია სამეცნიერო მიმართულებათა ფართო სპექტრი (დაფინანსდება 42 დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პროექტი);გაზრდილია სამეცნიერო კვლევების ეფექტიანობა (პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, ციტირების ინდექსი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და ფორუმების ორგანიზება, მათში მონაწილეობა და სხვ.) და პროდუქტიულობა (მონოგრაფიები, წიგნები, კრებულები და სხვ.);საქართველოში მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება; მხარდაჭერილია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საქმიანობა;სამეცნიერო-კვლევითი

	ერთეულები უზრუნველყოფილია შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, თანამედროვე კვლევითი ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია საქართველოში მოღვაწე მეცნიერთათვის.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** დაფინანსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 42; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 42; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3%; **შესაძლო რისკები -** სტრუქტურული ცვლილები **2.** **ინდიკატორის დასახელება -** სამეცნიერო მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესების მიზნით დაფინანსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 40; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 42; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** ჩართული მხარეების ნაკლები აქტივობა **3.** **ინდიკატორის დასახელება -** მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ევროპული თანამშრომლობის ასოციაციის (COST) აქციებში საქართველოდან ჩართული მკვლევრების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 38; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 38; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** ჩართული მხარეების ნაკლები აქტივობა

მეცნიერების პოპულარიზაცია (32 05 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	საქართველოში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენა, ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიღწევების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ჩატარებულია მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების პოპულარიზაციის პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები;

	უზრუნველყოფილია მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მიღწეული შედეგების, წარმატებული ისტორიების, ჩარჩო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გაცვლა და ცნობადობის ამაღლება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 10; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 10; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ჩართული მხარეების ნაკლები აქტივობა; საერთაშორისო პარტნიორის მოძიების სირთულე, ჩართულობის უზრუნველყოფა

ინკლუზიური განათლება (32 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; სსიპ - უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	მთელი საქართველოს მასშტაბით ინკლუზიური განათლების კომპონენტების აქტიური დანერგვა და განვითარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ)/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მათზე მორგებული სასწავლო პროცესის წარმართვისთვის; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მათთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა და სათანადო სერვისების შეთავაზება, ეფექტიანი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა განათლების ყველა საფეხურზე; განათლების მიღმა დარჩენილი და სწავლის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი მოზარდების ფორმალურ განათლებაში ჩართვის, მათი სოციალიზაციის, განათლების, განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქეობის, საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სირთულეების დაძლევის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; სენსორული ან/და მძიმე/ღრმა ინტელექტუალური ან/და მრავლობითი დარღვევის მქონე ან მრავლობითი სენსორული დარღვევის მქონე (ყრუ და უსინათლო) ან ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსსკოლების მოსწავლეების სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით უზრუნველყოფა, აკადემიური, ფუნქციური და სოციალური უნარების განვითარება მათი ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;

	სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალურ მასწავლებელთა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სხვა სპეციალისტთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობა, სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მქონე სპეციალური მასწავლებლებისა და საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტების მხარდაჭერა; ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლეების ფსიქო-სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შექმნილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანთლებლო გარემო; უზრუნველყოფილია რესურსსკოლების სააღმზრდელო ნაწილის მომსახურება; ზრუნველყოფილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები დამატებითი დაფინანსებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების უზრუნველსაყოფად; ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოფილია მოსწავლეთათვის უსაფრთხო და ჯანსაღი ფსიქოსოციალური გარემო;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - საჯარო სკოლებში სსსმ მოსწავლეების რაოდენობა, რომლების უზრუნველყოფილნი არიან გაზრდილი ვაუჩერული დაფინანსებით; **საბაზისო მაჩვენებელი** - 13 000 - ზე მეტი მოსწავლე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ზრდა ყოველწლიურად 5%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - გაზრდილი მომართვიანობა, ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტების არასაკმარისი რაოდენობა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის შერჩევის სირთულე **2.** **ინდიკატორის დასახელება** - რესურსსკოლების რაოდენობა, სადაც ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან სადღეღამისო/დღის მომსახურებით; **საბაზისო მაჩვენებელი** - 7; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 7; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%;

	შესაძლო რისკები - სსსმ მოსწავლეთა მკვეთრად გაზრდილი რაოდენობა **3.** **ინდიკატორის დასახელება -** ინკლუზიური განათლების მიმართულებით გადამზადებული საგნის მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებელების და დამხმარე სპეციალისტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 1500; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 4500; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები -** საგნის მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებლების და დამხმარე სპეციალისტების დაბალი მოტივაცია **4.** **ინდიკატორის დასახელება -** ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრების რაოდენობა საქართველოს მასშტაბით; **საბაზისო მაჩვენებელი** - 10; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 11; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (32 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საგანმანთლებლო რესურსცენტრები; სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა; სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო; სსიპ - საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრი; ა(ა)იპ - აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლა
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ადამიანური კაპიტალის მიზნები N2.1.1 (განათლება) ადამიანური კაპიტალის მიზნები N2.1.2 (განათლება) ადამიანური კაპიტალის მიზნები N4.1 (განათლება) ადამიანური კაპიტალის მიზნები N2.1.6 (განათლება) ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.1.2 (განათლება) გენდერული თანასწორობა ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 5 - გენდერული თანასწორობა ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.1.1 (განათლება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება
აღწერა და მიზანი	განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა და მისი ხარისხის ზრდა; განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება,

	მონიტორინგი და შეფასება; განათლების სისტემის კომპლექსური რეფორმის ეტაპობრივი განხორციელება, რომელიც გულისხმობს სისტემურ ცვლილებებს განათლების ყველა მიმართულებისა და საფეხურისთვის; საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად, მოსწავლეების, სტუდენტების, ახალგაზრდებისა და ზრდასრულების სათანადო თეორიული ცოდნით აღჭურვასა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებასთან ერთად, უზრუნველყოფს მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, კონკურენტუნარიანობის გაზრდას, განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის კავშირის გაძლიერებას; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კომპეტენციის შესაბამისი სფეროს/დარგის/მიმართულების განვითარების ხელშეწყობა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; სამინისტროს კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება; ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების განვითარება და დანერგვის ხელშეწყობა; ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის უზრუნველყოფა; საერთაშორისო ურთიერთობების მხარდაჭერა, ქართველოლოგიისა და ქართულ დიასპორასთან ურთიერთობების განვითარება, მიმდინარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამებში ჩართვა და შესაბამისი პროექტების განხორციელება; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური თვითშეფასება, 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე საჯარო სკოლების ავტორიზაციის უზრუნველსაყოფად; ზოგადი განათლების სისტემაში უნარებისა და ღირებულებების განვითარებაზე, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებაზე, სწრაფად ცვალებად გარემოში ადაპტირებასა და წიგნიერებაზე ორიენტირებული ახალი მოდელის, აგრეთვე ინკლუზიური და სამოქალაქო განათლების პრინციპებზე დაფუძნებული ახალი სასწავლო პროგრამებისა და რესურსების დანერგვა; სკოლებში თანამედროვე მოთხოვნებისა და შესაძლებლობების საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება; მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟისა და მისი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, შრომის ღირსეულ ანაზღაურებაზე ზრუნვა; სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;

	საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხო, ძალადობისაგან თავისუფალი და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა; ადრეული და სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწა; მონიტორინგის გზით ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება, ხარისხის განვითარებისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ყველა დაინტერესებული მხარის შესაძლებლობის გაძლიერება; განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მართვის სისტემების განვითარების ხელშეწყობა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებისა და მონაცემთა ბაზების ჩამოყალიბება განათლების სისტემაში ბიზნეს პროცესების ეფექტიანი მართვისა და ინფორმაციული უზრუნველყოფისთვის; ახალგაზრდების მიერ შესაბამისი, მაღალი ხარისხის განათლების მიღების, მათი დასაქმებისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობა; საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელსეწყობა და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; ადრეული და სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა კვლევების ჩატარება; საერთაშორისო კვლევების (შეფასებების) განხორციელების უზრუნველყოფა; საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო შეთანხმების „საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ განათლების კომპონენტის განხორციელების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროებში სახელმწიფოს ერთიან ხედვასა და სტრატეგიასთან შესაბამისობაში განხორციელებულია სახელმწიფო პოლიტიკა; საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგი და კონტროლის სისტემა გაუმჯობესებულია და მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა და ხარისხი უზრუნველყოფილია; განათლების ხარისხის შიდა და გარე მექანიზმების შედეგებზე ორიენტირებული სისტემა დანერგილია;

	ახალი მოთხოვნებიდან გამომდინარე ექსპერტები გადამზადებულია; ავტორიზირებულია ადრეული და სკოლამდელი აღზრდის, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმათლებლო დაწესებულებები; ხარისხიანი და თანაბრად ხელმისაწვდომი, განათლების ხარისხზე ორიენტირებული სასწავლო გეგმები და პროგრამები დანერგილია; განათლების სისტემაში თანამედროვე ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია და შესაბამისი ინფრასტრუქტურა განვითარებულია; შექმნილია ერთიანი საინფორმაციო სისტემა და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია/განვითარეულია; საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია; საერთაშორისო კვლევები (შეფასებები) განხორციელებულია.

სახელოვნებო და სასპორტო სფეროში უმაღლესი განათლება (33 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	უმაღლესი სახელოვნებო და სასპორტო განათლების ხელშეწყობა და მისი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დაფინანსდება უმაღლესი სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებები ფუნქციონირებასთან დაკავშირებული აუცილებელი ფინანსური რესურსით.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სახელოვნებო და სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 4 სახელოვნებო და 1 სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%; **შესაძლო რისკები** - აკრედიტაცია/ავტორიზაციის პროცესის შეფერხება

თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის - პროექტი (ADB) (32 11)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	გენდერული თანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 17 - თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 5 - გენდერული თანასწორობა
აღწერა და მიზანი	პროფესიული განათლების ქსელის გაფართოება, რომელიც ხელს შეუწყობს კვალიფიკაციის ამაღლებასა და უნარების განვითარებას; პროფესიული განათლების ხარისხის, მნიშვნელობის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა; პროფესიული განათლების დაგეგმვასა და დაფინანსებაში კერძო სექტორის როლის გაზრდის ხელშეწყობა; ინკლუზიური და გენდერული თანასწორობის უნარების განვითარება და პროფესიული განათლების იმიჯის გაუმჯობესების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ფორმალური პროფესიული მომზადების/გადამზადების ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა შექმნილია 20 საჯარო სკოლაში ქვეყნის მასშტაბით და დაარსებულია 2 ინოვაციური ჰაბი თელავსა და ქუთაისში; სულ მცირე 65% პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე, რომელთაგან სულ მცირე 50% ქალია, დასაქმებულია ან თვითდასაქმებულია კურსის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ; სულ მცირე დამსაქმებლების 80% კმაყოფილია პროგრამის კურსდამთავრებულების სამუშაო შედეგებით, კურსის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ; ფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა იზრდება 5%-ით ყოველწლიურად;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - პრიორიტეტული სექტორის პროგრამების კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 65%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - დამსაქმებელთა არასაკმარისი ჩართულობა; სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები 2.

	ინდიკატორის დასახელება - პრიორიტეტული სექტორის პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში (ქალი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 50%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ქალების ნაკლები ჩართულობა; დამსაქმებელთა არასაკმარისი ჩართულობა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - დამსაქმებელთა კმაყოფილების შეფასება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 80%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20-30%; **შესაძლო რისკები** - დამსაქმებელთა არასაკმარისი ჩართულობა; სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები **4.** **ინდიკატორის დასახელება** - პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი ყოველწლიურად; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 5%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1-5%; **შესაძლო რისკები** - პროფესიული პროგრამების პრიორიტეტის ცვლილება; არასაკმარისი დაინტერესება **5.** **ინდიკატორის დასახელება** - რეაბილიტირებული და აღჭურვილი სკოლების და ჰაბების რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 22; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - გამოცხადებული ტენდერების ჩავარდნა; პროგრამით გათვალისწინებით არქიტექტორულ ტექნიკური შეუსაბამობა

პროფესიული განათლება I (KfW) (32 10)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება
აღწერა და მიზანი	პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და პროფესიული განათლების პროვაიდერების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა; „ექსელენსცენტრის“ მშენებლობა (ცენტრის ფუნქცია - საერთაშორისო სტანდარტების შესამაბისი პროგრამების განხორციელება ლოჯისტიკისა და მშენებლობის მიმართულებით); საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ფარგლებში „hub“ სერვისის შეთავაზება;

	მშენებლობისა და ლოჯისტიკის მიმართულების პროგრამების განმახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გასაძლიერებლად დამატებითი ინვესტიციების გამოყოფა (რომლის პარტნიორიც იქნება ექსელენს ცენტრი რიგი პროგრამების განხორციელებისას);
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შემუშავებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია პროფესიული განათლების ცენტრის მშენებლობის დაწყების მიზნით;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შენობები აშენებულია და შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფილია; სწავლებისა და ადმინისტრირების რესურსი გაუმჯობესებულია; ე. წ ჰაბ-სერვისი უზრუნველოფილია; კოლეჯებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობა დამყარებულია.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება/საშენებლო სამუშაოების დაწყება; **საბაზისო მაჩვენებელი** - დასრულდა საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის სატედნერო პროცედურები, გაფორმდება ხელშეკრულება შერჩეულ საკონსულტაციო კომპანიასთან და დაწყებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება პროფესიული განათლების ცენტრის მშენებლობის და აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემუშავება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება/საშენებლო სამუშაოების დაწყება; **საბაზისო მაჩვენებელი** - დასრულდა საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის სატედნერო პროცედურები, გაფორმდება ხელშეკრულება შერჩეულ საკონსულტაციო კომპანიასთან და დაწყებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება პროფესიული განათლების ცენტრის მშენებლობის და აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის სამშენებლო სამუშაოები, აღჭურვა და პროფესიული განათლების ცენტრის აკრედიტაცია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით

ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB) (32 09)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 5 - გენდერული თანასწორობა გენდერული თანასწორობა
აღწერა და მიზანი	ადრეული განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის, ასევე ზოგადი განათლების სისტემაში სწავლების და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგრანტო დაფინანსების გზით მოდერნიზებული აკადემიური პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა; განათლების მონაცემთა სისტემის განვითარება, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისა და კოორდინაციის გაძლიერება; პროგრამის ეფექტიანი მართვის, მონიტორინგისა და შეფასებების მხარდაჭერა;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზრდილია სკოლამდელ განათლებასთან წვდომა; გაუმჯობესებულია ზოგადი განათლების სისტემაში სწავლება-სწავლის ხარისხი და საგანმანათლებლო გარემო;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სასკოლო მზაობის პროგრამებზე ჩარიცხული 5-6 წლის ბავშვების (სკოლამდელი დონე) პროცენტული მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 80%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 92%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ჩართულობაზე შეიძლება გავლენა იქონიოს რიგმა ფაქტორებმა, როგორიცაა მასწავლებელთა კვალიფიკაცია, სოციალური ან/და კულტურული ქცევა, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა 2. **ინდიკატორის დასახელება** - სასკოლო მზაობის პროგრამაზე ჩარიცხული 5-6 წლის ასაკის გოგონები; **საბაზისო მაჩვენებელი** - სასკოლო მზაობის პროგრამებში ჩარიცხული ბავშვების რაოდენობის შესახებ ინფორმაციას ყოველწლიურად აგროვებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. არ არსებობს ინფორმაცია გენდერულ ჭრილში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 92%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ჩართულობაზე შეიძლება გავლენა იქონიოს რიგმა ფაქტორებმა, როგორიცაა მასწავლებელთა კვალიფიკაცია,

	სოციალური ან/და კულტურული ქცევა, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ბენეფიციარი მოსწავლეების რაოდენობა, რომელთაც აქვთ გაუმჯობესებულ სასწავლო გარემოზე წვდომა პროექტის მხრიდან მხარდაჭერილ სკოლებში; **საბაზისო მაჩვენებელი** - 0; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 116 000; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტენდერების განხორციელებაში ან/და სარეაბილიტაციო სამუშაოებში **4.** **ინდიკატორის დასახელება** - მდედრობითი სქესის ბენეფიციარი მოსწავლეების რაოდენობა, რომლებთაც აქვთ გაუმჯობესებულ სასწავლო გარემოზე წვდომა პროექტის მხრიდან მხარდაჭერილ სკოლებში; **საბაზისო მაჩვენებელი** - 0; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 58 065; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტენდერების განხორციელებაში ან/და სარეაბილიტაციო სამუშაოებში

საბიბლიოთეკო საქმიანობა (01 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა
აღწერა და მიზანი	საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება, სისტემატური შევსება, დაცვა და მათი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მონაცემთა ბაზების შექმნა და უცხოეთის საბიბლიოთეკო ფონდების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ბიბლიოთეკათმცოდნეობის, წიგნთმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება; საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; საბიბლიოთეკო დარგში ინოვაციური პროცესების მართვის ხელშეწყობა; საბიბლიოთეკო კადრების კვალიფიკაციის ამაღლება; საქართველოს ეროვნული ელექტრონული ბიბლიოთეკისა და ციფრული მემკვიდრეობის არქივის შექმნა;

	საბიბლიოთეკო პროცესებში და მკითხველთა მომსახურებისთვის ინტერნეტის გამოყენება; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალური ვებგვერდის სრულყოფა და მხარდაჭერა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა

სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა (33 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო; სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო სასწავლებლები
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა თითოეული მათგანის მისიის შესაბამისი, შედეგებზე ორიენტირებული პროგრამების მხარდაჭერით (კონცერტები, გამოფენები, სპექტაკლები, კონკურს-ფესტივალები, მასტერკლასები, სპორტული ღონისძიებები); საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების უზრუნველსაყოფად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; ახალგაზრდების დასაქმებისთვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების განვითარება, მათი პროფესიული შესაძლებლობების გაზრდა; ხარისხზე ორიენტირებული, ახალგაზრდის შემოქმედებითი და სპორტული უნარების შესაბამისი, მოქნილი დაფინანსების მოდელების შემუშავებით მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი ხელოვნებისა და სპორტის დარგების სპეციალისტების აღზრდა; ხარისხიანი სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად საგანმანათლებლო დაწესებულებების სწავლებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო სასწავლებლების მიერ განხორციელებული ღონისძიებები; დანერგილია სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიები;

	შრომის ბაზარზე წარმოდგენილია კონკურენტუნარიანი სახელოვნებო და სასპორტო დარგების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები; სსიპ სახელოვნებო და საპორტო სკოლისგარეშე საგანმანათლებლო სასწავლებლების მიღწევები გაუმჯობესებულია საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისას, ასევე გაზრდილია აქტივობების რაოდენობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სასწავლებლების მიერ განხორციელებული აქტივობების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 70-მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 5%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%; **შესაძლო რისკები** - მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები. დაბალი აკადემიური მოსწრება

სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (30 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია
პოლიტიკის კლასიფიკატორი	გენდერული თანასწორობა ხედვა 2030 (თავდაცვა და უსაფრთხოება)
აღწერა და მიზანი	პროფესიული და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, საშუალო რგოლის კვალიფიციური და პროფესიონალი საპოლიციო კადრების, აგრეთვე სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში კადრების მომზადება და გადამზადება; ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განახლებული და საჭიროებებზე მორგებული სასწავლო კურსები; რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა. შექმნილი ციფრული არქივი;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - საბაზისო პროგრამებზე ჩარიცხული კურსანტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - საბაზისო პროგრამებზე ჩარიცხული 903 კურსანტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 3 200 კურსანტი;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 25%; **შესაძლო რისკები** - რეალური მოთხოვნების გათვალისწინებით აკადემიაში არსებულ სხვადასხვა კურსებზე მოთხოვნილების შემცირება ან გაზრდა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხული კურსანტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხული 1 687კურსანტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 6 800 კურსანტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; **შესაძლო რისკები** - რეალური მოთხოვნების გათვალისწინებით აკადემიაში არსებულ სხვადასხვა კურსებზე მოთხოვნილების შემცირება ან გაზრდა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - განახლებული სასწავლო პროგრამების და გადამზადებული ინსტრუქტორების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - პოლიციელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის და ახალი გამოწვევების საპასუხოდ შემუშავდა 7 და გადამუშავდა 19 პროგრამა, კურსი და ტრეინინგი, გადამზადდა 20 ინსტრუქტორი, განახლდა ტრეინინგ მოდულები, შემუშავდა ინსტრუქტორების სამსახურში მიღების წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები; დაინერგა სასწავლო პროგრამების შემუშავების წესი.აკადემიას მიენიჭა ხარისხის ISO 21001:2018 სტანდარტის სერთიფიკატი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განახლებულია ტრეინინგ მოდულები, განახლებულია ტრეინინგ მოდული შშმ პირებთან კომუნიკაციის თავისებურების შესახებ, ყოველწლიურად გადამზადებულია 10 ინსტრუქტორი, შენარჩუნებულია ხარისხის ISO 21001:2018 სტანდარტის სერთიფიკატი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20 %; **შესაძლო რისკები** - აკადემიაში არსებულ ტრეინინგებზე მოთხოვნილების შემცირება ან გაზრდა; ინსტრუქტორთა დამატებითი რაოდენობის მოთხოვნიდან გამომდინარე **4.** **ინდიკატორის დასახელება** - რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა; **საბაზისო მაჩვენებელი** - აკადემიის ბალანსზე რიცხული შენობებიდან 8 შენობა საჭიროებს მუდმივ განახლებას, რათა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს. პერმანენტულად საჭიროებს მიმდინარე რემონტს ზოგიერთი სასწავლო აუდიტორია, საცურაო აუზი, სველი წერტილები, კიბის უჯრედები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გარემონტებულია სასწავლო კორპუსის პირველი სართული, სველი წერტილები და საცურაო აუზი. დაგებულია ბეტონის ფილები, ჩატარებულია საკონტროლო გამშვები პუნქტის მიმდებარე სკვერის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20 % **5.** **ინდიკატორის დასახელება** - ციფრული არქივი შექმნა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2023 წელს განხორციელდა დაახლოებით 60 000 ფურცელი საარქივო მასალის დიჯიტალიზაცია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელებულია ყოველწლიურად დაახლოებით 60 000 ფურცელი საარქივო მასალის

	დიჯიტალიზაცია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** აპარატურის დროებით მწყობრიდან გამოსვლა

სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (48 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
აღწერა და მიზანი	საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მეცნიერების შემდგომი განვითარების ხელშეწყობა; საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური შედეგების საექსპერტო შეფასების დოკუმენტის შექმნა; სამეცნიერო-ტექნიკური მონაპოვრების საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში დანერგვის ხელშეწყობა; ქართველ მეცნიერთა კვლევითი სიახლეების საერთაშორისო არენაზე გატანის ხელშეწყობა; ქართველოლოგიურ კვლევათა ხელშეწყობა; ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა (სტიპენდიები, სამეცნიერო შეხვედრების (კონფერენციების) ორგანიზება); პერიოდული სამეცნიერო ჟურნალების (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბე“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნის“ სერიები) გამოცემა; სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოცემის ხელშეწყობა; მრავალტომეული ენციკლოპედიების – „საქართველო“ და „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“ მორიგი ტომების გამოცემა; ქართული ენის ელექტრონული ბაზის შექმნა და სხვადასხვა ლექსიკონის ტომების გამოსაცემად მომზადება; სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების გამართვა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები, სამეცნიერო ჟურნალები, სამეცნიერო და ენციკლოპედიური გამოცემები; ლექსიკონების ელექტრონული ვერსიები;

	ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები და კონგრესები; სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი ანგარიშების შეფასების დოკუმენტები; ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების შეფასებები და რეკომენდაციები, რომლებიც წარედგინება საქართველოს მთავრობას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებული პირების გადამზადება (26 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი; სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (თავდაცვა და უსაფრთხოება)
აღწერა და მიზანი	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატის, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის და სხვა ორგანიზაციების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგების სრული ციკლის (ტრენინგების საჭიროებათა ანალიზი, ტრენინგების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება) მართვითა და საკონკურსო და საკვალიფიკაციო ტესტირებების ორგანიზებით; საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმისა და ქართული სამართლის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებსა და ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა სასწავლო პროგრამების განხორციელებით; კერძო სექტორისა და საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტესტური დავალებების, ტრენინგმოდულების, სასწავლო კურსებისა და პროგრამების შექმნა და მუდმივი განახლება, მათ შორის, უცხოური სერტიფიცირებული პროგრამების შეძენით; როგორც სპეციფიკით, ისე შინაარსით ტრენინგების საჯარო მოხელეების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო პირების საჭიროებებზე მორგება, რაც ხელს შეუწყობს მართლშეგნების ამაღლებასა და პიროვნული სამუშაო კომპეტენციების განვითარებას არა მარტო საჯარო სტრუქტურებში, არამედ საზოგადოების ფართო წრეებში; საჯარო ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების აკრედიტებული პროგრამების განხორციელება; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის და პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეებისთვის კვალიფიკაციის ამაღლებისა და პერიოდული გადამზადების კურსების ჩატარება;

	მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის/რეაბილიტაციის ხელშეწყობა მათი პროფესიული განათლებით უზრუნველყოფით, აგრეთვე მათი პროფესიული მომზადების/გადამზადების და დასაქმებისთვის მომზადების გზით შესაბამისი სივრცეების შექმნა პენიტენციურ დაწესებულებებში; სასწავლო კურსებისა და დასაქმების პროგრამების განხორციელება; პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის შექმნა და განახლება, საბიბლიოთეკო აღრიცხვის ერთიანი სისტემის დანერგვა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	იუსტიციის სამინისტროს სისტემის, სხვა საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების თანამშრომელთა და დაინტერესებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლება, პიროვნული და პროფესიული განვითარება, პრაქტიკული უნარების გაძლიერება; იუსტიციის სამინიტროს სისტემისა და სხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის კვალიფიცირებული კადრების შეფასებისა და შერჩევის უზრუნველყოფა; პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია, პიროვნული და პროფესიული განვითარება პროფესიული სწავლების, მომზადება/გადამზადებისა და დასაქმებისათვის მომზადების გზით.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ტრენინგებზე დასწრებულ მსმენელთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს ტრენინგს გაივლის 10 350 მსმენელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2025 წელს ტრენინგს გაივლის 10 350 მსმენელი; 2026წელს ტრენინგს გაივლის 10 900 მსმენელი; 2027 წელს ტრენინგს გაივლის 11 600 მსმენელი; 2028 წელს ტრენინგს გაივლის 12 550 მსმენელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - კვალიფიციური კადრების გადინება; სხვა სასწავლო ცენტრების მიერ გაწეული კონკურენციის შედეგად მსმენელების რაოდენობის შემცირება 2. **ინდიკატორის დასახელება** - გამოცდების ტესტირების გზით გამოსაცდელთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს ტესტირებას გაივლის 6 500 აპლიკანტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2025 წელს ტესტირებას გაივლის 6 500 აპლიკანტი; 2026 წელს ტესტირებას გაივლის 6 700 აპლიკანტი; 2027 წელს ტესტირებას გაივლის 6 700 აპლიკანტი; 2028 წელს ტესტირებას გაივლის 6 800 აპლიკანტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - საჯარო და კერძო სტრუქტურებში თანამდებობის დასაკავებლად გამოსაცხადებელი კონკურსების რაოდენობის შემცირება 3. **ინდიკატორის დასახელება** - პროფესიული სწავლების, მომზადება/გადამზადებისა და დასაქმების პროგრამებში ჩართულ

	ბენეფიციართა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წლის ბოლოსათვის მსჯავრდებულთა პროფესიული სწავლების, მომზადება/გადამზადებისა და დასაქმების პროგრამებში ჩართულია 1 020 მსჯავრდებული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მსჯავრდებულთა პროფესიული სწავლების, მომზადება/გადამზადებისა და დასაქმების პროგრამებში 2025 წელს ჩართულია 1 030 მსჯავრდებული; 2026 წელს – 1 045 მსჯავრდებული; 2027 წელს – 1 055 მსჯავრდებული; 2028 წელს – 1 065 მსჯავრდებული; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - მსჯავრდებულთა დაბალი მოტივაცია სწავლების, პროფესიული მომზადება/გადამზადების და დასაქმების პროგრამებში ჩართვასთან დაკავშირებით, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულთა გათავისუფლების სიხშირე

უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება (20 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრი
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო უსაფრთხოების სფეროში არსებული ცოდნის თავმოყრა, ანალიზი და განახლება, სასწავლო პროცესში ინოვაციური მეთოდების გამოყენება; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება; თანამედროვე დასავლური გამოცდილებისა და მიღწევების შესწავლა და სათანადო სტანდარტების დანერგვა, არსებულ გამოწვევებზე შესაბამისი რეაგირება და მათი წარმატებით დაძლევა პროფესიულ საგანმანათლებლო სფეროში, აგრეთვე სამეცნიერო მუშაობის სათანადო ორგანიზება და წარმართვა; უსაფრთხოების სფეროში სპეციალური პროფესიული და სამოქალაქო განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა; უსაფრთხოების სფეროში საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობების განვითარების ხელშეწყობა; საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოს და უცხო ქვეყნების სასწავლო დაწესებულებებთან ერთად შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი, ინოვაციური და ხარისხზე ორიენტირებული სასწავლო ციკლის ჩამოყალიბება; პრაქტიკული უნარ-ჩვევებითა და ცოდნით აღჭურვილი, მაღალი ღირებულებების, სტანდარტებისა და პრინციპების მქონე უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (09 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა
აღწერა და მიზანი	იუსტიციის მსმენელების (მოსამართლეობის კანდიდატების) პროფესიული სასწავლო კურსის რეგულარული განხორციელება; მოქმედი მოსამართლეების, მოსამართლეთა თანაშემწეების, სასამართლოთა მენეჯერებისა და სასამართლო სისტემის სხვა მოხელეების პროფესიული გადამზადება რეგულარული სასწავლო აქტივობის – ტრენინგების საშუალებით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სასამართლო კორპუსის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა; მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრულ სასწავლო კურსზე ჩარიცხული იუსტიციის მსმენელების (სამოსამართლო კანდიდატი) ოდენობა – 15 იუსტიციის მსმენელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრულ სასწავლო კურსზე ჩაირიცხება 0 იუსტიციის მსმენელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად განხორციელდება არანაკლებ 15 იუსტიციის მსმენელის (სამოსამართლო კანდიდატი) ჩარიცხვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0-30%. სკოლაში შესაძლოა ჩაირიცხოს მიზნობრივი მაჩენებლისაგან განსხვავებული იუსტიციის მსმენელების ოდენობა; **შესაძლო რისკები** - იუსტიციის უმაღლეს სკოლაში შესაძლოა განხორციელდეს 15-ზე ნაკლები იუსტიციის მსმენელის ჩარიცხვა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - განხორციელებული სასწავლო აქტივობა (ტრენინგი) – 80 სასწავლო აქტივობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს განხორციელდება 80 სასწავლო აქტივობა. 2023 წელს განხორციელდა 51 სასწავლო აქტივობა (ტრენინგი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად განხორციელდება მინიმუმ 80 სასწავლო აქტივობა (ტრენინგი); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0-10%. პროცესში ჩართულია არაერთი დაინტერესებული მხარე; **შესაძლო რისკები** - საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შესაძლოა საჭირო გახდეს და გეგმილზე მეტი ტრენინგის ჩატარება, რაც წინასწარ გათვალისწინებული ვერ იქნება

საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (23 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია

პოლიტიკის კლასიფიკატორი	გენდერული თანასწორობა
აღწერა და მიზანი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება; საბიუჯეტო ორგანიზაციებისა (ცენტრალურ, ავტონომიურ და ადგილობრივ დონეზე) და კერძო სექტორის თანამშრომელთა და ასევე, ფიზიკური პირების მომზადება/გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიციირებული რეფორმების ხელშეწყობა მათ დანერგვასთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზებით; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის პროფესიული და საკვალიფიკაციო ტესტირებების ორგანიზება/ადმინისტრირება; საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან და სასწავლო დაწესებულებებთან ერთად პროექტების შემუშავება და განხორციელება, მათ შორის, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით; დონორებთან თანამშრომლობის ფარგლებში სტუდენტებისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის (მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ქალები, ძალადობის მსხვერპლი ქალები, შშმ პირები, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები) ცოდნისა და უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ღია ლექციების, უსასყიდლო სასწავლო კურსებისა და ტრენინგკურსების ორგანიზება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა, საჯარო და კერძო სექტორში საფინანსო და მომიჯნავე მიმართულებებით დასაქმებულთა და ასევე, ფიზიკური პირების კვალიფიკაცია ამაღლებულია.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - განხორციელებულ პროექტებში (რეფორმისა და ტესტირების გარდა) მონაწილეთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელებულ პროექტებში გათვალისწინებულია 5120 პირის მონაწილეობა (მ.შ. 1087 კაცი და 4033 ქალი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 5250 მონაწილე (მ.შ.1119 კაცი და 4131 ქალი); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 345 მონაწილე; **შესაძლო რისკები** - ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი გადასამზადებელი თანამშრომლების რაოდენობის შემცირება; ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის ჩატარების შემდგომ დამატებითი საჭიროებების გამოვლენა; სხვა ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული ალტერნატიული პროგრამები; ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების რაოდენობისა და მასშტაბის შემცირება; სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის პროექტების შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა **2.**

	ინდიკატორის დასახელება - სერტიფიცირებული კურსების მონაწილეთა მიერ აღებული სერტიფიკატების პროცენტული მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - სერტიფიცირებული სასწავლო კურსების მონაწილეთა 70%-მა მიიღო სერტიფიკატი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მონაწილეთა 70% მიიღებს სერტიფიკატს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ტრენინგკურსებზე მონაწილეთა დაბალი დასწრება/მოსწრება; სასწავლო კურსების სასერტიფიკატო გამოცდაზე გამოუცხადებლობა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - პროექტების მონაწილეთა კმაყოფილების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - პროექტების მონაწილეთა კმაყოფილების მაჩვენებელი 90%-ია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროექტების მონაწილეთა კმაყოფილების მაჩვენებელი 94%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - ინოვაციებისა და სიახლეების ნაკლებობა; ტრენინგისთვის საჭირო რესურსების ნაკლებობა/გაუმართაობა; ტრენერთა/ტრენერ-ექსპერტთა დაბალი ჩართულობა

საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა (24 16)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება
აღწერა და მიზანი	საერთაშორისო და საქართველოს საგანმანათლებლო და საზღვაო კანონმდებლობების შესაბამისად, საზღვაო და მომიჯნავე დარგებში კვალიფიციური კადრების მომზადება; საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის კვლევით ცენტრად ჩამოყალიბება და საზღვაო და მომიჯნავე დარგებში კვლევითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა; სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა და სტუდენტთა საზღვაოსნო პრაქტიკით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; სასწავლო მასალებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება; კურსდამთავრებულების კარიერული წარმატების უზრუნველსაყოფად სტუდენტთა ხელშეწყობისა და მომსახურების სამსახურის განვითარება; საკრუინგო კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საზღვაო სავაჭრო ფლოტსა და საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში დასაქმებული კვალიფიციური კადრი; ამაღლებული სწავლის ხარისხი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საზღვაო აკადემიის ამაღლებული პრესტიჟი და

	რეიტინგი. სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა და მოზიდული უცხოელი სტუდენტები ახალ საგანმანათლებლო პროგრამებზე. კურსდამთავრებულების დასაქმების ბაზრის ზრდა; საკრუინგო კომპანიების გაზრდილი რიცხვი; საზღვაო-სავაჭრო ფლოტსა და საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში დასაქმებული კვალიფიციური კადრი STCW კონვენციისა და „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - კვალიფიციური კადრების მომზადება; **საბაზისო მაჩვენებელი** - მომზადებულია 3 562 კვალიფიციური კადრი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომზადდება 15 500 კვალიფიციური კადრი 3700 მომზადებული კვალიფიციური კადრი-2025წ; 3800 მომზადებული კვალიფიციური კადრი-2026; 3900 მომზადებული კვალიფიციური კადრი-2027; 4100 მომზადებული კვალიფიციური კადრი-2028; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - მიზნობრივი ჯგუფების დაბალი აქტივობა; ეკონომიკური კრიზისი საზღვაო ინდუსტრიის სფეროში

მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (28 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი
აღწერა და მიზანი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მომზადება და გადამზადება, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმებულ სხვა საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ეფექტიანად დაგეგმვისა და წარმართვისთვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის, სხვა სამთავრობო უწყებებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის ანალიტიკური და კვლევითი პროდუქტების შექმნა და მიწოდება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმებულ სხვა საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის თემატური ბიბლიოთეკის გამდიდრება; დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის განვითარება (კვლევითი კომპონენტის განვითარება, არსებული პროგრამების განახლება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში, ახალი პროგრამების/მოდულების შემუშავება, ინსტიტუტის თანამშრომლების კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება); მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან და აკადემიებთან საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით;

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - გადამზადებული სამინისტროს თანამშრომლებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმებულ სხვა საჯარო მოხელეთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - ტრენინგების, სემინარების და ლექციების შედეგად შესაბამისი მიმართულებით გადამზადებული სამინისტროს თანამშრომლებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმებული სხვა საჯარო მოხელეების რაოდენობა (2024 წლის ივნისის მონაცემებით, გადამზადდა 76 დიპლომატი და საჯარო მოხელე); პროგრამების რაოდენობა, რომლებსაც აქვთ კურიკულუმი და შეფასების მექანიზმი (4 პროგრამა); თვითმართვადი ელექტრონული კურსების - კიბერ ჰიგიენის საბაზისო კურსი, ინფორმაციული უსაფრთხოება, პერსონალური მონაცემების დაცვა - დანერგვა სამინისტროს სისტემაში (2024 წლის ივნისის მონაცემებით LMS Moodle-ის სასწავლო პლატფორმაზე 3 დამოუკიდებელი თვითმართვადი ელექტრონული კურსი უკვე განთავსებულია); პროგრამის - ,,საქართველოს შესახებ“ და ქართული ენის კურსის ორგანიზება უცხოელი დიპლომატებისთვის (2024 წლის ივნისის მონაცემებით განხორციელდა ქართული ენის კურსი უცხოელი დიპლომატებისთვის, ,,საქართველოს შესახებ“ პროგრამის განხორციელება იგეგმება 2024 წლის ოქტომბერში); ინსტიტუტის მკვლევრების მიერ მომზადებული ანალიტიკური სტატიებისა და ანალიტიკური კრებულების რაოდენობა (2024 წლის ივნისის მონაცემებით გამოქვეყნდა ანალიტიკური კრებულის - ,,საქართველო და საერთაშორისო პოლიტიკა“ მე-6 გამოცემა. და 4 ანალიტიკური სტატია. მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან და აკადემიებთან, ასევე ადგილობრივ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმების რაოდენობა; (საანგარიშო პერიოდში ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა 3 უცხო ქვეყნის საგარეო უწყებასთან/დიპლომატიურ ინსტიტუტთან. ინსტიტუტის ბიბლიოთეკისთვის შეძენილი მონოგრაფიების - რაოდენობა (საანგარიშო პერიოდში ბიბლიოთეკისთვის მონოგრაფიების შეძენა არ განხორციელებულა); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 4 სავალდებულო პროგრამის განხორციელება (დამწყები დიპლომატების მოსამზადებელი პროგრამა, საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამა, წინასაროტაციო პროგრამა, ადმინისტრაციული მენეჯერების პროგრამა); 5 უცხო ენის კურსის (ფრანგული, ესპანური, გერმანული, თურქული, ინგლისური) ჩატარების უზრუნველყოფა, ასევე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მოთხოვნის შესაბამისად, სხვა უცხო ენის კურსების ორგანიზება; პროგრამის - ,,საქართველოს შესახებ“ და ქართული ენის კურსის ორგანიზება უცხოელი დიპლომატებისთვის; სულ მცირე 1 კომერციული კურსის ორგანიზება; 10 ანალიტიკური ბარათის მომზადება; 2 ანალიტიკური კრებულის გამოცემა; სულ მცირე 10 ახალი მონოგრაფიის შეძენა ბიბლიოთეკისთვის

ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება (01 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო
აღწერა და მიზანი	ქვეყანაში ჰერალდიკური ნიშნებისა და სიმბოლოების მოწესრიგება და დამკვიდრება ევროპული სტანდარტების შესაბამისად; სახელმწიფო ცერემონიების, ოფიციალური ღონისძიებებისა და სამხედრო აღლუმების ჩატარებისას საჭირო სახელმწიფო სიმბოლოებისა და სხვა ჰერალდიკური ნიშნების, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებათა ჰერალდიკური

	ნიშნების, საქართველოს სახელმწიფო სამხედრო და სპეციალურ უწყებათა სპეციალური ფორმის ტანსაცმლის (უნიფორმების) და ემბლემების შექმნასა და გამოყენების წესების დადგენაში მონაწილეობა, სათანადო რეკომენდაციებისა და დასკვნების გაცემა; საქართველოს ტერიტორიული ჰერალდიკის სისტემური განვითარების უზრუნველყოფა; ჰერალდიკის საკითხებზე სამოქალაქო განათლების გავრცელების ხელშეწყობა; ქვეყანაში სახელმწიფო სიმბოლიკისა და მისი მნიშვნელობის პოპულარიზაცია; ჰერალდიკის საკითხებზე ისტორიული მასალების (წყაროების) მოძიება (საქართველოში და მისი ფარგლების გარეთ) და ანალიზი; სახელმწიფო სიმბოლოებისა და განმასხვავებელი ნიშნების ნიმუშების ჰერალდიკური ექსპერტიზის, აგრეთვე მათი შექმნისა და გამოყენების შესახებ დასკვნების მომზადება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პოპულაროზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - "საქპატენტი" (61 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი"
აღწერა და მიზანი	ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი დაცვა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, მცენარეთა ახალი ჯიში, ცხოველთა ახალი ჯიში, სასაქონლო ნიშანი, ადგილწარმოშობის დასახელება, გეოგრაფიული აღნიშვნა, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, საავტორო და მომიჯნავე უფლებები); ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების სამართლებრივი უზრუნველყოფა; ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის განვითარებისა და სრულყოფისათვის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება; ინტელექტუალური საკუთრების სფეროში პოლიტიკის განსაზღვრა და მისი განხორციელება, პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და მათი განხორციელების ორგანიზება, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების ორგანიზება; საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

	ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლების მოპოვების სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური და მხატვრულ-შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნის ხელშეწყობა; ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმაციით უზრუნველყოფა და სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება; ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განაცხადის კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპერტიზა, შესაბამისი დოკუმენტების გაცემა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრების წარმოება; ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით განმცხადებლებისა და მესამე პირების სააპელაციო საჩივრების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება „საქპატენტთან“ არსებულ სააპელაციო პალატაში; ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ წინადადებების მომზადება; „საქპატენტის“ დებულებით გათვალისწინებული და კანონმდებლობიდან გამომდინარე ფუნქციების შესრულების მიზნით, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პროექტებისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვასთან დაკავშირებით მასალების გამოქვეყნება, მათ შორის საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის გამოცემა; საერთაშორისო განაცხადებთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება; ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და საერთაშორისო შეთანხმებების კომენტარების მომზადება და გამოცემა; ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების მონაცემთა ავტომატიზებული ბაზების შექმნა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა; პატენტრწმუნებულთა ატესტაცია, რეგისტრაცია, მათი რეესტრის შექმნა და წარმოება; საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების, მათი მემკვიდრეებისა და სხვა უფლებამონაცვლეების ქონებრივი

	უფლებების დაცვისათვის, კოლექტიურ საფუძველზე, მმართველი ორგანიზაციების (საზოგადოებების) საქმიანობის ხელშეწყობა; საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს განვითარების ხელშეწყობა; ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულება, საინფორმაციო და შემეცნებითი ბროშურებისა და სხვა მასალების გამოქვეყნება და გავრცელება; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სამართლებრივად დაცული იქნება ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - განაცხადების მიღება; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2023 წელს დაგეგმილია 5875 განაცხადის მიღება ფაქტიურად 10 თვეში მიღებულია 5078 განაცხადი. მათ შორის: გამოგონების დაპატენტებასთან დაკავშირებით 250 (231); სასარგებლო მოდელის დაპატენტებასთან დაკავშირებით 50 (38); დიზაინის რეგისტრაციასთან დაკავშირებით 200(194); სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებით 5000 (4312); საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციასთან დაკავშირებით 25 (35); ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირებასთან დაკავშირებით 350 (268); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2024-2027 წლებში, შესაბამისი კანონებით განსაზღვრული განმცხადებლებისგან, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილ ვადებში იღებენ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ დამცავ დოკუმენტებს, თითოეულ წელს მიღებული იქნება არანაკლებ 5 800 განაცხადი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - ნნაკლები მომართვიანობა; გამოგონებების და სასაქონლო ნიშნების უკანონოდ მითვისება; ახალი კორონავირუსის უარყოფითი ეფექტი

ა(ა)იპ - ორიჯინ-საქართველო (61 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ორიჯინ-საქართველო
აღწერა და მიზანი	საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა; ქვეყანაში კონკურენტუნარიანი, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა; საქართველოს რეგიონებში პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნების წარმოჩენა და მათი სამართლებრივი დაცვის ხელშეწყობა;

	გეოგრაფიული აღნიშვნების გარშემო ფერმერთა და მწარმოებელთა გაერთიანებების შექმნაში მონაწილეობა და მათ საქმიანობაში ბრენდინგის თანამედროვე ფორმების დამკვიდრების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს რეგიონებში წარმოჩენილი და სამართლებრივად დაცული გეოგრაფიული აღნიშვნები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2023 წელს დაგეგმილია 32 ღონისძიების ჩატარება ფაქტიურად 10 თვეში ჩატარდა 26 ღონისძიება, მათ შორის: პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნის ინდიფიცირება 5 (4); ასოციაციისათვის დებულების მომზადება 4 (3); პროდუქტისათვის სპეციფკაციის მომზადება 5 (4); სპეციფიკაციაში შესატანი ცვლილებების მომზადება“ 3 (2); „ღვინის გეოგრაფიული აღნიშვნის სპეციფიკაციის შესადგენი გზამკვლევისა და დანართების მომზადება“ 6 (4); ლექცია და პრეზენტაცია საერთაშორისო სასწავლო პროექტების ფარგლებში 3 (3); გეოგრაფიული აღნიშვნის განაცხადის შედგენასთან დაკავშირებული გზამკვლევის მომზადება“ 5 (3); გეოგრაფიული აღნიშვნის სარეგისტრაციო მასალის მომზადება“ 4 (3); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2023-2026 წლებში, თითოეული წლისათვის არანაკლებ 35 ღონისძიების ჩატარება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 8%; **შესაძლო რისკები -** არსებულ რეალობასთან შეუსაბამო გეოგრაფიული აღნიშვნების დამცავი დოკუმენტების შექმნა; მომართვიანობა და ახალი კორონავირუსის უარყოფითი ეფექტი

მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი
24 07	მეწარმეობის განვითარება	287,320.0	287,320.0	0.0	292,260.0	250,000.0	250,000.0
24 06	სახელმწიფო ქონების მართვა	299,550.0	255,180.0	44,370.0	410,500.0	355,800.0	227,930.0
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	32,490.0	32,490.0	0.0	35,550.0	38,750.0	41,950.0
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	309,268.0	25,000.0	284,268.0	324,150.0	336,300.0	351,600.0
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	22,450.0	22,450.0	0.0	24,200.0	26,200.0	28,300.0
40 02	სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა	10,750.0	10,750.0	0.0	11,000.0	11,500.0	11,900.0
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	16,081.0	10,100.0	5,981.0	14,900.0	15,400.0	15,400.0
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	10,200.0	10,000.0	200.0	10,300.0	11,200.0	11,200.0
47 03	მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა	9,500.0	9,500.0	0.0	900.0	0.0	0.0
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	6,500.0	6,500.0	0.0	7,000.0	7,500.0	8,000.0
43 00	სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო	6,530.0	6,500.0	30.0	7,030.0	7,530.0	8,030.0
38 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	4,500.0	4,500.0	0.0	4,700.0	4,900.0	5,100.0
23 06	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	3,880.0	3,880.0	0.0	4,300.0	4,750.0	5,200.0
24 18	ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები	3,800.0	3,800.0	0.0	3,800.0	3,800.0	3,800.0
24 04	ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები	2,900.0	2,900.0	0.0	3,200.0	3,500.0	4,000.0
24 13	ტექნიკური დახმარების პროექტი საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის პროგრამის (GESRP) მხარდასაჭერად (EU-NIF)	2,500.0	2,500.0	0.0	0.0	0.0	0.0
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	2,860.0	2,300.0	560.0	2,960.0	3,160.0	3,260.0
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	3,236.0	1,800.0	1,436.0	3,351.0	3,551.0	3,800.0
24 09	ნავთობისა და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა	1,710.0	1,200.0	510.0	2,010.0	2,310.0	2,510.0

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	950.0	950.0	0.0	1,000.0	1,100.0	1,200.0
53 00	სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	700.0	700.0	0.0	700.0	700.0	700.0
64 00	სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო	1,853.0	0.0	1,853.0	1,900.0	2,000.0	2,100.0
62 00	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	11,000.0	0.0	11,000.0	11,000.0	11,000.0	11,000.0
24 24	აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება	3,850.0	0.0	3,850.0	3,200.0	3,400.0	3,500.0
ჯამი		**1,054,378.0**	**700,320.0**	**354,058.0**	**1,179,911.0**	**1,104,351.0**	**1,000,480.0**

მეწარმეობის განვითარება (24 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - აწარმოე საქართველოში; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
აღწერა და მიზანი	კერძო სექტორის, როგორც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალის, ჩამოყალიბებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა, მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელშეწყობა და იმ სფეროების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, სადაც კერძო სექტორის შესაძლებლობები სუსტი და შეზღუდულია; ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ინკლუზიური ზრდის მისაღწევად მეწარმეობის (მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის) განვითარება, კერძო სექტორისთვის ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა, საქართველოს ეკონომიკის რეგიონალური და გლობალური კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელშეწყობა; საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობების გაზრდა; ექსპორტზე ორიენტირებული წარმოებისა და მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციის შექმნისკენ მიმართული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა; თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და მომსახურების სფეროს განვითარება, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობას; ექსპორტის ხელშეწყობისთვის ქართული კომპანიების უცხოურ ბაზრებზე წარდგენა და მათი საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის უზრუნველყოფა; ბაზრის კვლევის კუთხით კომპანიებისთვის დახმარების გაწევა ექსპორტის დაგეგმვისა და მიზანმიმართული განვითარებისთვის; ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებთან რეგულარული კომუნიკაცია და მათთვის დახმარების გაწევა ექსპორტის დასაგეგმად საჭირო მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებით; საქართველოს საწარმოო პოტენციალის წარმოჩენა მასშტაბური საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიების წარმოებით და პროდუქციის/მომსახურების პოპულარიზაციით; მეწარმეობის განვითარების წახალისება, დამწყები და არსებული მცირე და საშუალო საწარმოების სათანადო ხელშეწყობა პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის;

	ქვეყნის გარეთ საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაცია და ამ მიზნით სექტორული კვლევების, საინვესტიციო პროექტების, გზამკვლევებისა და სხვა მარკეტინგული მასალების მომზადება; პრიორიტეტულ სექტორებში სამიზნე კომპანიების იდენტიფიცირება, მათთან პროაქტიულად დაკავშირება და შეხვედრების ორგანიზება; პოტენციური და არსებული ინვესტორების დახმარება ინვესტიციის განხორციელების პროცესში; მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ხელშეწყობა საკრედიტო საგარანტიო სქემისა და ბიზნესის მხარდაჭერის უნივერსალური პროგრამის მეშვეობით. • მეწარმეობის ხელშეწყობის ახალი პოლიტიკის მიმართულება მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2021 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა ახალი, ბიზნესის მხარდაჭერის უნივერსალური პროგრამა, გაფართოვდა ინდუსტრიული ნაწილის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი. განახლებული უნივერსალური მიდგომით მარტივდება ახალი კომპანიებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და პროგრამის ბენეფიციარ საწარმოებს სახელმწიფოს მხრიდან კრედიტის თანადაფინანსებასთან ერთად, საქმიანობის სახეების მიხედვით, შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ საკრედიტო-საგარანტიო სქემაში (სახელმწიფოსგან მიიღონ სესხის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა), ისარგებლონ სესხის პროცენტის სუბსიდირებით, რომელიც დაფუძნებულია რეფინანსირების განაკვეთზე. ასევე, პრიორიტეტული მიმართულებების საქმიანობის განმახორციელებელი ბენეფიციარები დამატებით მიიღებენ საგრანტო თანადაფინანსებას მიზნობრივად ათვისებული სესხის 15% ოდენობით. მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ბიზნესის მხარდაჭერის უნივერსალური განახლებული პროგრამა ფინანსდება, როგორც საბიუჯეტო სახსრებიდან, ისე მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი სახსრებიდან. მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ალტერნატიული მექანიზმების ხელშეწყობის მიმართულება, რომელიც მიზნად ისახავს ბაზარზე ფასიანი ქაღალდების სახეობის, რაოდენობისა და ხელმისაწვდომობის ზრდას. კერძოდ: • ბონდების გამოშვების თანადაფინანსება - ფასიანი ქაღალდების გამოშვებით დაინტერესებული მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერის პროგრამა (სააგენტო უზრუნველყოფს საბროკერო სერვისების და საჭიროების შემთხვევაში სარეიტინგო ხარჯების თანადაფინანსებას). • საინვესტიციო ფონდების განვითარება - მსოფლიო ბანკთან პარტნიორობით, სააგენტო გააგრძელებს მუშაობას კერძო კაპიტალის ფონდების დასაფუძნებლად, სადაც სახელმწიფო ლიმიტირებული პარტნიორი იქნება. • აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსების ხელშეწყობა - შეიქმნება აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსების პლატფორმა, რომელიც საშუალებას მისცემს კომპანიებს გამოიყენონ საკუთარი აქტივები დამატებითი სასესხო რესურსის მოსაზიდად.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	კონკურენტუნარიანი ადგილობრივი წარმოება; წლიურად პროგრამის ფარგლებში გაზრდილი სამუშაო ადგილები; გაზრდილი საექსპორტო პოტენციალი;

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - ბიზნესის მხარდაჭერის უნივერსალური პროგრამის მიმართულებით მხარდაჭერილი ბენეფიციარების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - წლიურად მხარდაჭერილია 350 ბენეფიციარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სულ თანადაფინანსებული 2025წ.- 360-მდე ბენეფიციარი; 2026 – 390-მდე ბენეფიციარი; 2027წ.- 390-ზე მეტი ბენეფიციარი; 2028წ.- 410-ზე მეტი ბენეფიციარი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; **შესაძლო რისკები** - ცვლილებები პროგრამაში; სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა; ბიზნეს გარემოს ცვლილება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - საკრედიტო-საგარანტიო სქემით მხარდაჭერილი საწარმოების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მხარდაჭერილი 200-მდე ახალი ან არსებული საწარმო; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად მხარდაჭერილი ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოება/გადაიარაღება /მოდერნიზება: 2025წ. 250-მდე საწარმო და 2026-2028-200-მდე საწარმო; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ბიზნეს გარემო; სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - სუბსიდირებული იპოთეკური სესხი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით გაცემული 1000-მდე სუბსიდირებული იპოთეკური სესხი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად პროგრამით მხარდაჭერილი იქნება 1000-მდე სუბსიდირებული იპოთეკური სესხი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ბიზნეს გარემო; სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა **4.** **ინდიკატორის დასახელება** - ექსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილე კომპანიების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო ღონისძიებებში წლიურად მონაწილე კომპანიების რაოდენობაა 95 ერთეული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კომპანიების საერთაშორისო ღონისძიებებში წლიურად მონაწილეობისრაოდენობის ზრდა: 2025წ.-170-მდე; 2026წ.-180-მდე; 2027-190-მდე; 2028-200 ერთეულამდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - ექსპორტიორი კომპანიების დაბალი აქტივობა; არასტაბილური ეკონომიკური ვითარება **5.** **ინდიკატორის დასახელება** - ინვესტიციების ხელშეწყობის მიმართულებით გატარებული ღონისძიებების ფარგლებში წლიურად შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა;

	საბაზისო მაჩვენებელი - შექმნილია ახალი 750-მდე სამუშაო ადგილი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** შექმნილი ახალი სამუშაო ადგილი:2025წ.-850-მდე; 2026წ.-950-მდე; 2027-1050-მდე; 2028-1150-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ბიზნეს გარემო; სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა

მეწარმეობის განვითარების ადმინისტრირება (24 07 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - აწარმოე საქართველოში
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
აღწერა და მიზანი	მეწარმეობის განვითარების წახალისება, დამწყები და არსებული მცირე და საშუალო საწარმოების სათანადო ხელშეწყობა პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის; ექსპორტისა და ინვესტიციების მიმართულებების გაძლიერების მიზნით დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების მართვა და ეფექტიანი განხორციელება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შეუფერხებლად განხორციელებული დაგეგმილი პროექტები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** პროექტების შეუფერხებელი განხორციელება; **საბაზისო მაჩვენებელი -** უზრუნველყოფილია სსიპ აწარმოე საქართველოში-ს მიმდინარე პროექტების მართვა და ეფექტური განხორციელება; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** დაგეგმილი პროექტების შეუფერხებელი განხორციელება 2025-2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** -; **შესაძლო რისკები -** -

მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა (24 07 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - აწარმოე საქართველოში

პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
აღწერა და მიზანი	საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებაზე და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით; მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა რეგიონებში; საქართველოში შემოქმედებითი ინდუსტრიის (მათ შორის, კინოწარმოების) განვითარება; კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და პოტენციალის შენარჩუნება; მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის მხარდაჭერა ფინანსების, უძრავი ქონებისა და ტექნიკური დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით; კომერციულ ბანკში აღებული იპოთეკური კრედიტის გარანტიით ან/და სესხის პროცენტის თანადაფინანსებით სამშენებლო სექტორის ხელშეწყობა; მრავალშვილიანი ან/და იმ ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ ახალშეძენილი შვილი/შვილები, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა, იპოთეკური კრედიტების სუბსიდირების გზით; ბაზარზე ფასიანი ქაღალდების სახეობის, რაოდენობისა და ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობა, კერძოდ: ბონდების გამოშვების თანადაფინანსება; საინვესტიციო ფონდების განვითარება; აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსების ხელშეწყობა; მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა, აღნიშნულ სეგმენტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანობისა და სამეწარმეო პოტენციალის ზრდა, სესხის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობის და ფინანსურ რესურსზე ხელმისაწვდომის გაზრდის გზით; მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსების წვდომის გაუმჯობესების ხელშეწყობა საკრედიტო-საგარანტიო სქემის საშუალებით. კომერციული ბანკების/მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხების საგარანტიო მექანიზმით უზრუნველყოფა; ექსპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის ფარგლებში: საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ქვეყნის გარეთ სხვადასხვა საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაცია; საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება; ბაზრის კვლევებისა და კონსულტაციების მეშვეობით ადგილობრივ ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების უნარების ამაღლება, ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა და ევროპის მეწარმეთა ქსელში ჩართვა;

	ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მოთხოვნების თაობაზე მეწარმეების ცნობიერების ამაღლება და მათი შესრულებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა; ინვესტიციების ხელშეწყობის ფარგლებში: ახალი საინვესტიციო პროექტების დაწყების, სამუშაო ადგილების შექმნისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდის ხელშეწყობა; არსებული ინვესტორების მხარდაჭერა („aftercare“); მსოფლიოს მასშტაბით საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაცია.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესი; შექმნილი ახალი სამუშაო ადგილები: საშუალოდ, 6000 სამუშაო ადგილი წლიურად; მოზიდული უცხოური კინოწარმოება, განვითარებული ადგილობრივი კინოინდუსტრიის ბაზარი და ინფრასტრუქტურა, გაზრდილი ქვეყნის ტურისტული პოტენციალი და ვიზიტორთა რაოდენობა;კინოინდუსტრიის წახალისების მეშვეობით დარგში გაზრდილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: საშუალოდ, კვალიფიციური ხარჯის მოცულობა 10 მლნ ლარი წლიურად; ექსპორტის წლიური ზრდა ბენეფიციარებში - 20%; საქართველოში წარმოებული პროდუქციის და მომსახურების გაზრდილი კონკურენტუნარიანობა; მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებზე მორგებული ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვა; რეგიონებში, ადგილობრივ დონეზე ბიზნეს უნარების საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი სერვისების მიწოდება; ამაღლებული ცნობადობა საქართველოს საწარმოო და საექსპორტო პოტენციალთან დაკავშირებით (პროდუქტისა და მომსახურების); მსოფლიო მასშტაბით ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობების გაზრდილი ცნობადობა; ახალი სექტორული კვლევები და საინვესტიციო პროექტები; საქართველოთი დაინტერესებული პოტენციური ინვესტორი კომპანიები და დაწყებული ახალი საინვესტიციო პროექტები; საშუალო პროდუქტიულობის ზრდა ბენეფიციარებში - 17%.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1.

	ინდიკატორის დასახელება - ბიზნესის მხარდაჭერის უნივერსალური პროგრამის მიმართულებით მხარდაჭერილი ბენეფიციარების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მხარდაჭერილია 350 ბენეფიციარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - წლიურად მხარდაჭერილი 350-ზე მეტი ახალი ან არსებული საწარმო-2025წ; წლიურად მხარდაჭერილი 370-ზე მეტი ახალი ან არსებული საწარმო-2026წ; წლიურად მხარდაჭერილი 390-ზე მეტი ახალი ან არსებული საწარმო-2027წ; წლიურად მხარდაჭერილი 410-ზე მეტი ახალი ან არსებული საწარმო-2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25% (პროგრამაში დაგეგმილი ცვლილებები); **შესაძლო რისკები** - სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა; ვალუტის კურსის ცვალებადობა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - სუბსიდირებული იპოთეკური სესხი; სამშენებლო სექტორის ხელშეწყობის ფარგლებში 2020 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად სუბსიდირებული იპოთეკური სესხების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2020-2021 წელს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით გაცემული 1000-მდე სუბსიდირებული იპოთეკური სესხი; 2020-2021 წელს პროგრამით მხარდაჭერილი 6700-მდე იპოთეკური სესხი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამით წლიურად მხარდაჭერილი იქნება 1000-მდე სუბსიდირებული იპოთეკური სესხი; 2025-2028წ; პროგრამით წლიურად მხარდაჭერილი იქნება 6700-მდე იპოთეკური სესხი; 2025-2026წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30% (დაინტერესებული პირების აქტივობის შემცირება/ზრდა); **შესაძლო რისკები** - რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ბიზნეს გარემო; სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ექსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში საერთაშორისო ღონისძიებებში წლიურად მონაწილე კომპანიების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო ღონისძიებებში წლიურად მონაწილე კომპანიების რაოდენობაა 95 ერთეული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კომპანიების საერთაშორისო ღონისძიებებში წლიურად მონაწილე რაოდენობის ზრდა 170 ერთეულამდე-2025წ; საერთაშორისო ღონისძიებებში წლიურად მონაწილე კომპანიების რაოდენობის ზრდა 180 ერთეულამდე-2026წ; საერთაშორისო ღონისძიებებში წლიურად მონაწილე კომპანიების რაოდენობის ზრდა 190 ერთეულამდე-2027წ; საერთაშორისო ღონისძიებებში წლიურად მონაწილე კომპანიების რაოდენობის ზრდა 200 ერთეულამდე-2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20% (დაინტერესებული მონაწილე კომპანიების შემცირება/ზრდა); **შესაძლო რისკები** - მწარმოებელი კომპანიების დაბალი აქტივობა; არასტაბილური ეკონომიკური ვითარება **4.** **ინდიკატორის დასახელება** - ინვესტიციების ხელშეწყობის მიმართულებით გატარებული ღონისძიებების ფარგლებში ახალი სამუშაო ადგილების და საინვესტიციო პროექტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - წლიურად შეიქმნება ახალი 750-მდე სამუშაო ადგილი; დაწყებული ახალი საინვესტიციო პროექტები - 7 პროექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - წლიურად შეიქმნება ახალი 850-მდე სამუშაო ადგილი; დაიწყება 8 ახალი საინვესტიციო პროექტი-2025წ; წლიურად შეიქმნება ახალი 950-მდე სამუშაო ადგილი; დაიწყება 9 ახალი საინვესტიციო პროექტი-2026წ; წლიურად

	შეიქმნება ახალი 1050-მდე სამუშაო ადგილი; დაიწყება 10 ახალი საინვესტიციო პროექტი-2027წ; წლიურად შეიქმნება ახალი 1150-მდე სამუშაო ადგილი; დაიწყება 11 ახალი საინვესტიციო პროექტი-2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20% / ცდომილება შეიძლება გამოიწვიოს დაინტერესებული ინვესტორების ოდენობების შემცირებამ/ზრდამ; **შესაძლო რისკები** - რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ბიზნეს გარემო; სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა **5.** **ინდიკატორის დასახელება** - საკრედიტო-საგარანტიო სქემის ფარგლებში ახალი ან არსებული საწარმოს მხარდასაჭერად გაფორმებული ხელშეკრულება; **საბაზისო მაჩვენებელი** - მხარდაჭერილი 200-მდე ახალი ან არსებული საწარმო; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - წლიურად მხარდაჭერილი 250-მდე ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოება/გადაიარაღება /მოდერნიზება-2025წ; წლიურად მხარდაჭერილი 200-მდე ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოება/გადაიარაღება /მოდერნიზება-2026-2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%(დაინტერესებული პირების აქტივობის შემცირება/ზრდა); **შესაძლო რისკები** - რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ბიზნეს გარემო; სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა, **6.** **ინდიკატორის დასახელება** - დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების ხელშეწყობის მიმართულებით გატარებული ღონისძიებების ფარგლებში მხარდაჭერილი ბენეფიციარების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - წლიურად მხარდაჭერილი ბენეფიციარების რაოდენობაა 10 ერთეული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე კომპანიების რაოდენობის ზრდა 10 ერთეულამდე-2025წ; კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე კომპანიების რაოდენობის ზრდა 20 ერთეულამდე-2026წ; კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე კომპანიების რაოდენობის ზრდა 30 ერთეულამდე-2027წ; კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე კომპანიების რაოდენობის ზრდა 40 ერთეულამდე-2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%(დაინტერესებული მონაწილე კომპანიების შემცირება/ზრდა); **შესაძლო რისკები** - კომპანიების დაბალი აქტივობა; არასტაბილური ეკონომიკური ვითარება **7.** **ინდიკატორის დასახელება** - მიკრო სესხების მხარდაჭერის ღონისძიებების ფარგლებში მხარდაჭერილი ბენეფიციარების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - წლიურად მხარდაჭერილი 500 ბენეფიციარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მიკრო სესხების მხარდაჭერის ღონისძიებების ფარგლებში წლიურად მხარდაჭერილი 800 ბენეფიციარი-2025წ; მიკრო სესხების მხარდაჭერის ღონისძიებების ფარგლებში წლიურად მხარდაჭერილი 1000 ბენეფიციარი-2026წ; მიკრო სესხების მხარდაჭერის ღონისძიებების ფარგლებში წლიურად მხარდაჭერილი 1200 ბენეფიციარი-2027წ; მიკრო სესხების მხარდაჭერის ღონისძიებების ფარგლებში წლიურად მხარდაჭერილი 1200 ბენეფიციარი-2028წ;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 30%(დაინტერესებული პირების აქტივობის შემცირება/ზრდა); **შესაძლო რისკები -** რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ბიზნეს გარემო; სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა,

სახელმწიფო ქონების მართვა (24 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო; ა(ა)იპ - ინვესტორთა საბჭოს სამდივნო
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო ქონების მართვა/განკარგვა და სახელმწიფო საწარმოთა მართვა; საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში არსებული ლიკვიდური, გადახდისუუნარო და მოგებიანი საწარმოების კლასიფიკაცია მათი ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის მიხედვით; არამოგებიანი საწარმოების რაოდენობის შემცირება ლიკვიდაციით, გაკოტრებით ან რეორგანიზაციით; გამოუყენებელი აქტივების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობისა და დაცვის უზრუნველყოფა; სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული და პრივატიზებული ქონების მიღებიდან რეალიზაციამდე არსებული პროცედურების ეფექტიანად მართვა; სვანეთში, გუდაურსა და ბაკურიანში საბაგირო გზებისა და სასრიალო ტრასების მშენებლობა და ინფრასტრუქტურის განვითარება; საქართველოს აეროპორტების განვითარება უსაფრთხო ფრენების უზრუნველსაყოფად; ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის ხელშეწყობა; მოძრავი ქონების განკარგვის გამჭვირვალე, კონკურენტული და გამარტივებული პროცედურების უზრუნველყოფა; მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად ვებგვერდის – eAuction.ge-ს მომხმარებელთათვის სერვისების მიწოდებისა და ქონების განკარგვის პროცედურების გამარტივება, ვებგვერდის მოდერნიზაციისთვის სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება და ახალი სერვისების დამატება;

	არსებული სერვისების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საპრივატიზებო ობიექტების გაყიდვების გაზრდა, მოძიებული ინვესტიციების გაზრდა და ეკონომიკის განვითარება; საქართველოში შექმნილია სათხილამურო კურორტები განვითარებული ინფრასტრუქტურით და მიმდინარეობს მათი პოპულარიზაცია, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოზიდვა და შემოსავლების გაზრდა; განვითარებული სერვისები, პორტალის გაზრდილი მომხმარებელთა რიცხვი.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - პრივატიზების გეგმის შესრულება; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2023 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში შესულია 200 305 592 ლარი - წლიური გეგმა შესრულდა 100.2 %-ით. გამოცხადებული იქნა 2 738 აუქციონი, პირდაპირი მიყიდვის/ იჯარის/ აღნაგობის უფლებით გადაცემულ იქნა 1 060 ობიექტი და გაყიდული/გადაცემული ქონების მოსალოდნელმა ინვესტიციებმა შეადგინა 129 697 662 ლარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პრივატიზების გეგმის შესრულება 100%-ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-20%; **შესაძლო რისკები** - საპრივატიზებო ვალდებულების შეუსრულებლობა/არაკეთილსინდისიერი შესრულება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოთა ოპტიმიზაცია; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2023 წლის ბოლოსთვის სააგენტოს მართვაშია სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი 75 საწარმო; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საწარმოთა ოპტიმიზაციის პროცესის დასრულების შედეგად სახელმწიფოს მართვაში იქნება მხოლოდ სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოები (დაახლოებით 60 საწარმო); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-20%; **შესაძლო რისკები** - საწარმოს კაპიტალში არსებული ხარვეზები; საწარმოთა გაკოტრების პროცესში წარმოქმნილი სირთულეები, პარტნიორებთან წარმოქმნილი სირთულეები **3.** **ინდიკატორის დასახელება** - eAuction.ge; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით: ვებგვერდზე eAuction.ge რეგისტრირებულია 129 846 ფიზიკური/იურიდიული რეზიდენტი/არარეზიდენტი პირი; ვებგვერდს 6 087 პარტნიორი ფიზიკური/იურიდიული პირი შემოუერთდა, საიდანაც 5 094 ფიზიკური, ხოლო 993 იურიდიული პირია; ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ გამოცხადებულია 82 828 ლოტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომხმარებელთა რიცხვის 10-15%-ით ზრდა;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; **შესაძლო რისკები -** ტექნიკური შესაძლებლობები, მომხმარებელთა მხრიდან დაინტერესების შემცირება

სახელმწიფო ფინანსების მართვა (23 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება)
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო ფინანსების მართვა და ფისკალური წესების შემდგომი რეგულირება სტაბილური ფისკალური პარამეტრების მიღწევისათვის, საერთაშორისო დონეზე აღიარებული საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად; საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მომდევნო ეტაპების განხორციელება საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის შესაბამისად; ფისკალური რისკების შეფასება და მართვა (სახელმწიფო საწარმოებიდან, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებიდან, სასამართლო დავებიდან მომდინარე და სტიქიური მოვლენებისა და კლიმატის ცვლილების ფისკალური რისკები); სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური ზედამხედველის ან/და პარტნიორის უფლებამოსილებების განხორციელება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს როლის გაძლიერება; საშუალოვადიანი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება; გრძელვადიანი ფისკალური რისკების შეფასება და ანალიზი; საერთო წონასწორობის დინამიკურ-სტოქასტური (DSGE) მოდელის თეორიული და ტექნიკური მახასიათებლების სრულყოფა და პროგნოზის ხარისხის მონიტორინგი; ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების და სტაბილურობის ამსახველი მაჩვენებლების შესახებ ანალიტიკური და ინფორმაციული მასალის მომზადება; სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესასრულებლად სათანადო რესურსების მობილიზებისა და ეფექტიანად განაწილებისთვის ხარჯების საშუალოვადიანი გეგმებისა და წლიური ბიუჯეტების პროექტების მომზადება; საბიუჯეტო პროცესის კალენდრით გათვალისწინებული ეტაპების განხორციელება; სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტებსა და ბიუჯეტს შორის კავშირების გაძლიერება; ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების და ქვეპროგრამების პოლიტიკის კლასიფიკატორთან დაკავშირება (გაეროს მდგრადი

	განვითარების მიზნები (SDG), გენდერული თანასწორობა, კლიმატის ცვლილება, ადამიანური კაპიტალის მიზნები, სექტორული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები) და მათი ფისკალური გავლენის შესახებ ინფორმაციის საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ასახვა; საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის სრულყოფილად განხორციელება საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის განახლებული მეთოდოლოგიის შესაბამისად; ყველა ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტის შეფასება და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად წინასწარი შეფასებისა და საბოლოო შერჩევის ეტაპების განხორციელება პროექტის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტსა და საშუალოვადიან ფისკალურ ჩარჩოში გათვალისწინებამდე; ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ანალიზის პროცესში გენდერული თანასწორობისა და კლიმატის ცვლილების საკითხების გათვალისწინება მეთოდოლოგიით განსაზღვრული წესით; ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად ელექტრონული სისტემის – ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის სისტემის (ebtps.mof.ge – Budget Transparency and Participation System) დანერგვა, რომელიც ყველა დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნოს ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციას, ქვეყნის ძირითად პრიორიტეტებს და ბიუჯეტის პროგრამებს, დაგეგმოს ბიუჯეტი საკუთარი შეხედულებების შესაბამისად და მიიღოს უკუკავშირი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტში მისი მოსაზრებების გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე; ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის გაძლიერების ხელშეწყობა; საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ეფექტიანი თანამშრომლობის გაგრძელება; დამატებითი საინვესტიციო რესურსების მოზიდვის პარალელურად საქართველოს მთავრობის ვალის მდგრადობის შენარჩუნება როგორც საშუალოვადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში; საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობისათვის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება; ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის კოორდინაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში და აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი; საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებთან ურთიერთობის გაგრძელება;

	სუვერენული სარეიტინგო შეფასებების შენარჩუნება და გაუმჯობესება; საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა; პრიორიტეტულ სახელმწიფოებთან შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების აღკვეთის შესახებ შეთანხმების გაფორმება, აგრეთვე არსებული შეთანხმებების განახლება; დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული სააღრიცხვო სისტემის შემოღება და საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვა როგორც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ასევე, ავტონომიური რესპუბლიკების, მუნიციპალიტეტების და მათი დაქვემდებარებული ერთეულების დონეზე; სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) განვითარება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით სათანადო რესურსების მობილიზების უზრუნველყოფა; სტაბილური მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების მიღწევა; საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის გაზრდა; საბიუჯეტო პროცესის შესაბამისობა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან; სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით სათანადო რესურსების მობილიზების უზრუნველყოფა; სტაბილური მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების მიღწევა; მაკროეკონომიკური რისკების შეფასება და ანალიზი; ქვეყნისათვის სტაბილური და იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობა. დახვეწილი საგადასახადო კანონმდებლობა; დაბეგვრის ერთიანი პრაქტიკის უზრუნველყოფა; სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის გაძლიერება; საჯარო ფინანსების ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის გაზრდა; საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება; საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან კოოპერაციის გაღრმავება.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი; **საბაზისო მაჩვენებელი -** სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – 2.5%-ის ფარგლებში (2023 წელს ფაქტიური მონაცემი -2.2%); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან შენარჩუნდება 2.6% ფარგლებში; **შესაძლო რისკები -** რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები **2.** **ინდიკატორის დასახელება -** ღია ბიუჯეტის ინდექსი; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2021 და 2023 წლებში ჩატარებული შედეგების მიხედვით, საქართველომ მსოფლიოს 125 ქვეყანას შორის პირველი ადგილი დაიკავა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** არსებული დანერგილი პრაქტიკის მიუხედავად შესაძლებელია მაჩვენებელი არ შენარჩუნდეს მეთოდოლოგიური ცვლილების ან სხვა ქვეყნების მიერ მოპოვებული მაღალი შეფასების გამო; **შესაძლო რისკები -** შეფასების მეთოდოლოგიის გამკაცრება და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მაჩვენებლის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება **3.** **ინდიკატორის დასახელება -** საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან თანამშრომლობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** მიმდინარეობს სარეიტინგო სააგენტოებთან რეგულარული კომუნიკაცია და შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სარეიტინგო სააგენტოების უზრუნველყოფა ანალიტიკური ინფორმაციით; სააგენტოების ანგარიშების საფუძველზე რეიტინგის გაუმჯობესების სტრატეგიის განახლება; **შესაძლო რისკები -** - კადრების დენადობა კვალიფიციური კადრების მოსაზიდად არაადეკვატური კონკურენტუნარიანობა **4.** **ინდიკატორის დასახელება -** IPSAS სტანდარტები; **საბაზისო მაჩვენებელი -** ყოველწლიურად მზადდება და ხაზინის ვებ-გვერდზე ქვეყნდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისთვის. ავტონომიური რესპუბლიკები და მუნიციპალიტეტები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს აბარებენ სახაზინო სამსახურში, რომლებიც ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მიზნებისათვის, ქვეყნდება სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** დანერგილია დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS) როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზე, ასევე, ავტონომიური რესპუბლიკების, მუნიციპალიტეტების და მათი დაქვემდებარებული ერთეულების დონეზე; მომზადებულია მთლიანი მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების მოთხოვნების საფუძველზე, რომელიც ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მიზნებისათვის, გამოქვეყნებულია სახაზინო სამსახურის

	ვებ-გვერდზე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 25%; **შესაძლო რისკები -** სტანდარტების დანერგვის სირთულე; IFAC-ის მიერ ახალი სტანდარტების გამოცემის სიხშირე; სხვა პრიორიტეტული ამოცანების დადგომა დღის წესრიგში **5.** **ინდიკატორის დასახელება -** მთავრობის ვალი/მშპ; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2024 წლის მოსალოდნელი - 36.5% 2023 წლის ფაქტი - 39,2%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მაჩვენებელი ეტაპობრივად შემცირდება და შენარჩუნდება მშპ-ს 40%-ზე დაბალ მაჩვენებელზე;; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები

შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (23 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - შემოსავლების სამსახური
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება)
აღწერა და მიზანი	საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული სერვისების ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიურობის გაზრდა, ამ სერვისების ბიზნესპროცესების ოპტიმიზაცია; თვითმომსახურების წახალისება, რაც მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, მომსახურების მიღების პროცესი თავად მართოს, ხოლო შემოსავლების სამსახურს – გრძელვადიან პერსპექტივაში, უზრუნველყოს რესურსების ოპტიმიზაცია; გადასახადის გადამხდელთა მიმართ საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება; აუდიტის შიდა სატრენინგო სისტემის გაძლიერება და აუდიტორების კვალიფიკაციის ამაღლება. აუდიტორების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; აუდიტის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის გაუმჯობესება, რომელიც სრულად უნდა ასახავდეს საგადასახადო შემოწმების პროცესებს; კანონთან შესაბამისობის სფეროში არსებული საგადასახადო რისკების მართვის პროცესის გაძლიერება; კანონშესაბამისობის პროგრამების ფარგლებში საგადასახადო ვალდებულებების მქონე არარეგისტრირებულ პირთა გამოვლენის, გადასახადის გადამხდელთა ძირითადი მონაცემების სისწორის კონტროლის, დროული დეკლარირების უზრუნველსაყოფი ღონისძიებების, დეკლარაციების სისწორის კონტროლის, დღგ-ის ავტომატური უკან დაბრუნების ფარგლებში რისკის შემცველი დეკლარაციების შესწავლის და გადასახადის გადამხდელების დაუბეგრავი დოკუმენტების კონტროლის განხორციელება;

	ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კონტროლი და კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგი; გადასახადების დროულად გადახდის მაღალ დონის შენარჩუნება; ამოღებული საგადასახადო ვალდებულებების ოდენობის გაზრდა და შედეგად დაგროვილი უიმედო საგადასახადო დავალიანების შემცირება; გადამხდელთათვის გადახდის პროცედურების გამარტივება; ელექტრონული სერვისების განვითარება, კერძოდ, გადამხდელთან საჩივრების ეტაპზე ელექტორნული კომუნიკაციის (საჩივრის წარმოდგენა/საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების გაგზავნა) გაფართოვება; გადასახადის გადამხდელების საჩივრების განხილვის დროის ოპტიმიზაცია; არსებული პროგრამული მოდულების დახვეწა და ახალი პროდუქტების შექმნა რომლებიც უზრუნველყოფ სამსახურის ძირითადი ფუნქციების მხარდაჭერას, ინსტიტუციურ განვითარებასა და მდგრადობას; რისკზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს საგადასახადო და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პროცედურების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას; საბაჟო კონტროლის განხორციელების ეფექტურობის ზრდა, საბაჟო პროცედურების გამარტივება; კინოლოგიური მომსახურები უზრუნველყოფის გაუმჯობესება; საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული აკრძალვებისა და შეზღუდვების ეფექტიანი მართვის მიზნით ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის ევროსტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა; იმპორტიორების/ექსპორტიორების და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მკვეთი პირებისთვის კომფორტული გარემოს შექმნის, აგრეთვე საბაჟო პროცედურების სრულყოფილად განხორციელების მიზნით საბაჟო გამშვები პუნქტებისა და გაფორმების ეკონომიკური ზონების მოდერნიზაცია; საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ითვალისწინებს არა მარტო ევროკავშირის დირექტივებსა და რეგულაციებთან დაახლოებას, საერთაშორისო კონვენციებთან

	შეერთებასა და საგადასახადო/საბაჟო პოლიტიკისა და ადმინისტრირების საერთაშორისო პრინციპების დანერგვას, არამედ მათ ეფექტიან ადმინისტრირებას.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სერვისების გამოყენების გამარტივება ვიდეო გიდების, მომხმარებლის სახელმძღვანელოების მომზადებისა და ავტორიზებული ვებ. გვერდის სტრუქტურისა და დიზაინის ცვლილებით; სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა, სერვისების შშმ პირების საჭიროებებზე ადაპტირების, სერვისების სხვა ენაზე ხელმისაწვდომობის ზრდით; მომხმარებელთა ჩართულობის ხელშეწყობა უკუკავშირის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებით; სერვისების ბიზნეს პროცესების მოდელირება და ხელახალი დაგეგმვა, სერვისების მიწოდების პროცესების ავტომატიზაცია; ელექტრონული სერვისებისთვის დიფერენცირებული საფასო და დროითი პოლიტიკის შემუშავება, თვითმომსახურების წახალისების მიზნით; სერვის ცენტრებში გადასახადის გადამხდელთა დროულად და ხარისხიანად მომსახურება; გადასახადის გადამხდელთა უფრო ფართო სეგმენტის ათვისება; შემოწმებების ხარისხის ამაღლება; აუდიტორების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით სრულად აღჭურვა; აუდიტის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის გაუმჯობესება, ახალი მოდულების დამატება, ხარვეზების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა; გადასახადის გადამხდელების მიზნობრივი ჯგუფებისათვის ან/და დარგებისთვის ჩამოყალიბდება/დაიხვეწება საგადასახადო ადმინისტრირებისთვის საჭირო მიდგომები. აღნიშნული შეეხება შემოსავლების სამსახურის კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმის საფუძველზე განსაზღვრული კანონშესაბამისობის რისკის შემცირების ღონისძიებების შესრულებას და ზედმეტად გადახდილი დღგ-ის უკან დაბრუნებისთვის საჭირო პროცედურების დახვეწა/გამარტივებას; ახლად რეგისტრირებული (ფუნქციონირება განახლებული) ან არარეგისტრირებული პირის მიმართ გასატარებელი კონტროლის პროცედურების დახვეწას; დეკლარირების/გაანგარიშებების დროული და სრული წარმოდგენის უზრუნველყოფის ხელშეწყობას; დეკლარაციების ავტომატური კონტროლის სისტემის დანერგვას (ყოველთვიური მოგების და წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციები);

	საგადასახადო კანონშესაბამისობის მაღალი სტანდარტი, გადამხდელების მიერ ნებაყოფლობითი დროული დეკლარირების უზრუნველყოფა; წარმოდგენილი დეკლარაციების სისწორის კონტროლი, ასევე დღგ-ის ავტომატური უკან დაბრუნების ფარგლებში დაბალი რისკის შემცველი დეკლარაციების შესწავლა; მოქმედ და პოტენციურ გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო კულტურის ამაღლება, საგადასახადო დანაკარგების შემცირება; გადასახადის გადამხდელების მიერ კონკრეტული საგადასახადო პერიოდების მიხედვით განხორციელებული მიწოდებების დროული და სწორი დაბეგვრის შესრულება; სამართალდარღვევათა პრევენცია; ადრეული შეტყობინებების სისტემის შექმნით, საგადასახადო დავალიანებების თავიდან აცილება; საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები ხორციელდება ეფექტურად - ქეისმენეჯმენტზე დაფუძნებული მიდგომებით; გადასახადის გადახდის პროცესის გამარტივება და გადამხდელთა ინფორმირება; გადასახადის გადამხდელების საჩივრების განხილვის დროის ოპტიმიზაცია - რის შედეგადაც, საგადასახადო ორგანოსთვის აჩქარებს საგადასახადო დავალიანების მართვას, ხოლო, ბიზნესისთვის დავის წარმატებით დასრულების შემთხვევაში უქმდება/ნაწილობრივ უქმდება დარიცხული თანხები; რესურსების დაზოგვა, ელექტრონული სერვისების განვითარება და დავების პროცესის გამარტივება/დაჩქარება; სასამართლო დავების განტვირთვა და დავების დროული დასრულება; გადასახადების გადამხდელთა მიმართვის საფუძველზე საგადასახადო, საბაჟო ან მოსაკრებლებთან დაკავშირებული ვალდებულებების ან/და ანგარიშგების წესების განსაზღვრის მიზნით იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის გამოცემა; გადასახადის გადამხდელთა შესაძლო საგადასახადო რისკების მინიმიზირება; საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებისა და ბუნდოვანების იდენტიფიცირება; არსებული პროგრამული მოდულების დახვეწა და ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნა, მონაცემთა საცავში (Data Warehouse) მონაცემთა ახალი წყაროების დამატება უზრუნველყოფს სამსახურის ძირითადი ფუნქციების მხარდაჭერას, გაიზრდება დიდი მოცულობის მონაცემებთან მუშაობის შესაძლებლობა და მისი ფისკალური ეფექტი; საბაჟო კონტროლის განხორციელების ეფექტურობის ზრდა, საბაჟო პროცედურების გამარტივება; რისკების მართვაზე დაფუძვნებული მიდგომით საბაჟო კონტროლის ეფექტურობის ზრდა და კანონიერი ვაჭრობის ხელშეწყობა;

	კინოლოგიური მომსახურებით აღჭურვილი საბაჟო გამშვები პუნქტების რაოდენობის ზრდა; საბაჟო გამშვებ პუნქტებზე ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის ეფექტური განხორციელება; ლაბორატორიული კვლევის შედეგად ეფექტური საბაჟო კონტროლის განხორციელება; გაფორმების ეკონომიკურ ზონებში ვიზიტორების (იმპორტიორ/ექსპორტიორი) დროულად და ხარისხიანად მომსახურება. საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე საზღვრის მკვეთი პირებისთვის შეუფერხებელი მომსახურება; საქართველოს და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** ვიზიტორების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის ვიზიტორების რაოდენობა- 36.700 000. სერვისცენტრების ვიზიტორების რაოდენობა - 364 000; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია 2%-ით. სერვისცენტრების ვიზიტორების რაოდენობა შემცირებულია 1% -ით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** პროგრამულ-ტექნიკური სირთულეები; კადრების გადინება; საჯარო მმართველობის რეფორმითა და სამსახურის სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების ცვლილება **2.** **ინდიკატორის დასახელება -** საგადასახადო აუდიტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** განხორციელდა 4 ათასამდე საგადასახადო შემოწმება; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საგადასახადო აუდიტების რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 3-4 ათას შემოწმებას; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** ყოველწლიური საოპერაციო გეგმის ცვლილება **3.** **ინდიკატორის დასახელება -** დღგ-ის ზედმეტობის ავტომატურად დაბრუნების პროცენტული მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი -** მიმდინარე პერიოდში წარმოშობილი დღგ-ის ზედმეტობის ავტომატურად დაბრუნების მაჩვენებელი შეადგენს რაოდენობის 90%-ს; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** - მიმდინარე პერიოდში წარმოშობილი დღგ-ის ზედმეტობის ავტომატურად დაბრუნების პროცენტული მაჩვენებლის შენარჩუნება (რაოდენობის 90%); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%-20%; **შესაძლო რისკები -** ტექნოლოგიური პროცესების არასათანადო განვითარება;ადამიანური რესურსის ნაკლებობა;საკანონმდებლო ჩარჩო;ცვლილებები სამსახურის სტრატეგიაში

	4. **ინდიკატორის დასახელება** - მიმდინარე გადასახადის დროულად გადახდის პროცენტული მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 95%-ზე მეტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 95%-ზე მეტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - პროგრამულ-ტექნიკური სირთულეები; კადრების გადინება; საკანონმდებლო ჩარჩო **5.** **ინდიკატორის დასახელება** - ამოღებული საგადასახადო დავალიანების წილი მთლიან შემოსავლებში; **საბაზისო მაჩვენებელი** - ამოღებული საგადასახადო დავალიანების წილი მთლიან შემოსავლებში შეადგენს 12%-ზე მეტს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ამოღებული საგადასახადო დავალიანების წილი მთლიან შემოსავლებში არ არის 12%-ზე ნაკლები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - პროგრამულ-ტექნიკური სირთულეები; კადრების გადინება; საკანონმდებლო ჩარჩო

ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (24 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 7 - ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 10 - შემცირებული უთანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 11 - ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 13 - კლიმატის მდგრადობის მიღწევა ენერგოეფექტურობა
აღწერა და მიზანი	საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობისთვის ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის წარმართვა და ანალიზი, პოლიტიკის კოორდინაცია/განხორციელების მონიტორინგი და შეფასება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით; თანამიმდევრული ნაბიჯების გადადგმა მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შექმნისა და ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით, აგრეთვე მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მიმართულებით, რაც მნიშვნელოვანია ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად; სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება/გაუმჯობესება; ეფექტიანი კოორდინაციით 2021–2025 წლებისათვის საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიითა და შესაბამისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება;

	კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობისთვის საჯარო-კერძო დიალოგის პლატფორმის ფარგლებში კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობა, აგრეთვე კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობისა და სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებით რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) განხორციელება; საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესების/შენარჩუნების/ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; შრომის ბაზრის ტენდენციების შესწავლა და ანალიზი, შრომის ბაზრის შესაბამისი კვლევების განხორციელება; შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის განვითარება; ეკონომიკური გაჯანსაღების ხელშეწყობის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობისთვის თანამიმდევრული ნაბიჯების გადადგმა; ეკონომიკის განვითარებაზე ორიენტირებული რეფორმების შემუშავება და განხორციელება; საგარეო სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურული გაუმჯობესებისა და სავაჭრო რეჟიმების განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საგარეო სავაჭრო ბრუნვის რეგულარული ანალიზი. საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება; რეგიონალური, მრავალმხრივი და ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, აგრეთვე პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითარება; ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) გამოყენების ხელშეწყობა ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირების და ქვეყანაში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ხელშეწყობით; ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოს საერთაშორისო და ევროპულ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია; სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება და შესაბამისი ორმხრივი სამართლებრივი ბაზის განვითარება;

	საგარეო სავაჭრო ურთიერთობების განვითარება; საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმის გათვალისწინებით, ევროკავშირის მე-3 ენერგეტიკულ პაკეტთან ჰარმონიზაცია, იმავე მიზნებისთვის ევროკავშირის მე-4 ენერგეტიკული პაკეტის დამუშავება, ენერგეტიკული რეფორმების განხორციელება; თანამედროვე, გამჭვირვალე, კონკურენტული და საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ელექტროენერგიის ბაზრის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საათობრივ ჭრილში ელექტროენერგიითა და თანამდევი მომსახურებით ვაჭრობას, დღით ადრე, დღიურ, საბალანსო და დამხმარე მომსახურებებს საბითუმო ბაზრების სეგმენტებში; ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება ენერგეტიკის სექტორში; მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებების იდენტიფიცირება მწვანე ეკონომიკის ზრდის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის, რის შედეგად ქვეყანაში შეიქმნება მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო; ქვეყანაში ენერგოეფექტურობის ხელშეწყობისთვის ელექტროენერგიის მომხმარებელი საყოფაცხოვრებო საქონლისთვის „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კანონქვემდებარე აქტების შემუშავება; მდგრადი დაფინანსების ქართული ტაქსონომიის შემუშავება, რომლის მიზანი იქნება, ნათლად განსაზღვროს, რომელი ბიზნესსაქმიანობა, პროგრამა ან პროექტი შეიძლება მიჩნეულ იქნეს რესურსეფექტიან, ენერგოეფექტურ, მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი, ინკლუზიური განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებად; ენერგეტიკის სფეროს მდგრადი განვითარების პოლიტიკის, სტრატეგიის, მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი პროგრამების/გეგმების შემუშავება; ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მართვაში არსებული ენერგეტიკული საწარმოების პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილებების განხორციელება; ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; მეზობელ ქვეყნებთან ენერგეტიკული ურთიერთობის გაძლიერების მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების ოპტიმალურ მიმართულებათა განსაზღვრა და მათი რეალიზაციის კოორდინაცია; საავტომობილო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის სფეროში სხვადასხვა ქვეყანასთან ორმხრივი სამთავრობათაშორისო შეთანხმებების გაფორმება;

	მრავალმხრივი სამთავრობათაშორისო შეთანხმების („აზერბაიჯანის რესპუბლიკას, საქართველოს, რუმინეთსა და თურქმენეთს შორის საერთაშორისო სატრანზიტო და სატრანსპორტო მარშრუტის „კასპიის ზღვა - შავი ზღვა“ დაარსებისა და დანერგვის შესახებ“ შეთანხმება) გაფარმება; სამშენებლო სექტორის განვითარება, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, უზრუნველყოფს მშენებლობის ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებას, დასაქმების ზრდას და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებზე შენარჩუნებას; ევროპულ და საერთაშორისო მოთხოვნებთან ჰარმონიზებული საქართველოს სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის, ტექნიკური რეგლამენტების/სტანდარტების შემუშავება, ახალი თაობის ევროკოდების თარგმნა/რედაქტირება, მიღება და დანერგვა; საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული კანონქვემდებარე აქტების შემუშავება; ევროკოდების ეროვნული დანართების შემუშავება; არქიტექტორებისა და ინჟინერ-მშენებლების სერტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბება; ჰიდროტექნიკური ნაგებობების უსაფრთხოების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება; ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების, ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესების დაჩქარება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა; ევროპასა და აზიას შორის ფართოზოლოვანი, გლობალური ინტერნეტის ინფრასტრუქტურის განვითარება; ფოსტის სფეროსა და საფოსტო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, ფოსტის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების მსოფლიო საფოსტო სტანდარტების შესაბამისი, უნივერსალური საფოსტო მომსახურებების დანერგვა, დანიშნული საფოსტო ოპერატორისთვის ერთიანი საფოსტო წესების დადგენა; ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო ინვესტორებთან აქტიური თანამშრომლობა; სწორი და ეფექტიანი კომუნიკაციითა და მხარდაჭერით ქვეყანაში მსხვილი ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა; საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით საკანონმდებლო ჩარჩოს ფორმირება, რომლის დებულებებიც თანხვდენილი იქნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან და წაახალისებს ადგილობრივ ინვესტიციებს და ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მაკროეკონომიკური სტაბილურობა და გაუმჯობესებული საინვესტიციო გარემო; ქვეყანაში ჩამოყალიბებული ხელსაყრელი და საიმედო ბიზნეს და საინვესტიციო გარემო; შემუშავებული ეკონომიკური რეფორმები მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის; გაუმჯობესებული საქართველოს სავაჭრო ბალანსი; გაზრდილი საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და დივერსიფიცირებული ბაზრები; განვითარებული სავაჭრო რეჟიმები და ახალი სავაჭრო შეთანხმებები (მ.შ თავისუფალი ვაჭრობის გაფორმება); დამკვიდრებული ელექტროენერგიის ბაზრის ახალი მოდელი; დანერგილი თანამედროვე სავაჭრო მექანიზმები ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის პრინციპების გათვალისწინებით; ბაზარზე ჩამოყალიბებული კონკურენტული გარემო, გაზრდილი ინვესტიციები და ეფექტიანად გამოყენებული ქვეყნის ენერგორესურსები; შესრულებული ასოცირების შეთანხმებით და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებით ენერგეტიკის სექტორში გათვალისწინებული ვალდებულებები: დანერგილი განახლებადი ენერგიის შესახებ საკანონმდებლო ბაზა და პოლიტიკის განხორციელება; ამოქმედებული ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ბაზა (მიღებული შესაბამისი კანონები, კანონქვემდებარე და სხვა ნორმატიული აქტები, მათ შორის ეკო-დიზაინის შესახებ შემუშავებული/დანერგილი რეგულაციები) და ენერგოეფექტურობის პოლიტიკის განხორციელება; ამაღლებული ენერგეტიკული უსაფრთხოება: ქვეყანაში არსებული ენერგეტიკული რესურსების ოპტიმალური ათვისების მიზნით გაზრდილი ინვესტიციები; შემცირებული ენერგეტიკული რესურსების იმპორტი; განვითარებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა; მოსახლეობისათვის ამაღლებული ხელმისაწვდომი, საიმედო და თანამედროვე ენერგომომსახურებაზე წვდომა; მეზობელ ქვეყნებთან გაძლიერებული ენერგეტიკული ურთიერთობი; გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის სამართლებრივი საკითხების დარეგულირებას, სამგზავრო გადაყვანების, სატვირთო გადაზიდვების ზრდას და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას; გაფორმებული მრავალმხრივი სამთავრობათაშორისო შეთანხმებები, რომლებიც ხელს შეუწყობს დამატებითი ტვირთნაკადების მოზიდვას და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარებას;

	სამშენებლო სფეროში ევროპულ და საერთაშორისო ნორმებთან დაახლოებული საქართველოს კანონმდებლობა; „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული კანონქვემდებარე აქტები; შემუშავებული ევროკოდების ეროვნული დანართები; არქიტექტორების და ინჟინერ-მშენებლების პროფესიული დონისა და პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით ჩამოყალიბებული სერტიფიცირების სისტემა; ჰიდროტექნიკური ნაგებობების უსაფრთხოების ნორმების დაცვით ჩამოყალიბებული ზედამხედველობის სისტემა; განვითარებული ელექტრონული კომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, მაუწყებლობა და საფოსტო სფეროი. დანერგილი ახალი ტექნოლოგიები, მომსახურების ახალი სახეობები და სრულყოფილი მომსახურების არსებული სახეობები. ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემო.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** მაკროეკონომიკური სტაბილურობა და გაუმჯობესებული საინვესტიციო გარემო; ქვეყანაში ჩამოყალიბებული ხელსაყრელი და საიმედო ბიზნეს გარემო; მთლიანი შიდა პროდუქტი და ეკონომიკური ზრდა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2023 წლის მონაცემებით მთლიანმა შიდა პროდუქტმა 80.2 მლრდ. ლარი შეადგინა, ხოლო ეკონომიკური ზრდა 7.5% -ს გაუტოლდა. საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციები: OECD-ის „SME Policy Index 2024” რეიტინგში, საქართველო 12 მიმართულებიდან 11 მიმართულებაში უმაღლესი ქულით შეფასდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება, სამიზნე მაჩვენებლების შენარჩუნება/გაუმჯობესება. საკანონმდებლო ინიციატივებზე რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) დოკუმენტების მომზადება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** საქართველოში განხორციელებული რეფორმების არ ასახვა სარეიტინგო კომპანიების შეფასებებში; არასრულფასოვანი მონაცემთა ბაზა **2.** **ინდიკატორის დასახელება -** შემცირებული სავაჭრო დეფიციტი ექსპორტის გაზრდილი წილი სავაჭრო ბრუნვაში. დივერსიფიცირებული პროდუქტები და საექსპორტო ბაზრები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ გაფორმებული ახალი შეთანხმებები; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2024 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 4.8%-ით შემცირდა და 2 950.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტი შემცირდა 12.2%-ით და 803.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 1.6%-ით

	შემცირდა და 2 146.8 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა უარყოფითმა სავაჭრო სალდომ 1 343.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, 2.5%-ული პუნქტით გაუარესდა და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 45.5% დაიკავა (2023/2-43%). იმპორტთან შეადრებით ექსპორტის მაღალი პროცენტული მაჩვენებლით კლების შედეგად, 1.8%-ით შემცირდა ექსპორტის წილი ბრუნვაში და 27.2% შეადგინა. 2024 წლის თებერვალში დაიწყო და წლის ბოლომდე დასრულდება მოლაპარაკებები სამხრეთ კორეასთან. ისრაელთან და ინდოეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონსულტაციები მოლაპარაკებების პირველი რაუნდის გამართვასთან დაკავშირებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სავაჭრო დეფიციტის შემცირება (0.1 -1.2 % -ით) ექსპორტის წილის ზრდა სავაჭრო ბრუნვაში (0.1- 1.6%-ით) თავისუფალი ვაჭრობის ამოქმედება სამხრეთ კორეასთან ისრაელთან ინდოეთთან და მოლაპარაკებების დაწყება/დასრულება და შეთანხმების გაფორმება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** გლობალური და რეგიონალური კრიზისი; სავალუტო რყევები; სხვა ფორს-მაჟორული სიტუაციები მხარეთა შორის მოლაპარაკებების პროცესის შეფერხება ფორს-მაჟორული სიტუაციები **3.** **ინდიკატორის დასახელება -** საავტომობილო, საზღვაო და სამოქალაქო ავიაციის სფეროში ორმხრივი და მრავალმხრივი გაფორმებული შეთანხმებები; **საბაზისო მაჩვენებელი -** დღეის მდგომარეობით ჯამში 109 გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება 47 ქვეყანასთან; ერთ მრავალმხრივ სამთავრობათაშორისო შეთანხმებაზე მიმდინარეობს პროცედურები; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება - 9 (2025-2028წწ.)-(2-2025წ;3-2026წ;2-2027; 2-2028წ); გაფორმებული მრავალმხრივი ხელშეკრულება - 1 (2025-2028წწ) - ყოველწლიურად ერთი ხელშეკრულება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 50%; **შესაძლო რისკები -** გარკვეული მიზეზების გამო მეორე მხარის (ქვეყნის) მიერ შეთანხმებაზე შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების გაჭიანურება და ხელმოწერაზე უარის თქმა **4.** **ინდიკატორის დასახელება -** ევროკოდების ქართულ ენაზე თარგმნა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 10 (ათი) ევროკოდის ქართულ ენაზე თარგმნა და რედაქტირება სულ-4928 გვერდი. (მათ შორის 7 (შვიდი) ევროკოდის ქართულ ენაზე თარგმნა და საბოლოო რედაქტირება სულ-3780 გვერდი). 6 (ექვსი) დანართის ქართულ ენაზე თარგმნა და რედაქტირება სულ-427 გვერდი. 25 ევრონორმის თარგმნა (1353 გვერდი); შედგენილია გლოსარიუმი. შემუშავდა 2000- მდე ტერმინი და ტერმინოლოგიური შესიტყვება; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ევროკოდების ეროვნული დანართების შემუშავება და მიღება, ევროკოდების თანმდევი ევრონორმების/სტანდარტების თარგმნა, ადაპტაცია და მიღება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** დამატებითი რედაქტირების საჭიროება **5.** **ინდიკატორის დასახელება -** საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) განვითარების ინდექსი;

	საბაზისო მაჩვენებელი - საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) განვითარების ინდექსში პოზიცია-74 (2017წ); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების და ფოსტის სფეროში განვითარების პროგრამებისა და პროექტების გაგრძელება და სფეროს შემდგომი განვითარება, საინფორმაციო საზოგადოების ფორმირების პროცესის დაჩქარება, რაც აისახება საერთაშორისო რეიტინგებში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** ღონისძიებების განუხორციელებლობა გამოიწვევს ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების, ასევე ფოსტის სფეროს შემდგომი განვითარების შეფერხებას, შესაბამისად საინფორმაციო საზოგადოების ფორმირების პროცესის შეფერხებას და საერთაშორისო რეიტინგებში პოზიციების გაუარესებას

სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა (40 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო
აღწერა და მიზანი	სამთავრობო რეზიდენციებში საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, სხვა უმაღლესი თანამდებობის პირთა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უზრუნველყოფა მათი საქმიანობისთვის საჭირო, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობებით, აგრეთვე სამთავრობო რეზიდენციების თანამედროვე ინვენტარითა და დანადგარებით აღჭურვა.

ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (23 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება)
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო ფინანსების მართვის (ელექტრონული) სისტემის (PFMS) მხარდაჭერა, განვითარება, მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება და დანერგვა; საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის – eDocument-ის ფუნქციური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა, ინციდენტების ეფექტიანი მართვა, სისტემის ტექნოლოგიური განვითარება და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია; გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის (EIMS) (რომელიც შეიცავს მრავალი ბიზნესპროცესის ავტომატიზაციის კომპონენტს და ის მომხმარებლები არიან კერძო ბიზნესის წარმომადგენლები) აღრიცხვა, მართვის და მონიტორინგის პროცესების გამარტივება, სისტემის მოდერნიზებას, ფუნქციონალურ განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა; ყიდვა-გაყიდვის უნიკალური ელექტრონული სისტემის – eAuction.ge-ს (უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვის ელექტრონული აუქციონის სისტემის) მოდერნიზაცია და ფუნქციური განახლება;

	საინფორმაციო სისტემებისა და ვებგვერდების ეფექტიანი ფუნქციონირება, ვებგვერდების მფლობელთა ცნობადობის ამაღლება, საზოგადოებისთვის დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის ონლაინრეჟიმში მიწოდება და უკუკავშირის მიღება; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მისი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებისთვის საჭირო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა, ელექტრონული საინფორმაციო სისტემების შექმნა, განვითარება, მომსახურება, მდგრადობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა, ბიზნესუწყვეტობის უზრუნველყოფა და ტექნიკური მხარდაჭერა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მისი სტრუქტურული ერთეულების IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი გამართული ფუნქციონირება, ბიზნეს-უწყვეტობის უზრუნველყოფა, განვითარება და ტექნიკური მხარდაჭერა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის უწყვეტობის უზრუნველყოფის, მთლიანობის, კონფიდენციალურობის და IT ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი -** პროცენტული მაჩვენებელი 1 წლის განმავლობაში (Service UP Time) - 99.99% (დაგეგმილის გამორთვების გამოკლებით); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საინფორმაციო-საკომუნიკაციო სერვისების უწყვეტად ფუნქციონირების პროცენტული მაჩვენებელი 1 წლის განმავლობაში (Service UP Time) - არანაკლებ 99.9% (დაგეგმილის გამორთვების გამოკლებით); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 0,5%; **შესაძლო რისკები -** მიმდინარე ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების ცვლილება; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება **2.** **ინდიკატორის დასახელება -** ქსელური უსაფრთხოების მოწყობილობების განახლების და გაფართოების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი -** ინტერნეტიდან (IPS) შემომავალი და გამავალი ინსპექტირებული ტრაფიკის მოცულობა - 4 Gbps; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ინტერნეტიდან (IPS) შემომავალი და გამავალი ინსპექტირებული ტრაფიკის მოცულობა - 4 დან 5 Gbps-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15%; **შესაძლო რისკები -** მიმდინარე ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების ცვლილება; ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნის და ტესტირების შესაძლო სიძნელეები; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება **3.** **ინდიკატორის დასახელება -** ჰიპერკონვერგენტული სისტემის სერვერების განვითარების და გაფართოების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი -** გამოთვლითი დისკური მოცულობა 460TB HDD; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** გამოთვლითი დისკური მოცულობა 500TB HDD; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%;

	შესაძლო რისკები - მიმდინარე ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების ცვლილება; ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნის და ტესტირების შესაძლო სიძნელეები; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება

სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (47 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 17 - თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის
აღწერა და მიზანი	სტატისტიკური სისტემის პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი; სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება; სტატისტიკური კვლევებისა და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დაგეგმვა, მართვა, წარმოება, მონაცემთა გავრცელება და ანგარიშგება; ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საკანონმდებლო ბაზის განახლება; მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება/განახლება; საერთაშორისო ორგანოებში წარმომადგენლობა და თანამშრომლობა; ოფიციალური სტატისტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მომხმარებელთა ნდობის განმტკიცება; დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსების უზრუნველყოფა; ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ახალი ტექნოლოგიების დანერგვა; ტექნიკური და კომპიუტერული აღჭურვილობის განახლება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პოლიტიკის დოკუმენტის შესრულებული სტრატეგიული მიზნები და ამოცანები; განხორციელებული გამოკვლევები და მიღებული სტატისტიკური მაჩვენებლები; დანერგილი საერთაშორისო სტანდარტები და მეთოდოლოგია;

	განახლებული საკანონმდებლო ბაზა; სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისა და გამოქვეყნების შემცირებული ვადები; გაუმჯობესებული სტატისტიკურ მონაცემთა ხარისხი, ტექნოლოგიური ბაზა და მონაცემთა უსაფრთხოების ხარისხი; ოფიციალური სტატისტიკისადმი გაზრდილი სანდოობა; გაზრდილი სტატისტიკური ცნობიერება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - საერთაშორისოდ შესადარისი მაღალი ხარისხის სტატისტიკური მაჩვენებლები; **საბაზისო მაჩვენებელი** - სტატისტიკური გამოკვლევები და ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები წარმოებულია და გავრცელებულია სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამის შესაბამისად, რაც ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს და პრაქტიკას; სტატისტიკური მონაცემები გამოყენებულია ადმინისტრაციული ორგანოებისა და სხვა მომხმარებლების მიერ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სტატისტიკური გამოკვლევები და ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები კვლავ წარმოებულია და გავრცელებულია სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამის შესაბამისად, რაც ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს და პრაქტიკას; წარმოებულია ახალი მაჩვენებლები; სტატისტიკური მონაცემები გამოყენებულია ადმინისტრაციული ორგანოებისა და სხვა მომხმარებლების მიერ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - არასაკმარისი ფინანსური რესურსები საერთაშორისო ექსპერტული დახმარების კუთხით **2.** **ინდიკატორის დასახელება** - სტატისტიკის ეროვნული სისტემის გლობალური შეფასების რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლი (სულ 108 რეკომენდაცია); **საბაზისო მაჩვენებელი** - 96 მაჩვენებელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 108 მაჩვენებელი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%. ზოგიერთი რეკომენდაცია საქართველოს კანონმდებლობასთან შეუთავსებელია. მათი შესრულება შესაძლოა ნაწილობრივ მოხდეს; **შესაძლო რისკები** - არასაკმარისი ფინანსური რესურსები საერთაშორისო ექსპერტული დახმარების კუთხით **3.** **ინდიკატორის დასახელება** - მომხარებელთა კმაყოფილების დონე (საქსტატის მომსახურებით მოსარგებლეთა შორის ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით); **საბაზისო მაჩვენებელი** - 98%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 99%;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; **შესაძლო რისკები -** რესპონდენტების კატეგორიაში მოთხოვნების ცვლილება და გამოუპასუხებლობის დონე

მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (47 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 17 - თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის
აღწერა და მიზანი	მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერის 2020 წლის მსოფლიო რაუნდად 2015–2024 წლების პერიოდის განსაზღვრიდან გამომდინარე, საქართველოს, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნის, ჩართვა „მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერის 2020 წლის მსოფლიო რაუნდში“; მოსახლეობის აღწერისთვის საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2024 წელს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემთა დამუშავება და გამოქვეყნება; მოსახლეობის რიცხოვნობის, მათი დემოგრაფიული, სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დადგენა; შინამეურნეობების, დაკავებული საცხოვრისების, მოსახლეობის საბინაო პირობებისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების დადგენა; ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ხელისუფლების, მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და საზოგადოების ინფორმირება; არსებული სიტუაციის შესწავლის, შეფასებისა და პროგნოზირების საფუძველზე, ქვეყნის უახლესი ათწლეულის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული სტრატეგიის შემუშავება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დადგენილი იქნება მოსახლეობის რიცხოვნობა, მათი დემოგრაფიული, სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა და სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა; დადგენილი იქნება შინამეურნეობების, დაკავებული საცხოვრისების, მოსახლეობის საბინაო პირობების და სასოფლო-სამეურნეო აქტივობების შესახებ ინფორმაცია; ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, მუნიციპალიტეტის ორგანოები და საზოგადოება უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი მონაცემებით;

	მოპოვებული ინფორმაციის შეფასებისა და პროგნოზირების საფუძველზე შემუშავებული იქნება ქვეყნის უახლესი ათწლეულის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული სტრატეგია.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - მოსახლეობის რიცხოვნობა და მისი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული შემადგენლობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგები და მონაცემები, რომლებიც გამოიყენება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოების, სამეცნიერო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, მეწარმეებისა და მოქალაქეების მიერ; მიმდინარეობს 2024 წლის მოსახლეობის აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2024 წლის მოსახლეობის აღწერისთვის ჩატარებულია მოსამზადებელი სამუშაოები (მ.შ. შემუშავებულია კითხვარის დიზაინი, დასრულებულია მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მეთოდოლოგიური სამუშაოები და ელექტრონული გეოინფორმაციული რუკების განახლება); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი; **შესაძლო რისკები** - არასაკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსი; გაუთვალისწინებელი ეპიდემიები

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (43 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო
აღწერა და მიზანი	საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობის, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვის მიზნით სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრების განხილვა და მათზე შესაბამისი რეაგირება; მოკვლევების ფარგლებში დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების გამოვლენა და მათი გამოსწორების გზების დასახვა; კომპეტენციის ფარგლებში ქვეყანაში განხორციელებული კონცენტრაციებისა და გაცემული სახელმწიფო დახმარებების კონტროლი; სხვადასხვა ბაზრის მონიტორინგი და კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

	ადგილობრივი ინდუსტრიის დაცვა დემპინგური იმპორტით მიყენებული ზიანისგან ან/და შესაძლო ზიანის მიყენებისგან; ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღებასთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნების შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა; საქართველოს ბაზარზე მომხმარებლის უფლებების დარღვევის პრევენცია, დაცვა და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენტული გარემოს გაუმჯობესება; „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დარღვევებზე შესაბამისი რეაგირების შედეგად, უზრუნველყოფილი იქნება მომხმარებელთა უფლებების დაცვის ხარისხის გაუმჯობესება; „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ კანონის აღსრულებით სახელმწიფო უზრუნველყოფს ადგილობრივი ინდუსტრიის დემპინგური იმპორტისგან მიყენებული ან/და შესაძლო ზიანის მიყენებისგან დაცვას.

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (47 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 17 - თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის
აღწერა და მიზანი	მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ძირითადი მახასიათებელი; ქვეყნის საგარეო ვაჭრობისა და ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაანგარიშება; მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ მონაცემების მოპოვება; სამომხმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშება, ფასების საერთაშორისო შედარების განხორციელება; საქართველოს რეზიდენტებისა და უცხოელი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების შესახებ, აგრეთვე საქართველოს რეზიდენტების მიერ ქვეყნის გარეთ განხორციელებული ვიზიტების თაობაზე მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება;

	ბიზნესსექტორსა და არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზი და მათ შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა წარმოება; ენერგორესურსების მოხმარების შესახებ სტატისტიკური კვლევის ჩატარება და საქართველოს ენერგეტიკული ბალანსის შემუშავება; არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშება; სამაცივრო, სასაკლაო მეურნეობებისა და ელევატორების საქმიანობის გამოკვლევა; საფინანსო საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოებისა და ლომბარდების საქმიანობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება; ტრანსპორტის სტატისტიკის წარმოება (მგზავრთა გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა); საავტომობილო ტრანსპორტის ნატურალური მაჩვენებლებისა და ამ დარგში ენერგორესურსების საბოლოო მოხმარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება; შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება; შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება; შრომის ბაზრისა და სამუშაო ძალის დეტალური გამოკვლევა; მიმდინარე დემოგრაფიული კვლევის ჩატარება; შინამეურნეობების მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები, მოსახლეობის სიღარიბისა და უთანაბრობის მაჩვენებლები და სხვა) მოპოვება, დამუშავება და გავრცელება; სოფლის მეურნეობის შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება; შინამეურნეობებსა და ბიზნესში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება; საწარმოთა ინოვაციური აქტივობის გამოკვლევა;

	დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევა სხვადასხვა სექტორში.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მიღებულ იქნება მონაცემები ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის შესახებ, ეკონომიკური საქმიანობის სახეების სტატისტიკური მაჩვენებლების შესახებ, რომელთა ბაზაზეც გაიანგარიშება ძირითადი სტატისტიკური ინდიკატორები და მონაცემები მიმდინარე ფასების შესახებ; მიღებულ იქნება მოსახლეობის სიღარიბისა და უთანაბრობის მაჩვენებლები, მოსახლეობის ცხოვრების დონის (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები) და მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის (დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები) მაჩვენებლები, ეროვნული ანგარიშების მაჩვენებლების გასაანგარიშებლად საჭირო მონაცემები; სამომხმარებლო კალათის დადგენისათვის საჭირო მონაცემები; მიღებული იქნება როგორც მიმდინარე (წინასწარი), ისე საბოლოო სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის შესახებ. მიღებულ იქნება ბიზნეს სექტორის (ასევე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორის) საქმიანობის ამსახველი სხვადასხვა სახის მაჩვენებლები; მიღებულ იქნება მონაცემები ინოვაციური აქტივობების და ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ სხვადახვა სექტორში. მიღებული იქნება სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს რეზიდენტი და უცხოელი ვიზიტორების შესახებ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნით გარეთ.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ერთობლივი ღონისძიებები ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად; მონაცემთა გამოყენება საჯარო უწყებების და სხვა მომხმარებელთა მიერ; საქსტატის მიერ მდგრადი განვითარების მიზნებისათვის წარმოებული მაჩვენებლების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - წინა საანგარიშო წლის სტატისტიკური სამუშაოთა პროგრამის შესაბამისად ჩატარებული სტატისტიკური კვლევების რაოდენობა და მათ საფუძველზე წარმოებული და გამოქვეყნებული სტატისტიკური მაჩვენებლების რაოდენობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მიმდინარე წლის სტატისტიკური სამუშაოების პროგრამით გათვალისწინებული კვლევები ჩატარებული და წარმოებულია. გამოქვეყნებულია სულ მცირე წინა წელს არსებული მაჩვენებლების რაოდენობა. მიღებული მონაცემები გამოიყენებულია სამთავრობო დაწესებულებათა და სხვა მომხმარებელთა მიერ. მიღებულია დადებითი საერთაშორისო ექსპერტული შეფასებები. სრულადაა შესრულებული საერთშორისო ვალდებულებები;საქსტატის მიერ წარმოებულია მდგრადი განვითარების მიზნების 61 მაჩვენებელი;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - დაბალი; **შესაძლო რისკები -** არასაკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსი; ცვლილებები მეთოდოლოგიაში

სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (38 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური
აღწერა და მიზანი	საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ტერორიზმის დაფინანსების და მათთან დაკავშირებული სხვა დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენა და პრევენცია; საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო – ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) – სტანდარტებსა და ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან ჰარმონიზაცია; უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სფეროში ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა (23 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება)
აღწერა და მიზანი	ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების პორტალის განვითარება დირექტივასთან – „2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/34/EU დირექტივა გარკვეული კატეგორიის საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგების, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და დაკავშირებული ანგარიშგებების მოთხოვნების გავრცელება ანგარიშვალდებული საწარმოებისათვის“, რეგულაციასთან – „ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 19 ივლისის რეგულაცია 1606/2002 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების შესახებ“ და საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით; ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; აუდიტისადმი დაქვემდებარებული სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების სანდოობის ამაღლების მიზნით აუდიტის ზედამხედველობის სისტემის დახვეწა და საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოება, რაც უზრუნველყოფს აუდიტორული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან, აუდიტორების პროფესიული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან, ეთიკის ნორმებთან, 2006/43/EC ევროდირექტივასა და 537/2014 ევრორეგულაციასთან შესაბამისობას;

	სრულფასოვანი სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება, ანგარიშვალდებულ პირთა ცნობიერების ამაღლება და რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის უზრუნველყოფა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ანგარიშგებების წარდგენის მაჩვენებლის გაზრდა/შენარჩუნება; წარდგენილი ანგარიშგებების ხარისხის გაზრდა სტანდარტთან შესაბამისობის კუთხით; აუდიტორული მომსახურების ხარისხის გაზრდა; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ზედამხედველობა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის მართვა, მათი მოკვლევა და ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელება; **საბაზისო მაჩვენებელი** - • განხორციელდა გეგმიური/არაგეგმიური 376 მონიტორინგი და თემატური შემოწმება. დაფარულია ბაზრის 86%; • აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან მიმართებით ჩატარებული 6 მოკვლევის პროცედურა; • სამსახურის მიერ აღიარებული 21 განგრძობითი განათლების პროგრამა, 5 სასერტიფიკაციო პროგრამა, საგამოცდო პროცესი; • სამოქმედოდ შემოღებულია 2022 წლის ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ISQM), აუდიტის და სხვა მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორის სტანდარტები (ISA, ISRE, ISAE და ISRS); • სამოქმედოდ შემოღებულია 2023 წლის პროფესიული ეთიკის კოდექსი (IESBA Code); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - . გეგმიური/არაგეგმიური 412 მონიტორინგი და თემატური შემოწმება. დაფარულია ბაზრის 91%; • აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან მიმართებით ჩატარებული 9 მოკვლევის პროცედურა; • სამსახურის მიერ აღიარებულია 24 განგრძობითი განათლების პროგრამა, 5 სასერტიფიკაციო პროგრამა, საგამოცდო პროცესი; • სამოქმედოდ შემოღებულია აუდიტის (ISA), მიმოხილვის (ISRE), სხვა მარწმუნებელი (ISAE) და დაკავშირებული (ISRS) მომსახურეობების საერთაშორისო სტანდარტების განახლებული ვერსიები; • სამოქმედოდ შემოღებულია პროფესიული ეთიკის კოდექსის (IESBA Code) და ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის (ISQM) განახლებული ვერსიები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - საკმარისი და სათანადო გამოცდილების მქონე პერსონალის ვერ შენარჩუნება / ვერ მოზიდვა; შესაბამისი რაოდენობის ასაღიარებელი პროგრამების არარსებობა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - ანგარიშგების გამჭირვალობისა და ხარისხის ზრდის ხელშეწყობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - • ანგარიშგების პორტალზე წარდგენის მაჩვენებელი 2024 წლისთვის სდპ, I, II და III კატეგორიის საწარმოებისთვის 94%, ხოლო IV კატეგორიის საწარმოებისთვის 80%-ია; • 2024 წლის განმავლობაში განხორციელდა სდპ,

	პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოთა 60 ანგარიშგების მიმოხილვა - რაც შეადგენს მთლიანი პოპულაციის დაახლოებით 6%; • 2024 წლის განმავლობაში განხორციელდა მესამე კატეგორიის საწარმოთა 100 ანგარიშგებების მიმოხილვა - რაც შეადგენს მთლიანი პოპულაციის დაახლოებით 2%; • 2024 წლის განხორციელდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თარგმნა/სამოქმედოდ შემოღება (IFRS); • სამოქმედოდ შემოღებულია 2015 წლის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (IFRS for SMEs); • 2024 წელს განხორციელდა მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების თარგმნა (ESRS); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** • ანგარიშგების პორტალზე წარდგენის მაჩვენებელი 2025 წლისთვის სდპ, I, II და III კატეგორიის საწარმოებისთვის 95%, ხოლო IV კატეგორიის საწარმოებისთვის 83%-ია; • 2025 წლის განმავლობაში სდპ, პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოთა 90 ანგარიშგების მიმოხილვა - რაც შეადგენს მთლიანი პოპულაციის დაახლოებით 8%; • 2025 წლის განმავლობაში მესამე კატეგორიის საწარმოთა 160 ანგარიშგებების მიმოხილვა - რაც შეადგენს მთლიანი პოპულაციის დაახლოებით 3.5%; • სამოქმედოდ შემოღებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) განახლებული ვერსია; • მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების (ESRS) თარგმნა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15%; **შესაძლო რისკები -** პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობა; არ განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც გაამკაცრებს სანქციებს ანგარიშგების წარუდგენლობის შემთხვევაში; განხორციელდა საკანონდებლო ცვლილება, რომელიც შეასუსტებს IV კატეგორიის საწარმოთა ადმინისტრირების შესაძლებლობებს; კვალიფიციური პერსონალის გადინება/ვერ მოძიება **3.** **ინდიკატორის დასახელება -** ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით ზედამხედველობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** • შექმნილია საკანონმდებლო ჩარჩო რომელიც შესაბამისობაშია ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან და ევროდირექტივების მოთხოვნებთან; • პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულია ანგარიშვალდებულ პირთა 50%, აღიარებულია 2 განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებელი; • სამსახურის თანამშრომელთა მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით სიახლეების გაცნობა; • 2024 წელს ჩატარებულია 4 ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიება ანგარიშვალდებული პირებისთვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** • სამართლებრივი ჩარჩოს ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან და ევროდირექტივების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; • პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულია ანგარიშვალდებულ პირთა 60%; • აღიარებულია სულ მცირე 3 განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებელი; • ჩატარებულია 15 ანგარიშვალდებული პირის შემოწმება, რაც წარმოადგენს მთლიანი პოპულაციის 1.25%-ს; • სამსახურის თანამშრომელთა მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით სიახლეების გაცნობა; • 2025 წელს ჩატარებულია 4 ცნობიერების ასამაღლებელი/სიახლეების გასაცნობი ღონისძიება ანგარიშვალდებული პირებისთვის; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** კვალიფიციური პერსონალის ვერ მოძიება/გადინება; საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შეფერხება/გაჭიანურება ობიექტური მიზეზებით; კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები სანქციების

	შემსუბუქებასთან დაკავშირებით; პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრის შეფერხებით ფუნქციონირება; შესაბამისი რაოდენობის განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლებისა და შესათანხმებელი პროგრამების არარსებობა; განგრძობითი განათლების სასწავლო პროგრამის ჩატარება არადამაკმაყოფილებელი ხარისხით; შესაბამისი სახსრების/დონორის ვერ მოძიება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით ექსპერტების დასაქირავებლად

ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები (24 18)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმებული „ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებისა და „სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და „TURKISH ELECTRICITY TRADING AND CONTRACTING CO.“-ს შორის გასაფორმებელი ოქმის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 აპრილის №923 განკარგულების შესაბამისად, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და თურქეთის ელექტროენერგიით ვაჭრობისა და ხელშემკვრელ კომპანიას (TETAS) შორის გაფორმებული ოქმის საფუძველზე აღებული ვალდებულებების დაფარვა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფოს მიერ დაფარული თურქეთის რესპუბლიკის მიმართ წარმოქმნილი აღიარებული ელექტროენერგიის დავალიანება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** ელექტროენერგიის აღიარებული დავალიანების დაფარვა; **საბაზისო მაჩვენებელი** - • საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2015 წლის 9 აპრილს გაფორმებული შეთანხმების მე-11 მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 აპრილის N923 ბრძანების საფუძველზე, თურქეთის რესპუბლიკის მიმართ არსებული ელექტროენერგიის დავალიანების დაბრუნება ნაწილობრივ განხორციელდა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სახელმწიფოს მიერ დაფარული დავალიანება; 200 000 000 კვტ.სთ დაფარული დავალიანება; 50 000 000 კვტ.სთ-2025წ; დაფარული დავალიანება; 50 000 000 კვტ.სთ-2026წ; დაფარული დავალიანება; 50 000 000 კვტ.სთ-2027წ; დაფარული დავალიანება; 50 000 000 კვტ.სთ-2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** -; **შესაძლო რისკები -** -

ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები (24 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო

პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
აღწერა და მიზანი	ბაზარზე განთავსებული ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტების ზედამხედველობის უზრუნველყოფა ევროპის ბაზარზე არსებული ზედამხედველობის სისტემის დანერგვით;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ბაზარზე განთავსებული პროდუქტების ზედამხედველობა უზრუნველყოფილია.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** განხორციელებული ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემოწმდა ადგილობრივ ბაზარზე განთავსებული 631 ერთეული ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტი• შემოსავლების სამსახურის საბაჟოს 7 გაფორმების ეკონომიკური ზონიდან შემოწმდა 24 715 ერთეული ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება. • ლაბორატორიულად შემოწმდა 353 ერთეული ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტის ნიმუში; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ პროდუქტებზე (2025-2028წწ.) კერძოდ, ყოველწლიურად განხორციელდება: ადგილობრივ ბაზარზე განთავსებული ინდუსტრიულ, სამშენებლო და სამომხმარებლო პროდუქტებთან დაკავშირებული 900 ერთეული შემოწმება (ინსპექტირება). • შემოსავლების სამსახურის საბაჟოს 7 გაფორმების ეკონომიკური ზონიდან შემოსული 25 000 ერთეული ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინების შემოწმება. • 250 ერთეული ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტის ნიმუშის ლაბორატორიული შემოწმება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15%; **შესაძლო რისკები -** ეკონომიკური ოპერატორების თანამშრომლობის ხარისხი სააგენტოსთან; აკრიდიტირებული ლაბორეტორიების არ არსებობა საქართველოში; უცხოურ აკრედიტებულ ლაბორატორიებთან კოორდინაციასა და სერვისის მიღებისას დროისა და ფინანსური რესურსების არაპროგნოზირებადობა

ტექნიკური დახმარების პროექტი საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის პროგრამის (GESRP) მხარდასაჭერად (EU-NIF) (24 13)

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 7 - ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია ენერგოეფექტურობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

აღწერა და მიზანი	საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ენერგეტიკული რეფორმის განხორციელება, რომელიც გულისხმობს „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში „ენერგოეფექტურობის შესახებ“ და „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტების მიღების/დამტკიცების და შესრულების მიზნებია: ენერგოაუდიტორების აკრედიტაციისა და სერტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბება; ენერგოაუდიტის სავალდებულო წესების ამოქმედება; სატრენინგო პროგრამების დანერგვა ენერგოაუდიტორებისთვის მრეწველობასა და შენობების სექტორში, შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიკატების (ეეს) შემფასებლებისთვის, გათბობისა და გაგრილების სისტემების ინსპექტორებისთვის; საწარმოო ციკლის ენერგოეფექტურობის გაზრდა; შენობების სექტორში (არსებულ და მშენებარე შენობებში) ენერგოეფექტური სტანდარტების დანერგვა; ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, შენობების განახლება; შენობებში ენერგოეფექტურობის დანერგვისთვის მათი საჭირო ტექნიკური უზრუნველყოფა, აგრეთვე კომპიუტერული პროგრამების ჩამოყალიბება მუნიციპალურ დონეზე და მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების კადრების გადამზადება; საჯარო შენობების ინვენტარიზაცია და რეესტრის ჩამოყალიბება ენერგოეფექტურობის განსახორციელებლად; ენერგოეფექტური ღონისძიებების შედეგად მიღებული ენერგოდაზოგვის მონიტორინგის, ანგარიშგებისა და დადასტურების პლატფორმის ამუშავება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	„ენერგოეფექტურობის შესახებ“ და „შენობების ენეგოეფექტურობის შესახებ“ კანონებიდან გამომდინარე, დამტკიცებული და ამოქმედებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები; ენერგოეფექტურობის შესახებ შემუშავებული ცნობიერების ასამაღლებელი სტრატეგია და განხორციელებული ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ენერგოეფექტურობის შესახებ კანონიდან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება, დამტკიცება და ამოქმედება; **საბაზისო მაჩვენებელი** - შემუშავებულია და დამტკიცებულია 19 კანონქვემდებარე აქტი (ამ ეტაპზე შემუშავებული და დამტკიცებულია 15 კანონქვემდებარე აქტი, 2024 წლის ბოლოს დამატებით შემუშავდება და დამტკიცდება 4კანონქვემდებარე აქტი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ენერგოეფექტურობის შესახებ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტების (4) შემუშავება, დამტკიცება-2025წ; ენერგოეფექტურობის შესახებ კანონის მიხედვით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტების ამოქმედება-2026-2028წწ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 35%; **შესაძლო რისკები** - ჩართულ მხარეებთან კონსულტაციების შესაძლო გაჭიანურება 2. **ინდიკატორის დასახელება** - შენობების შესახებ კანონიდან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება,

	დამტკიცება და ამოქმედება; **საბაზისო მაჩვენებელი** - დამტკიცებულია 4კანონქვემდებარე აქტი. შემუშავებულია 6 კანონქვემდებარე აქტის პირველადი სამუშაო ვერსია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ კანონით გათვალისწინებული 6 კანონქვემდებარე აქტის დამტკიცება. შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ კანონის მიხედვით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტების ამოქმედება- 2026-2028წწ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 35%; **შესაძლო რისკები** - ჩართულ მხარეებთან კონსულტაციების შესაძლო გაჭიანურება **3.** **ინდიკატორის დასახელება** - განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ კანონიდან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება, დამტკიცება და ამოქმედება; **საბაზისო მაჩვენებელი** - დამტკიცებულია 8 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ კანონით გათვალისწინებული 2024-2026 წლების განმავლობაში დასამტკიცებელი კანონქვემდებარე აქტების შემუშავება, დამტკიცება და ამოქმედება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 35%; **შესაძლო რისკები** - ჩართულ მხარეებთან კონსულტაციების შესაძლო გაჭიანურება **4.** **ინდიკატორის დასახელება** - „ენერგოეტიკეტირების შესახებ“კანონიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტები; **საბაზისო მაჩვენებელი** - „ენერგოეტიკეტირების შესახებ“კანონიდან გამოდინარე საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტების პროექტები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულია „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ კანონიდან გამომდინარე 14 კანონქვემდებარე აქტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; **შესაძლო რისკები** - დაინტერესებულ მხარეებთან კანონქვემდებარე აქტების პროექტების შეთანხმების გაჭიანურება

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (49 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა; საქართველოს კულტურის პალატა
აღწერა და მიზანი	მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა და ექსპორტ-იმპორტის ხელშეწყობა მათი რეგიონალურ და საერთაშორისო ბაზრებში ინტეგრაციისთვის; სხვადასხვა ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატებსა და ბიზნესგაერთიანებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება,

	ინტეგრაცია და მჭიდრო თანამშრომლობა; ბიზნესფორუმების, კონფერენციების, გამოფენებისა და ორმხრივი შეხვედრების ორგანიზება ქართული და უცხოური ბიზნესწრეების წარმომადგენელთა მონაწილეობით, აგრეთვე ქართული კომპანიების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა და „როუდშოუების“ ორგანიზება; ქართულ და უცხოურ კომპანიებს შორის ბიზნესკავშირების დამყარების ხელშეწყობა და პარტნიორების მოძიება; საქართველოს ბიზნესსუბიექტების ინტერესების დაცვისა და მეწარმე სუბიექტების ხელშეწყობის მიზნით მათი ინტერესების ადვოკატირება; საქართველოს რეგიონული ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკომპანიებთან შეხვედრების, ტრენინგების, სემინარების, ფორუმებისა და პრეზენტაციების გამართვის გზით, მათ შორის, ელექტრონული ფორმით, აგრეთვე კონსულტაციების გაწევა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და პრობლემური საკითხების გაცნობის მიზნით; საერთაშორისო კომერციული და საინვესტიციო დავების განსახილველად საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის განვითარება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობა; საწარმოო ინსტრუქტორებისა და გამომცდელების გადამზადება, აგრეთვე პროფესიული უნარების სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობა როგორც დამფუძნებელთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრობით, ისე სამეთვალყურეო საბჭოს სამდივნოს მეშვეობით; კომპანიების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, მათ შორის, გაციფრულების ხელშეწყობა; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; ქვეყნის გარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა; სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაზე საქართველოს კულტურული ფასეულობების წარდგენა და ამ ღონისძიებებში ხელოვანთა მონაწილეობის ხელშეწყობა; ქართული ხელოვნებისა და კულტურის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობა; ქართული კულტურის მოღვაწეთა და ქართული კულტურის განვითარებისთვის უცხო ქვეყნის კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა დამსახურებების სხვადასხვა ფორმით აღნიშვნა და წახალისება;

	კულტურასა და ბიზნესს შორის პარტნიორული ურთიერთობების გამყარება; ხელოვნების დარგების წარმომადგენელთა მიერ კავშირების დამყარება ინსტიტუციურ და კერძო ინვესტორებთან, ბიზნესმენებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან კულტურის სფეროში საინვესტიციო პროექტებით; სხვადასხვა ქვეყნის კულტურის პალატებსა და შოუბიზნესის წარმომადგენლებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და მჭიდრო თანამშრომლობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სხვადასხვა ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან და ბიზნესგაერთიანებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, მათთან ინტეგრაცია და მჭიდრო თანამშრომლობა. რაც უზრუნველყოფს ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერებას საქართველოსა და უცხო ქვეყნების კომპანიებს შორის, ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისებას; ქართული კომპანიების, მიერ გაფართოვებული ბიზნეს-კავშირები და საზღვარგარეთ მოძიებული პარტნიორების გაზრდილი რიცხვი; მეწარმეების ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის/განათლების დონის ზრდა, მათ შორის პროფესიული განათლების კუთხით; ბიზნესთან გაუმჯობესებული კოორდინაცია, მათ ჩართულობის ზრდა ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა მხარდამჭერ პროგრამებში/ღონისძიებებში; გაზრდილი საგარეო ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; კომერციული და საინვესტიციო ხასიათის საერთაშორისო დავების ეფექტურად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისასად განხილვის შესაძლებლობა; ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, საქართველოს კულტურული ფასეულობების წარდგენა და ხელოვანთა მონაწილეობის ხელშეწყობა სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ურთიერთგაგების მემორანდუმები; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წლის მდგომარეობით, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას გაფორმებული აქვს ურთიერთგაგების მემორანდუმი და შესაბამისად აქვს საქმიანი კავშირი დამყარებული მსოფლიოს 120-ზე მეტი ქვეყნის პალატის / ბიზნეს წრეების წარმომადგენლებთან; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2025 წლისთვის იგეგმება დამატებით 3 ურთიერთგაგების მემორანდუმის შემუშავება და გაფორმება,

	2025-2028 წლების ჭრილში კი ჯამში 11 ურთიერთგაგების მემორანდუმის შემუშავება და გაფორმება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 1 მემორანდუმი; **შესაძლო რისკები -** უმეტეს ქვეყანასთან უკვე გაფორმებულია; დარჩენილი ქვეყნების რაოდენობა მცირეა **2.** **ინდიკატორის დასახელება -** ბიზნეს კავშირების დამყარება; **საბაზისო მაჩვენებელი -** პალატა ხელს უწყობს ბიზნეს-სუბიექტებს შორის კავშირების დამყარებას და ატარებს ღონისძიებებს, მათ შორის ონლაინ. 2024 წელს დააკავშირა დაახლოებით 200 უცხოური და ქართული კომპანია ერთმანეთს; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2025 წლისთვის იგეგმება ხელი შევუწყოთ კომპანიებს უცხოელი პარტნიორის მოძიებაში, 150-მდე კომპანიას. 2025-2028 წლებში დავაკავშირებთ მინიმუმ 600 ბიზნეს წარმომადგენელს ერთმანეთთან; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, მათ შორის - რეგიონში **3.** **ინდიკატორის დასახელება -** ჩასატარებელი ტრენინგები; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2024 წელს დაინტერესებული მეწარმეებისთვის ჩატარდა სხვადასხვა, უფასო, თემატური ტრენინგები 400-ზე მეტი მეწარმისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2025 წლისთვის იგეგმება 300 მეწარმეს ჩაუტარდეს ტრენინგები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, მათ შორის - რეგიონში **4.** **ინდიკატორის დასახელება -** საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო პალატის წევრები; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2024 წლის მდგომარეობით პალატაში გაწევრიანებულია 2600-ზე მეტი კომპანია; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2025 წელს იგეგმება არანაკლებ 150 კომპანიის დამატება წევრის სტატუსით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, მათ შორის - რეგიონში

სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (24 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
აღწერა და მიზანი	საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მომსახურების სფეროსა და დიაპაზონის გაფართოება: საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში სტანდარტის – EN ISO 9001:2015-ის შესაბამისად ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ზოგადი

	პრინციპების დანერგვა, ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტების შესაბამისად სტანდარტიზაციის სფეროში ტექნიკური კომიტეტების ჩამოყალიბება, საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების საქართველოს სტანდარტებად მიღება; მეტროლოგიის სფეროში საერთაშორისო აღიარების შენარჩუნება/გაფართოება და დამკვეთებისთვის, მათ შორის, რეგიონალურ დონეზე, სერვისების შეთავაზება; მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სფეროში საერთაშორისო აღიარების მისაღწევად ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების (TBT) მოთხოვნების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზომვების პრიორიტეტულ სფეროებში ახალი და გაფართოებული დიაპაზონის მომსახურების შეთავაზება, როგორც ადგილობრივ ასევე რეგიონალურ დონეზე; მომსახურების შეთავაზება ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად; გაზრდილი ხელმისაწვდომობა საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებზე.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** – მეტროლოგიის ლაბორატორიების საერთაშორისო დონეზე აღიარების შენარჩუნება; **საბაზისო მაჩვენებელი** – 2024 წლის მდგომარეობით - საერთაშორისო დონეზე აღიარებული 8 მეტროლოგიური მიმართულება და 65 CMC ჩანაწერი (დაკალიბრებისა და გაზომვების შესაძლებლობები) გამოქვეყნებული ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს მონაცემთა ბაზაში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** – აღიარების შენარჩუნება 8 სფეროში, ახალი პრიორიტეტული მიმართულებით აღიარების მიღწევა და დამატებით 7 ახალი CMC ჩანაწერის საერთაშორისო აღიარება და გამოქვეყნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** – 50%; **შესაძლო რისკები** – საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების (BIPM, EURAMET) მხრიდან CMC ჩანაწერების გამოქვეყნების ვადების და პროცედურების შეცვლა **2.** **ინდიკატორის დასახელება** – მეტროლოგიის ლაბორატორიების განახლება/აღჭურვა; **საბაზისო მაჩვენებელი** – 2024 წლის ბოლოსათვის განახლებულია ლაბორატორიული აღჭურვილობა გაზომვის ერთი მიმართულებით - ფიზ-ქიმიური; **მიზნობრივი მაჩვენებელი** – ყოველწიურად დამატებით ლაბორატორიების აღჭურვა/განახლება გაზომვების სულ მცირე 1 მიმართულებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** – 50%; **შესაძლო რისკები** – შესაძლოა ვერ მოხერხდეს შესაბამისი აღჭურვილობის დროული შეძენა აღჭურვილობის ტექნიკური

	სპეციფიურობიდან გამომდინარე (ზოგიერთი მოწყობილობა არ არის სერიული წარმოების და საჭიროა სპეციალურად დამზადდეს) მომწოდებლის მოძიების სიძნელის გამო **3.** **ინდიკატორის დასახელება** - საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების მიღება საქართველოს სტანდარტად; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წლის ბოლოსათვის საქართველოს სტანდარტად მიღებული ჯამური რაოდენობა იქნება 27 000 საერთაშორისო/ევროპული სტანდარტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2025წლის ბოლოსათვის - 28 000 სტანდარტი, 2026 წლისათვის - 28500 სტანდარტი, 2027 წლისათვის 29000 სტანდარტი, 2028 წლისათვის 29500 სტანდარტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - შესაძლოა შეიზღუდოს საერთაშორისო/ევროპულ სტანდარტების ბაზაზე ხელმისაწვდომობა ამ ორგანიზაციებში წევრობის შეფერხებით ან ამავე ორგანიზაციების მიერ სტანდარტების გაუქმება **4.** **ინდიკატორის დასახელება** - სტანდარტების დეპარტამენტთან არსებული ტექნიკური კომიტეტების რაოდენობის ზრდა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წლის ბოლოსათვის ტექნიკური კომიტეტების რაოდენობა შეადგენს 11 ტექნიკური კომიტეტს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტების შესაბამისად დამატებით 1 ტექნიკური კომიტეტის შექმნა (ჯამში 12) და არსებული ტექნიკური კომიტეტების განახლება(2026-2028 წწ); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონი პირების დაბალი აქტივობა

ნავთობისა და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა (24 09)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
აღწერა და მიზანი	ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოსაპოვებლად შავი ზღვის შელფზე (შავი ზღვის პროექტი) და ხმელეთის თავისუფალ ბლოკებზე ღია საერთაშორისო ტენდერის ჩატარება; ნავთობისა და გაზის სფეროში მონაცემებისა და ინფორმაციის ცენტრალური საინფორმაციო ბანკის შექმნა და მართვა; ნავთობის გადამუშავების ლიცენზიის, ბუნებრივი გაზის დამუშავების ლიცენზიის, ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზიის ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის (საქმიანობის ლიცენზია) გაცემა; ნავთობისა და გაზის სფეროში სტანდარტების შემუშავება; „წევრი სახელმწიფოებისთვის ნედლი ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების მინიმალური სარეზერვო მარაგების

	უზრუნველყოფის ვალდებულების დაკისრების შესახებ“ საბჭოს 2009 წლის 14 სექტემბრის 2009/119/EC დირექტივის შესრულება; ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიებისა და მოპოვების ოპერაციების რეგულირების სფეროს საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობისათვის გაცემული გენერალური ლიცენზიები; ნავთობისა და გაზის სფეროში ერთიანი საინფორმაციო ბაზა (საინფორმაციო ჰაბი); ნავთობისა და გაზის გადამუშავების და ტრანსპორტირების გაცემული ლიცენზიები; ნედლი ნავთობისა და/ან ნავთობპროდუქტების მინიმალური სარეზერვო მარაგები; ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების სამართლებრივი რეგულირება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიები; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წლის 1იანვრის მდგომარეობით გაცემულია ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის 27 გენერალური ლიცენზია; ნავთობისა და გაზის გადამუშავების 4 ლიცენზია, კომპაუდირების 1 და ტრანსპორტირების 3 ლიცენზია; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის 28 გენერალური ლიცენზია; საქმიანობის 9 ლიცენზია -2025წ; ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის 28 გენერალური ლიცენზია; საქმიანობის 10 ლიცენზია - 2026წ; ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის 29 გენერალური ლიცენზია; საქმიანობის 11 ლიცენზია -2027წ. ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის 30 გენერალური ლიცენზია; საქმიანობის 12 ლიცენზია - 2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-12%; **შესაძლო რისკები -** საქართველოში წარმოებული ნავთობპროდუქტების კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო სტანდარტებთან და ნორმებთან მიმართებით **2.** **ინდიკატორის დასახელება -** ნავთობისა და/ან ნავთობპროდუქტების სავალდებულო საგანგებო მარაგები; ბუნებრივი წყალბადი; **საბაზისო მაჩვენებელი -** მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სავალდებულო მარაგების შენახვის ზედამხედველობა და კონტროლი; ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების სამართლებრივი რეგულირება 2025-2028წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** -; **შესაძლო რისკები -** -

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი (03 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი
აღწერა და მიზანი	საქართველოს ტერიტორიაზე პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სამეწარმეო სუბიექტების მიერ დასმული პრობლემური საკითხების გადაწყვეტის და სამეწარმეო უფლებების დაცვის ხელშეწყობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სამეწარმეო სუბიექტების დაკმაყოფილების მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 75%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 80%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%

სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო (53 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო
აღწერა და მიზანი	შესაძლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის იდენტიფიცირება და უფლებამოსილი ორგანოსთვის შეთავაზება, აგრეთვე უფლებამოსილი ორგანოსა და კერძო ინიციატორისთვის შესაძლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის იდენტიფიცირებასა და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაში დახმარების გაწევა; უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარდგენილი პროექტის კონცეფციის ბარათების შეფასება, საჭიროების შემთხვევაში შენიშვნების მომზადება და რეკომენდაციების შემუშავება; ერთიანი და ყოვლისმომცველი საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების მონაცემთა ბაზის შექმნა და ანალიზი; ინსტიტუციური პოტენციალის განვითარების მიზნით საჯარო და კერძო თანამშრომლობის სფეროში უფლებამოსილი ორგანოს ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება, მათ შორის, პროექტის იდენტიფიცირებისა და მომზადების, კერძო პარტნიორის შერჩევის, პროექტის განხორციელების, მონიტორინგისა და შემდგომი შეფასების ეფექტიანობის ხელშეწყობისთვის;

	საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა, საჯარო და კერძო თანამშრომლობის მიმართულებით საქართველოს შესაბამისი სარეიტინგო მაჩვენებლების გაუმჯობესება; საჯარო და კერძო თანამშრომლობის სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესებისთვის სათანადო ცვლილებების შემუშავება და შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენა.

სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (62 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ეფექტიანობის გაზრდა და კანონიერების მონიტორინგი; სახელმწიფო შესყიდვების მიმდინარეობის პროცედურების კომპლექსური მონიტორინგი; შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას საჯაროობა, ობიექტურობა, არადისკრიმინაციულობა და გამჭვირვალობა; სახელმწიფო შესყიდვების მიმდინარეობისას საჯაროობის, გამჭვირვალობის, პროპორციული მოპყრობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვა, ჯანსაღი კონკურენციის გარემო, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესრულება და შესაბამისი ანგარიშგება; სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამართულად ფუნქციონირება, ახალი ელექტრონული მოდულების და სერვისების შექმნა, სისტემის მიმართ როგორც ბიზნესის წარმომადგენლების, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ნდობის ამაღლება; სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა, საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკასთან, ევროდირექტივების მოთხოვნებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა; სახელმწიფო შესყიდვების ცენტრალიზებული წესით შესყიდვების ინტენსიფიცირება, განხორციელება და ორგანიზება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა; უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება; მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ

	სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა; დაიხვეწება სახელმწიფო შესყიდვების ჩატარების საჯაროობა; განმტკიცდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა.

აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (24 24)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 15 - დედამიწის ეკოსისტემა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა
აღწერა და მიზანი	შესაბამისობის შემფასებელი პირების აკრედიტაციის სამუშაოების წარმართვა კანონით რეგულირებად და ნებაყოფლობით სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურების საერთაშორისო ბაზრებზე ექსპორტის ხელშეწყობისთვის; აკრედიტაციის რეგიონალური ორგანიზაციის – ევროპის აკრედიტაციის თანამშრომლობის (European Cooperation for Accreditation (EA)) მიერ აკრედიტაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებული სფეროების შენარჩუნება და აკრედიტაციის ახალი მიმართულებების აღიარება; აკრედიტაციის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობის აღიარება ქვეყნის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებისთვის; აკრედიტაციის ცენტრის ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობა და ლაბორატორიების აკრედიტაციის საერთაშორისო თანამშრომლობასთან - (International Laboratory Accreditation Cooperation - ILAC) და აკრედიტაციის საერთაშორისო ფორუმთან (International Accreditation Forum - IAF) ორმხრივი/მრავალმხრივი აღიარების შეთანხმებების გაფორმება და მათ საქმიანობაში მონაწილეობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	აკრედიტაციის ცენტრის გაძლიერებული ინსტიტუციური შესაძლებლობითა და საერთაშორისო მოთხოვნის მიხედვით შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების აკრედიტაცია; აკრედიტაციის სერვისების ელექტრონულად მიწოდება როგორც აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოებისათვის, ისე სხვა დაინტერესებულ პირთათვის; EA-თან, ILAC-თან და IAF-თან მჭიდრო თანამშრომლობით აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების სერტიფიკატების საერთაშორისოდ აღიარება და აკრედიტაციის ცენტრის აქტიური ჩართულობა EA-ს, ILAC-ის და IAF-ის საქმიანობაში;

	აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობის საერთაშორისოდ აღიარებული სფეროების გაზრდილი რაოდენობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** საერთაშორისო მოთხოვნებით შემფასებელი ორგანოების აკრედიტაცია; **საბაზისო მაჩვენებელი** - აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობა შესაბამისობაშია ევროკავშირის რეგულაციის 765/2008-ის მოთხოვნებთან და პროცესები ხორციელდება EA-ს, ILAC-ის და IAF-ის მიერ შემუშავებული დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ეროვნული ორგანიზაციებისათვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 17011:2017-ის მოთხოვნების მიხედვით. აკრედიტაციის ცენტრში დანერგილია აკრედიტაციის სქემა ISO 50003 სტანდარტის შესაბამისად. აკრედიტაციის ცენტრი სარგებლობს „A“ კატეგორიის წევრობის სტატუსით EA-ში, სრული წევრის სტატუსით ILAC-სა და IAF-ში. აკრედიტირებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოები დაკალიბრების, გამოცდის, სამედიცინო ლაბორატორიების აკრედიტაციის, ინსპექტირებისა და სერტიფიკაციის სფეროებში ფუნქციონირებენ ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აკრედიტაციის ცენტრის სერვისები ხელმისაწვდომია ელექტრონულად; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** აკრედიტაციის ცენტრის ხარისხის მენეჯმენტის სისტემაში შემავალი დოკუმენტები განახლებული და გადახედილია ევროკავშირის რეგულაციის 765/2008-ის, EA-ს, ILAC-ის და IAF-ის განახლებული დოკუმენტების მიხედვით. აკრედიტებული ორგანიზაციები სრულად ჩართულები არიან ელექტრონული მომსახურების მიღების პროგრამაში. – 2025წ.; აკრედიტაციის ცენტრმა წარმატებით გაიარა EA-ს მომდევნო შეფასება. - 2026 წ; აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოები ოპერირებენ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მომსახურებას აწვდიან დაინტერესებულ პირებს რეგიონის მასშტაბით - 2027-2028წწ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15%; **შესაძლო რისკები -** შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მოუმზადებლობა ახალი სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით. აკრედიტაციის ახალ სფეროების მიმართ შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მხრიდან არასაკმარისი დაინტერესება **2.** **ინდიკატორის დასახელება -** ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობა და საქმიანობაში ჩართულობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - აკრედიტაციის ცენტრს გაფორმებული აქვს მრავალმხრივი აღიარების შესახებ შეთანხმება ევროპის აკრედიტაციის რეგიონული ორგანიზაციასთან - EA-თან, ILAC-თან და IAF-თან; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობა სრულად შეესაბამება EA-ს, ILAC-ის და IAF-ის მიერ შემუშავებულ სავალდებულო დოკუმენტების მოთხოვნებს 2023 – 2024 წწ. აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ EA-ს, ILAC-ის და IAF-ის კომიტეტების მუშაობაში, ჩართულები არიან ამ ორგანიზაციების მიერ მიღებული დოკუმენტების განხილვაში და მონაწილეობენ სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების მუშაობაში 2024 – 2026 წწ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15%; **შესაძლო რისკები** - აკრედიტაციის ცენტრის ადამიანური და ფინანსური რესურსის ნაკლებობა მითითებული ორგანიზაციების საქმიანობაში ეფექტური ჩართულობის უზრუნველსაყოფად **3.** **ინდიკატორის დასახელება -** საერთაშორისოდ აღიარებული აკრედიტაციის სფეროები;

	საბაზისო მაჩვენებელი - აკრედიტაციის ცენტრი EA-ს, ILAC-ის და IAF-ის მიერ აღიარებულია დაკალიბრების, პერსონალისა და პროდუქტების სერტიფიკაციის, საგამოცდო, ინსპექტირების, სამედიცინო გამოცდებისა და საკვალიფიკაციო მიმწოდებელი ორგანოების აკრედიტაციის სფეროებში. აკრედიტაციის ცენტრსა და EA, ILAC-სა და IAFს შორის გაფორმებული მრავალმხრივი აღიარების ხელშეკრულება - EA-ს მხრიდან აკრედიტაციის ცენტრის გეგმიური შეფასება აღიარებული სფეროების შენარჩუნება და აღიარების შემდგომი გაფართოება - 2024; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს (ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში) შორის გაფორმებული მრავალმხრივი აღიარების ხელშეკრულება - EA-ს მხრიდან აკრედიტაციის ცენტრის გეგმიური შეფასება აღიარებული სფეროების შენარჩუნება და აღიარების შემდგომი გაფართოება - 2025 – 2028 წწ; ILAC -ის და IAF-ის მიერ აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობის აღიარება დამატებით მინიმუმ ერთ სფეროში (რეფერალური მასალების მწარმოებლის ან სასათბურე გაზების გამოყოფის აუდიტის ან მენეჯმნეტის და აუდიტის სისტემების სერტიფიკაციის სფეროში) - 2025 – 2028 წწ. აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს (ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში) შორის გაფორმებული მრავალმხრივი აღიარების ხელშეკრულება - EA-ს მხრიდან აკრედიტაციის ცენტრის გეგმიური შეფასება აღიარებული სფეროების შენარჩუნება და აღიარების შემდგომი გაფართოება დამატებით ერთ სფეროში - 2026 წ; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15%; **შესაძლო რისკები -** EA-ს მიერ განსახორციელებელი შეფასების პროცესის არაეფექტურად წარმართვა. ILAC -ის და IAF-ის მოთხოვნების შეუსრულებლობა

ინსტიტუციური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	87,262.0	87,262.0	0.0	91,625.0	96,206.0	101,016.0
26 01	სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება	85,000.0	85,000.0	0.0	86,000.0	87,000.0	88,000.0
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	79,473.0	79,473.0	0.0	0.0	0.0	71,630.0
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	30,936.0	30,936.0	0.0	35,630.0	38,477.0	44,220.0
04 01	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	29,000.0	29,000.0	0.0	30,000.0	31,000.0	32,000.0
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	23,862.0	23,292.0	570.0	24,549.8	25,258.3	25,988.0
51 00	სპეციალური საგამოძიებო სამსახური	19,000.0	19,000.0	0.0	19,500.0	19,500.0	19,500.0
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	13,700.0	13,700.0	0.0	14,000.0	14,500.0	15,000.0
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12,743.0	12,743.0	0.0	12,743.0	12,743.0	12,743.0
55 00	სსიპ - ანტიკორუფციული ბიურო	11,500.0	11,500.0	0.0	12,000.0	12,500.0	13,000.0
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	10,300.0	10,300.0	0.0	10,800.0	11,500.0	11,800.0
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	10,000.0	10,000.0	0.0	10,500.0	11,000.0	11,500.0
26 08	საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპონენტი) (WB)	9,200.0	9,200.0	0.0	5,609.0	3,668.0	2,845.0
26 03	ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	16,220.0	9,100.0	7,120.0	12,330.0	13,100.0	13,100.0
39 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური	8,500.0	8,500.0	0.0	9,000.0	9,500.0	10,000.0
26 07	იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	76,000.0	5,000.0	71,000.0	83,000.0	83,000.0	83,000.0
26 05	ელექტრონული მმართველობის განვითარება	19,540.0	4,500.0	15,040.0	18,200.0	18,700.0	19,200.0
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-	3,600.0	3,600.0	0.0	4,000.0	4,500.0	5,000.0

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი
	ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია						
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	2,200.0	2,200.0	0.0	3,000.0	3,300.0	3,600.0
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	2,196.0	2,196.0	0.0	2,600.0	2,900.0	3,000.0
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1,550.0	1,550.0	0.0	1,600.0	1,650.0	1,700.0
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1,450.0	1,450.0	0.0	1,500.0	1,550.0	1,600.0
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1,450.0	1,450.0	0.0	1,500.0	1,550.0	1,600.0
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1,304.0	1,304.0	0.0	1,400.0	1,500.0	1,600.0
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1,250.0	1,250.0	0.0	1,300.0	1,350.0	1,430.0
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1,235.0	1,235.0	0.0	1,320.0	1,400.0	1,480.0
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1,220.0	1,220.0	0.0	1,300.0	1,380.0	1,460.0
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1,180.0	1,180.0	0.0	1,250.0	1,330.0	1,420.0
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1,150.0	1,150.0	0.0	1,200.0	1,260.0	1,350.0
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	1,150.0	1,150.0	0.0	1,200.0	1,200.0	1,100.0

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1,120.0	1,120.0	0.0	1,200.0	1,280.0	1,370.0
26 13	სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა	48,658.0	0.0	48,658.0	35,000.0	30,000.0	30,000.0
26 11	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	185,935.0	0.0	185,935.0	135,500.0	140,000.0	150,000.0
63 00	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	8,500.0	0.0	8,500.0	9,000.0	9,500.0	9,500.0
26 09	მიწის რეგისტრაციის ხელშეწყობა და საჯარო რეესტრის მომსახურებათა განვითარება/ხელმისაწვდომობა	180,200.0	0.0	180,200.0	180,000.0	180,000.0	180,000.0
26 12	ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება	3,500.0	0.0	3,500.0	3,000.0	3,200.0	3,200.0
ჯამი		**991,084.0**	**470,561.0**	**520,523.0**	**862,356.8**	**876,502.3**	**974,952.0**

საკანონმდებლო საქმიანობა (01 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტის აპარატი
აღწერა და მიზანი	საქართველოს საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება; ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა; საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლი და სხვა უფლებამოსილებების განხორციელება; ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაცია; კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისად, ქვეყნის სრული პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა, მის მართვა-გამგეობაში პოლიტიკური ძალების ფართოდ წარმოდგენა; მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესების, ქვეყნის მდგრადი განვითარების და ცხოვრების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; საპარლამენტო საქმიანობის ღიაობა, ინფორმაციის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა; მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა, ანგარიშვალდებულება; თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა; საჯარო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა; გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფოს საკანონმდებლო ბაზისსრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია

საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო საქმიანობა (01 01 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტის აპარატი

აღწერა და მიზანი	საქართველოს მოსახლეობის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის მინდობილი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა; კანონშემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა; ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა; საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე. წ. დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკით და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით ქვეყნის დეოკუპაციის მისაღწევად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლი და სხვა უფლებამოსილებების განხორციელება; საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება და მათთან შეერთება; საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიღება და მისი შესრულების საპარლამენტო კონტროლი; საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ყოველწლიური ანგარიშების მოსმენა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება; საერთაშორისო საპარლამენტთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა სახელმწიფოთა პარლამენტების წევრებთან აქტიური თანამშრომლობა; საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრაციის პროცესების გაღრმავება და მათ დირექტივებთან ჰარმონიზაცია.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საქართველოს საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება, ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზება, მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესება, ქვეყნის მდგრადი განვითარება და ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

საპარლამენტო ფრაქციების და პარლამენტის წევრების საქმიანობა (01 01 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტის აპარატი
აღწერა და მიზანი	საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს პარლამენტის ფრაქციებისა და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობის ხელშეწყობისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე მათი ხელშეწყობა საქართველოს პარლამენტისა და მისი ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, კანონშემოქმედებითი და მაკონტროლებელი

	(საზედამხედველო) საქმიანობის განსახორციელებლად; საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიების საქმიანობის უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისად, ქვეყნის სრული პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა, ქვეყნის მართვა-გამგეობაში პოლიტიკური ძალების ფართოდ წარმოდგენა.

საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა (01 01 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტის აპარატი
აღწერა და მიზანი	საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომების მომზადება, კანონპროექტებით უზრუნველყოფა და საკითხების განხილვისას გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვა; საქართველოს პარლამენტის საქმიანობის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქება და დოკუმენტების გამოქვეყნება; საქართველოს პარლამენტისა და მისი აპარატის საქმიანობის თანამედროვე ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნის, გამართული მუშაობისა და განვითარების უზრუნველყოფა; გენდერული თანასწორობის საკითხებზე თემატური მოკვლევების მომზადება და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საპარლამენტო საქმიანობის ღიაობა, ინფორმაციის გამჭირვალობა და ხელმისაწვდომობა, მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, ანგარიშვალდებულება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, საჯარო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა. საზოგადოების ცნობიერების მაღალი დონე გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება (01 01 03 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტის აპარატი
აღწერა და მიზანი	საქართველოს პარლამენტის ბიუროს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების, საქართველოს პარლამენტის წევრების, კომიტეტების, ფრაქციების, უმრავლესობისა და ოპოზიციის, დროებითი საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების უზრუნველყოფა;

	საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომების მომზადება, კანონპროექტებით უზრუნველყოფა და საკითხების განხილვისას გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვა; საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა; საქართველოს პარლამენტის საქმიანობის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქება და დოკუმენტების გამოქვეყნება; საქართველოს პარლამენტისა და მისი აპარატის საქმიანობის თანამედროვე ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნის, გამართული მუშაობისა და განვითარების უზრუნველყოფა; საქართველოს პარლამენტის ვებგვერდის მართვა, განვითარება და ტექნიკური უზრუნველყოფა; საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს პარლამენტის გამგებლობისთვის მიკუთვნებული სხვა საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საპარლამენტო საქმიანობის ღიაობა, ინფორმაციის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა, მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, ანგარიშვალდებულება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, საჯარო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა.

გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება (01 01 03 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტის აპარატი
აღწერა და მიზანი	გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს უწყვეტი საქმიანობის უზრუნველყოფა, მათ შორის, პრიორიტეტულ საკითხებზე საქართველოს პარლამენტისთვის თემატური მოკვლევების მომზადება და საბჭოს საკომუნიკაციო სტრატეგიის აღსრულების უზრუნველყოფა; გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსა და მუნიციპალურ დონეზე არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოების კოორდინაციის უზრუნველყოფა და თანამშრომლობის გაძლიერება; წლის განმავლობაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით შერჩეულ პრიორიტეტულ თემებზე საქართველოს პარლამენტისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გენდერული თანასწორობის მიმართულებით პრიორიტეტული და აქტუალური საკითხების შესახებ საქართველოს პარლამენტის ინფორმირებულობა და ჩართულობა.

	საზოგადოების ცნობიერების მაღალი დონე, ერთი მხრივ, საბჭოს საქმიანობისა და მიზნების, მეორე მხრივ, გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების შესახებ.

სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (26 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები ხედვა 2030 (სახელმწიფო მმართველობა)
აღწერა და მიზანი	ეფექტიანი სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება; საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება; საქართველოს, საერთაშორისო და უცხო ქვეყნების სასამართლოებსა და არბიტრაჟებში სახელმწიფოს წარმომადგენლობა; სახელმწიფოსა და სახელმწიფო უწყებების მიერ გასაფორმებელი საერთაშორისო და კერძო (მრავალმილიონიანი ან/და საარბიტრაჟო ინსტიტუტის შემცველი) ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზა, ინსტიტუციური განვითარება და ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია; სამართლის ცალკეული დარგის განვითარების აუცილებლობისა და პერსპექტივების შესწავლა; სამართალშემოქმედებითი საქმიანობის შესრულების მიზნით სამინისტროებისა და დარგობრივი უწყებების პრობლემატიკის შესწავლა; სხვადასხვა პრიორიტეტული სფეროს განვითარების მიზნით საკანონმდებლო ინიციატივების, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; საზღვარგარეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობების შესწავლა და გაანალიზება; საქართველოს კანონმდებლობის ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ ევროკავშირის რეგულაციებთან, გადაწყვეტილებებსა და დირექტივებთან დაახლოების/ჰარმონიზაციის მიზნით სამინისტროს კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე სხვადასხვა უწყების მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტებისა და თანამდევი დოკუმენტების სამართლებრივი ექსპერტიზა; არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნების სასამართლოებში კომერციულ და საინვესტიციო დავებზე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და გაერო-ს სახელშეკრულებო ორგანოებში სახელმწიფოთაშორის ან/და ინდივიდუალურ დავებზე სახელმწიფოს წარმომადგენლობა; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა და მასთან სხვა სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობის კოორდინაცია; საქართველოს სასამართლოებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ შეტანილ სარჩელებზე სამინისტროს ინტერესების დაცვა; სახელისუფლებო დაწესებულებების წინააღმდეგ დავებში მონაწილეობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის გათვალისწინებით; სახელმწიფოსა და სახელმწიფო უწყებების მიერ გასაფორმებელი საერთაშორისო და კერძო (მრავალმილიონიანი ან/და საარბიტრაჟო ინსტიტუტის შემცველი) ხელშეკრულებების პროექტების სამართლებრივი შეფასება/ექსპერტიზა მათი

	საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და სათანადო დასკვნის პროექტის მომზადება; ხელშეკრულების პროექტის სამართლებრივი შეფასება მასში არსებული სამართლებრივი რისკების კუთხით და შესაბამისი დასკვნის პროექტის მომზადება; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფის ფარგლებში ყოველწლიური კვლევითი სამოქმედო გეგმის შემუშავება; სხვადასხვა მიმართულებით დარგობრივი, შედარებით-სამართლებრივი და სახელმწიფოთა კარგი პრაქტიკის კვლევების მომზადება; ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით რეკომენდაციებისა და მოსაზრებების მომზადება; „კარგი მმართველობის“ საკითხებთან დაკავშირებით პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება/მეთოდური ხელმძღვანელობა და, საჭიროებისამებრ, მოსაზრებების წარდგენა ან/და ანგარიშების შემუშავება; იურიდიული განათლების ხელშეწყობა; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ორწლიანი სამოქმედო გეგმის, აგრეთვე ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების ძალადობისგან, მათ შორის, ტრეფიკინგისგან, დაცვის მიზნით სტრატეგიისა და მისი შესრულების სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგი; ეროვნული ნარკოპოლიტიკის დახვეწა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება; საქართველოს და საერთაშორისო სასამართლოებში მიმდინარე დავების წარმატებით დასრულება; ინსტიტუციური განვითარება და ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - სამართლებრივი დასკვნების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ ევროკავშირის სამართლის 10-ზე მეტ აქტთან დაახლოება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ევროკავშირის სამართლის 85 აქტთან დაახლოება (2025 წელი – 15 აქტთან დაახლოება; 2026 წელი – 20 აქტთან დაახლოება; 2027 წელი – 25 აქტთან დაახლოება; 2028 წელი – 25 აქტთან დაახლოება); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30-40%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი უწყებების არასაკმარისი ჩართულობა; მათი მხრიდან ექსპერტიზისთვის ნაკლები დოკუმენტის პროექტის წარმოდგენა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმატებით დასრულებული საქმეების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებული საქმეების 80% დასრულებულია იუსტიციის სამინისტროს /სახელმწიფოს სასარგებლო შედეგით;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოველწლიურად წარმოებული საქმეების 80% დასრულებულია იუსტიციის სამინისტროს /სახელმწიფოს სასარგებლო შედეგით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30% **3.** **ინდიკატორის დასახელება** - წარმატებით დასრულებული საერთაშორისო დავების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო სასამართლოებში დასრულებული საქმეების არანაკლებ 80%-ისა არის საქართველოსთვის წარმატებული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად საერთაშორისო სასამართლოებში დასრულებული საქმეების არანაკლებ 80%-ისა არის საქართველოსთვის წარმატებული; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - სასამართლოს მიერ დიდი რაოდენობის ერთგვაროვან საქმეებზე დარღვევის დადგენა **4.** **ინდიკატორის დასახელება** - ინსტიტუციური რეფორმები; შესაბამისი მიმართულებების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები; შესაბამისი საკანონმდებლო აქტები; **საბაზისო მაჩვენებელი** - ინსტიტუციური რეფორმების მიმდინარეობა; შესაბამისი მიმართულებების უწყებათაშორისი კოორდინაცია; შესაბამისი საკანონმდებლო საქმიანობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება; შესაბამისი მიმართულებების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები; შესაბამისი საკანონმდებლო აქტები; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი უწყებების მხრიდან ნაკლები ჩართულობა

არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (06 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია; სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
აღწერა და მიზანი	შესაბამისი არჩევნების ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარება; არჩევნების ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩასატარებლად ადამიანური რესურსის მომზადება; ელექტრონული საშუალებების შესახებ ამომრჩეველთა და საარჩევნო პროცესებში ჩართული სხვა მხარეების ცნობიერების ამაღლების/ინფორმირების კამპანიის განხორციელება; არჩევნების ჩასატარებლად საჭირო ელექტრონული საშუალებებისა და სხვა თანამდევი ინფრასტრუქტურული ბაზის მომზადება, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნის ხელშეწყობა;

	კომპეტენციის ფარგლებში საარჩევნო დავების განხილვა; ამომრჩევლებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; გენდერულად დაბალანსებული და თანასწორი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შესაბამისი არჩევნები გამართულია; ელექტრონული საშუალებების გამოყენებით არჩევნების ჩასატარებლად ადამიანური რესურსი გადამზადებულია; არჩევნების ჩასატარებლად საჭირო ელექტრონული საშუალებები და სხვა თანამდევი ინფრასტრუქტურული ბაზა მომზადებულია.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული არჩევნები; **საბაზისო მაჩვენებელი** - ჩატარებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები დადგენილ ვადებში და არჩეულია 64 საკრებულოს წევრები და 64 მერი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ელექტრონული საშუალებების გამოყენებით 2025 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები ორგანიზებულია და ჩატარებულია, შედეგები შეჯამებულია და გამოქვეყნებულია **2.** **ინდიკატორის დასახელება** - სასწავლო პროგრამებში მონაწილე საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების თანამშრომელთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების თანამშრომელთა საერთო რაოდენობიდან ტრენინგი გაიარა 65%-მა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სასწავლო პროგრამებში მონაწილე საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების თანამშრომელთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 75% გაივლის ტრენინგს; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სტიქიური მოვლენები, საგანგებო მდგომარეობა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - დამოუკიდებელი დამკვირვებელი ორგანიზაციების მხრიდან დადებითი შეფასებები; **საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების 2021 წლის არჩევნების შეფასების მოხსენება: "„არჩევნების ტექნიკური მოსამზადებელი პერიოდი კარგად იყო ორგანიზებული და საარჩევნო ადმინისტრაციამ ყველა სამართლებრივი ვადა დაიცვა. ცესკომ დასაფასებელი ძალისხმევა გაიღო თავისი სამუშაოს გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად. დადებითად უნდა შეფასდეს ცესკოს სხდომების და საოლქო საარჩევნო კომისიის პროფესიული ნიშნით დანიშნული წევრების

	შესარჩევი გასაუბრებების ონლაინ გაშუქება; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** დამოუკიდებელი დამკვირვებელი ორგანიზაციების მხრიდან დადებითი შეფასებების ტენდენციის შენარჩუნება

საარჩევნო გარემოს განვითარება (06 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
აღწერა და მიზანი	მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და მაღალ პროფესიულ დონეზე ადმინისტრირებული არჩევნების საქართველოს კანონმდებლობის დაცვით ჩატარება და ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესებში ჩართული სხვა მხარეების მიერ საარჩევნო უფლების თავისუფლად განსახორციელებლად ყველა პირობის შექმნა; ინსტიტუციური გაძლიერება: საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და სანდოობის განმტკიცება, ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკისა და უწყვეტ ორგანიზაციულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემის დამკვიდრება, დემოკრატიული პროცესების განვითარებაში წვლილის შეტანა; სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით საარჩევნო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, ამომრჩეველთა აქტივობის ზრდისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა; საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების აქტიური მონაწილეობით მაქსიმალურად ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნა, საქართველოს კანონმდებლობის დახვეწის პროცესის ხელშეწყობა; საარჩევნო პროცესების დაგეგმვა, ყველა ტიპის არჩევნების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური (05 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სახელმწიფო აუდიტის სამსახური; სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამედროვე, დამოუკიდებელ, უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება, რომელიც თავის საქმიანობას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართავს და საზოგადოების მაღალი ნდობით სარგებლობს; გარე აუდიტის შესაძლებლობებისა და საკანონმდებლო მანდატის გაძლიერება; სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვისა და ეფექტიანობის ხელშეწყობა;

	საჯარო სექტორში ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება; აუდიტორული საქმიანობისას გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი; საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობის გაღრმავება; საერთაშორისო და დონორ პარტნიორ ორგანიზაციებთან პროფესიული თანამშრომლობის გაზრდა; აუდიტორთა სერტიფიცირების სისტემის სრულყოფა, კვალიფიკაციის ასამაღლებელი (მათ შორის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი) სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის განხორციელება; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტაჟირების პროგრამის ფარგლებში თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; სწავლების ონლაინ პლატფორმის შემუშავება და დანერგვა; სერტიფიცირებული აუდიტორების მონიტორინგის სისტემის დანერგვა; სასერტიფიკატო პროგრამისთვის უწყვეტი სასწავლო კურსის განხორციელება; ახალი ტრენინგების შემუშავება და განხორციელება, გარემოსდაცვითი პოლიტიკის დანერგვა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური (51 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სპეციალური საგამოძიებო სამსახური
აღწერა და მიზანი	„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დანაშაულთა მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი ისეთი დანაშაულების გამოძიება, როგორებიცაა: წამება, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ან უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით, იარაღის გამოყენებით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით და სხვა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე სისხლის სამართლის დანაშაულთა ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიება.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ შესაძლო დანაშაულზე რეაგირება; **საბაზისო მაჩვენებელი -** „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით განსაზღვრული სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ შესაძლო დანაშაულის შემცველ შეტყობინებებზე სამართლებრივი რეაგირების განხორციელების 100 %-იანი მაჩვენებელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **შესაძლო რისკები -** არასაკმარისი ადამიანური და საბიუჯეტო რესურსი

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური (36 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური
აღწერა და მიზანი	საქართველოს პარლამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გადახედვა და შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა; საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოების და საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, სამსახურში დასაქმებული ადვოკატების სათანადო პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; სამსახურის მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესება და ამ მიზნით ხარისხის შეფასების სისტემის დახვეწა შესაბამისი სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის დანარგვით, ასევე ციფრული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის პროგრამის განვითარებით; საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი პირებისთვის, არასრულწლოვანებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა პირებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, მათ შორის, სამოქალაქო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის გარკვეულ საქმეებზე, იურიდიული დახმარების გაწევა; მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის ინფრასტრუქტურის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ხელმისაწვდომი სერვისებისა და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება; იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ საზოგადოების ცნობიერებისა და ხელმისაწვდომობის ამაღლება; იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (case-bank) განსავითარებლად დამატებითი მოდულების ჩაშენების საქმიანობა როგორც ხარისხის შეფასების მიზნებისთვის, ისე სასწავლო პროცესების მოსაწესრიგებლად.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები უფრო მეტი მოწყვლადი ჯგუფებისათვის თანაბრად ხელმისაწვდომია უფასო იურიდიული დახმარება, გაუმჯობესებული მომსახურების ხარისხი, გაუმჯობესებული სამსახურის საქმისწარმოება და მართვა, განახლებული სამსახურის შიდა დოკუმენტაცია, გაზრდილი საზოგადოების ინფორმირებულობა, ადაპტირებული სამსახურის ინფრასტრუქტურა არასრულწლოვნებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, განვითარდება ინფორმაციული ტექნოლოგიები სამსახურის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის, გაუმჯობესდება უწყებათაშირისი კომუნიკაცია, გაიზრდება სამსახურის საერთაშორისო ცნობადობა.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსება (06 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
აღწერა და მიზანი	„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად პოლიტიკური პარტიებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების შესაბამისად დაფინანსებული პოლიტიკური პარტიები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** პოლიტიკური პარტიების დაფინანსება; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2023 წელს დაფინანსდა 12 პოლიტიკური პარტია, 2024 წელს დაფინანსდება 12 პოლიტიკური პარტია; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** კანონმდებლობით მოპოვებული უფლების შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პოლიტიკური პარტიები

სსიპ - ანტიკორუფციული ბიურო (55 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ანტიკორუფციული ბიურო
აღწერა და მიზანი	კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების (კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის (რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი), საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის) შესრულების მიზნით უწყებათაშორისი კოორდინაცია და ამ დოკუმენტებისა და მათთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების შესრულების ზედამხედველობა; საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ქვეყნის შეფასების პროცესში უწყებათაშორისი კოორდინაციის უზრუნველყოფა; მამხილებლის დაცვის ღონისძიებათა გაუმჯობესების, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან

	აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის შესახებ წინადადებების შემუშავება, სათანადო რეკომენდაციების გაცემა და ამ სფეროსთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების განხორციელება; თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღების, მისი შევსებისა და ჩაბარების კონტროლის უზრუნველყოფა და ამ პროცესის მონიტორინგი; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პოლიტიკური პარტიის), საარჩევნო სუბიექტისა და განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პოლიტიკური გაერთიანების (პოლიტიკური პარტიის), საარჩევნო სუბიექტისა და განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილ ყველა შესაძლო სამართალდარღვევაზე რეაგირება განხორციელებულია; მონიტორინგის ფარგლებში ანტიკორუფციული ბიუროსთვის წარდგენილი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის ყველა დეკლარაცია შემოწმებულია.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილ შესაძლო სამართალდარღვევებზე რეაგირება; **საბაზისო მაჩვენებელი** - 100%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შესარჩუნება - 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - არასაკმარისი ადამიანური და საბიუჯეტო რესურსი **2.** **ინდიკატორის დასახელება** - მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები; **საბაზისო მაჩვენებელი** - 10%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (41 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

აღწერა და მიზანი	საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით გეგმური და არაგეგმური მონიტორინგის განხორციელება; თავისუფლების შეზღუდვის ადგილებსა და პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა უფლებების დარღვევის შესახებ განცხადებებისა და საჩივრების განხილვა და მათზე რეაგირება; თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მონიტორინგი; არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებების მონიტორინგის გაძლიერება; წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციისთვის რეკომენდაციების შემუშავება; მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და წარდგენა; საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა და გაძლიერება; სამოქალაქო განათლებისა და ცნობიერების ასამაღლებლად საინფორმაციო ბიულეტენებისა და სოციალური რეკლამის დამზადება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში განთავსება, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა, თარგმნა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა; ადამიანის უფლებათა თემებზე პუბლიკაციების გამოცემა და გავრცელება; შესაბამისი სამიზნე ჯგუფებისთვის ტრენინგების ორგანიზება; საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებებისა და საჩივრების მიღება, რეგისტრაცია, სტრუქტურულ ერთეულებზე გადანაწილება, განხილვა და შესაბამისი რეაგირება; ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან 24 საათის განმავლობაში მისაღებად მრავალარხიანი საკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაცია; უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის მრავალმხრივი დიალოგის ხელშეწყობა; ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა; გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2006 წლის კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგი; ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის ზედამხედველობა ცენტრსა და რეგიონებში;

	სკოლამდელი დაწესებულებებისა და სკოლების მონიტორინგი; 24-საათიანი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანების სამზრუნველო დაწესებულებიდან გასვლისთვის მომზადების ზედამხედველობა; საქართველოში გენდერული თანასწორობის დაცვის სფეროში არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული, გენდერული თანასწორობის დარღვევასთან დაკავშირებული განცხადებების/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება; საქართველოში და მისი ფარგლების გარეთ გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობისა და გამოცდილების განზოგადება და საქართველოში დანერგვის ორგანიზება; საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისთვის საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება; საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა, სპეციალური და საქმიანობის ანგარიშების მომზადება და გავრცელება; რეკომენდაციების, წინადადებების, ზოგადი წინადადებებისა და დასკვნების შემუშავება და ადრესატებისთვის წარდგენა; ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგი; კონსტიტუციური სარჩელისა და სასამართლოს მეგობრის მოსაზრების მომზადება და სასამართლოში წარდგენა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში დაცულია ადამიანის უფლებები, განხორციელებულია გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგი; თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებებში განხორციელებულია მონიტორინგი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე; ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ შემოსულია და დასაშვებად ცნობილია განცხადებები/საჩივრები; გაზრდილია კონსულტანტის მომსახურებით მოსარგებლე ვიზიტორთა რაოდენობა;

	გამართულია საქმისწარმოების ელექტრონული ავტომატიზებული სისტემა; საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან, 24 საათის განმავლობაში, ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ მიღებულია ინფორმაცია; შემუშავებულია და დანერგილია ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ადამიანის უფლებების სწავლების მეთოდები; განხორციელებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციისა და დაცვის ღონისძიებები, ასევე, მისი საქართველოში იმპლემენტაციის მონიტორინგი; შესწავლილია სისხლის სამართლის სფეროში უფლებების ხელყოფის ფაქტები; საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილია უფლებების დაცვა დაკავებული, დაპატიმრებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირების; უზრუნველყოფილია სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დარღვევების პრევენცია, დაცულია აქციებსა და სასამართლო პროცესზე; ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა, თავშესაფრის მაძიებელთა, დევნილთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა უფლებები; გაზრდილია რეგიონული ოფისების ხელმისაწვდომობა; ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ეფექტური იმპლემენტაციის ფარგლებში გამოვლენილი და აღკვეთილია რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინაციისა და ქსენოფობიის შემთხვევები; დაცული და აღიარებულია ბავშვთა უფლებები და თავისუფლებები; ამაღლებულია საზოგადოებრივი ცნობიერება ბავშვთა უფლებების მიმართ; გაწეულია კონტროლი გენდერულ ჭრილში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივი გარანტიების უზრუნველყოფაზე; გადაწყვეტილია ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სისტემური პრობლემები კონსტიტუციური სამართალწარმოების მეშვეობით;

საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპონენტი) (WB) (26 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 1 - არა სიღარიბეს
აღწერა და მიზანი	მიწის ადმინისტრირების სერვისების გაძლიერება და ციფრული მმართველობის ინფრასტრუქტურის მოწყობა, კერძოდ: საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების (განსაკუთრებით – უძრავი ქონების რეგისტრაციის სისტემის) გაძლიერება; ძირითადი საკადასტრო და სარეგისტრაციო სისტემების განახლება; შერჩეული ელექტრონული სერვისების განვითარება ინოვაციური ტექნოლოგიების მეშვეობით და ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერა; საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის დიზაინის შექმნა, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება და დანერგვა სხვა ინსტიტუციურ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით (მათ შორის, შესაძლებლობების განვითარებაზე, ტრენინგსა და ცოდნის გაზიარებაზე ფოკუსირებით და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვით).
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უძრავი ქონების რეგისტრაციის სისტემისა და ელექტრონული სერვისების განახლება/განვითარება; ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის განვითარება;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - უძრავი ქონების სარეგისტრაციო სისტემის (IPRS) გაძლიერება; **საბაზისო მაჩვენებელი** - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავი ქონების რეგისტრაციის სისტემის გაძლიერება (სავარაუდოდ 10%); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უძრავი ქონების რეგისტრაციის სისტემის გაძლიერება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-20%; **შესაძლო რისკები** - საკანონმდებლო ცვლილებები, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და მოზიდვა, სწავლება-მომზადების გახანგრძლივება, პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის მიერ დაკმაყოფილებული სივრცითი მონაცემების მოთხოვნების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრაქსტრუექტურის მეშვეობით სიცრცითი მონაცემების გამოთხოვის შესახებ დაკმაყოფილებული დაახლოებით 1000 მოთხოვნა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სიცრცითი მონაცემების გამოთხოვის შესახებ დაკმაყოფილებული დაახლოებით 2000 მოთხოვნა;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 20-30%; **შესაძლო რისკები -** საკანონმდებლო ცვლილებები, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და მოზიდვა, სწავლება-მომზადების გახანგრძლივება, პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობა

ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (26 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	ეროვნული საარქივო ფონდის მატერიალური ან/და ელექტრონულ მატარებელზე გადატანილი დოკუმენტებით შევსება, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონული ბაზის შექმნა და მუდმივი განახლება, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების აღწერა და ცენტრალიზებული აღრიცხვა, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის, შენახვის, სათანადო პირობებისა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების დედნების დაუზიანებლად შენარჩუნებას, ეროვნული მეხსიერების დაცულობას, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონული ასლების ხელმისაწვდომობას; მოქალაქეზე ორიენტირებული მომსახურების დანერგვისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონული სისტემის, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების აღრიცხვის ელექტრონული სისტემის და დოკუმენტების (ტექსტური დოკუმენტები, კინოფოტოფონოდოკუმენტები) ელექტრონული კატალოგების შექმნა და განვითარება; ერთიანი ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნისა და ელექტრონული დოკუმენტაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აღრიცხვისა და დაარქივების ავტომატიზებული სისტემის შექმნა; შიდა ქართლის (გორი)რეგიონული არქივის ახალი შენობის მშენებლობა და აღჭურვა, აგრეთვე თბილისში, ეროვნული არქივის ცენტრალური შენობის ეზოში დამატებითი საცავის აშენება და აღჭურვა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დიგიტალიზებული და ელექტრონული დოკუმენტების ხელმისაწვდომობის მაღალი დონე; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაცულ გარემოში განთავსებული ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1.

	ინდიკატორის დასახელება - გაშვებული/განახლებული სერვისების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს ბოლო სათვის გაშვებული/ გაუმჯობესებული დამატებით ორი ელექტრონული სერვისი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად დამატებით ორი ელექტრონული სერვისის გაშვება/გაუმჯობესება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - +/- 1 სერვისი; **შესაძლო რისკები** - პროექტთა პრიორიტეტიზაციის ცვლილება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - ელექტრონულად ხელმისაწვდომი დოკუმენტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - ელექტრომატარებლებზე გადაყვანილი დაახლობით 800-900 ათასი გვერდი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად ელექტრომატარებლებზე გადატანილი 800-900 ათასი გვერდი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 4%-5%; **შესაძლო რისკები** - მწყობრიდან გამოსული ძვირადღირებული სკანერული და სერვერული აპარატურის სწრაფად ჩაუნაცვლებლობა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ცენტრალიზებული, აშენებული და სრულად აღჭურვილი არქივების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს შიდა ქართლის რეგიონული არქივის მშენებლობა (კონსტრუქციული ნაწილი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2025 წლებში შიდა ქართლის ახალაშენებულ რეგიონულ არქივში ცენტრალიზაციას დაექვემდებარება 1 არქივი (გორი) და 2026 წელს 2 არქივი (კასპი, ხაშური); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაგეგმილი პროექტის ვადის ცვლილება 2-3 თვე; **შესაძლო რისკები** - სამშენებლო-სარემონტო და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შეფერხება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური (39 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური
აღწერა და მიზანი	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი; მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება), აგრეთვე შემოწმება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული სხვა გზებით; მონაცემთა დამუშავების კანონიერებასა და უსაფრთხოების ზომების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა; პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით რეაგირება მოქალაქეთა შეტყობინებებსა და განცხადებებზე;

	საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება; საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება მონაცემთა დამუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე; პერსონალურ მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის, სხვა სახელმწიფოს იურიდიული ან ფიზიკური პირისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემის შესახებ ნებართვის გაცემა, სხვა სახელმწიფოში ან/და საერთაშორისო ორგანიზაციაში მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის შეფასება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხის დამტკიცება; საქართველოს პარლამენტისთვის საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლის შესახებ წლიური ანგარიშის წარდგენა; კერძო და საჯარო დაწესებულებებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტის შემოღება და სამსახურის მიერ მათი გადამზადების ხელშეწყობა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრების ვინაობისა და საკონტაქტო ინფორმაციის გამოქვეყნება; სპეციალური წარმომადგენლების რეგისტრაცია.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საჯარო და კერძო ორგანიზაციებში, ასევე სამართალდამცავ ორგანოებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება და პერსონალური ინფორმაციის დაცვის კონტროლი; მოქალაქეთა ამაღლებული ცნობიერება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ; რეაგირება მოქალაქეთა შეტყობინებებსა და განცხადებებზე; გეგმიური და არაგეგმიური შემოწმებების (ინსპექტირება) რეგულარულად ჩატარება, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას დარღვევების გამოვლენისა და მათზე რეაგირების მიზნით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებასთან დაკავშირებული კონსულტაციები და განცხადებები;

	საბაზისო მაჩვენებელი - შემოსული მომართვების შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებასთან დაკავშირებული კონსულტაციების გაწევისა და მონაცემთა სუბიექტების განცხადებების განხილვის 100 %-იანი მაჩვენებელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - არასაკმარისი ადამიანური და საბიუჯეტო რესურსი; **შესაძლო რისკები** - არასაკმარისი ადამიანური და საბიუჯეტო რესურსი **2.** **ინდიკატორის დასახელება** - პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება; **საბაზისო მაჩვენებელი** - პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების (საინფორმაციო შეხვედრები/ტრენინგები/დისტანციური სწავლება) განხორციელება, წლის განმავლობაში საორიენტაციოდ 1500 მსმენელის მონაწილეობით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2025-2028 წწ. განმავლობაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, დაგეგმილ ღონისძიებებში (საინფორმაციო შეხვედრები/ტრენინგები/დისტანციური სწავლება), საორიენტაციოდ 6000 მსმენელის/მონაწილის ჩართვა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-20%; **შესაძლო რისკები** - საზოგადოების დაინტერესების და ჩართულობის დაბალი დონე **3.** **ინდიკატორის დასახელება** - გეგმიური და არაგეგმიური შემოწმებები (ინსპექტირებები); **საბაზისო მაჩვენებელი** - შეტყობინებების ან განცხადებების განხილვის ფარგლებში დაწყებული არაგეგმიური შემოწმებების (ინსპექტირებების) 100 %-იანი მაჩვენებელი. ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინიციატივით ჩატარებული 90 გეგმიური შემოწმება (ინსპექტირება); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - არაგეგმიური შემოწმებების (ინსპექტირების) საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება და 380 გეგმიური შემოწმებების (ინსპექტირება) ჩატარება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-20% (გეგმური ინსპექტირებების ფარგლებში); **შესაძლო რისკები** - არასაკმარისი ადამიანური და საბიუჯეტო რესურსი

იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - იუსტიციის სახლი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო სერვისების მიწოდების მაღალი სტანდარტის შენარჩუნება და გაუმჯობესება, ახალი პროდუქტების/სერვისების დანერგვა და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; თითოეული მომხმარებლის, მათ შორის, ბიზნესის, ინტერესზე ორიენტირებულობა; სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ადმინისტრაციული პროცედურებისთვის საჭირო დროის შემცირება; დამატებით რამდენიმე სახელმწიფო და კერძო

	სერვისის (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, ენერგეტიკისა და წყლის კომპანიების და კერძო სექტორის სერვისების) დანერგვა; იუსტიციის სახლის სერვისების პოპულარიზაცია, ცნობადობის ამაღლება და იუსტიციის სახლის კონცეფციის ექსპორტი დაინტერესებულ ქვეყნებში; არსებული სერვისების ოპტიმიზაცია და რედიზაინი; თითოეული პროდუქტისათვის სერვისის მიწოდების პროცესის აღმწერი დოკუმენტების შექმნა, ორგანიზაციის პროცესების ურთიერთქმედების რუკის შემუშავება, საოპერაციო პროცედურების გამართვა და განახლება სერვისების შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველსაყოფად; იუსტიციის სახლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მომხმარებლისათვის მომსახურების შეუფერხებლად მიწოდების მიზნით; იუსტიციის სახლის ტერიტორიული ორგანოების, სტრუქტურული ერთეულებისა და მობილური იუსტიციის სახლების მეშვეობით სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა თითოეული მოქალაქისთვის დიდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში, აგრეთვე მრავალმოსახლიან და მუნიციპალიტეტების ცენტრებიდან მოშორებულ სოფლებში, სადაც მოსახლეობას საშუალება ექნება სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს საჯარო და კერძო სექტორების სერვისებით; საქართველოს სხვადასხვა რეგიონში იუსტიციის სახლის ტერიტორიული ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების გახსნა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი; იუსტიციის სახლის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს 88%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად 86-88%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 4%; **შესაძლო რისკები** - ინოვაციებისა და სიახლეების ნაკლებობა. მესაკუთრე უწყების ფაქტორი **2.** **ინდიკატორის დასახელება** - იუსტიციის სახლის სერვისებზე ხელისაწვდომობის ზრდა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს, სახელმწიფო სერვისები ხელმისაწვდომი იქნება იუსტიციის სახლის 128 ფილიალში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2025 წელს, სახელმწიფო სერვისები ხელმისაწვდომი იქნება იუსტიციის სახლის 132 ფილიალში;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 1 ფილიალი; **შესაძლო რისკები -** სატენდერო პროცედურების დროში გაჭიანურება; მშენებელი კომპანიის არაკეთილსინდისიერი ქცევის გამო მშენებლობის პროცესის გახანგრძლივება; სამშენებლო მასალების მოწოდების შეფერხება

ელექტრონული მმართველობის განვითარება (26 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო
აღწერა და მიზანი	სახელმწიფოს საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა, მათზე გაწეული დანახარჯების შემცირება, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებით სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა; სახელმწიფო უწყებების მომსახურება IT-სერვისების სრული სპექტრით, რაც მოიცავს ქსელურ უზრუნველყოფას, ინტერნეტის მიწოდებას, ელექტრონული ფოსტის სერვისს, ონლაინ კომუნიკაციის საშუალებებს, ტელევიდეოკონფერენციას, დროისა და დავალებების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას, უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას, არასასურველი და მავნე ელექტრონული ფოსტის პროგრამებისა და ვირუსებისგან დაცვას, სახელმწიფო სტრუქტურებისთვის ერთიანი IT მხარდაჭერის სატელეფონო ცენტრის შექმნასა და ინციდენტების მართვას, ციფრული ტელეფონის სერვისს, სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა კომპიუტერული ტექნიკის ადგილზე მომსახურებას და სხვა; სახელმწიფო ორგანიზაციებში პროცესების ავტომატიზებისა და ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლის მიზნით შესაბამისი კვლევების ჩატარება და კონკრეტული ინოვაციური ბიზნესგადაწყვეტილებების შემუშავება, რომლებიც მორგებული იქნება დამკვეთის ბიზნესპროცესებზე; ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და არსებული პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესება; ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის მათზე ორიენტირებული, ხელმისაწვდომი, ეფექტიანი და გამჭვირვალე ელექტრონული სერვისების მიწოდება ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (My.gov.ge)ს მეშვეობით; თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისას ინფორმაციული სისტემების ურთიერთთავსებადობის უზრუნველყოფა და მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემის (ინფრასტრუქტურის) მართვა და განვითარება; ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების სფეროში სერვისების მიწოდება: ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის განხორციელება; ინფორმაციული უსაფრთხოების შეღწევადობის (მდგრადობის) ტესტირება; კომპიუტერული ინციდენტების აღმოჩენისთვის გამიზნული ქსელური სენსორის დაყენება და მართვა;

	„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების სფეროს რეგულირება, ასევე კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფის მიერ კომპიუტერული ინციდენტების პრევენცია, გამოვლენა და მათი მართვა; დანერგილი „ქლაუდტექნოლოგიის“ (ღრუბლოვანი ტექნოლოგიის) მიმართულებით განვითარება როგორც პროგრამული, ისე გამოთვლითი სიმძლავრეებისა და მასშტაბების კუთხით; დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ „ქლაუდინფრასტრუქტურით“ (ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურით) (IaaS) სარგებლობის უზრუნველყოფა; სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, კერძო სექტორისა და მოქალაქეებისათვის ელექტრონული სერვისების მიწოდების და მონაცემთა გაცვლის ეფექტიანად და უსაფრთხოდ უზრუნველყოფა ერთი ფანჯრის პრინციპით; მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის გამოყენება, რომლის კომპონენტია 3 სახის აპარატურულ-პროგრამული მიმართულება/ინსტრუმენტი: „საქართველოს სამთავრობო კარიბჭე“ - ელექტრონული სერვისების მეშვეობით, უსაფრთხო გარემოში სხვადასხვა ინფორმაციის გაცვლა; „ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი“ - სახელმწიფო და ბიზნესსექტორის მიერ რეალიზებული სხვა და სხვა სახის ელექტრონული სერვისის ყველა დაინტერესებული პირისათვის უსაფრთხო ხელმისაწვდომობა ერთი ფანჯრის პრინციპით;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საინფორმაციო ტექნოლოგიების, ასევე, პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისა და განვითარების მომსახურებების მიმღები ორგანიზაციების რაოდენობის ზრდა; ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობა მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით; კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების კომპიუტერულ ინციდენტებზე დროული და ეფექტური რეაგირება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემის (ინფრასტრუქტურის) მომსახურების მიმღებ ორგანიზაციათა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს მომსახურება გაეწია 55 ორგანიზაციას; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2025 წელი – მომსახურება გაეწევა 57 ორგანიზაციას, 2026 წელი – მომსახურება გაეწევა 58 ორგანიზაციას, 2027 წელი – მომსახურება გაეწევა 59 ორგანიზაციას, 2028 წელი – მომსახურება გაეწევა 60 ორგანიზაციას; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3 ორგანიზაცია; **შესაძლო რისკები** - მომსახურებაზე აყვანილი ორგანიზაციის ბიუჯეტის დეფიციტი; ბაზარზე კონკურენტი ორგანიზაციის მიერ ფასების შემცირება (თვითღირებულებაზე ქვემოთ); მომსახურებაზე აყვანილი ორგანიზაციის შიდა პოლიტიკის მიდგომის ცვლილება აუთსორსიდან საკუთარ IT ჯგუფზე გადასვლაზე **2.**

	ინდიკატორის დასახელება - My.Gov.Ge „ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალზე“ ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს ჯამში პორტალზე ინტეგრირებულია 358 სერვისი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პორტალზე ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა გაიზარდოს 2025 წელს – 368 სერვისი 2026 წელს – 378 სერვისი 2027 წელს – 388 სერვისი 2028 წელს – 398 სერვისი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2 სერვისი; **შესაძლო რისკები** - სერვისის მომწოდებელი უწყების მხრიდან შეფერხება; სერვისის ინტეგრაციის პროცესში ტექნიკური შეფერხება; არსებული სერვისის გათიშვა საკანონმდებლო თუ სხვა ცვლილებების საფუძველზე **3.** **ინდიკატორის დასახელება** - მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ხელმისაწვდომი სახელმწიფო სერვისების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს ჯამში მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულია 177 მთავარი სერვისი 535 ქვესერვისით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში სულ ხელმისაწვდომი იყოს 2025 წელს – 180 მთავარი სერვისი, 2026 წელს – 182 მთავარი სერვისი, 2027 წელს – მთავარი 184, 2028 წელს – 186 მთავარი სერვისი თავისი ქვესერვისებით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - სახელმწიფო უწყებების პასიურობა სერვისების მოწოდებაში. სერვისების ინტეგრაციის შეფერხება, **4.** **ინდიკატორის დასახელება** - კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირებათა პროცენტული მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2023 წელს დაფიქსირდა 432 ინციდენტი, რეაგირება განხორციელდა ინციდენტების 90 %-ზე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელდეს ინციდენტების 100%-ზე რეაგირება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების მხრიდან ვერ დაფიქსირდა კომპიუტერული ინციდენტი კიბერმედეგობის სისუსტის ან ინციდენტების იდენტიფიცირებისთვის საჭირო არასაკმარისი ტექნიკური და ადამიანური რესურსების სიმცირის გამო

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო (35 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო
აღწერა და მიზანი	საჯარო დაწესებულების მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და ერთიანი სტანდარტების დანერგვის უზრუნველსაყოფად წინადადებების მომზადება; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება ადამიანური რესურსების მართვის, საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების, მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების

	სისტემის პოლიტიკის მხარდაჭერის მიზნით; საჯარო სამსახურის რეფორმის იმპლემენტაციის ხელშეწყობა; საჯარო სამსახურში მმართველობის ახალი გზების დანერგვის ხელშეწყობა; საჯარო სამსახურში მართვის, ლიდერობისა და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება; საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების გაძლიერება და, ზოგადად, ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა საჯარო სამსახურში ისეთი ინოვაციური მეთოდებით, როგორებიცაა: მენტორინგი, ქოუჩინგი და „სწავლა კეთებით“; მოხელეთა საბაზისო ტრენინგპროგრამების აკრედიტაცია; საჯარო სამსახურში შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის გამოწვევების იდენტიფიცირება და ანალიზი; ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის (e-HRMS) პროგრამების დახვეწა; საჯარო სამსახურში პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; სამართლებრივი აქტებისა და პრაქტიკის გაანალიზება, განზოგადება და ერთგვაროვანი მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა; სწავლების ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვის ხელშეწყობა და ადმინისტრირება. საჯარო სამსახურში დასაქმების ელექტრონული პლატფორმის (hr.gov.ge) განახლება/ განვითარება, ელექტრონული პლატფორმის (hr.gov.ge) და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის (eHRMS) ინტეგრირება/გაერთიანება

საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (06 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
აღწერა და მიზანი	არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება; ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა; საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარება.

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები (11 00 - 18 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან კოორდინაციით თვითმმართველი ერთეულების განვითარების სტრატეგიებისა და პრიორიტეტების დოკუმენტების შემუშავება; ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნით წინადადებების მომზადება; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის მონიტორინგი.

საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება (01 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი
აღწერა და მიზანი	საქართველოს პარლამენტის სუბიექტებისა და პარლამენტის აპარატის მიმართვებზე/შეკითხვებზე პასუხებისა და მათთან დაკავშირებული საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების მომზადება; პროაქტიული საქმიანობის განხორციელება; პოლიტიკის კვლევის დოკუმენტების შექმნა; ინტეგრირებული, ინტერდისციპლინური კვლევის წარმოებისა და განხილვის პროცესში მყოფ საკითხებზე პოლიტიკის კვლევის დოკუმენტების შექმნის უზრუნველყოფა; მიმდინარე აქტუალურ თემებზე, რომლებიც შეეხება საჯარო პოლიტიკის საკითხებს, ანალიტიკური მიმოხილვების მომზადება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებით პროცესში, კონტროლის განხორციელებასა და პოლიტიკის აღსრულებაში დახმარების გაწევა.

სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი (52 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

აღწერა და მიზანი	სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა; ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენა და დამკვიდრება; სახელმწიფო ენის ფლობის დონის ამაღლების ხელშეწყობა; ქართველური ენების ენობრივი მრავალფეროვნების დაცვა, შენახვა, სისტემური კვლევა და განვითარება; საქართველოში და საერთაშორისო ასპარეზზე ქართული ენის, როგორც უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის, დაცვა და წარმოჩენა; აფხაზური ენის სწავლების დისტანციური კურსის შექმნა, აგრეთვე ოკუპირებული, საზღვრისპირა და სხვა რეგიონების ტოპონიმების დადგენა; ოფიციალურ დოკუმენტებში გვარ-სახელების მართლწერისა და ტრანსლიტერაციის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის ხელშეწყობა; გაეროს და ევროკავშირის ოფიციალური და სამუშაო ენების ქართულ ენაზე ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციის წესების დადგენა და დამტკიცება; საქართველოს სახელმწიფო ენების (ქართული ენის – საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზური ენის – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე) ფუნქციონირების, დაცვის, კვლევისა და განვითარების მიზნით სახელმწიფო ენის ინტერნეტპორტალის – მრავალფუნქციური საინფორმაციო პლატფორმის – შექმნა, რომელიც ასახავს საქართველოს მთავრობის ენობრივი პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ყველა ასპექტის შესახებ ამომწურავი, დეტალური ინფორმაციის მიღება.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 11)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 10 - შემცირებული უთანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები ხედვა 2030 (სახელმწიფო მმართველობა)
აღწერა და მიზანი	სახელმწიფო სერვისების განვითარების ხელშეწყობა, ახალი და ინოვაციური სერვისების დანერგვა, არსებულის გაუმჯობესება და მათი ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა; დისტანციურ მომსახურებაზე გაზრდილი მოთხოვნის

	საჭიროებიდან გამომდინარე, სერვისების განვითარების პროცესში დისტანციური მომსახურების საშუალებების აქტიურად გამოყენება, რაც კიდევ უფრო გაზრდის სერვისების ხელმისაწვდომობას ქვეყნის მასშტაბით; სააგენტოს მონაცემთა ბაზების დახვეწის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, თითოეული მოქალაქის რეგისტრაციის მონაცემების დაკავშირება ახალ მისამართებთან (ფორმირებული მობილური ჯგუფების მიერ საველე სამუშაოების შედეგად თითოეულ მისამართზე რეგისტრირებულ პირთა იდენტიფიცირება) და ამ მისამართების გადატანა სააგენტოს საინფორმაციო სისტემაში; ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კვალიფიციური სანდო მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა; მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შესაძლებლობათა განვითარების მიზნით კომისიის როგორც ანალიტიკური, ისე ადმინისტრაციული მხარდაჭერა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სააგენტოს სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა; ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, საქართველოში მიგრაციის მართვის მექანიზმების გაუმჯობესება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - სააგენტოს მიერ დისტანციური სერვისების მიწოდების პლატფორმის განახლება და მასზე ინტეგრირებული სერვისების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს სააგენტოს მიერ განვითარებულია 9 სერვისი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განახლებულ პლატფორმაზე ინტეგრირებულია, სულ მცირე, 5 სერვისი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1 სერვისი; **შესაძლო რისკები** - ადამიანური რესურსების ნაკლებობა; პროექტთა პრიორიტეტიზაციის ცვლილება; სახელმწიფო და კერძო უწყებების მზაობისა და შესაძლებლობების ნაკლებობა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმების დამტკიცება და წინა წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კვარტალური პროგრეს და წლიური ანგარიშების შემუშავება; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს გამოქვეყნებულია საქართველოს 2021-2030 წწ. მიგრაციის სტრატეგიის 2023 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში; შემუშავებული და დამტკიცებულია საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის 2025 წლის სამოქმედო გეგმა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შემუშავდება და დამტკიცდება ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. ყოველ წელს შემუშავდება წინა წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კვარტალური პროგრეს- და წლიური ანგარიშები; **შესაძლო რისკები** - ადამიანური რესურსებისა და შესაბამისი უწყებების ჩართულობის ნაკლებობა

მიწის რეგისტრაციის ხელშეწყობა და საჯარო რეესტრის მომსახურებათა განვითარება/ხელმისაწვდომობა (26 09)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 1 - არა სიღარიბეს
აღწერა და მიზანი	უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და სამისამართო რეესტრების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრისა და მუნიციპალიტეტების რეესტრის ფორმირება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; ქონებისა და ბიზნესის რეგისტრაციის სისტემის, სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის განვითარება და საზოგადოების სწრაფი, ხელმისაწვდომი და ინოვაციური სერვისებით უზრუნველყოფა, სანდო და მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა, სანავიგაციო გეომონაცემთა ბაზის შექმნა, საქართველოს მაგისტრალური გზებისა და დასახლებებისთვის ქუჩების 360-გრადუსიანი პანორამული სურათების პლატფორმის შექმნა/განახლება, ეროვნული გეოდეზიური გეგმურ-სიმაღლური საფუძვლის შექმნა და განახლება, საქართველოს ტერიტორიის აქტუალური რეგიონების ციფრული აეროგადაღება და ციფრული ორთოფოტოგეგმების მომზადება; საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ტურისტულად აქტიური არეალების, მუნიციპალური და მაგისტრალური გზების 360-გრადუსიანი პანორამული სურათების - ე. წ. ქუჩის ხედის – მონაცემების შექმნა და Google Maps-ზე მათი ინტეგრაცია, რომელიც დააკმაყოფილებს შიდა და გარე მომხმარებლების მოთხოვნებს; საქართველოს ეროვნული გეოდეზიური გეგმურ-სიმაღლური საფუძვლის (ქსელის) შექმნა და განახლება, რომელიც ყველა მასშტაბის ტოპოგრაფიული აგეგმვების მთავარი გეოდეზიური საფუძველია და ქმნის საქართველოს ტერიტორიაზე კოორდინატებისა და სიმაღლეების განვრცობის ერთიან სისტემას. მაღალი სიზუსტის გეოდეზიურმა საფუძველმა უნდა დააკმაყოფილოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, თავდაცვის, უშიშროებისა და ეროვნული მეურნეობის დარგების, აგრეთვე სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის სხვადასხვა სამეცნიერო და საინჟინრო ტექნიკური ამოცანის პრაქტიკულად გადაწყვეტის მოთხოვნები; აეროგადაღების სამოქმედო გეგმის მიხედვით საქართველოს ტერიტორიის ურბანული არეალების (სადაც აქტიურად მიმდინარეობს ცვლილებები) ახალი აეროგადაღების მასალებით დაფარვა და მათი დამუშავების შედეგად ზუსტი ორთოფოტოგეგმების შექმნა; განახლებული აეროგადაღების მასალების საფუძველზე ახალი ციფრული კარტოგრაფიული მასალების შექმნა, ძველების განახლება და შემდგომ ამ მონაცემების გამოყენება სხვადასხვა დარგობრივი მოთხოვნიდან გამომდინარე.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქუჩების 360 გრადუსიანი პანორამული ხედის (ქუჩის ხედი) მონაცემების შექმნა, საერთაშორისო პლატფორმაზე ატვირთვა, გამოქვეყნება და სრულყოფა;

	ეროვნული გეოდეზიური გეგმურ-სიმაღლური საფუძვლის შექმნა და განახლება, საქართველოს ტერიტორიის აქტუალური რეგიონების ციფრული აეროგადაღება და ციფრული ორთოფოტოგეგმების მომზადება;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - ქუჩების 360 გრადუსიანი პანორამული ხედის (ქუჩის ხედი) ფოტომასალის საერთაშორისო პლატფორმაზე ატვირთვის ვერსია; **საბაზისო მაჩვენებელი** - ქუჩების 360 გრადუსიანი პანორამული ხედის შექმნილი მონაცემები (ქუჩის ხედი) და საერთაშორისო პლატფორმაზე ატვირთული 2.0 ვერსიის ფარგლებში; მაგისტრალური გზების, ამავე არეალებთან ახლომდებარედ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ან/და ტურისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტების ჩათვლით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2025 წელს ქუჩების 360 გრადუსიანი პანორამული ხედის შექმნილი მონაცემები (ქუჩის ხედი) და საერთაშორისო პლატფორმაზე ატვირთული 3.0 ვერსიის ფარგლებში; ; 2026 წელს ქუჩების 360 გრადუსიანი პანორამული ხედის შექმნილი მონაცემები (ქუჩის ხედი) და საერთაშორისო პლატფორმაზე ატვირთული 4.0 ვერსიის ფარგლებში; 2027 წელს ქუჩების 360 გრადუსიანი პანორამული ხედის შექმნილი მონაცემები (ქუჩის ხედი) და საერთაშორისო პლატფორმაზე ატვირთული 5.0 ვერსიის ფარგლებში; 2028 წელს ქუჩების 360 გრადუსიანი პანორამული ხედის შექმნილი მონაცემები (ქუჩის ხედი) და საერთაშორისო პლატფორმაზე ატვირთული 6.0 ვერსიის ფარგლებში; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - ქუჩების 360 გრადუსიანი პანორამული ხედის (ქუჩის ხედი) მონაცემების საერთშორისო პლატფორმაზე ატვირთვის დროში გადავადება კონკრეტული ვერსიის ფარგლებში; **შესაძლო რისკები** - კვალიფიციური კადრების დეფიციტი; მონაცემების ატვირთვის და გამოქვეყნების პრცესის შეფერხება; ტექნოლოგიური რესურსების სიმწირე; რთული კლიმატური და მეტეოროლოგიური პირობები **2.** **ინდიკატორის დასახელება** - ადგილზე დამაგრებული სიმაღლური ქსელის წერტილების რაოდენობა და ორთოფოტოზე დატანილი ტერიტორიის ფართობი; **საბაზისო მაჩვენებელი** - სიმაღლური ქსელის წერტილები სრულად მოკვლეულია, დაახლოებით 6000 წერტილიდან ადგილზე დამაგრებული 750 წერტილი და სხვადასხვა წელს განხორციელებული აერო გადაღების მასალების შედეგად შექმნილი ორთოფოტოგეგმები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2025 წელს, დაახლოებით, 120 ერთეული სიმაღლური ქსელის წერტილების ადგილზე დამაგრება ან /და დაზიანებულის აღდგენა, დაახლოებით, 100 ერთეული გეგმური ქსელის წერტილების საველე მოკვლევა და, დაახლოებით, 10 000 კვ. კმ-ზე ორთოფოტოს განახლება; ; 2026 წელს დამატებით 120 ერთეული სიმაღლური ქსელის წერტი ლების ადგილზე დამაგრება, დაახლო ებით, 100 ერთეული გეგმური ქსელის წერტილების საველე მოკვლევა და 10 000 კვ. კმ-ზე ორთოფოტოს განახლება; 2027 წელს დამატებით 120 ერთეული სიმაღ ლური ქსელის წერტი ლების ადგილზე დამაგრება, დაახლო ებით, 100 ერთეული გეგმური ქსელის წერტილების საველე მოკვლევა და 10 000 კვ. კმ-ზე ორთოფოტოს განახლება; 2028 წელს დამატებით 120 ერთეული სიმაღ ლური ქსელის წერტი ლების ადგილზე დამაგრება, დაახლო ებით, 100 ერთეული გეგმური ქსელის წერტილების საველე მოკვლევა და 10 000 კვ. კმ-ზე ორთოფოტოს განახლება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-20%;

	შესაძლო რისკები - რთული მეტეოროლოგიუ რი პირობები, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, ტექნიკური აღჭურვილობის უკმარისობა

სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა (26 13)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო
აღწერა და მიზანი	სააღსრულებო და არასააღსრულებო მომსახურების გაწევის პროცესში მხარეთა კანონიერი ინტერესების რეალიზება მხარეებს შორის ბალანსის მაქსიმალური დაცვით; სააღსრულებო მომსახურებები – უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის აღსრულება, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, სარჩელის უზრუნველყოფა და სხვა; არასააღსრულებო მომსახურებები – გამარტივებული საქმისწარმოება, გადახდისუუნარობის საქმისწარმოება, კერძო აღმასრულებელთათვის ლიცენზიის გაცემა და მათთვის სააუქციონო მომსახურების გაწევა, მესამე პირების მომართვის საფუძველზე ქონების შეფასების მომსახურება, ფაქტების კონსტატაცია, დადგენილი წესით გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ავტორიზაცია და გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში სააუქციონი მომსახურების გაწევა და სხვა; „მოძიება-ყადაღა-ინკასო“ ტიპის ელექტრონული კომუნიკაციის ფორმირება ბანკებთან, რომელიც ჩაანაცვლებს მანამდე არსებულ ინფორმაციის ბეჭდური სახით მიმოცვლას. ელექტრონული ინფორმაციის გაცვლა, ელექტრონულად საბანკო ანგარიშებზე შეზღუდვების გავრცელება და მოხსნა სხვადასხვა საბანკო ანგარიშიდან, რაც უფრო გაამარტივებს მონაცემების მიმოცვლას; ყველა მუნიციპალურ უწყებასთან ელექტრონული კავშირის აწყობა და სააღსრულებო დოკუმენტების სრულად ელექტრონულად მიმოცვლა; სააღსრულებო წარმოების დიგიტალიზაცია – სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის სისტემური გადაწერა, პროცესების ოპტიმიზაცია, ავტომატიზაცია, ასევე, შშმ პირებისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის დანერგვა; დამოუკიდებელი აღმასრულებლებით დაკომპლექტებული აღმასრულებელთა პალატის შექმნა; აღსრულების პოლიციის საქმიანობის დახვეწა, უკანონო მფლობელობიდან საკუთრების გამოთხოვის (გამოსახლება) და დემონტაჟის საქმეებზე სააღსრულებო წარმოების განხორციელება, გამოსახლებისა და დემონტაჟის რეზონანსულ საქმეებში მხარეთა ინტერესების დაცვის მენეჯერების, სოციალური მუშაკებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მუდმივი ხელმისაწვდომობა;

	არსებული გამარტივებული საქმისწარმოების პორტალის განვითარება, რაც გულისხმობს ონლაინ განაცხადის მიღებას, ონლაინ დოკუმენტების გაცემას და შემდგომ წარმოების ონლაინ რეჟიმში თვალყურის დევნებას. წარმოებას დაემატება ქონების მოძიების სერვისი, რომლის ფარგლებში აპლიკანტს უჩნდება შესაძლებლობა ისარგებლოს რესპონდენტის ქონების მოძიების მომსახურებით, აღნიშნულის რეალიზება საჭიროებს ცვლილებების და დამატებითი ფუნქციების დანერგვას პროგრამულ უზრუნველყოფაში; აღსრულების პოლიციის სააღსრულებო საქმისწარმოების ფარგლებში გამოძიების წარმოების უფლებამოსილება, საქმისწარმოების პროცესში შესაძლო დანაშაულის ფაქტების სწრაფი და ეფექტური გამოძიება, აგრეთვე, სასამართლო გადაწყვეტილებათა დროული აღსრულება; გაუმართავი/დაზიანებული ინფრასტრუქტურის განახლება/ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსრულებული საქმეები; მორიგებით დასრულებული გამოსახლების საქმეები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - აღსრულებული საქმეების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წლისთვის აღსრულდება 130 000 საქმე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად 5 000-ით მეტი საქმის აღსრულება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - რთულად აღსასრულებელი საქმეების რაოდენობის მატება; საკანონმდებლო ცვლილება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - მორიგებით დასრულებული გამოსახლების საქმეების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2024 წელს გამოსახლების საქმეების 85% დასრულებული იქნება მხარეთა შორის მორიგებით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქმეების 90% მორიგებით იქნა დასრულებული; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - რთულად აღსასრულებელი საქმეების რაოდენობის მატება; საკანონმდებლო ცვლილება

სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (63 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
აღწერა და მიზანი	დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება;

	სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა; სავალდებულო დაზღვევის სტანდარტების შემუშავება; ევროდირექტივებთან საქართველოს სადაზღვევო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია; მომხმარებელთა უფლებების დაცვა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში; მზღვეველის ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების კანონმდებლობის სრულყოფა; მზღვეველების საქმიანობაზე შიდა და დისტანციური ზედამხედველობის (მათ შორის, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით) პროცესის მარეგლამენტირებელი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა; დაზღვევის სექტორზე ციფრული ზედამხედველობისათვის ეფექტური საკანონმდებლო ბაზის შექმნა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	განვითარებული და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული ნორმატიული ბაზა; სტაბილური სადაზღვევო ბაზარი; კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ნორმატიული ბაზის განვითარება/სტანდარტიზაცია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. სადაზღვევო ბაზრის სტაბილურობა; კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სადაზღვევო ბაზარი; **საბაზისო მაჩვენებელი** - სადაზღვევო ბაზრის გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და დახვეწა

ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება (26 12)

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (თავდაცვა და უსაფრთხოება)
აღწერა და მიზანი	ნორმატიული აქტების სახელმწიფო აღრიცხვა, სისტემატიზაცია და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამართლებრივი სისტემის საჯაროობის უზრუნველყოფა; ნორმატიული აქტებისათვის იურიდიული ძალის მინიჭების მიზნით მათი სრული ტექსტის პირველადი გამოქვეყნება ოფიციალურ ვებგვერდზე (https://matsne.gov.ge); ხელმისაწვდომი, დაცული, მუდმივად განახლებადი ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირება, სადაც მომხმარებელს შეუძლია იხილოს საქართველოს ყველა უწყების მიერ მიღებული ვებგვერდზე განთავსებული და ოფიციალურად გამოქვეყნებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, ევროკავშირის სამართლებრივი აქტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების თარგმანი, მათ შორის, სხვა ქვეყნების მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებები/განჩინებების ქართულენოვანი თარგმანი, რომლებიც შეიცავს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმების ნორმების მნიშვნელოვან განმარტებებს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადგილობრივი თვითმმართველობის აქტები, საჯარო განცხადებები და საინფორმაციო ხასიათის სხვა დოკუმენტები; კოდიფიცირებული და სისტემატიზებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების და კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების ოფიციალური ტექსტების, სახელმძღვანელოების, სამოქმედო გეგმების, ბუკლეტების, ანგარიშებისა და სხვა საინფორმაციო მონაცემების, აგრეთვე იურიდიული და სხვა ლიტერატურის (მათ შორის, ნათარგმნი ტექსტების) ბეჭდური სახით მომზადების, სტამბისათვის გადაცემის და მათი ბეჭდვის პროცესის ადმინისტრირება; საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული სფეროებისა და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ქართულენოვანი ვერსიების, ასევე, საქართველოს სამართლებრივი აქტების ინგლისურენოვანი ვერსიების შექმნა და მათი მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე (https://matsne.gov.ge) განთავსება ვებგვერდის მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომობის მიზნით; კანონმდებლობის სხვადასხვა სფეროში გამოყენებული ტერმინოლოგიის დამუშავება, მაცნეს მთარგმნელობითი ცენტრის სერვერზე განლაგებული ტერმინოლოგიური ბაზის და მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ონლაინ ლექსიკონის მუდმივი განახლება; საქართველოს სამართლებრივი აქტების კონსოლიდირებული ვერსიების ინგლისურ ენაზე მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება; ეთნიკური უმცირესობებისათვის კანონმდებლობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საქართველოს საკანონმდებლო აქტების შესაბამის სამიზნე ენაზე (აზერბაიჯანული/სომხური/ოსური/აფხაზური) თარგმნა და ვებგვერდზე განთავსება; დაინტერესებული პირებისა თუ მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული საქმიანობისა და საინფორმაციო მიზნებისათვის სხვადასხვა ნორმატიული აქტის, წიგნისა და იურიდიული ლიტერატურის ბეჭდური ვერსიების გამოცემა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სამართლებრივი აქტების და სხვა დოკუმენტების ხელმისაწვდომობის ზრდა

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ავტორიზებულ მომხმარებელთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 7000 მომხმარებელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად ავტორიზებულ მომხმარებელთა 100 ერთეულით ზრდა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - +/- 30 მომხმარებელი; **შესაძლო რისკები** - ახალი პროგრამული ფუნქციონალების დამატების შეფერხება

იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი
27 06	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა	267,980.0	267,980.0	0.0	268,800.0	268,800.0	268,800.0
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	4,300.0	4,300.0	0.0	4,600.0	4,900.0	5,100.0
59 00	ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის	340.0	0.0	340.0	340.0	340.0	340.0
ჯამი		**272,620.0**	**272,280.0**	**340.0**	**273,740.0**	**274,040.0**	**274,240.0**

იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა (27 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 10 - შემცირებული უთანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 11 - ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 1 - არა სიღარიბეს
აღწერა და მიზანი	საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარებით უზრუნველყოფა; ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა გრძელვადიანი განსახლება; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება; საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, თავშესაფრის მაძიებლებისა და საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირთა ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა სერვისის შექმნა და განვითარება; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და ეკომიგრანტთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დაბრუნებული მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაცია; ეკომიგრანტთა განსახლება უსაფრთხო გარემოში; ღირსეული ცხოვრების პირობებით უზრუნველყოფილი დევნილი მოსახლეობა; საზოგადოებაში ინტეგრირებული საერთაშორისო დაცვის, თავშესაფრის მაძიებლებისა და საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირები; საარსებო წყაროები ხელმისაწვდომია დევნილი და ეკომიგრანტი პირებისათვის.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - რეინტეგრაციის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობა;

	საბაზისო მაჩვენებელი - 294; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 300; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი მიმართვიანობა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - საცხოვრებელი სახლით დაკმაყოფილებული ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 515; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 520; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%; **შესაძლო რისკები** - საცხოვრებელ სახლებზე საბაზრო ფასების ზრდა; წარმოდგენილი სახლების შესახებ ექსპერტიზის მიერ მომზადებული დასკვნები **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ღირსეული ცხოვრების პირობებით უზრუნველყოფილი დევნილი მოსახლეობის რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - გრძელვადიანი განსახლების პროგრამების ფარგლებში დაკმაყოფილებული დევნილი ოჯახების რაოდენობა - 2220 კერძო საკუთრებაში არსებული სახლების შესყიდვის გზით დაკმაყოფილებული დევნილი ოჯახების რაოდენობა (ასევე, ადმინისტრაციული დაპირებით შესყიდული ბინების რაოდენობა) – 1354 (117) დროებითი განსახლების მიზნით ქირით უზრუნველყოფილი- 695 ოჯახი; ფულადი დახმარება - 20091 პირს; მრავალბინიანი კორპუსების მშენებლობა - მიმდინარეობს მშენებლობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გრძელვადიანი განსახლების პროგრამების ფარგლებში დაკმაყოფილებულიდევნილი ოჯახების რაოდენობა - 4700 კერძო საკუთრებაში არსებული სახლების შესყიდვის გზით დაკმაყოფილებული დევნილი ოჯახების რაოდენობა (ასევე, ადმინისტრაციული დაპირებით შესყიდული ბინების რაოდენობა) – 1300 (150) დროებითი განსახლების მიზნით ქირით უზრუნველყოფილი- 1000 ოჯახი; ფულადი დახმარება - 15000 პირს; მრავალბინიანი კორპუსების მშენებლობა - დასრულებულია 3250 ბინის მშენებლობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15-20%; **შესაძლო რისკები** - პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით, პოტენციური კონტრაქტორების მხრიდან დაბალი აქტივობა; ფასების ზრდა; პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით, მენაშენეების მხრიდან დაბალი აქტივობა; დევნილი ოჯახების მხრიდან, ნაკლები ინტერესი განსახლების ამ ალტერნატივაზე; განსახლების სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი საცხოვრებელი სახლების შესყიდვის და მშენებლობის პროცესში წარმოშობილი შეფერხებები; დაინტერესებული პირები ვერ აკმაყოფილებენ დადგენილ კრიტერიუმებს **4.** **ინდიკატორის დასახელება** - ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 168; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 200; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%; **შესაძლო რისკები** - პროგრამის ბენეფიციარების მხრიდან დაბალი მომართვიანობა

	5. **ინდიკატორის დასახელება** - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული პირების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 416; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1000; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15-20%; **შესაძლო რისკები** - პროგრამის ბენეფიციარების მხრიდან დაბალი მომართვიანობა

სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის (27 06 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 10 - შემცირებული უთანასწორობა
აღწერა და მიზანი	საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან და სხვა გეოგრაფიული არეალებიდან დაბრუნებული მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის ხელშეწყობა, მათ შორის, მათთვის სხვადასხვა სარეინტეგრაციო მომსახურების გაწევა: სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება, ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია; შემოსავლის წყაროს გაჩენისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით სოციალური პროექტების დაფინანსება; პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; დროებითი საცხოვრებლის უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დაბრუნებული ქართველი მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაცია.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - რეინტეგრაციის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 294; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 300; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი მიმართვიანობა

ეკომიგრანტთა მიგრაციის მართვა (27 06 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	ეკომიგრანტთათვის საცხოვრებელი სახლების შეძენა; ეკომიგრანტთა დროებითი განსახლება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სტიქიით დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების-ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა; დროებითი განსახლების მიზნით, სტიქიით დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების-ეკომიგრანტების ქირის თანხით უზრუნველყოფა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** საცხოვრებელი სახლით დაკმაყოფილებული ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 515; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 520; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15%; **შესაძლო რისკები -** საცხოვრებელ სახლებზე საბაზრო ფასების ზრდა; წარმოდგენილი სახლების შესახებ ექსპერტიზის მიერ მომზადებული დასკვნები

იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნა (27 06 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 1 - არა სიღარიბეს ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 11 - ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება
აღწერა და მიზანი	მრავალბინიანი კორპუსების მშენებლობა ქვეყნის მასშტაბით (გრძელვადიანი განსახლება); მენაშენეებისგან ბინების (კორპუსების) შესყიდვა ქვეყნის მასშტაბით (გრძელვადიანი განსახლება); ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე დევნილი ოჯახების მიერ შერჩეული/წარმოდგენილი საცხოვრებელი ბინების

	შესყიდვა (გრძელვადიანი განსახლება); სახლების შესყიდვა და დევნილი ოჯახებისთვის სულადობის მიხედვით საკუთრებაში გადაცემა (გრძელვადიანი განსახლება); კერძო მესაკუთრეებისგან ობიექტების გამოსყიდვა (იდენტიფიცირებული იქნება კოლექტიური ცენტრები, რომლებიც კერძო საკუთრებაშია, მაგრამ მისაღებია დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის) და მათი დევნილებისთვის საკუთრებაში გადაცემა (გრძელვადიანი განსახლება); სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, დევნილთა მართლზომიერ სარგებლობაში მყოფი საცხოვრებელი ობიექტების კერძო საკუთრებაში გადაცემა/დაკანონება (გრძელვადიანი განსახლება); დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მათთვის ფულადი დახმარებების გაცემა და დროებითი საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისთვის დევნილთა მატერიალური უზრუნველყოფა (ფულადი დახმარება); დევნილთა საკუთრებაში მყოფ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება და მათ მიერ შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები); სავალალო მდგომარეობაში მყოფი დევნილთა ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების შესწავლა და რეაბილიტაცია, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც სრულად კერძო საკუთრებაშია; დევნილთა ყოფილი ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება (ადმინისტრაციული ხარჯი).
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეყნის მასშტაბით აშენებული მრავალბინიანი კორპუსები (გრძელვადიანი განსახლება); ქვეყნის მასშტაბით შესყიდულია ბინები (კორპუსების) მენაშენეებისგან (გრძელვადიანი განსახლება); ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე, დევნილი ოჯახის მიერ წარმოდგენილია და შესყიდულია საცხოვრებელი ბინები (გრძელვადიანი განსახლება); ოჯახების სულადობის გათვალისწინებით შესყიდულია და ოჯახების საკუთრებაში გადაცემულია საცხოვრებელი სახლები (გრძელვადიანი განსახლება); კერძო მესაკუთრეებისგან გამოსყიდულია და დევნილთა საკუთრებაში გადაცემულია ობიექტები (კოლექტიური ცენტრების იდენტიფიცირება, რომლებიც წარმოადგენენ კერძო საკუთრებას, მაგრამ მისაღებია დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისათვის) (გრძელვადიანი განსახლება); სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, დევნილთა მართლზომიერ სარგებლობაში მყოფი საცხოვრებელი ობიექტები გადაცემულია კერძო საკუთრებაში (გრძელვადიანი განსახლება); დევნილთა სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით,

	კანონმდებლობის შესაბამისად, დევნილ პირებზე გაცემულია ფულადი დახმარება და დროებითი საცხოვრებელი ფართის დაქირავებისათვის მატერიალური უზრუნველყოფა (ფულადი დახმარება); დევნილთა საკუთრებაში არსებულ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულება დაფინანსებულია თანამონაწილეობის პრინციპით, მათ მიერ შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები); შესწავლილია სავალალო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა ყოფილი კომპაქტურად ჩასახლების ობიექტები, შემდგომში მათი რეაბილიტაციის მიზნით, გარდა იმ ობიექტებისა, რომელიც სრულად კერძო საკუთრებაშია გადასული; დაფინანსებულია ყოფილი ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციული ხარჯები (ადმინისტრაციული).
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - გრძელვადიანი განსახლების პროგრამების ფარგლებში დაკმაყოფილებული დევნილი ოჯახების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2 220; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 4 700; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%; **შესაძლო რისკები** - განსახლების სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი საცხოვრებელი სახლების შესყიდვის პროცესში წარმოშობილი შეფერხებები **2.** **ინდიკატორის დასახელება** - კერძო საკუთრებაში არსებული სახლების შესყიდვის გზით დაკმაყოფილებული დევნილი ოჯახების რაოდენობა (მათ შორის ადმინისტრაციული დაპირების); **საბაზისო მაჩვენებელი** - 1 354 (117); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1 300 (150); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15-20%; **შესაძლო რისკები** - საცხოვრებელ სახლებზე საბაზრო ფასების ზრდა; ბენეფიციარების მხრიდან, შესასყიდი უძრავი ქონებების დროულად ვერ წარმოდგენა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ქირით და ფულადი დახმარებთ უზრუნველყოფილი დევნილი პირის/ოჯახის რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - ქირა - 695 ოჯახი; ფულადი დახმარება-20 091პირი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქირა - 1000 ოჯახი; ფულადი დახმარება-15 000 პირი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15-20%; **შესაძლო რისკები** - დევნილების მხრიდან დაბალი მომართვიანობა; დაინტერესებული პირები ვერ აკმაყოფილებენ დადგენილ კრიტერიუმებს **4.** **ინდიკატორის დასახელება** - მრავალბინიანი კორპუსების მშენებლობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობს მშენებლობა;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - ბორჯომი - 150 ბინა, ქუთაისი - 700 ბინა, თბილისი - 2400 ბინა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15%; **შესაძლო რისკები -** კონტრაქტორების მხრიდან ხელშეკრულებით დადგენილი პირობების დარღვევა

საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა (27 06 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 10 - შემცირებული უთანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა
აღწერა და მიზანი	ქართული ენის შემსწავლელი კურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ საინფორმაციო კურსების ორგანიზება; საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ საინფორმაციო კურსების ორგანიზება; საქართველოს კანონმდებლობის იმ მიმართულებების შესახებ საინფორმაციო კურსის ორგანიზება, რომლებიც დაეხმარება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზებაში, განათლების მიღებაში და სხვა; სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება, ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია; საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საინტეგრაციო პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად, საერთაშორისო დაცვის, თავშესაფრის მაძიებლებისა და საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირებს ეცოდინებათ ქართული ენა, რათა შეძლონ საზოგადოებასთან კომუნიკაცია; გაეცნობიან ქვეყნის ისტორიას და კულტურას, სტატუსიდან გამომდინარე ეცოდინებათ თავიანთი უფლება-მოვალეობები და ქვეყნის კანონმდებლობის ის მიმართულებები, რისი ცოდნაც აუცილებელია მათი ყოველდღიური ცხოვრების, განათლების მიღებისა თუ ეკონომიკური აქტივობის პროცესში და სხვა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 168;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - 200; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15%; **შესაძლო რისკები -** პროგრამის ბენეფიციარების მხრიდან დაბალი მომართვიანობა

საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა (27 06 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
აღწერა და მიზანი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ინტეგრაციისთვის მიზნობრივი პროექტებისა და პროგრამების შემუშავება და განხორციელება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული დევნილი და ეკომიგრანტი პირების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება; საარსებო წყაროების სექტორში მიმდინარე პროგრამების შესახებ საინფორმაციო კამპანიების განხორციელება; სააგენტოს მიერ დევნილთა და ეკომიგრანტთათვის განხორციელებული საგრანტო პროგრამის ფარგლებში გამარჯვებულად გამოვლენილი იძულებით გადაადგილებული პირებისა და ეკომიგრანტების დაფინანსება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული პირების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 416; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 1 000; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15%; **შესაძლო რისკები -** პროგრამის ბენეფიციარების მხრიდან დაბალი მომართვიანობა

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (22 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
აღწერა და მიზანი	კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის, მათ შორის, შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის, განხორციელება და კოორდინაცია, ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის – ჩართულობა თანამშრომლობის გზით, აგრეთვე ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელება, სამშვიდობო ინიციატივის – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხორციელების კოორდინაცია, ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით სამთავრობო კომისიის საქმიანობის ხელმძღვანელობა და საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

	ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა; ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისება, ეკონომიკური კავშირების ხელშეწყობა სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული სტატუსნეიტრალური ინსტრუმენტებისა და ფინანსური მექანიზმების, მათ შორის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“, გამოყენებით; გამყოფი ხაზების გასწვრივ ეკონომიკური სივრცის, არსებული სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, ახალი სერვისების დანერგვა და ამოქმედება; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მასალისა და ტექნიკის, მცენარეთა მოვლის საშუალებების მიწოდებისა და მავნებლებთან ბრძოლაში დახმარების გაწევის ხელშეწყობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე გარემოს დაცვის, ბუნებრივ და ადამიანის მიერ გამოწვეულ კატასტროფებზე რეაგირების ხელშეწყობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის საქართველოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე ხარისხიანი განათლების ყველა საფეხურის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, აგრეთვე საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა; მათი პროფესიული განათლების სისტემაში ჩართვის ხელშეწყობა; მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარების უზრუნველყოფა სტატუსნეიტრალური მექანიზმის გამოყენებით; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების მიერ განათლების მშობლიურ ენაზე მიღების ხელშეწყობა; მათთვის სასწავლო პროცესის სხვადასხვა (მათ შორის, დისტანციური) ფორმით შეთავაზების მხარდაჭერა; აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების ხელშეწყობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების სამეცნიერო პროგრამებში ჩართვის გამარტივება და სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გამარტივება და გაუმჯობესება; მოქალაქის პასპორტის ხელმისაწვდომობისა და სამოქალაქო აქტების გაცემის გამარტივების ხელშეწყობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების სახელმწიფო რეფერალურ და სხვა შესაბამის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველყოფა; ოკუპირებული ტერიტორიებისთვის სხვადასხვა მედიკამენტისა და სამედიცინო ტექნიკის მიწოდება; ევროინტეგრაციის პროცესის სხვადასხვა საჭირო საკითხზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების ცნობიერების ამაღლება; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან, მათ შორის, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებიდან, და საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლიდან გამომდინარე ყველა სარგებლისა და შესაძლებლობის შეთავაზება; საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობების კოორდინაცია; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მათი

	ჩართულობისა და საქმიანობის ხელშეწყობა; ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელება; არაფორმალური დიალოგის სხვადასხვა პლატფორმისა და ორმხრივი შეხვედრების მხარდაჭერა; საერთაშორისო პარტნიორებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება; ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მეორე სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობა; გალსა და ერგნეთში გამართულ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრებში მონაწილეობა; საქართველოში და საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში, საერთაშორისო ფორუმებსა და ფორმატებში მონაწილეობა; შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის საერთაშორისო მხარდაჭერის უზრუნველყოფა; ფინანსური დახმარების მობილიზება; 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიების, იდენტიფიცირებისა და ოჯახებისთვის გადაცემის პროგრამის შემდგომი მდგრადობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის კომპეტენციის ფარგლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძებნისა და გადმოსვენების ღონისძიებების ორგანიზება; წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ეგიდით, 1992-1993 წლების შეიარაღებულ კონფლიქტსა და მის შემდგომ პერიოდთან დაკავშირებით უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების საკითხებზე ჩამოყალიბებულ ქართულ-აფხაზურ საკოორდინაციო მექანიზმსა და სამედიცინო ექსპერტიზის სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა; შეიარაღებული მოქმედებების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიებისა და გადმოსვენების უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის ხელმძღვანელობა და ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა; უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე საინფორმაციო სესიებში, საკოორდინაციო და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა; მათი იდენტიფიკაციის მიზნით ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერების უზრუნველყოფაში მონაწილეობა; პირთა უგზო-უკვლოდ დაკარგვის თემაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და სიმბოლური/მემორიალური ღონისძიებების ორგანიზება; უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახებთან შეხვედრა და კომპეტენციის ფარგლებში მათი საჭიროებების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა; უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ბედისა და ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება; პოტენციური სამარხების მდებარეობის განსაზღვრა და სამარხების გახსნის დაგეგმვა; ნეშტების ექსჰუმირებასა და იდენტიფიცირებაში მონაწილეობა; ოჯახის წევრების ინფორმირება უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ბედის შესახებ, ხოლო მათი გარდაცვალების დადასტურების შემთხვევაში – ნეშტების ადგილსამყოფლის თაობაზე; ოჯახის წევრებისთვის მათი ნეშტების გადაცემა, ამოცნობილი ნეშტების დაკრძალვის ორგანიზება და ხარჯების დაფარვის კოორდინაცია; გენეტიკური საექსპერტო მომსახურების გაწევა, კერძოდ: უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ოჯახის წევრებისა და ბიოლოგიური ნათესავების ბიოლოგიური ნიმუშების აღება, დაარქივება (შენახვა) და შემდგომი გენეტიკური გამოკვლევა-პროფილირება;

	სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და ექსპერტებთან თანამშრომლობა, მათ შორის, არსებული პლატფორმების ფარგლებში; სამშვიდობო პროცესში ქალთა და ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების, აგრეთვე კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების როლისა და ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა; კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირება; თანამშრომლობის პლატფორმების ეფექტიანი ფუნქციონირება; სამშვიდობო პროცესში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და, ზოგადად, დაინტერესებული ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა; გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარეობა; გამყოფი ხაზების სიახლოვეს მდებარე რეგიონების განვითარების ხელშეწყობა; გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების გაწევა, ზამთრის პერიოდში მისი გათბობით უზრუნველყოფა; მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; დაზარალებულ სოფლებში ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება; მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონში ოჯახების დაბრუნების პროცესის ხელშეწყობა, ნებაყოფლობით დაბრუნებული მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მისი საოჯახო მეურნეობების განვითარების მიზნით მატერიალური დახმარების გაცემა; სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით გრძელვადიანი და შეუქცევი პოზიტიური ცვლილებების განხორციელების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; შესაბამისი პოლიტიკის განსახორციელებლად განსაზღვრული ხუთი პრიორიტეტული მიმართულებით – სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად; ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა; თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა; სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია; კულტურათაშორისი დიალოგი – განსაზღვრული მიზნებისა და დაგეგმილი კონკრეტული ამოცანების ეფექტიანი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება, სტრატეგიული პრიორიტეტების, თითოეული დასახული ამოცანის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისა და ახალგაზრდების გაძლიერების მიზნით ეფექტიანი მექანიზმების განვითარება და ხელშემწყობი მიზნობრივი პროგრამების განხორციელება, აგრეთვე მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის პროაქტიული მიდგომების დანერგვასა და თანასწორობაზე ფოკუსირებული პოლიტიკისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა;

	სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიზნით სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება და პოპულარიზაცია ფორმალურ განათლებაში (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება); სახელმწიფო ენის ცოდნის გაძლიერება ზრდასრულებსა და არაფორმალურ განათლებაში; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, მისი ფუნქციონირების მხარდაჭერა და გამოყენების ზედამხედველობა; სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის უზრუნველყოფა; ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა პროფესიული და უმაღლესი განათლების მისაღებად; განათლების მიღმა დარჩენილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პირების (მშმ პირები და ბოშები) საგანმანათლებლო შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა; სამოქალაქო თანასწორობის ხელშეწყობა და კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაცია ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში; მმართველობისა და თვითმმართველობის განხორციელების პროცესებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის ხელშეწყობა; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებების ეფექტიანი რეალიზების მექანიზმების განვითარება; ეთნიკური უმცირესობების ენებზე მედიაპროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება; მედიაწიგნიერების განვითარების მხარდაჭერა; ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკისა და ანტიდისკრიმინაციულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება; მართლმსაჯულების სისტემისა და სამართალდამცავი ორგანოების მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ხარისხიანი იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა; სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გაზრდა; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარება; ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის, მცირე ეთნოსების, წარმომადგენელი მოქალაქეების პერსონალური მონაცემების დაცვისა და თვითიდენტიფიცირების საფუძველზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; მასობრივი ინტერკულტურული სპორტისა და მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერა, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი სივრცეების/ინფრასტრუქტურის განვითარება.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი
33 07	მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია	218,870.0	218,870.0	0.0	219,900.0	222,400.0	222,400.0
33 05	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	124,589.0	103,070.0	21,519.0	131,011.0	140,079.0	150,054.0
42 01	მაუწყებლობის ხელშეწყობა	104,440.0	101,190.0	3,250.0	105,740.0	104,540.0	105,040.0
33 06	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	71,120.0	56,650.0	14,470.0	78,871.0	78,871.0	78,871.0
33 03	ინფრასტრუქტურის განვითარება	50,000.0	50,000.0	0.0	63,470.0	57,402.0	67,427.0
33 08	კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები	43,880.0	43,880.0	0.0	43,882.0	43,882.0	43,882.0
45 00	საქართველოს საპატრიარქო	25,000.0	25,000.0	0.0	25,000.0	25,000.0	25,000.0
32 08	ახალგაზრდობის ხელშეწყობა	13,330.0	13,330.0	0.0	13,950.0	14,190.0	14,450.0
33 01	კულტურისა და სპორტის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	11,800.0	11,800.0	0.0	12,300.0	12,800.0	13,300.0
50 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	7,670.0	7,600.0	70.0	7,700.0	7,700.0	7,800.0
ჯამი		**670,699.0**	**631,390.0**	**39,309.0**	**701,824.0**	**706,864.0**	**728,224.0**

მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია (33 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	საქართველოში სპორტის განვითარებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების მომზადება და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, ეროვნული ჩემპიონატები, საერთაშორისო ტურნირები, 2026 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო შეჯიბრებები და სხვა) მონაწილეობა; მათი მომზადების ეტაპზე სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების მოწყობა, საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარება; სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და სპორტის ეროვნული სახეობების განვითარების ხელშეწყობა; მასობრივი სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და პოპულარიზაცია; მოძრაობის „სპორტი ყველასათვის“ განვითარება; მასობრივი სპორტული ღონისძიებების გამართვა; ოლიმპიური, პარალიმპიური, სურდლიმპიური, სპეციალური ოლიმპიური და სხვა მოძრაობების განვითარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა; სპორტულ ორგანიზაციებში „კარგი მმართველობის“ პრინციპების დასანერგად დაგეგმვის ეტაპზე მონაწილეობა და სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის მონიტორინგი; სპორტული ინვენტარისა და ეკიპირების შეძენა სპორტული ფედერაციებისა და რეგიონული სპორტული ორგანიზაციებისთვის გადასაცემად; საქართველოში სპორტის სხვადასხვა სახეობაში საერთაშორისო შეჯიბრებების მასპინძლობა და მასობრივი სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე ორგანიზება; საერთაშორისო მასშტაბით ქვეყნის ცნობადობის გაზრდა და იმიჯის ამაღლება, სპორტული ტურიზმის განვითარება; საქართველოში ფეხბურთის განვითარებისთვის საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილე კლუბების მხარდაჭერა; მასობრივი საფეხბურთო ღონისძიებებისა და საფეხბურთო განათლების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მაღალი მიღწევებისა და მასობრივ სპორტში ჩართული პირების გაზრდილი მაჩვენებელი; მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული ჩემპიონატები;

	სპორტის მასობრიობის მაჩვენებლის ზრდა; რეგულარულ ფიზიკურ აქტივობაში ჩართული პირების რაოდენობის ზრდა; ეროვნულ სპორტის სახეობებში ჩართული პირთა რაოდენობის ზრდა; სპორტში გამოვლენილი დარღვევების შემცირებული მაჩვენებელი; საქართველოში გამართული საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების გაზრდილი მაჩვენებელი; მასობრივი სპორტული ღონისძიებების გამართვის გაზრდილი მაჩვენებელი; სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდილი მაჩვენებელი. ჩამოყალიბებული ფეხბურთის საკლუბო სისტემა; გადამზადებული კვალიფიციური კადრები (მსაჯები, მწვრთნელები, სამედიცინო პერსონალი) გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ინვენტარი; ეკიპირება)
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - ეროვნული და საერთაშორისო ღონისძიებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 650-მდე (შეჯიბრი, საწვრთნელი შეკრება); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2 000-მდე (შეჯიბრი, საწვრთნელი შეკრება); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%-10%; **შესაძლო რისკები** - საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილება, დოპინგი, სპორტსმენის ტრავმა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - საქართველოში გამართული საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 10; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად გამართული 10-მდე ღონისძიება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%-7%; **შესაძლო რისკები** - საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილება **3.** **ინდიკატორის დასახელება** - სპორტული ფედერაციებისა და რეგიონების რაოდენობა, რომელთათვისაც ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარის და ეკიპირების შეძენა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 20-მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად 25-მდე სპორტული ფედერაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%

	4. **ინდიკატორის დასახელება** - ჩატარებული მასობრივი ღონისძიებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 55-ზე მეტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად 60; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებები, ეროვნულ დონეზე სპორტული ორგანიზაციის გეგმის ცვლილებები

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (33 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო; სამინისტრო, სამინისტროს მმართველობის სისტემაში მოქმედი ორგანიზაციები (სსიპ-ები); იურიდიული პირები, საინიციატივო ჯგუფები, ფიზიკური პირები
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	კულტურის დარგების განვითარების, სახელოვნებო ტრადიციების შენარჩუნების, ხელოვნებაში უახლესი ტექნოლოგიების, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების, ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა; სახელოვნებო განათლების განვითარება; საქართველოში კულტურული ცხოვრების გააქტიურება, მასში საზოგადოებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობის მხარდაჭერა; ევროპისა და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფონდებთან თანამშრომლობით კულტურული პროგრამების განხორციელება და კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ; კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების „კულტურის სტრატეგია 2025“-ის შესაბამისად განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა; ქართული კულტურისა და ხელოვნების ცნობადობის გაზრდა და მათი საერთაშორისო სახელოვნებო სივრცეში ინტეგრაცია; საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახელოვნებო ორგანიზაციების პროგრამების მხარდაჭერა; მოქალაქეთათვის ქვეყნის კულტურული ცხოვრების შეუზღუდავი, თანაბარი ხელმისაწვდომობისა და მასში ჩართულობის უზრუნველყოფა;

	საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში კულტურული პროგრამებისა და პროექტების მხარდაჭერით ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანა; ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და საერთაშორისო ცნობადობის ამაღლების მიზნით, ქვეყნის შიგნით და მისი ფარგლების გარეთ დაგეგმილ ღონისძიებებში საქართველოს მონაწილეობის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ხელოვნების დარგების განვითარების, ხელოვნების პოპულარიზაციის, ქვეყანაში კულტურული ცხოვრების გააქტიურების ამაღლება, ხელოვნებაში ახალი სახეების, ფორმების და გამომსახველობითი საშუალებების წარმოჩენა; სსიპ სახელოვნებო ორგანიზაციების რეპერტუარის მრავალფეროვნება და ახალი ნაწარმოებებით შევსება, საერთაშორისო სივრცეში საქართველოს კულტურისა და ხელოვნების ცნობადობის, პოპულარულობის ამაღლება; ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების გაღრმავება, რეგიონების სახელოვნებო ინსტიტუციების, კოლექტივების ქვეყნის ერთიან კულტურულ სივრცეში ჩართულობის და საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენის ამაღლება; პროგრამით გათვალისწინებული პრიორიტეტების შესაბამისად, საკონკურსო/ არასაკონკურსო გზით განხორციელებული პროექტები/ღონისძიებები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** კულტურული ღონისძიებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 9 400; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 9 600-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3%; **შესაძლო რისკები -** ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა, შესყიდვების პროცედურის უარყოფით შედეგით დასრულება, ვალუტის კურსთა შორის სხვაობა

მაუწყებლობის ხელშეწყობა (42 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო; სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი
აღწერა და მიზანი	საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით გადაცემების, მათ შორის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, ფილმებისა და სპორტული ღონისძიებების მომზადება და მათი გაშუქების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უწყვეტი ეთერის უზრუნველყოფა, საზოგადოებისათვის ხარისხიანი საინფორმაციო და ტელეგადაცემების მიწოდება.

ინფრასტრუქტურის განვითარება (33 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	კულტურისა და სპორტის სფეროში ინფრასტრუქტურის განვითარება და მათი რეაბილიტაცია/მშენებლობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სპორტული და კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია და ახალი ობიექტების მშენებლობა სრულყოფილი ინფრასტრუქტურით; საზოგადოებისა და ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა კულტურისა და სპორტის სფეროში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - განახლებული/აღჭურვილი კულტურის ობიექტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 8-მდე ობიექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 8 ობიექტი (2025-2028 წლებისთვის); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - შემსრულებლისგან სახელშეკრულებო პირობების დარღვევა/შეუსრულებლობა. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ფიზიკური სამუშაოების შესრულებისთვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადები **2.** **ინდიკატორის დასახელება** - განახლებული/აღჭურვილი სპორტული ობიექტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2 ობიექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1 ობიექტი (2025-2028) წლებისთვის; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%; **შესაძლო რისკები** - შემსრულებლისგან სახელშეკრულებო პირობების დარღვევა/შეუსრულებლობა. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ფიზიკური სამუშაოების შესრულებისთვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადები

კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (33 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საქართველოში მცხოვრები ოლიმპიური და პარალიმპიური თამაშების ჩემპიონებისა და პრიზიორებისთვის, საჭადრაკო ოლიმპიადებში გამარჯვებულებისთვის, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებისთვის, საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრებისთვის, მწვრთნელებისთვის, ადმინისტრაციული და საექიმო პერსონალისა და პერსპექტიული

	სპორტსმენებისთვის ყოველთვიური სტიპენდიის გაცემა; ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკებისთვის ყოველთვიური სოციალური დახმარებების გაცემა; მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისთვის ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაცემა; სახალხო არტისტებისთვის, სახალხო მხატვრებისთვის, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატებისა და ხელოვნების მუშაკებისთვის სოციალური დახმარებების გაცემა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ფინანსურად უზრუნველყოფილი ოლიმპიური და პარალიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები და საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულები, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები, მაღალი სპორტული შედეგების მიღწევით დაინტერესებული ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრები; სოციალურად უზრუნველყოფილი ვეტერანი სპორტსმენები და სპორტის მუშაკები; მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელები; სოციალურად დაცული სახალხო არტისტები, სახალხო მხატვრები, რუსთაველის პრემიის ლაურეატები და ხელოვნების მუშაკები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** სახელმწიფო სტიპენდიის მიმღები ბენეფიციარების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 131 პირი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ბენეფიციართა 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3% **2.** **ინდიკატორის დასახელება -** სახელმწიფო დახმარების მიმღები ვეტერან სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 275-მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ბენეფიციართა 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3% **3.** **ინდიკატორის დასახელება -** სტიპენდიების და ჯილდოების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 1 150; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სტიპენდიების მიმღები - 1 000-ზე მეტი ბენეფიციარი. ჯილდოს მიმღები - 400-ზე მეტი ბენეფიციარი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;

	შესაძლო რისკები - შედეგების კლება, სპორტულ ორგანიზაციებში კადრების შემცირება **4.** **ინდიკატორის დასახელება** - ფინანსური დახმარების მიმღები მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 273; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ბენეფიციართა 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - შედეგების კლება **5.** **ინდიკატორის დასახელება** - სტიპენდიები და სოციალური დახმარებების მიმღები სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრების და ლაურეატების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო სტიპენდიას იღებს 97 პირი და სოციალურ დახმარებას 21 პირი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ბენეფიციართა 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%

საქართველოს საპატრიარქო (45 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საპატრიარქო
აღწერა და მიზანი	ახალგაზრდების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდისთვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (მათ შორის, მაღალმთიან რეგიონებში) საქართველოს საპატრიარქოს 70-ზე მეტი საგანმანათლებლო-კულტურული და საქველმოქმედო ორგანიზაციის (სასულიერო აკადემიები და სემინარიები, უნივერსიტეტი, სკოლა-გიმნაზიები, დედათა და ბავშვთა სახლები, ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონები, სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი, პროფესიული კოლეჯი და სახელობო სასწავლებლები) დაფინანსება.

ახალგაზრდობის ხელშეწყობა (32 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობა; ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის ახალგაზრდული მუშაკების საგანმანათლებლო კურსის შემუშავება და სერტიფიცირებული ახალგაზრდული მუშაკების/ლიდერების რაოდენობის ზრდა;

	მოხალისეობრივი ახალგაზრდული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა; ახალგაზრდული ბანაკების ჩატარება; სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციების/ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება; ახალგაზრდების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა მათთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, მათ შორის, ახალგაზრდული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების, იმპლემენტაციის, მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით; საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზრდილია მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდული აქტივობების რაოდენობა; შემუშავებულია ახალგაზრდული მუშაკების საგანმანათლებლო კურსი და გაზრდილია სერტიფიცირებული/გადამზადებული ახალგაზრდული მუშაკებისა და ბანაკის გადამზადებული ლიდერების რაოდენობა; გაზრდილია მოხალისეობრივ პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა; ჩატარებულია ახალგაზრდული ბანაკები და გაზრდილია მონაწილეთა რაოდენობა; მხარდაჭერილია ახალგაზრდული ინიციატივები და ჩატარებულია ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერებისთვის საინფორმაციო შეხვედრები/ტრეინინგები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - ქვეყნის მასშტაბით დაფინანსებული ახალგაზრდული ინიციატივებისა და მასში ჩართული მონაწილეების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 25 / 2 500; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100 / 10 000; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - სტრუქტურული ცვლილებები, ადამიანური რესურსის სიმცირე, გარე ფაქტორები, მათ შორის სტიქიური უბედურებები **2.** **ინდიკატორის დასახელება** - ქვეყნის მასშტაბით არაფორმალური განათლების, ახალგაზრდული საქმიანობისა და საინფორმაციო

	სერვისებით მოსარგებლე ახალგაზრდების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 3000; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 6000; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - სტრუქტურული ცვლილებები, ადამიანური რესურსის სიმცირე, გარე ფაქტორები, მათ შორის სტიქიური უბედურებები

კულტურისა და სპორტის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (33 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს კომპეტენციის შესაბამისი სფეროს/დარგის/მიმართულების განვითარების ხელშეწყობა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; აღნიშნული სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი; კულტურისა და სპორტის მართვის სისტემების განვითარების ხელშეწყობა; ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფონდებთან თანამშრომლობით საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება; კომპეტენციის ფარგლებში კულტურისა და სპორტის სფეროების პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ეფექტიანი პოლიტიკის გატარება, ამ სფეროების განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს კულტურისა და სპორტის სფეროში სახელმწიფოს ერთიან ხედვასთან შესაბამისობაში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა; ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა, მართვის ელექტრონული სისტემების დანერგვა/განვითარება; პროგრამის წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს საერთაშორისო სივრცეში ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას, მის საერთაშორისო პოპულარიზაციას, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებას, საერთაშორისო პლატფორმებში სფეროს ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენასა და გაზრდას ქვეყნის მდგრად განვითარებაში; სფეროების მიმართ გაიზრდება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ინტერესი, რაც ხელს შეუწყობს გრანტების მოპოვებას და მისცემს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო პროგრამებში.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - კულტურისა და სპორტის მიმართულებით პოლიტიკის მუდმივი შემუშავება, განხორციელების კოორდინაცია და ანგარიშგება; **საბაზისო მაჩვენებელი** - კულტურისა და სპორტის მიმართულებით პოლიტიკის ეფექტიანობის ხელშეწყობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - კულტურისა და სპორტის პოლიტიკის ეფექტიანობის გაზრდა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობის რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 40-მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 45-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0.15%; **შესაძლო რისკები** - ღონისძიების ფორმატის ცვლილება, მხარეთა შეუთანხმებლობა/შეთანხმების დარღვევა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (33 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს მუზეუმები; სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)
აღწერა და მიზანი	საჯარო სამართლის იურიდიული პირების – კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციების სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, სამუზეუმო ფასეულობათა დაცვისთვის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, მუზეუმების/მუზეუმ-ნაკრძალების პოპულარიზაცია და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრაცია; სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის ელექტრონული სისტემის – საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემის (www.egmc.gov.ge) შენახვა/ადმინისტრირება; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და რეაბილიტაცია; არქეოლოგიური ობიექტების შესწავლა-კონსერვაცია; საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების, კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და რეაბილიტაცია, საერთაშორისო და ორმხრივი ურთიერთობების წარმართვა და განვითარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;

	იუნესკოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება; არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების/ძეგლების ინვენტარიზაცია, მათი დაცვისა და სისტემატიზაციის მექანიზმების შექმნა; საქართველოს კანონმდებლობის იუნესკოს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან ჰარმონიზაციისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის/სივრცის შესაქმნელად კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი ბაზის შევსება; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოების აღკვეთა; კულტურული ტურიზმის განვითარების და მისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნის ხელშეწყობა; ლევილის მამულის რეაბილიტაციის გაგრძელება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მართვის სისტემა მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში; კონსერვირებული და რესტავრირებული სამუზეუმო ფასეულობა; ვიზიტორთა და არასაბიუჯეტო შემოსავლების გაზრდილი რაოდენობა; ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენის, აგრეთვე, უნარშეზღუდულ პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის გატარებული ღონისძიებები. კულტურული მემკვიდრეობის რესტავრირებული ძეგლები/კომპლექსები, ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლები; საერთაშორისო ექსპერტების მიერ შეფასებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებებით აღებული ღონისძიებების განხორციელება; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების შესახებ ხარისხიანი და სისტემატიზირებული საინფორმაციო სივრცეში ასახული მონაცემები; ინფორმაციის შენახვის, განახლებისა და გავრცელების თანამედროვე სტანდარტები;

	გამოვლენილი და აღკვეთილი უნებართვო სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე; კულტურული ტურიზმისათვის შექმნილი მიმზიდველი გარემო.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - მუზეუმებების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული აქტივობების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 10 აქტივობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად 10-მდე აქტივობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - ღონისძიების ფორმატის ცვლილება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაციის, სარეაბილიტაციო პროექტების და რესტავრირებული ძეგლები რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 70-მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 70-მდე (ყოველწლიურად); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 7%; **შესაძლო რისკები** - გადაუდებელი სამუშაოები, სარეაბილიტაციო, არქეოლოგიური სამუშაოების პროცესში გამოვლენილი ახალი გარემოებები; კლიმატური პირობები, ძეგლების მდგომარეობის გაუარესება წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზით (სტიქია, ვანდალიზმი და სხვა) **3.** **ინდიკატორის დასახელება** - გამოვლენილი, შესწავლილი, სისტემატიზებული ნიმუშის, ობიექტის და ძეგლის რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 100-მდე ნიმუში, ობიექტი და ძეგლი, ასახულია კულტურული მემკვიდრეობის ერთიან საინფორმაციო ბაზაში; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100-მდე (ყოველწლიურად); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 7%; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, შესყიდვის პროცედურები, ფორს მაჟორი **4.** **ინდიკატორის დასახელება** - მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში ვიზიტორთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 750 000-მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 3 200 000-მდე (2025-2028 წლებისთვის); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - საზოგადოების დაინტერესების დაბალი მაჩვენებელი **5.** **ინდიკატორის დასახელება** - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე აღკვეთილი უნებართვო სამუშაოების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 50-მდე;

	მიზნობრივი მაჩვენებელი - 50-მდე (ყოველწლიურად); **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 7%

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (50 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო
აღწერა და მიზანი	საქართველოში რელიგიის სფეროში არსებული მდგომარეობის კვლევა და შესაბამისი ინფორმაციის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა; რელიგიური გაერთიანებების პრობლემებისა და რელიგიის სფეროში განათლების შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება; საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა, ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების უზრუნველყოფა.

საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი
28 01	საგარეო პოლიტიკის განხორციელება	199,600.0	198,700.0	900.0	201,050.0	204,050.0	207,050.0
ჯამი		**199,600.0**	**198,700.0**	**900.0**	**201,050.0**	**204,050.0**	**207,050.0**

საგარეო პოლიტიკის განხორციელება (28 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების თარგმნის ბიურო; სსიპ - საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ
აღწერა და მიზანი	საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცება და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში; საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის განხორციელება; ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ეფექტური გამოყენება; არაღიარების პოლიტიკის განხორციელება; საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ საზოგადოებებს შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენის პროცესებში საერთაშორისო თანამეგობრობის ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფა; საქართველოს ევროკავშირში გაწევრებაზე მოლაპარაკებების დაწყება; ევროკავშირში საქართველოს გაწევრების მოსამზადებელი კონცეფციის განხორციელება, ასოცირების შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულება; ევროკავშირის გაფართოების პაკეტის ფარგლებში სექტორული დიალოგის შეხვედრების გამართვა; საქართველო-ევროკავშირს შორის პოლიტიკური დიალოგის, მათ შორის ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ინსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში თანამშრომლობა, სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებით; საქართველოს მიერ საბოლოო მიზნის – ნატოში გაწევრების მისაღწევად ინტეგრაციული მექანიზმების ეფექტურად გამოყენება; გაძლიერებული ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით გათვალისწინებული პროექტების ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა; ნატო-საქართველოს ინდივიდუალურად მორგებული პარტნიორობის პროგრამით განსაზღვრული სტრატეგიული ამოცანებისა და თანამშრომლობის მიზნების იმპლემენტაცია; ნატო-სთან შავი ზღვის უსაფრთხოების კუთხით არსებული თანამშრომლობის გაღრმავება და ამ კონტექსტში მიღებული, ალიანსის შესაბამისი გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია; ნატო-ს სამიტებზე საქართველოს მონაწილეობის უზრუნველყოფა და სამიტის ოფიციალურ დოკუმენტებში საქართველოს საკითხის სათანადოდ ასახვაზე მუშაობის წარმართვა; ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების გაღრმავება საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში. მაღალი და უმაღლესი დონის პოლიტიკური დიალოგის გაფართოება. უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტების გაცვლა; ევროპის, აზიისა და ოკეანეთის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის განვითარება და ახალ საფეხურზე აყვანა; რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობის, ასევე რეგიონის მიმზიდველობის გაზრდის მიზნით ქმედითი და

	დაბალანსებული რეგიონული პოლიტიკის გაგრძელება, რომელიც მოიცავს პარტნიორული ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების გაძლიერებას და ხელსაყრელი, უსაფრთხო, საინვესტიციო გარემოს შექმნას; საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში აქტიური ჩართულობა და საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად შესაბამისი პოლიტიკის გატარება/პოზიციონირება. საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგში საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების დაყენება და მათი მხარდაჭერის მობილიზება, ასევე დღის წესრიგში არსებული და სხვა მნიშვნელოვანი, აქტუალური საკითხების განხილვებში საქართველოს ჩართულობის საერთაშორისო ორგანიზაციების არჩევით და მმართველ სტრუქტურებში საქართველოს წარმომადგენლობითობის გაზრდის ხელშეწყობა; თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს სრულფასოვანი ჩაბმა, მათ შორის სახელშეკრულებო ბაზის გაღრმავების გზით, ქვეყნის ენერგო და სატრანსპორტო სატრანზიტო შეესაძლებლობების გამოყენების გაძლიერების, ექსპორტის ხელშერწყობის, ინევსტიციების და ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვისათის დიპლომატიური ურთიერთობების აქტიური გამოყენება; კულტურული დიპლომატიის აქტიური გამოყენება საგარეო ურთიერთობებში; საქართველოს, როგორც სტაბილური, უსაფრთხო, ევროპული კულტურული იდენტობის მქონე, დემოკრატიული და წარმატებული ქვეყნის წარმოჩენა; საზღვარგარეთ ქართული კულტურისა და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობა; საქართველოს შესახებ საზღვარგარეთ ცნობადობის ამაღლების მიზნით, ასევე, ქვეყნის მოსახლეობის მხრიდან საგარეო კურსის, მათ შორის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ პრიორიტეტების მიმართ მხარდაჭერის გაძლიერების უზრუნველსაყოფად თემატური საინფორმაციო კამპანიების განხორციელების გაგრძელება; საზღვარგარეთ ქართულ დიასპორასთან ურთიერთობისა და კავშირების ინტენსიფიკაცია, სისტემატიზაცია და არსებული პრობლემების ერთიანი ძალისხმევით მოგვარება შესაბამის სტრატეგიაზე დაყრდნობით; საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებში ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა, დიასპორის ჩართულობის უზრუნველყოფა ქვეყნის განვითარების პროცესში, ასევე, საქართველოს პოპულარიზაციისა და მისი პოზიტიური იმიჯის განმტკიცების საკითხში; საქართველოს საკონსულო დაწესებულებების დაფარვის არეალის გაფართოება; საკონსულო საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გაუმჯობესება; საქართველოს მოქალაქეებისათვის უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობების გაზრდა; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების უკეთ რეალიზებისთვის სამართლებრივი ბაზის შექმნის მიზნით უცხო ქვეყნებთან საკონსულო ურთიერთობების გაღრმავება.

საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (28 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის მობილიზება რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაბრუნებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფისთვის; რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის, რუსეთის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების აუცილებლობის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უსაფრთხოების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების მდგომარეობის თაობაზე საერთაშორისო თანამეგობრობის მუდმივი ინფორმირება; საკითხების შესაბამის ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში განხილვა და პოლიტიკური ან/და სამართლებრივი გადაწყვეტილებების, რეზოლუციების, დეკლარაციების, განცხადებების, ანგარიშებისა და რეკომენდაციების მიღების ხელშეწყობა; მუშაობა „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში“ შეყვანილი პირებისთვის პარტნიორი ქვეყნების მიერ შემზღუდავი ზომების დაწესებისთვის მხარდაჭერის მოსაპოვებლად; ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების აუცილებლობის საკითხის გააქტიურება; ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში კონსტრუქციული მონაწილეობა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებში, მათ შორის, ძალის არგამოყენების, ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაბრუნების საკითხებში, წინსვლის მიზნით; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მიმართულებით არსებული რისკების პრევენცია და ცალკეულ შემთხვევებზე რეაგირება; ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზებით დაშორიშორებული საზოგადოებების შერიგებისა და მათ შორის ნდობის აღდგენის პროცესებში პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა; დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების პროცესში მონაწილეობა და შესაბამისი სამთავრობო კომისიის ეფექტიანი მუშაობის ხელშეწყობა; ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების ბაზის განვითარებისთვის შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელება; ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე გაეროს ხელშეკრულებების შესაბამისად, საქართველოს ანგარიშების მომზადების/წარდგენის კოორდინაცია;

გაეროს წევრ იმ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად კონსულტაციების გამართვა, რომლებთანაც საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები არ აქვს; არსებული საელჩოებიდან დიპლომატიური გადაფარვის გაგრძელება და გაფართოება;

საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ გაწევრების თაობაზე მოლაპარაკებების დასაწყებად ძალისხმევის განხორციელება; საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელება და საქართველოს ევროკავშირში გაწევრების მიზნით აუცილებელი პრიორიტეტების შესრულება; ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შემდგომი შესრულება და ამ საკითხზე ევროკომისიასა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობა; საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ეფექტიანი წარმართვა და გაღრმავება; ევროკავშირის ერთიან ბაზარზე როგორც ეტაპობრივი, ისე სექტორული ინტეგრაციის მიზნით წინადადებების მომზადება, რომლებითაც განისაზღვრება ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების კონკრეტული მიმართულებები და პრიორიტეტული სფეროები; საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას შორის, აგრეთვე ამ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის ევროინტეგრაციის საკითხებზე ერთობლივი თანამშრომლობის გაგრძელება; ევროპაში სხვადასხვა რეგიონულ გაერთიანებასა და თანამშრომლობის ფორმატში მონაწილეობის შესაძლებლობის შესწავლა; ევროკავშირის დახმარების პროგრამების ეფექტიანი დაგეგმვა და განხორციელება; ევროკავშირის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ეფექტიანობის გაზრდა და ახალ პროგრამებში მისი ჩართვა; ევროკავშირის სპეციალიზებულ სააგენტოებთან მაქსიმალური ინტეგრაცია; საქართველოსთან მიმართებით „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმის პოტენციალის ათვისება;

ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში ალიანსსა და საქართველოს შორის პოლიტიკური დიალოგისა და პრაქტიკული თანამშრომლობის პოზიტიური დინამიკის შენარჩუნება და გაძლიერება ქვეყნის ნატოში გაწევრების პროცესში პროგრესის მისაღწევად; კონსულტაციების შედეგად ალიანსის მიერ შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების მომწიფების ხელშეწყობა; წლიური ეროვნული პროგრამის წარმატებით განხორციელება, ალიანსისგან წლიური ეროვნული პროგრამის განხორციელების პოზიტიური შეფასების მიღება და საქართველოს ნატოში გაწევრების პროცესის ხელშეწყობა; საქართველოზე მორგებული დახმარების ღონისძიებათა დოკუმენტის ეფექტიანი გამოყენება; ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით გათვალისწინებული, არსებული პროექტების წარმატებით განხორციელება და მისი ელემენტების ეფექტიანი გამოყენება; განახლებული არსებითი პაკეტით შეთანხმებული ახალი ინიციატივების ეფექტიანი განხორციელება; ალიანსთან შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით თანამშრომლობის გაღრმავება; ნატოს სამეკავშირეო ოფისთან, საქართველოში ნატოს საკონტაქტო საელჩოებსა და ნატოს წევრი სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან აქტიური თანამშრომლობა საქართველოს ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე პოზიტიური გადაწყვეტილებების მიღების მომწიფების ხელშეწყობის მიზნით; ნატოს 2023 წლის ვილნიუსის სამიტის დასკვნით დოკუმენტში ასახული პოზიტიური გზავნილების შენარჩუნება და გაძლიერება საქართველოს ნატოში გაწევრების პროცესში პროგრესის მისაღწევად;

განიარაღების, შეიარაღების კონტროლისა და გაუვრცელებლობის, ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების მექანიზმებთან

	დაკავშირებული რეჟიმებით საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობა; ამ საკითხებზე შესაბამის საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა და საერთაშორისო ფორუმებში აქტიური მონაწილეობა; მრავალმხრივი ინიციატივების ფარგლებში კიბერუსაფრთხოების, კონტრტერორიზმისა და სხვა ჰიბრიდული საფრთხეების საკითხებზე მომუშავე თემატურ ჯგუფებში თანამშრომლობა; ამერიკის შეერთებულ შტატებთან უმაღლესი და მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგის შემდგომი გაძლიერება, ურთიერთობების გაღრმავება ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული ყველა მიმართულებით, მათ შორის, 4 სამუშაო ჯგუფისა (თავდაცვისა და უსაფრთხოების; ეკონომიკის, ენერგეტიკისა და ვაჭრობის; დემოკრატიისა და მმართველობის; ხალხთაშორისი ურთიერთობებისა და კულტურული გაცვლების) და ყოველწლიური შემაჯამებელი შეხვედრის („ომნიბუსშეხვედრის“) ფარგლებში; საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების, ოკუპირებული რეგიონების არაღიარებისა და დეოკუპაციის, ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერის პროცესში ამერიკის შეერთებული შტატების როლის გაზრდა; ორ ქვეყანას შორის მრავალმხრივ ფორმატებში წარმატებული თანამშრომლობის გაღრმავება, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში საქართველოს ძლიერი ორპარტიული მხარდაჭერის შემდგომი გაძლიერება, მათ შორის, საქართველოს საკითხზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების, საკანონმდებლო აქტების, რეზოლუციებისა და განცხადებების მიღებით; თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ორმხრივი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება საქართველოს თავდაცვისუნარიანობისა და მდგრადობის გასაძლიერებლად, მოკავშირეებთან თავსებადობის ასამაღლებლად, მათ შორის, ორმხრივი და მრავალმხრივი წარმატებული სამხედრო წვრთნების გზით; ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო წარმომადგენლის ოფისთან, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებთან მუშაობის გაგრძელება ორმხრივი სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების გაღრმავების, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობის განხილვის კუთხით; მცირე და საშუალო ზომის, აგრეთვე მსხვილი ამერიკული კომპანიების საქართველოს ბაზრითა და მზარდი შესაძლებლობებით დაინტერესება; ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ დღის წესრიგში საქართველოს საკითხის აქტუალურობის შენარჩუნებისთვის და ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებაში საქართველოს ცნობადობის ასამაღლებლად ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან აკადემიურ წრეებსა და ბიზნესწრეებთან, არასამთავრობო და კვლევით ორგანიზაციებთან, მედიასთან, საქართველოს მხარდამჭერ ჯგუფებთან, ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართულ დიასპორასა და ახალგაზრდულ გაერთიანებებთან აქტიური თანამშრომლობა; ორმხრივი უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტების განხორციელება; საქართველოსა და კანადას შორის ურთიერთობების გაღრმავება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში, მათ შორის, ერთობლივი წვრთნებისა და სამხედრო განათლების კუთხით; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცებისა და ოკუპირებული რეგიონების არაღიარების, აგრეთვე ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესისადმი კანადის მხარდაჭერის შენარჩუნება და გაძლიერება;

	ევროპის ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება და ახალ საფეხურზე აყვანა; ევროპის ქვეყნებთან პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში ურთიერთობების გაღრმავება; უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტების განხორციელება; არსებული სტრატეგიული თანამშრომლობის ფორმატების ეფექტიანი გამოყენება და იმ ქვეყნებთან დიალოგის ახალი პლატფორმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომლებთანაც საქართველო ფართოდ თანამშრომლობს; რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობის, აგრეთვე მისი მიმზიდველობის გაზრდის მიზნით ქმედითი და დაბალანსებული რეგიონალური პოლიტიკის განხორციელების გაგრძელება, რომელიც მოიცავს ორმხრივი და მრავალმხრივი პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას, მათ შორის, „მშვიდობიანი სამეზობლო ინიციატივის“ ფარგლებში ღონისძიებების განხორციელებას და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას; საქართველო-აზერბაიჯანის და საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრების დელიმიტაციის საკითხზე აქტიური მოლაპარაკებების განახლება/გაგრძელება; აზიისა და ოკეანეთის ქვეყნებთან ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში აქტიური თანამშრომლობა; ტრადიციულ პარტნიორებთან ურთიერთობების განმტკიცება, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაფართოების ხელშეწყობა; აზიისა და ოკეანეთის იმ ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარება და წახალისება, რომლებთანაც საქართველოს ნაკლებად ინტენსიური ურთიერთობა აქვს; საქართველოს ცნობადობის ამაღლება, წარმატებული რეფორმების გაზიარება და პოპულარიზაცია და შედეგზე ორიენტირებული სამომავლო თანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებების დაგეგმვა; სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერების ასოციაციასთან (ASEAN) საქართველოს თანამშრომლობის ინსტიტუციურ დონეზე გადაყვანა; ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის სახელმწიფოებთან, აგრეთვე რეგიონულ ორგანიზაციებთან, მათ შორის, აფრიკის კავშირთან, სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოსა და არაბული ქვეყნების ლიგასთან, ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება; პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ჰუმანიტარულ სფეროებში ურთიერთობების გაღრმავება; ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებთან ორმხრივ, რეგიონულ და მრავალმხრივ ფორმატებში ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გაღრმავება; რეგიონის ქვეყნების მიერ საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერის გამლიერება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის განხორციელება; რეგიონულ ორგანიზაციებთან – ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციასთან (OAS), კარიბის გაერთიანებასთან (CARICOM), წყნარი ოკეანეთის ალიანსთან (Pacific Alliance) და ცენტრალური ამერიკის ინტეგრაციის სისტემასთან (SICA) თანამშრომლობის გაღრმავება და არსებული ფორმატების ეფექტიანი გამოყენება; უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და კულტურული და საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების კუთხით თანამშრომლობის გაძლიერება; საქართველოს ცნობადობის ამაღლება, წარმატებული რეფორმების გაზიარება; ტურისტული გაცვლის ხელშეწყობა, რეგიონის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებების გაფორმება და საქართველოს ტურისტული შესაძლებლობების წარმოჩენა;

	საერთაშორისო ორგანიზაციების (გაეროს, ეუთოს, ევროპის საბჭოს, დემოკრატიათა თანამეგობრობის) მუშაობაში აქტიური მონაწილეობა და საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად შესაბამისი პოლიტიკის განხორციელება/პოზიციონირება; საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგში საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების (მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საკითხის) შეტანა და მათი მხარდაჭერის მობილიზება, მათ შორის, საქართველოს მხარდამჭერი დოკუმენტების (გადაწყვეტილებების, რეზოლუციების, განცხადებების, ანგარიშებისა და სხვა) მომზადებისა და მიღების, აგრეთვე საქართველოსთვის პრიორიტეტული საკითხების ამ ორგანიზაციების ფარგლებში მიღებულ დოკუმენტებში ასახვის უზრუნველყოფა; საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგში არსებული და სხვა მნიშვნელოვანი, აქტუალური საკითხების განხილვასა და შესაბამის პროცესებში საქართველოს მონაწილეობის უზრუნველყოფა; საერთაშორისო ორგანიზაციების არჩევით და მმართველ სტრუქტურებში საქართველოს წარმომადგენლობის გაზრდის ხელშეწყობა; საქართველოს მიერ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების სავალდებულოდ აღიარების პროცესის კოორდინაცია; გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებისთვის წარსადგენი საქართველოს პერიოდული ანგარიშების მომზადების კოორდინაცია; პარტნიორ ქვეყნებსა და შესაბამის საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა; საერთაშორისო ფორუმებში აქტიური მონაწილეობა; თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს სრულფასოვანი მონაწილეობა და ამ მიზნით დიპლომატიური ურთიერთობების აქტიური გამოყენება; ენერგომომარაგების ალტერნატიული წყაროების განვითარების, აგრეთვე ენერგორესურსების იმპორტის დივერსიფიცირების უზრუნველყოფისა და საქართველოს, როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის, სტატუსის განმტკიცების ხელშეწყობა; ერთობლივ რეგიონალურ და რეგიონთაშორის სატრანსპორტო პროექტებზე მუშაობა; აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურება; სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისიების შეხვედრების გამართვა; საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა, ქვეყანაში მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციისა და ინოვაციური ტექნოლოგიის მოზიდვა; ტურიზმის, მათ შორის, კონვენციური ტურიზმის, განვითარების ხელშეწყობა და სტიმულირება; ქართული „სტარტაპების“ და ინოვაციური სექტორის ხელშეწყობა, საქართველოს რეგიონებსა და უცხო ქვეყნების რეგიონებს შორის თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა, შესაძლებლობის ფარგლებში უცხოეთში ქართული ბიზნესის ინტერესების დაცვა და ქართული პროდუქციის ფალსიფიკაციისგან დაცვის ხელშეწყობა; საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა, გააქტიურება და ახალი შესაძლებლობების გამოვლენა, საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ყოველწლიური ფინანსური ვალდებულებების მონიტორინგი და შესრულება; საგარეო ურთიერთობებში კულტურული დიპლომატიის აქტიური გამოყენება; საქართველოს, როგორც სტაბილური, უსაფრთხო, ევროპული კულტურული იდენტობის მქონე, დემოკრატიული და წარმატებული ქვეყნის, წარმოჩენა; საქართველოში განხორციელებული რეფორმებისა და მისი მიღწევების საზღვარგარეთ აქტიური პოპულარიზაცია და სხვადასხვა ქვეყნისთვის ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში შესაბამისი გამოცდილების გაზიარება; საზღვარგარეთ ქართული კულტურისა და

	ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობა; გაეროს განათლების, კულტურისა და მეცნიერების ორგანიზაციასთან – იუნესკოსთან (UNESCO) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა; საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებისა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და ახალი ძეგლების ნომინირების პროცესის ხელშეწყობა; საზღვარგარეთ საქართველოს ცნობადობის ასამაღლებლად თემატური საინფორმაციო კამპანიების განხორციელება, მათ შორის, ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების, მის მიერ ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში მიღწეული პროგრესის, კერძოდ, საქართველოს ევროპული პერსპექტივისა და მისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ, აგრეთვე ამ კუთხით ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების თაობაზე; მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, ჟურნალისტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აკადემიურ და ანალიტიკურ ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობა; საინფორმაციო გარემოს აქტიური მონიტორინგი და ანალიზი, შესაძლო დეზინფორმაციის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვა როგორც ქვეყანაში, ისე ქვეყნის გარეთ; საქართველოს საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტებისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ საზოგადოების პროაქტიული ინფორმირება მაღალი დონის ვიზიტების გაშუქების, სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზების, უმაღლესი თანამდებობის პირების მედიააქტივობების დაგეგმვისა და საინფორმაციო კამპანიების განხორციელების გზით; საზღვარგარეთ ქართულ დიასპორასთან ურთიერთობებისა და საკონსულო მომსახურების შესახებ საზოგადოების პროაქტიული ინფორმირების უზრუნველყოფა; საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო დაწესებულებების დაფარვის არეალის გაფართოება; საკონსულო საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შემდგომი განვითარება; საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობის გაზრდა; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების უკეთ რეალიზებისთვის სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად უცხო ქვეყნებთან საკონსულო ურთიერთობების გაღრმავება; საკონსულო თანამდებობის პირთა პროფესიული შესაძლებლობებისა და უნარების გაუმჯობესება; საზღვარგარეთ შესაძლო კრიზისულ სიტუაციებში სამოქმედოდ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მზადყოფნის გაუმჯობესება; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კოორდინაციით, ცირკულარული მიგრაციის შესახებ ხელშეკრულებების გასაფორმებლად პოტენციურ ქვეყნებთან მოლაპარაკებების წარმოება; უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმებების ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების პროცესში დღის წესრიგითა და მანდატით გათვალისწინებულ მთავარ საკითხებზე პროგრესის მიღწევა, ადგილზე უსაფრთხოების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესება და რუსეთის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულების საკითხის საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების ცენტრში გააქტიურება; საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის შედეგად, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის უკანონო ქმედებების აღკვეთა;

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნის აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ორგანოების მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუციების/სხვა დოკუმენტების მიღება;

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელება და შემდგომი გაძლიერება; საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების რისკებისა და საფრთხეების განეიტრალება;

საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობის გაზრდა შერიგების, ნდობის აღდგენისა და ჩართულობის პროცესებში;

ევროკავშირის გაწევრიანებაზე მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღწევა; საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მიზნის მისაღწევად აუცილებელი პრიორიტეტების შესრულება; ასოცირების შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტიანი შესრულება; ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების უზუნველყოფა; ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შეუფერხებლად ფუნქციონირება;

ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში ალიანსსა და საქართველოს შორის პოლიტიკური დიალოგის და პრაქტიკული თანამშრომლობის პოზიტიური დინამიკის შენარჩუნება და გაძლიერება გაწევრიანების პროცესში პროგრესის მიღწევის მიზნით;

გამართული კონსულტაციების შედეგად ალიანსში შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მომწიფების ხელშეწყობა; წლიური ეროვნული პროგრამის წარმატებით განხორციელება, განახლებული არსებითი პაკეტის შედეგად შეთანხმებული ახალი ინიციატივების ეფექტური განხორციელება; ალიანსთან შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება;

აშშ–სთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და ინიციატივების თანამშრომლობის მიმართულებებში ასახვა; აშშ-სა და საქართველოს შორის სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობების გაღრმავება, შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში მოლაპარაკებების დაწყება ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების მიზნით; აშშ-ს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, აგრეთვე,შეერთებული შტატების კვლევით ცენტრებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე, ბიზნეს და მედია წრეებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად საქართველოს მხარდაჭერის განმტკიცება, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების პრიორიტეტულობის შენარჩუნება უმაღლესი დონის შეხვედრების და საერთაშორისო ფორუმების დღის წესრიგში;

ევროპის ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების შემდგომი განვითარება და ახალ სტრატეგიულ საფეხურზე გადაყვანა. თანამშრომლობის გაღრმავება პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში;

ევროპის ქვეყნების მხრიდან საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, ქვეყნის უსაფრთხოების

უზრუნველყოფისა და მისი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მტკიცე მხარდაჭერა;

საქართველოს, მათ შორის, როგორც დასავლეთთან აქტიური კომუნიკატორის როლის ზრდა რეგიონში. რეგიონში ეკონომიკური ხასიათის თანამშრომლობის არსებული და ახალი ფორმატების განვითარება, რეგიონალური სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის ხელის შეწყობა; სახელშეკრულებო ბაზის გაფართოება; რეგიონში მსოფლიო მნიშვნელობის და რეგიონული ეკონომიკური პროექტების განხორციელების ხელშეწყობა; საქართველო-აზერბაიჯანისა და საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის პროცესის ხელშეწყობა/გაგრძელება. რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გამოწვევების ნეიტრალიზება;

საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავება აზიის და ოკეანეთის ქვეყნებთან; ხალხთა შორის კავშირების ხელშეწყობა, ინვესტიციების მოზიდვა; სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარება; საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გამოყენება; საქართველოს, როგორც მიმზიდველი საინვესტიციო მიმართულების იმიჯის განმტკიცება; „სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების ფაქტორის გათვალისწინებით, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის შემდგომი განვითარება ჩინეთთან“;

ორმხრივი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის/აფრიკის კონტინენტის ქვეყნებს შორის; ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ინვესტიციების მოზიდვა, საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის შენარჩუნება/განმტკიცება; საერთაშორისო ფორმატებში საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მხარდაჭერის მოპოვება/გაზრდა; საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ცნობადობის ამაღლება;

ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნებთან უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტების გაცვლის გააქტიურება როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო დონეზე; რეგიონის წამყვანი ბიზნეს-წრეების, მედიის, არასამთავრობო სექტორისა თუ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების დაინტერესების შემდგომი გაზრდა საქართველოს საკითხით; პოლიტიკური მხარდაჭერის შეუქცევადობის უზრუნველყოფა ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების კუთხით;

საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო-ს, ეუთო-ს, ევროპის საბჭოს) დღის წესრიგში, ზოგადად, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების და ინიციატივების, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებული თემატიკის დაყენებისა და შენარჩუნების უზრუნველყოფა; ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების დაუყოვნებელი და შეუზღუდავი დაშვების, ასევე, ოკუპირებული რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების უზრუნველსაყოფად ქმედითი ძალისხმევის გაგრძელება. გაერო-ს, ეუთო-სა და ევროპის საბჭოს მიერ საქართველოს მხარდამჭერი დოკუმენტების (გადაწყვეტილებების, რეზოლუციების, ანგარიშების, განცხადებების და სხვ.) მიღება და ზემოხსენებულ ორგანიზაციათა შესაბამის დოკუმენტებში საქართველოს შესახებ საკითხების ადეკვატური ასახვა. გაერო-ს, ეუთო-სა და ევროპის საბჭოს არჩევით და მმართველ სტრუქტურებში საქართველოს წარმომადგენლობითობის გაზრდა. საქართველოს, როგორც საიმედო და მაღალი

	პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორის იმიჯის განმტკიცება; სამინისტროს კოორდინაციით მომზადდა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ანგარიშები და საპარლამენტო განხილვების დასრულების შემდეგ წარედგინა შესაბამის კომიტეტს. საზღვარგარეთ საქართველოს და მისი კულტურის შესახებ ცნობადობის ამაღლება; ორმხრივი კულტურული ურთიერთობების განვითარება; საერთაშორისო კულტურულ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტებში ჩართულობა; საზღვარგარეთ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ქართული მხარის ჩართულობით სამუშაოების წარმართვის ხელშეწყობა; იუნესკოს პროექტებსა და პროგრამებში ჩართვა; საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების შესახებ ქვეყნის მოსახლეობის მხრიდან მაღალი მხარდაჭერის შენარჩუნება და გაზრდა; საქართველოს მოსახლეობაზე მზარდი ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის პრევენცია და შემცირება; საკონსულო სერვისების ხარისხი და ხელმისაწვდომობა გაუმჯობესებულია; გადადგმულია ქმედითი ნაბიჯები საკონსულო, რეადმისიის და ცირკულარული მიგრაციის მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების კუთხით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი; **საბაზისო მაჩვენებელი -** საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, ასევე ცალკეული სახელმწიფოების მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი დოკუმენტების/გადაწყვეტილებების/რეზოლუციების მიღება; რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასთან დაკავშირებული თემების საერთაშორისო ორგანიზაციების და პარტნიორი ქვეყნების დღის წესრიგში დაყენება; ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების რაუნდების ჩატარება და კონფლიქტიდან მომდინარე უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული გამოწვევების განხილვა; ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელება; საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. „დამოუკიდებლობის“ არაღიარების პოლიტიკის კონსოლიდაცია; შერიგებისა და ნდობის აღდგენის პროცესებში საერთაშორისო საზოგადოების ქმედითი ჩართულობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, ასევე ცალკეული სახელმწიფოების მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი დოკუმენტების/გადაწყვეტილებების/რეზოლუციების მიღება; რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასთან დაკავშირებული თემების საერთაშორისო ორგანიზაციების და პარტნიორი ქვეყნების დღის წესრიგში დაყენება; ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების რაუნდების ჩატარება და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების, როგორიცაა 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულება, ძალის არგამოყენება, ადგილზე უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნება, დაყენება; ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელება-გაძლიერება; საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. „დამოუკიდებლობის“ არაღიარების პოლიტიკის კონსოლიდაცია; შერიგებისა და ნდობის აღდგენის პროცესებში საერთაშორისო საზოგადოების ქმედითი ჩართულობა

	2. **ინდიკატორის დასახელება -** ევროკავშირი; **საბაზისო მაჩვენებელი -** საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით ევროკავშირის შეფასებითი დოკუმენტები, დასკვნები, განცხადებები, გადაწყვეტილებები - ევროკომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის ანგარიში, რომლითაც ევროკომისია რეკომენდაციას აძლევს ევროპულ საბჭოს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით ევროკავშირის მიერ მიღებული შეფასებითი დოკუმენტები, დასკვნები, გაკეთებული განცხადებები და გადაწყვეტილებები **3.** **ინდიკატორის დასახელება -** ნატო; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2025 წელს დაგეგმილ ჰააგის სამიტზე საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებით კონსულტაციების გამართვა,; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ნატო-ს სამიტებზე და მინისტერიალებზე საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები. ნატო-სთან პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავება, შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცებისა და განახლებული ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ეფექტური იმპლემენტაცია: 2025 წლის ჰააგის სამიტზე ნატო-ში გაწევრიანების პროცესის პოლიტიკურ განზომილებაში პროგრესის დაფიქსირება **4.** **ინდიკატორის დასახელება -** საზღვარგარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაცია; **საბაზისო მაჩვენებელი -** საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ ინიცირებული პროექტების განმხილველი კომისიის მიერ დაფინანსებული მცირებიუჯეტიანი პროექტები (30 პროექტი) UNESCO-ს „მონაწილეობის პროგრამის“ ფარგლებში, განხორციელებული პროექტები; (3 პროექტი) საქართველო ფესტივალის - „ევროპალია“ სტუმარი ქვეყანა. ენების ევროპული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში საქართველოს მონაწილეობა (12 ქვეყანა); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** კულტურული ღონისძიებების გამართვა საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების შესაბამისად იდენტიფიცირებულ ქვეყნებში; სამინისტროს დაფინანსებით მცირებიუჯეტიანი კულტურული პროექტების განხორციელება; (სავარაუდოდ 30-მდე პროექტი) საერთაშორისო ღონისძიებებში საქართველოს მონაწილეობა, ენების ევროპული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში საქართველოს მონაწილეობა (15 ქვეყანა), UNESCO-ში ახალი ნომინაციების/პროექტების წარდგენა ან/და დამტკიცება (3-დან 5-მდე პროექტი); UNESCO-ს გენერალური კონფერენციის 43-ე სესიასა და სხვა პროგრამულ ღონისძიებებში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობა (2-4 ღონისძიება) **5.** **ინდიკატორის დასახელება -** საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა; **საბაზისო მაჩვენებელი -** საზღვარგარეთ საქართველოს იმ მისიების რაოდენობა, სადაც ხორციელდება საკონსულო საქმიანობა (62 დიპლომატიურ წარმომადგენლობა და 13 საკონსულო დაწესებულება, 89 საპატიო კონსული); საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ უვიზოდ იმოგზაურონ მსოფლიოს 73 ქვეყანაში, ხოლო დიპლომატიური ან სამსახურებრივი პასპორტის

	მფლობელებს - 86 ქვეყანაში; ხორციელდება ღონისძიებები საკონსულო თანამდებობის პირების გადამზადების მიზნით; მიმდინარეობს სამუშაოები საკონსულო საქმიანობის მართვის ელეტრონული სისტემის (Geoconsul) განახლების მიზნით; მიმდინარეობს მუშაობა საზღვარგარეთ კრიზისული სიტუაციების მართვის არსებული მექანიზმების შემდგომი დახვეწისა და ახალი მექანიზმების შემუშავების მიზნით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** საზღვარგარეთ საქართველოს ახალი საკონსულო დაწესებულებების რაოდენობა (მინ. 3); იმ ქვეყნების რაოდენობა, სადაც საქართველოს ორდინალური პასპორტის მქონე მოქალაქეებს შეუძლიათ უვიზოდ გადაადგილება (დამატებით მინ. 1 ქვეყანა); იმ ქვეყნების რაოდენობა, სადაც საქართველოს დიპლომატიური/სამსახურებრივი პასპორტის მქონე მოქალაქეებს შეუძლიათ უვიზოდ გადაადგილება (დამატებით მინ. 1 ქვეყანა); გადამზადებული საკონსულო თანამდებობის პირების რაოდენობა (მინ. 30); საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონული სისტემის (GeoConsul) პროგრამული განახლებების რაოდენობა (მინ. 1); საგარეო საქმეთა სამინისტროში კრიზისული სიტუაციების მართვის განახლებული სტრუქტურა (მინ. 1)

საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (28 01 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ყოველწლიური ფინანსური ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა მრავალმხრივი დიპლომატიის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს უწყვეტი წევრობისა და ხმის უფლების უზრუნველყოფა
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **საბაზისო მაჩვენებელი -** საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მიერ ფინანსური თუ სხვა ტიპის შესრულებული ვალდებულებების დაფარვა გრაფიკის მიხედვით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ვალდებულების დაფარვის არსებული დინამიკის შენარჩუნება

საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (28 01 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო
აღწერა და მიზანი	საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების თარგმნა/დამოწმება; სათარგმნი მასალის, სხვადასხვა ოფიციალური შეხვედრის სინქრონული თარგმნით მომსახურებისა და გასაფორმებელი კონტრაქტების რაოდენობების გაზრდა;

	თარჯიმანთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების დონის ამაღლება; თარგმნის პროცესში წარმოქმნილი კონკრეტული უზუსტობებისა და სიძნელეების გასარკვევად მთარგმნელებისთვის პერიოდულად პრაქტიკული სემინარების, ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარების მიზნით უცხოური ენის მცოდნე, სხვადასხვა სფეროში მომუშავე სპეციალისტების მოწვევა, აგრეთვე დიპლომატიური თანამშრომლების მოწვევა, რომლებიც უცხო ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მუშაობენ; უცხო ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით თანამედროვე განმარტებითი და ტექნიკური ლექსიკონების, საცნობარო და მეთოდური ლიტერატურის, აგრეთვე თანამედროვე ელექტრონული ლექსიკონების შეძენა; საქართველოს სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო უწყებებისგან, აგრეთვე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისგან ინფორმაციის მიღება იმ ხელშეკრულებების შესახებ, რომლებიც შესაძლოა/უნდა იქნეს დადებული, აგრეთვე კონვენციებსა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შეერთების თაობაზე, სავარაუდო დროისა და მოცულობის მითითებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროს მუშაობის კოორდინაციისა და ძალების უკეთ განაწილების მიზნით; ოფიციალურ დოკუმენტებში იურიდიული და დარგობრივი ტერმინოლოგიის გამართული და თანამიმდევრული გამოყენების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბიუროს ქვეყნის მასშტაბით საერთაშორისო დოკუმენტების თარგმნის ყველაზე სტაბილურ და პრესტიჟულ ცენტრად ჩამოყალიბება 1. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, ევროკავშირის კანონმდებლობისა და სხვა ოფიციალური ტექსტების თარგმანებში გამოყენებული დარგობრივი ტერმინოლოგიის დამუშავება და უწყებათშორისი ორენოვანი ტერმინოლოგიური ბაზის შექმნა, რომელიც შესაბამისობაში იქნება IATE-ს ტერმინოლოგიურ ბაზასთან და სტანდარტებთან; 2. უწყებათშორისი ტერმინოლოგიური ბაზის ტექნიკური უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული უწყებისა და პირისათვის; 3. ნიადაგის მომზადება ქართული ენისათვის ევროკავშირის პოტენციური კანდიდატი ენის სტატუსის მისანიჭებლად. - 2022 წლიდან ვთანამშრომლობთ ევროპარლამენტის ტერმინოლოგიის მართვის განყოფილებასთან (TermCoord Unit of the European Parliament) ქართული ტერმინების ევროტერმინებთან ჰარმონიზაციის მიზნით. თარგმნის ბიუროს ხელშეწყობით საქართველოს 4 უმაღლესი სასწავლებელი (ილიაუნი, თსუ, ბსუ, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ჩართულია TermCoord Unit-ის პროექტში „ტერმინოლოგია საზღვრებს გარეშე“ (Project “Terminology without Borders”), რომლის ფარგლებში მომზადდება გარემოს დაცვის სფეროს 2000-მდე ტერმინი (ინგლისურ-ქართული). ტერმინები დამუშავდება საერთაშორისო სტანდარტების

	შესაბამისად და სრულ შესაბამისობაში იქნება IATE-ს ტერმინოლოგიურ ბაზასთან. სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მომზადებულ ტერმინოლოგიას გადავცემთ სახელმწიფო ენის დეპარტამენტს, რომელიც წარუდგენს საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად. მთავრობის მიერ დამტკიცებული ტერმინოლოგიური ბაზა შემდგომ გაეგზავნება ევროპარლამენტის ტერმინოლოგიის მართვის განყოფილებას თავის ვებგვერდზე გამოსაქვეყნებლად.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - თარგმნა დამოწმება, სინქრონული თარგმანი; **საბაზისო მაჩვენებელი** - საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით შესრულდა საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა/რედაქტირება და დამოწმება, სულ 44292 გვერდი და 77 საათი სინქრონული/თანმიმდევრული თარგმანი (2024 წლის 7 თვე); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მინიმუმ არსებული ოდენობის შენარჩუნება

დიასპორული პოლიტიკა (28 01 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საზღვარგარეთ ქართულ დიასპორასთან მჭიდრო, სტრუქტურირებული კომუნიკაცია; ქართული დიასპორის მიერ ეროვნული იდენტობის შენარჩუნების ხელშეწყობა, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების ქვეყნის განვითარებისა და საზღვარგარეთ საქართველოს ინტერესების დაცვის პროცესში აქტიური მონაწილეობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დიასპორასთან ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაღრმავება, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებში მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა; თანამემამულეთათვის ეფექტიანი საკონსულტაციო მექანიზმის შეთავაზება და დახმარება
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სამშობლოსთან მდგრადი კავშირის განვითარება - საზღვარგარეთ მყოფ თანამემამულეებში ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით ღონისძიებების და პროექტების განხორციელება; **საბაზისო მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდში განხორციელებული 3 ღონისძიება და 5 პროექტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დიასპორულ ღონისძიებებზე დამსწრე დაახ. 150 ადამიანი; უცხოეთში მოქმედი საკვირაო და ქართულენოვანი სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა, დაახ. 5 სკოლა; ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდამჭერი პროექტების ფარგლებში დაფინანსებული მინ. 13 ანსამბლი, ასევე, ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისკენ მიმართული დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული მინ. 20 პროექტი; ახალგაზრდა ელჩების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული მინ. 15 გამარჯვებული; „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების

	პროექტის დამტკიცება **2.** **ინდიკატორის დასახელება -** სახელმწიფოსა და უცხეოთში მცხოვრებ თანამემამულეებს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფა - ციფრული დიასპორა; **საბაზისო მაჩვენებელი -** ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით 2 საკომუნიკაციო არხის შექმა/განვითარება; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** განვითარებული ვებ.პორტალი - www.gda.ge; დიასპორის დეპარტამენტის fb გვერდი

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის თაობაზე საზოგადოების ინფორმირება (28 01 05)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ
აღწერა და მიზანი	საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების უპირატესობის, სარგებლისა და შესაძლებლობის წარმოჩენა ქვეყნის მოსახლეობისთვის მარტივად გასაგები, ობიექტური ინფორმაციის რეგულარული მიწოდებით და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით; საერთო დასავლური ღირებულებების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა; სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისთვის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ობიექტური და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება; საზოგადოებაში საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებული მოლოდინის მართვა; დასახული მიზნების განხორციელებისთვის სხვადასხვა სამთავრობო უწყებასა და არასამთავრობო ორგანიზაციასთან, დიპლომატიურ კორპუსსა და მედიასთან აქტიური თანამშრომლობა; ინფორმაციის გამავრცელებელ ჯგუფებთან, მოსწავლეებთან/სტუდენტებთან, მასწავლებლებთან, საჯარო მოხელეებთან/ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სასულიერო პირებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, ეთნიკურ უმცირესობებთან, ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან, სამხედრო მოსამსახურეებთან, ფერმერებთან/მეწარმეებთან და სხვა პირებთან აქტიური კომუნიკაციის გაგრძელება საჯარო დისკუსიების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების, საზაფხულო სკოლების, სასწავლო ვიზიტებისა და საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	აღნიშნული მიზნების მისაღწევად საანგარიშო პერიოდში სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ განახორციელებს სხვადასხვა პროექტს, აქტივობასა და საინფორმაციო კამპანიას. კერძოდ დაგეგმილია ნატოსა და ევროპის დღეები, საჯარო დისკუსიები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები, საზაფხულო სკოლები, და საინფორმაციო/მედია კამპანიები -

	როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში. შეხვედრების ძირითადი თემები იქნება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი და აღნიშნული პროცესის შედეგად მიღებული ხელშესახები სარგებელი, ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობა, ნატოსა და ევროკავშირთან თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები, გააქტიურებული ანტიდასავლური პროპაგანდის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მოსახლეობის მედეგობის გაძლიერება ცრუ ინფორმაციის მიმართ. აღნიშნული აქტივობების საფუძველზე მიიღწევა შემდეგი: საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების პროცესის დინამიკის, მიღწეული შედეგების, სარგებლისა და შესაძლებლობის, ასევე თანმდევი პასუხისმგებლობების შესახებ მოსახლეობაში ცოდნის გაღრმავება; საზოგადოებაში ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებული მოლოდინის მართვა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - მოსახლეობის ინფორმირება/ღონისძიებები ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე. ინფორმირების კუთხით; **საბაზისო მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდში, (01.01.2024-31.07.2024) ჩატარებულია 555 ღონისძიება 103784 ბენეფიციარის მონაწილეობით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჯამში, 2025 წელს დაგეგმილია 600 ღონისძიების განხორციელება

სოფლის მეურნეობა

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი
31 05	ერთიანი აგროპროექტი	332,120.0	328,870.0	3,250.0	300,900.0	299,400.0	293,950.0
31 06	სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია	136,700.0	136,700.0	0.0	220,720.0	243,120.0	209,120.0
31 02	სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა	77,636.0	64,140.0	13,496.0	81,080.0	82,750.0	82,750.0
31 03	მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება	60,411.0	56,180.0	4,231.0	56,900.0	57,900.0	57,900.0
31 04	სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება	7,521.0	7,250.0	271.0	7,000.0	7,000.0	7,000.0
31 14	სოფლის მეურნეობის მიმართულებით ლაბორატორიული მომსახურეობა	12,200.0	7,000.0	5,200.0	12,500.0	13,000.0	13,000.0
31 15	მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა	6,200.0	6,200.0	0.0	7,560.0	5,100.0	5,300.0
ჯამი		**632,788.0**	**606,340.0**	**26,448.0**	**686,660.0**	**708,270.0**	**669,020.0**

ერთიანი აგროპროექტი (31 05)	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია გენდერული თანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 5 - გენდერული თანასწორობა სოფლის განვითარება ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება)
აღწერა და მიზანი	სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და შენახვა-რეალიზაციის განმახორციელებელი საწარმოების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა; აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ფერმერებისთვის შემოსავლების შენარჩუნებისა და რისკების შემცირების ხელშეწყობა; სანერგე მეურნეობების მოწყობისა და მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა; საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, ჩაის წარმოების სექტორში ეფექტიანი კოოპერაციის ჩამოყალიბება/ხელშეწყობა და მაღალი ხარისხის ჩაის წარმოების ხელშეწყობა; იმპორტის ჩამანაცვლებელი პროდუქციის წარმოებისა და ადგილობრივი სანედლეულო ბაზის განვითარებისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების (ინფრასტრუქტურის) შექმნა და თანამედროვე საწარმოო ხაზით/ტექნოლოგიებით აღჭურვა; ფერმათა/ფერმერთა რეესტრის ერთიანი სისტემის მოსაწესრიგებლად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებელი პირების ერთიანი ელექტრონული ბაზის სრულყოფა; მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსება; პროექტების ტექნიკური მხარდაჭერა; მწარმოებელი კოოპერატივების შემნახველი/სამაცივრე ინფრასტრუქტურის შექმნა კენკროვანი და ბოსტნეული კულტურებისა და ადგილობრივი ხორბლის წარმოების ხელშეწყობის მიზნით;

	ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია; იმერეთის აგროზონის ტერიტორიის განვითარება; რძის მწარმოებელი მცირე შინამეურნეობებისა და ფერმერების, მერძევეობის სექტორისთვის მომსახურების მიმწოდებლების, რძის შემგროვებელი ცენტრების (პუნქტების) და რძის გადამამუშავებლების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის შეღავათიანი აგროკრედიტების გაზრდილი ხელმისაწვდომობა; განვითარებული აგროდაზღვევა, ფერმერებისთვის შემცირებული რისკები და შენარჩუნებული შემოსავლები; გაშენებული და განვითარებული ინტენსიური/ნახევრადინტენსიური ტიპის ბაღების ფართობის ზრდა; მოწყობილი მაღალხარისხიანი სანერგე მეურნეობები; განვითარებული მაღალი ხარისხის ჩაის წარმოება; შექმნილი და თანამედროვე საწარმოო ხაზით / ტექნოლოგიებით აღჭურვილი ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი ინფრასტრუქტურა; ფერმათა / ფერმერთა რეგისტრაციის სრულყოფილი ბაზა; გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობა; პროექტების ბენეფიციარების მიერ დანერგილი თანამედროვე სტანდარტები;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ერთიანი აგროპროეტის ფარგლებში გაცემული/მომსახურებული სესხების, დაზღვეული მიწის ფართობის, გადამამუშავებელი/შემნახველი საწარმოების, მოსავლის ამღები ტექნიკის ბენეფიციარების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - სესხები - 87 685; დაკონტრაქტებული/გაშენებული ბაღები - 23 103 ჰა; დაზღვეული - 171 849 ჰა; გადამამუშავებელი/შემნახველი საწარმოები - 270; მოსავლის ამღები ტექნიკა - 473 ბენეფიციარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სესხები - 32 000-მდე; დაკონტრაქტებული/გაშენებული ბაღები - 2 400 ჰა-მდე; დაზღვეული - 15 000 ჰა-მდე; გადამამუშავებელი/შემნახველი საწარმოები - 40-მდე; მოსავლის ამღები ტექნიკა - 80-მდე ბენეფიციარი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20 %; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი აქტიურობა; ქვეყნის შიდა და საგარეო ფაქტორების გავლენა

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა (31 05 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	სოფლის მეურნეობის დარგში დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების მართვა და ეფექტიანი განხორციელება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დაგეგმილი პროექტების მიზნების გათვალისწინებით, მათი მოსალოდნელი შუალედური შედეგების მიღწევა.

შეღავათიანი აგროკრედიტები (31 05 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	სოფლის განვითარება
აღწერა და მიზანი	სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და შენახვა-რეალიზაციის განმახორციელებელი საწარმოების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა; ბენეფიციარებზე სესხები (ან ლიზინგი) გაიცემა ამ პროექტის მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებიდან, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – სოფლის განვითარების სააგენტო განახორციელებს ამ სესხების (ლიზინგის) საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას და ზოგ შემთხვევაში მონაწილეობას მიიღებს სესხების უზრუნველყოფაში; პროექტის ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმე და იურიდიული პირი; სესხის (ლიზინგის) მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოებისთვის ძირითადი და საბრუნავი საშუალებების დაფინანსება; საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალურ პირობებს.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნის და არსებულის გაფართოება გადაიარაღების ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის საბანკო კრედიტების/ლიზინგი გაიაფება და ხელმისაწვდომობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - გაცემული და მომსახურება გაწეული სესხების რაოდენობა;

	საბაზისო მაჩვენებელი - 2013-2024 წლებში 87 685 გაცემული და 82 927 მომსახურება გაწეული სესხი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 32,000-მდე სესხი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20 %; **შესაძლო რისკები -** ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

აგროდაზღვევა (31 05 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება - ადაპტაცია სოფლის განვითარება
აღწერა და მიზანი	აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ფერმერებისთვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება; სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევას ახორციელებენ სადაზღვევო კომპანიები, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – სოფლის განვითარების სააგენტო განახორციელებს სადაზღვევო პრემიების თანადაფინანსებას საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება; ფერმერებისათვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** დაზღვეული ფართობების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2014 – 2024 წლებში - 171 849 ჰა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 15,000 ჰა-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

დანერგე მომავალი (31 05 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	სოფლის განვითარება

აღწერა და მიზანი	სანერგე მეურნეობების განვითარების და ინტენსიური ბაღების გაშენების ხელშეწყობა, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; მრავალწლოვანი ბაღების გაშენების მსურველ ფიზიკური/იურიდიული პირებისთვის ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა; პროექტში მონაწილე ბენეფიციართათვის ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა; მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების მსურველი ფიზიკური პირებისა და კოოპერატივებისათვის, ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ახალი ინტენსიური/ნახევრად ინტენსიური ტიპის ბაღების გაშენება; მაღალხარისხიანი სანერგე მეურნეობების შექმნა; გადამამუშავებელი მრეწველობის სანედლეულო ბაზის გაზრდა; სოფლად მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; საქართველოში არსებული აუთვისებელი მიწის ფართობების ათვისება, გავრცელებული დაბალ შემოსავლიანი ერთწლიანი კულტურების გაცილებით მაღალშემოსავლიანი მრავალწლიანი კენკროვანი კულტურებით ჩანაცვლება და ადგილობრივი მოსახლეობის ფინანსური კეთილდღეობის ზრდის ხელშეწყობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - გაშენებული/დაკონტრაქტებული ბაღების, სანერგეების,სარწყავების, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების, ჩანაცვლებული ნერგების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015-2024 წლებში დაკონტრაქტებული ბაღები 23 103 ჰა; სარწყავი სიტემა 1010 ჰა; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა - 250 ჰა; დაზიანებული ნერგების ჩანაცვლება 107 ჰა; ჭის/ჭაბურღილის მოწყობა 1 520 ჰა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ახალი ბაღი 2,400 ჰა-მდე; სანერგე მეურნეობა - 1; სარწყავი სიტემა 250 ჰა-მდე; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა - 25 ჰა, მოეწყობა 60-მდე ჭაბურღილი, დაზიანებული ნერგები ჩანაცვლდება 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთზე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

ქართული ჩაი (31 05 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	სოფლის განვითარება
აღწერა და მიზანი	საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, ჩაის წარმოების სექტორში ეფექტიანი კოოპერაციის ჩამოყალიბება/ხელშეწყობა, მაღალი ხარისხის ჩაის (მათ შორის, ბიოჩაის) წარმოების ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; როგორც კერძო, ისე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის ხარჯის თანადაფინანსება კომპანიებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობა მათი ბიზნესოპერატორებისთვის იჯარით გადაცემით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბიო და ორგანული ჩაის წარმოების განვითარება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - რეაბილიტაციისათვის დაკონტრაქტებული ჩაის პლანტაციების ფართობი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2016-2024 წლებში 1 985 ჰა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100 ჰა-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი (31 05 06)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	სოფლის განვითარება კლიმატის ცვლილება - შერბილება
აღწერა და მიზანი	იმპორტის ჩამანაცვლებელი პროდუქციის წარმოებისა და ადგილობრივი სანედლეულო ბაზის განვითარებისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების (ინფრასტრუქტურის) შექმნის და თანამედროვე საწარმოო ხაზით/ტექნოლოგიებით აღჭურვის ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოფლის მეურნეობის პროდუქციის თანამედროვე სტანდარტების გადამამუშავებელი და შემნახველი სიმძლავრეების შექმნა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** საწარმოების დაფინანსების მიზნით დაკონტრაქტებული ხელშეკრულებების რაოდენობა / დაფინანსებული საწარმოების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2014 – 2024 წლებში - 270 საწარმო (მათ შორის გადამამუშავებელი - 110; შემნახველი - 160); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 40-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი (31 05 07)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	სოფლის განვითარება
აღწერა და მიზანი	ფერმათა/ფერმერთა რეესტრის ერთიანი სისტემის მოსაწესრიგებლად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებელი პირების ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნა, რის შედეგადაც სახელმწიფოს ექნება სტატისტიკური ინფორმაცია სამიზნე ჯგუფების სწორად შესარჩევად და მათთვის სხვადასხვა მასტიმულირებელი პროექტის/პროგრამის საჭიროებისამებრ დასაგეგმად და განსახორციელებლად.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შექმნილი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირების ერთიანი ელექტრონული ბაზა; რეგისტრაციის უწყვეტი პროცესი
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** ელექტრონულ გვერდზე (ABACO) რეგისტრირებულ ფერმერთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2018 – 2023 წლებში - 203 217; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 12,000-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა (31 05 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია სოფლის განვითარება
აღწერა და მიზანი	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი პროექტების/პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული/დასაფინანსებელი პოტენციური ბენეფიციარების/ბენეფიციარების მხარდაჭერა თანადაფინანსების ან/და საკონსულტაციო მომსახურების ან/და ტრენინგის ჩატარების გზით; არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი პროგრამებით/პროექტებით გათვალისწინებული დარგებისა და მიმართულებების გაძლიერება, სრულყოფა და მხარდაჭერა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მარკეტინგულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა; საწარმოს საკვანძო პერსონალისა და მენეჯმენტის კვალიფიკაციის ამაღლება; გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოებისთვის სურსათის უვნებლობისთვის საერთაშორისო სისტემების და სტანდარტების დანერგვა. საკონსულტაციო სამსახურების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** სტანდარტების დანერგვის და ბრენდირების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებები; **საბაზისო მაჩვენებელი -** კომპანიების მიერ სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტის დანერგვის მიზნით - 192; სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია - 12; აღჭურვილობა - 20, სურსათის უვნებლობის სისტემის შემუშავება და დანერგვა HACCP–ის მიხედვით - 2. ბრენდირება - 87; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტი - 20-მდე ხელშეკრულება; ბრენდირება - 10-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურული განვითარება (31 05 09)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია სოფლის განვითარება
აღწერა და მიზანი	მწარმოებელი კოოპერატივების ხელშეწყობა, დაფინანსდებული შემნახველი/სამაცივრე ინფრასტრუქტურა კენკროვანი და ბოსტნეული კულტურებისათვის წარმოების ხელშეწყობა, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კენკროვანი და ბოსტნეული კულტურებისათვის შექმნილი კოოპერატივების ხელშეწყობა, განვითარებული შემნახველი/სამაცივრე ინფრასტრუქტურა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - დაფინანსებული კოოპერატივების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 -2024 წლებში - 58; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 6-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა/ჩართულობა

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი (31 05 10)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	სოფლის განვითარება
აღწერა და მიზანი	ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის გაზრდა მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვის საგრანტო თანადაფინანსებით საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2019 - 2024 წლებში 473 ბენეფიციარი და 952 ტექნიკა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 80 - მდე ბენეფიციარი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20 %; **შესაძლო რისკები** - 20 %

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (31 05 11)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	სოფლის განვითარება
აღწერა და მიზანი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა; საქართველოში და საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოების მიერ ორგანიზებული, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მიღებები, ყველისა და კულინარიის ფესტივალი, ჩაისა და თაფლის ფესტივალი, თევზისა და ზღვის პროდუქტების, სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების გამოფენები.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა; აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობა; ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტისთვის ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2022-2024 წელს 21 გამოფენა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 10-მდე გამოფენა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ქვეყანაში ან/და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გამო გამოწვეული შეფერხებები

იმერეთის აგროზონა (31 05 12)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება - შერბილება
აღწერა და მიზანი	იმერეთის რეგიონში 220 ჰა მიწის ნაკვეთზე სასათბურე მეურნეობების კლასტერის შექმნა. აღნიშნული და მიწის ნაკვეთის დაბალ, საშუალო და მაღალტექნოლოგიურ ზონებად დაყოფა, სადაც შესაბამისი ტექნოლოგიის სათბურები აშენდება. აშენდება (სათბურების ჯამური ფართობი დაახლოებით 160 ჰექტარია). სახელმწიფოს მიერ აღნიშნულ ტერიტორიაზე ძირითადი ინფრასტრუქტურას ინფრასტრუქტურის (გარე და შიდა გზები, ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის მიწოდების ქსელები,

	ირიგაციისა და დრენაჟის სისტემები, საკანალიზაციო სისტემა, ტერიტორიის შემოღობვა, მოსწორება და სხვა) განავითარებას სახელმწიფო, ხოლო სასათბურე მეურნეობებისა და სხვა დამხმარე ბიზნესების განსავითარებლად კერძო ინვესტორების მიერ მიწის ნაკვეთების შეიძენნენა ან გრძელვადიანი იჯარით აიღებენა მიწის ნაკვეთებს; აგრონომები და სასათბურე მეურნეობებისთვის საჭირო სხვა კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნება მებაღეობის სასწავლო და სადემონსტრაციო ცენტრის შექმნა, სადაც მომზადდებიან აგრონომები და სასათბურე მეურნეობებისთვის საჭირო სხვა კვალიფიციური კადრები; რეგიონის სათბურების მოემსახურების მიზნით, იმერეთის აგროზონის ტერიტორიაზე შეიქმნება ლოჯისტიკისა და გაყიდვების ცენტრის შექმნა, რომელიც რეგიონის სათბურებს მოემსახურება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	აშენებული და აღჭურვილი მებაღეობის სასწავლო და სადემონსტრაციო ცენტრის (HTDC) შენობა; HTDC-ის ტერიტორიაზე მოწყობილი სხვადასხვა ტექნოლოგიური დონის სასათბურე მეურნეობები; განხორციელებული შპს იმერეთის აგრო ზონის სასათბურე კლასტერის ტერიტორიის დეტალური პროექტირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - იმერეთის აგროზონის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გატარებული ღონისძიებები და გასხვისებული ფართობი; **საბაზისო მაჩვენებელი** - 0 (შემუშავებულია სასათბურე მეურნეობების კლასტერის განვითარების გენერალური გეგმა); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 32 ჰა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10 %; **შესაძლო რისკები** - ქვეყანაში ან რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო, ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების ნაკლებობა

ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა (31 05 13)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება
აღწერა და მიზანი	საქართველოში ბიოპროდუქტების წარმოების ხელშეწყობა; არსებული და ახალი ბიომეურნეობების სერტიფიცირების ხელშეწყობა;

	ბიოპროდუქციის ცნობადობისა და პოპულარიზაციისთვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება (მათ შორის, მისი რეალიზაციის არხების განვითარების ხელშეწყობით); ბიომწარმოებელთა ცოდნის დონის ამაღლებისა და უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა; კვალიფიციური კადრების მომზადება და გადამზადება ბიოწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის საკითხებში.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სერტიფიცირებისა და კონვერსიის პერიოდში სასერთიფიკაციო ხარჯების თანადაფინანსების, ტექნიკური დახმარების, ბიო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოთა ხელშეწყობის გზით გაზრდილი ბიო პროდუქციის წარმოება, გაზრდილი ბიო-პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების სიმძლავრეები; ბიო პროდუქტების საწარმოო ფართობები გაიზრდება 300 ჰა-მდე; ბიო პროდუქტების მწარმოებელთა (ფიზიკურ და იურიდიულ პირთა) რაოდენობა გაიზრდება 100-მდე.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ბიო წარმოების დაწყებული სერტიფიცირებების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 – 2024 წლებში 55 ხელშეკრულება; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

საპილოტე პროგრამა ქალებისთვის (31 05 14)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	გენდერული თანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 5 - გენდერული თანასწორობა კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია
აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტებში ახალი სასათბურე მეურნეობის მოსაწყობად პოტენციური ქალი ბენეფიციარების ფინანსური და ტექნიკრი მხარდაჭერა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საპილოტე მუნიციპალიტეტებში ეკონომიკურად არააქტიური ქალების ინტეგრაცია საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად ქალთა ინტეგრაციის მიზნით დაფინანსებული ბენეფიციარები; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2022-2024 წელს ხელშეკრულება/ბენეფიციარი 100; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 15-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა

აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა (31 05 15)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 5 - გენდერული თანასწორობა სოფლის განვითარება გენდერული თანასწორობა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 13 - კლიმატის მდგრადობის მიღწევა კლიმატის ცვლილება - შერბილება
აღწერა და მიზანი	იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში და სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, ქვემო ქართლში, რაჭა-ეჩხუმში და ქვემო სვანეთში რძის მწარმოებელ მცირე ზომის შინამეურნეობების, მერძევეობის სექტორისთვის მომსახურების მიმწოდებლების, რძის შემგროვებელ ცენტრებისა და რძის გადამამუშავებლების ხელშეწყობა (განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა); რძის ხარისხის გაუმჯობესება, ინოვაციური სადემონსტრაციო/სამოდელო ფერმების შექმნა; გრანტების გაცემა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი რძის წარმოების, რძის შემგროვებელი პუნქტებისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოების შესაქმნელად; შერჩეული ბენეფიციარების სწავლება რძის წარმოების, შეგროვებისა და გადამუშავების ტექნოლოგიებში, სურსათის უვნებლობის საკითხებში, HACCAP-ის სტანდარტებში, ფერმერთა მიერ რძის ხარისხის ევრორეგულაციების შესაბამისად გაუმჯობესების, თანამედროვე საკვები ბაზისა და დაავადებების მართვის საკითხებში; მერძევეობის სექტორში არსებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო საკითხების იდენტიფიცირება და მათი გადაწყვეტის ხელშეწყობა;

	საძოვრებთან დაკავშირებული და დარგისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის შექმნა;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შექმნილი ინოვაციური სადემონსტრაციო/სამოდელო ფერმები; ჩატარებული სხვადასხვა თემატიკის ტრენინგები; დეგრადირებული საძოვრების შემუშავებული მართვის გეგმები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - რძის წარმოებისა და გადამუშავების სექტორში დასაქმებულთა სწავლება; **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში გადამზადებულია 1700 ბენეფიციარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გადამზადდება 600 ბენეფიციარი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - სწავლების მსურველთა დაბალი აქტივობა **2.** **ინდიკატორის დასახელება** - თანამონაწილეობაზე დაფუძნებული მიზნობრივი გრანტები; **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში გაცემულია 870 გრანტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაიცემა 220 მიზნობრივი გრანტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - მოთხოვნის ნაკლებობა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - დეგრადირებული საძოვრების აღდგენა; **საბაზისო მაჩვენებელი** - ახალციხის მუნიციპალიტეტის 3 სოფლის დეგრადირებული საძოვრები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1000 ჰა. დეგრადირებული საძოვარი აღდგება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ფორს-მაჟორი

მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა (DiMMA) (31 05 15 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 5 - გენდერული თანასწორობა კლიმატის ცვლილება - შერბილება სოფლის განვითარება

	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 13 - კლიმატის მდგრადობის მიღწევა გენდერული თანასწორობა
აღწერა და მიზანი	იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში და სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, ქვემო ქართლში, რაჭა-ეჩხუმში და ქვემო სვანეთში რძის მწარმოებელ მცირე ზომის შინამეურნეობების, მერძევეობის სექტორისთვის მომსახურების მიმწოდებლების, რძის შემგროვებელ ცენტრებისა და რძის გადამამუშავებლების ხელშეწყობა (განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა); რძის ხარისხის გაუმჯობესება, ინოვაციური სადემონსტრაციო/სამოდელო ფერმების შექმნა; გრანტების გაცემა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი რძის წარმოების, რძის შემგროვებელი პუნქტებისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოების შესაქმნელად; შერჩეული ბენეფიციარების სწავლება რძის წარმოების, შეგროვებისა და გადამუშავების ტექნოლოგიებში, სურსათის უვნებლობის საკითხებში, HACCAP-ის სტანდარტებში, ფერმერთა მიერ რძის ხარისხის ევრორეგულაციების შესაბამისად გაუმჯობესების, თანამედროვე საკვები ბაზისა და დაავადებების მართვის საკითხებში; მერძევეობის სექტორში არსებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო საკითხების იდენტიფიცირება და მათი გადაწყვეტის ხელშეწყობა; საძოვრებთან დაკავშირებული და დარგისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის შექმნა;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შექმნილი ინოვაციური სადემონსტრაციო/სამოდელო ფერმები; ჩატარებული სხვადასხვა თემატიკის ტრენინგები; დეგრადირებული საძოვრების შემუშავებული მსრთვის გეგმები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - რძის წარმოებისა და გადამუშავების სექტორში დასაქმებულთა სწავლება; **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში გადამზადებულია 1700 ბენეფიციარი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გადამზადდება 600 ბენეფიციარი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - გადამზადდება 600 ბენეფიციარი; **შესაძლო რისკები** - სწავლების მსურველთა დაბალი აქტივობა 2. **ინდიკატორის დასახელება** - თანამონაწილეობაზე დაფუძნებული მიზნობრივი გრანტები;

	საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამის ფარგლებში გაცემულია 870 გრანტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** გაიცემა 220 მიზნობრივი გრანტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** მოთხოვნის ნაკლებობა **3.** **ინდიკატორის დასახელება -** დეგრადირებული საძოვრების აღდგენა; **საბაზისო მაჩვენებელი -** ახალციხის მუნიციპალიტეტის 3 სოფლის დეგრადირებული საძოვრები; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 1000 ჰა. დეგრადირებული საძოვარი აღდგება; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** ფორს-მაჟორი

კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა (31 05 16)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	სოფლის განვითარება
აღწერა და მიზანი	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტრაქტორი, ხელის ტრაქტორი (მოტობლოკი), ტრაქტორზე მისაბმელი (იმპლემენტი)) და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის განკუთვნილი თვითმავალი ტექნიკის თანადაფინანსებით სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის გაზრდა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა და გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ხარისხი და რაოდენობა; ვადების შესაბამისად ჩატარებული აგროტექნიკური ღონისძიებები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** დაფინანსებული ბენეფიციარების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2021 – 2024 წლებში - ბენევიციარი - 2 492 (აქედან 2021-2022 წლის პროექტი - 2,415, ხოლო 2023-2024 წლების პროექტი 77) ; ტექნიკა (მათ შორის იმპლემენტი) – 4 788 (აქედან 2021-2022 წლის პროექტი - 4,392, ხოლო 2023-2024 წლების პროექტი 396) ; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 40-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** ბენეფიციართა დაბალი აქტივობა

ლიდერპროგრამა (31 05 17)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	სოფლის განვითარება
აღწერა და მიზანი	სოფლად ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი საქმიანობების ხელშეწყობისთვის პროგრამის მონაწილე ბენეფიციარებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა თანადაფინანსებით; სოფლად სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა; სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ეკონომიკური დივერსიფიკაცია და ახალი, გრძელვადიანი სამუშაო ადგილების შექმნა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოფლად დივერსიფიცირებული მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების გაზრდილი რაოდენობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების გაზრდის მიზნით მხარდაჭერილი პროექტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების მხარდაჭერის საჭიროება; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 20-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** ბენეფიციართა დაბალი აქტივობა

თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა (31 05 18)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	სოფლის განვითარება კლიმატის ცვლილება - შერბილება
აღწერა და მიზანი	საქართველოში თხილის პირველადი წარმოების ხელშეწყობა, თხილის ბაღების მესაკუთრეების ან/და მფლობელების სტიმულირებითა და მისი მოვლა-მოყვანისთვის საჭირო საქონლის ღირებულების სუბსიდირებით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაზრდილი / გაუმჯობესებული თხილის პირველადი წარმოება; სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული ფერმერებისათვის შექმნილი ხელსაყრელი პირობები;

	ქვეყანაში გაზრდილი ადგილობრივი თხილის წარმოებაა და მიღებული მაღალი ხარისხის პროდუქცია;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - თხილის პირველადი წარმოების გაუმჯობესების მიზნით დაფინანსებული ბენეფიციარები; **საბაზისო მაჩვენებელი** - 2023 წელს ქულა დაერიცხა 61,418 უნიკალურ ბენეიციარს; 2024 – 63,221 უნიკალურ ბენეფიციარს (30.06.2024 მდგომარეობით); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 60,000-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა დაბალი აქტივობა

მეფუტკრეობის მხარდაჭერის პროგრამა (31 05 19)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო
აღწერა და მიზანი	სოფლად ეკონომიკის განვითარება, კონკურენტუნარიანი და მდგრადი მეფუტკრეობის დარგის ჩამოყალიბების ხელშეწყობის გზით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მდგრადი მეფუტკრეობის დარგის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - მდგრადი მეფუტკრეობის დარგის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებები; **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამა იწყება 2024 წლიდან; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 250-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა დაბალი აქტივობა

ქართული ბოსტნეული სათბურებიდან (31 05 20)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

აღწერა და მიზანი	ქვეყნის მასშტაბით ერთწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ხელშეწყობა, თანამედროვე კლიმატგონივრული ტექნოლოგიების დანერგვის გზით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ახალი სასათბურე მეურნეობების მოსაწყობად საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობით, სათბურში წარმოებული პროდუქციის მოცულობის გაზრდა, მათ შორის არასეზონურ პერიოდში.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სათბურში წარმოებული პროდუქციის რაოდენობის გაზრდის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებები; **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამა იწყება 2024 წლდან; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 50 - მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 50 - მდე; **შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა დაბალი აქტივობა

სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია (31 06)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება) სოფლის განვითარება კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია
აღწერა და მიზანი	წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია; სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაცია და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკით უზრუნველყოფა; მიწის აღდგენის სამუშაოების განხორციელება; სამელიორაციო სისტემების ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეგულარული სარწყავი მიწის ფართობის ზრდა; წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება; სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; სარწყავ სეზონზე მომხმარებელთათვის მომსახურების შეუფერხებელი მიწოდება.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი, დასაშრობი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი მიწები; **საბაზისო მაჩვენებელი** - რეგულარულ სარწყავში გადასაყვანა 6,448 ჰა; მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება 2,000 ჰა; გაწმენდილი სარწყავი და სადრენაჟე არხები 1,724 კმ; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეგულარულ სარწყავში გადასაყვანა 14,600 ჰა; მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება 29,300 ჰა; მიწის ფართობების დაშრობა 900 ჰა; მიწის ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება 260 ჰა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი სხვადასხვა გაუთვალისწინებული გარემოებები და კლიმატური პირობები

სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენა (31 06 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება - ადაპტაცია სოფლის განვითარება
აღწერა და მიზანი	საქართველოს სხვადასხვა რეგიონში წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია; შესაბამისი საინჟინრო კვლევების, დაპროექტების, ზედამხედველობის, ექსპერტიზის განხორციელება; ოპერირებისა და რეაბილიტაციისთვის განკუთვნილი ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეგულარული სარწყავი მიწის ფართობის ზრდა; სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეგულარული სარწყავი მიწის ფართობის ზრდა; სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება;

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი, დასაშრობი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი მიწები; **საბაზისო მაჩვენებელი** - რეგულარულ სარწყავში გადაყვანა 6,448 ჰა; მიწების წყლით უზრუნველყოფა 2,000 ჰა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეგულარულ სარწყავში გადაყვანა 3,620 ჰა; მიწების წყლით უზრუნველყოფა 11,994 ჰა; დაშრობა - 397 ჰა; ნ ჭარბი წყლის მოცილება - 260 ჰა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%; **შესაძლო რისკები** - მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი სხვადასხვა გაუთვალისწინებული გარემოებები და კლიმატური პირობები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი, დასაშრობი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი მიწები; **საბაზისო მაჩვენებელი** - რეგულარულ სარწყავში გადაყვანა 6,448 ჰა; მიწების წყლით უზრუნველყოფა 2,000 ჰა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეგულარულ სარწყავში გადაყვანა 3,620 ჰა; მიწების წყლით უზრუნველყოფა 11,994 ჰა; დაშრობა - 397 ჰა; ნ ჭარბი წყლის მოცილება - 260 ჰა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%; **შესაძლო რისკები** - მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი სხვადასხვა გაუთვალისწინებული გარემოებები და კლიმატური პირობები

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური ექსპლუატაცია (31 06 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება - ადაპტაცია
აღწერა და მიზანი	შპს „საქართველოს მელიორაციის“ სუბსიდირება, სარწყავი და დამშრობი სისტემების ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებების, მექანიკური სატუმბი სადგურების ფუნქციონირებისთვის მოსახმარი ელექტროენერგიის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების დაფინანსება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაწმენდილი და მოწესრიგებული სარწყავი და სადრენაჟე არხები; შეკეთებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1.

	ინდიკატორის დასახელება - გაწმენდილი არხები, შეკეთებული/შეცვლილი მილსადენები და ჰიდროტექნიკური ნაგებობები, გარემონტებული/შეცვლილი სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ერთეულები; **საბაზისო მაჩვენებელი** - არხები 1,724 კმ; მილსადენი 61,4 კმ; ნაგებობა 115 ერთეული; სხვადასხვა 2,468 ერთეული; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - არხები 2,178 კმ; მილსადენი 77,6 კმ; ნაგებობა 145 ერთეული; სხვადასხვა 3,117 ერთეული; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%; **შესაძლო რისკები** - ფორსმაჟორული სიტუაციები, შესყიდვის პროცედურების შეფერხება, სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (WB) (31 06 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება - ადაპტაცია სოფლის განვითარება
აღწერა და მიზანი	პროექტით განსაზღვრულ ტერიტორიებზე კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი დაგეგმვისთვის, სარწყავი და სადრენაჟო მომსახურებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუმჯობესება, ეროვნული ირიგაციისა და მიწის მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება; შერჩეული ირიგაციისა და დრენაჟის სქემების რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია; მიწის ადმინისტრირების სერვისების გაძლიერება და ციფრული მმართველობის ინფრასტრუქტურის მოწყობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შერჩეულ სქემებზე გაუმჯობესებული ირიგაცია; გაუმჯობესებული საირიგაციო სერვისების მიწოდება; გაძლიერებული სასოფლო-სამეურნეო მიწის მართვა და მონიტორინგი.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - მომზადებული სქემის დიზაინი, შერჩეული კომპანიები საირიგაციო სქემის რეაბოილიდაციისათვის და რეაბილიტირებული სქემები; **საბაზისო მაჩვენებელი** - - სარეაბილიტაციოდ სქემები შერჩეულია, საოპერაციო სახელმძღვანელო დამტკიცებულია, საპროექტო კომპანია დაკონტრაქტებულა ორ სქემაზე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომზადებული დიზაინი 4; შერჩეუკლი კომპანია 2 სქემისთვის; რეაბილიტირებული 2 სქემა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;

	შესაძლო რისკები - სატენდერო პროცესში (კონკურსში) მონაწილეობის დაბალი ინტერესი - ფასთა ცვლილება; ინფლაცია; ლარის მსყიდველუნარიანობის შემცირება **2.** **ინდიკატორის დასახელება -** შერჩეულ სქემებზე, თანადაფინანსებაზე დაფუძნებული გაცემული გრანტები; **საბაზისო მაჩვენებელი -** 50 - პირველადი გრანტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 325 - პირველადი გრანტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%; **შესაძლო რისკები -** ფერმერთა მხრიდან კონკურსში მონაწილეობის დაბალი ინტერესი - ინფლაცია; ლარის მსყიდველუნარიანობის შემცირება

საქართველოში სარწყავი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (31 06 04)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	სოფლის განვითარება კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია
აღწერა და მიზანი	მაგისტრალური არხის განახლება; კომბინირებული (ღია არხის და დახურული მილსადენის სისტემა) გამანაწილებელი ქსელის მშენებლობა; წყლის ნაკადების მონიტორინგისა და რეგულირების მიზნით საზედამხედველო კონტროლისა და მონაცემთა შეგროვების სისტემის ჩამოყალიბება; ფერმერებისთვის მხარდაჭერის უზრუნველყოფა სარწყავი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიების მოდერნიზაციისა და გაუმჯობესების მიზნით. ფერმერთა სწავლების ხელშეწყობა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით; ზემო სამგორის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოდერნიზებული კახეთის რეგიონში ქვემო სამგორის მარცხენა მაგისტრალური არხის სარწყავი სქემია. ზემო სამგორის რეაბილიტირებული საირიგაციო სისტემა; წყლის მომხმარებელთა ასოციაციების ხელშეწყობა.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ქვემო სამგორის მარხცენა მაგისტრალური და შიდა სამეურნეო ქსელის დეტალური დიზაინის მომზადება; **საბაზისო მაჩვენებელი** - 0; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქვემო სამგორის მარხცენა მაგისტრალური და შიდა სამეურნეო ქსელის დეტალური დიზაინის მომზადება დაწყებულია 2. **ინდიკატორის დასახელება** - ზემო სამგორის და შიდა სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციისთვის საპროექტო ორგანიზაციის შერჩევა და დაკონტრაქტება; **საბაზისო მაჩვენებელი** - 0; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საპროექტო დიზაინის მომზადება დაწყებულია

კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროექტი (ADB) (31 06 04 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება - ადაპტაცია სოფლის განვითარება
აღწერა და მიზანი	მაგისტრალური არხის განახლება; კომბინირებული (ღია არხისა და დახურული მილსადენის სისტემა) გამანაწილებელი ქსელის მშენებლობა; წყლის ნაკადების მონიტორინგისა და რეგულირებისთვის საზედამხედველო კონტროლისა და მონაცემთა შეგროვების სისტემის ჩამოყალიბება; სარწყავი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიების მოდერნიზაციისა და გაუმჯობესებისთვის ფერმერების მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოდერნიზებული კახეთის რეგიონში ქვემო სამგორის მარცხენა მაგისტრალური არხის სარწყავი სქემია.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ქვემო სამგორის მარხცენა მაგისტრალური და შიდა სამეურნეო ქსელის დეტალური დიზაინის

	მომზადება; **საბაზისო მაჩვენებელი** - 0; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქვემო სამგორის მარხცენა მაგისტრალური და შიდა სამეურნეო ქსელის დეტალური დიზაინის მომზადება დაწყებულია

საქართველო-ზემო სამგორის ირიგაციის პროექტი (EIB) (31 06 04 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია სოფლის განვითარება
აღწერა და მიზანი	თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით ფერმერთა სწავლების ხელშეწყობა; ზემო სამგორის ირიგაციის სისტემის რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ზემო სამგორის რეაბილიტირებული საირიგაციო სისტემა; წყლის მომხმარებელთა ასოციაციების ხელშეწყობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ზემო სამგორის და შიდა სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციისთვის საპროექტო ორგანიზაციის შერჩევა და დაკონტრაქტება; **საბაზისო მაჩვენებელი** - 0; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საპროექტო დიზაინის მომზადება დაწყებულია

სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა (31 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება - ადაპტაცია მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 13 - კლიმატის მდგრადობის მიღწევა სოფლის განვითარება ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება)

აღწერა და მიზანი	სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი; ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური, იძულებითი ღონისძიებებისა და ლაბორატორიული კვლევების განხორციელება; ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია; ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტებში ცხოველთა გარეგან პარაზიტებზე დამუშავება; მიმოქცევაში მყოფი ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლი; ცხოველებში ვეტპრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენების არსებობის კონტროლი; საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება; პესტიციდების/აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი და ვეტერინარული აფთიაქებისა და სამკურნალოების მონიტორინგი; სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების, ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების, მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ლაბორატორიული კვლევა; ქვეყნის ტერიტორიის მონიტორინგის (მავნებლის გამოჩენისა და მისი რიცხოვნობის დაფიქსირება ფერომონიანი ხაფანგების საშუალებით) საფუძველზე, თანამედროვე, სპეციფიკური შესასხურებელი ტექნიკის გამოყენებით, აზიური ფაროსანას პოპულაციის რიცხოვნობის შესამცირებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, კერების ლოკალიზაცია/ლიკვიდაცია.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მავნე სურსათის წარმოებისა და სამომხმარებლო ბაზარზე რეალიზაციის ფაქტების შემცირება/აღკვეთა; შიდა სასურსათო ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება და ექსპორტის ხელშეწყობა. ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნება, სამომხმარებლო ბაზარზე უვნებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების განთავსება; განსაკუთრებით საშიში მავნებლებისაგან სტრატეგიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვა და მოსავლის შენარჩუნება კლიმატური პირობების გათვალისწინებით; ვადაგასული და ფალსიფიცირებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეალიზაციის ფაქტების აღკვეთა; საქართველოს ბაზარზე არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი ვეტერინარული პრეპარატების გამოვლენა და რეალიზაციის აღკვეთა;

	ქვეყნის ტერიტორიის მონიტორინგი, აზიური ფაროსანას გამოჩენისა და მისი რიცხოვნობის დაფიქსირება ფერომონიანი დამჭერების საშუალებით, რის საფუძველზეც განხორციელდება თანამედროვე შემასხურებელი ტექნიკის გამოყენება მავნებლის პოპულაციის რიცხოვნობის შესამცირებლად და კერების ლოკალიზაცია/ლიკვიდაციისთვის.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** ინსპექტირების, კონტროლის, აღებული ნიმუშებისა დაზედამხედველობის რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** ინსპექტირება - 8 300; დოკუმენტური შემოწმება - 7 100; ნიმუში/სინჯი - 5 000; ზედამხედველობა - 100%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ინსპექტირება - 34 400; დოკუმენტური შემოწმება - 29 400; ნიმუში/სინჯი- 25 000 ; ზედამხედველობა - 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** საგანგებო და კრიზისული მდგომარეობა; ქვეყანაში ეპიზოოტიური მდგომარეობის მკვეთრი ცვლილება და სხვა **2.** **ინდიკატორის დასახელება -** ვაქცინაციის რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** თურქული - 2 040 000; ჯილეხი - 999 600; ბრუცელოზი - 240 000; ცოფი - 300 000; ცხვრისა და თხის ყვავილი - 1 300 000; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** თურქული - 10 940 000; ჯილეხი - 804 000; ბრუცელოზი - 240 000; ცოფი - 300 000; ცხვრისა და თხის ყვავილი - 600 000; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** საგანგებო და კრიზისული მდგომარეობა; ქვეყანაში ეპიზოოტიური მდგომარეობის მკვეთრი ცვლილება და სხვა **3.** **ინდიკატორის დასახელება -** აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დამუშავებული ფართობი; **საბაზისო მაჩვენებელი -** 250 000 ჰა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 1 200 000 ჰა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** საგანგებო და კრიზისული მდგომარეობა; ქვეყანაში ეპიზოოტიური მდგომარეობის მკვეთრი ცვლილება და სხვა

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება (31 03)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	სოფლის განვითარება

აღწერა და მიზანი	ქართული ღვინოპროდუქციის საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენებისა და პრესტურების მოწყობა; სპეციალიზებული უცხოური ჟურნალებისთვის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ სტატიების მომზადება და მათი გამოქვეყნება; სარეკლამო რგოლების დამზადება და ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება; ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინისა და კულინარიის შესახებ საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა; ალკოჰოლიანი სასმელების სასერტიფიკაციო ნიმუშების ან/და სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული ნიმუშების შედარების უზრუნველსაყოფად და სახელმწიფო კონტროლისა და სახელმწიფო ზედამხედველობის ფარგლებში ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის ჩატარება; ვენახების კადასტრის დანერგვა; ვენახების ფართობების აღრიცხვა; საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წიპწებისა და მერქნის მოლეკულური გენეტიკის ამპელოგრაფიის მეთოდებით შესწავლის ხელშეწყობა და წიპწების მოსაპოვებლად არქეოლოგიურ გათხრებში თანამონაწილეობა; მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა; ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების სისტემის განვითარების ხელშეწყობა და ქართულ ღვინოსთან დაკავშირებული აღნიშვნების დაცვის ღონისძიებების განხორციელება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქართული ღვინოპროდუქციის ექსპორტის ზრდა; მომხმარებლის დაცვა ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან. ვენახების ფართობებისა და ვაზის ჯიშების დადგენა; სანედლეულო ბაზის რესურსების დადგენა; ვაზის წარმოშობის შესახებ ჩატარებული კვლევებით მიღებული შედეგის გამოყენებით ქართული ვაზისა და ღვინის პოპულარიზაცია მსოფლიოს ბაზარზე;

	ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების საერთაშორისო რეგისტრაციითა და ქართულ ღვინოსთან დაკავშრებული აღნიშვნების უკანონო იმიტაციების წინააღმდეგ სამართლებრივი ინსტრუმენტების აღსრულებით, სტრატეგიულ ბაზრებზე ქართული ღვინის მწარმოებლებისთვის კეთილსინდისიერი კონკურენტული გარემოს შექმნის ხელშეწყობა; ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელების გეოგრაფიული აღნიშვნების გამოვლენის, ასევე მწარმოებელთა ასოცირების ხელშეწყობის გზით, მხარდაჭერილ იქნება საქართველოში გეოგრაფიული დასახელებების სისტემის განვითარების პროცესი.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** ინსპექტირებები, სახელმწიფო კონტროლი და სახელმწიფო ზედამხედველობის რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2024 წელს ღვინის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებული ღვინის კომპანიების 10 %- ში; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ღვინის კომპანიების 10% **2.** **ინდიკატორის დასახელება -** ქართული ღვინოპროდუქციის ექსპორტის ზრდა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2023 წელთან შედარებით ზრდა - 5-8%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 5-8% **3.** **ინდიკატორის დასახელება -** მოწყობილი გამოფენებისა და დეგუსტაციების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** გამოფენა - 14-მდე; დეგუსტაცია - 100-მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** გამოფენა - 20-მდე; დეგუსტაცია - 180-მდე **4.** **ინდიკატორის დასახელება -** არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ არტეფაქტებზე კვლევები; **საბაზისო მაჩვენებელი -** 20-მდე ვაზის აბორიგენულ ჯიშზე; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 20-40 ვაზის აბორიგენული ჯიშზე

სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (31 04)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია სოფლის განვითარება
აღწერა და მიზანი	საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების ტიპური სულადობების მოძიება, შესწავლა, გაუმჯობესება, გენეტიკური რესურსების გავრცელების ხელშეწყობა;

	ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების კოლექციების შექმნა, ადგილობრივი ჯიშების მოძიება და აღდგენა, ex-situ და in-situ კოლექციების შექმნა, გენეტიკური ბანკის ჩამოყალიბება და საქართველოს პირობებში ინტროდუცირებული ჯიშების ადაპტაციის შესწავლა; თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების სისტემების შექმნა და დანერგვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ხილისა და ბოსტნეულის შენახვისა და პირველადი გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების აპრობაცია და მათი ფერმერებში გავრცელების ხელშეწყობა; საქართველოს ნიადაგის მდგომარეობის კვლევა, შესწავლა და რუკების შექმნა; შექმნილი საფრთხეების სურსათისმიერი, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული რისკების შეფასება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი აღდგენილი და გაუმჯობესებული მეცხოველეობის ადგილობრივი ჯიშები, ამუშავებული ჯიშური მიკვლევადობის სისტემა და სანაშენე საქმიანობა ფერმერულ მეურნეობებში. შექმნილი და შენარჩუნებული ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშების ekhsitu და in situ კოლექციები; შესწავლილი საქართველოს ნიადაგების მდგომარეობა სხვადასხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლებით და მომზადებული რეკომენდაციები ნიადაგის აღდგენისა და ნაყოფიერების კონტროლის განხორციელებისათვის;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - მიკვლევადი ინდივიდების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 6010; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 6190; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - ინვაზიური დაავადებები, რომელთა მართვაც არ ხერხდება **2.** **ინდიკატორის დასახელება** - კოლექციაში ჩართული მრავალწლიანი კულტურების დაცული რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 930; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 950; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%; **შესაძლო რისკები** - გარემოს აგროკლიმატური პირობების გაუარესება **3.**

	ინდიკატორის დასახელება - შესწავლილი ნიადაგების რაოდენობა ჰა-ში; **საბაზისო მაჩვენებელი** - 20 000; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 20 000; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-5%; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობების გაუარესება

სოფლის მეურნეობის მიმართულებით ლაბორატორიული მომსახურეობა (31 14)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია
პოლიტიკის კლასიფიკატორი	სოფლის განვითარება
აღწერა და მიზანი	სტანდარტის – ISO 17025:2017/2018-ის მოთხოვნების შესაბამისად: ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური და არაინფექციური დაავადებების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა; სურსათის/ცხოველის საკვების ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების განსაზღვრა, სასმელი წყლის კვლევა; მცენარეთა მავნე ორგანიზმების კვლევა; საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად სახელმწიფო კონტროლის პროგრამაში მონაწილეობა; საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებებისა და ქვეყანაში არსებული საჭიროებების მიხედვით ახალი სტანდარტების დანერგვა, კერძოდ, ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის გაძლიერება, კვლევის ახალი მეთოდების დანერგვა და აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად განხორციელება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განვითარებული ლაბორატორიული სექტორი; ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერების შედეგად ლაბორატორიულ მომსახურებაზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - დანერგილი ახალი მეთოდებისა და პარამეტრების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 15 მეთოდი; 7 პარამეტრი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად 12 მეთოდი; 5 პარამეტრი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%; **შესაძლო რისკები** - მომხმარებლის დაბალი აქტივობა; ლაბორატორიაში დანერგილი სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა

მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა (31 15)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	სოფლის განვითარება კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება)
აღწერა და მიზანი	CORINE-ს კლასიფიკატორის მეშვეობით მიწის საფრისა (Land Cover) და მიწათსარგებლობის (Land Use) გეომონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა; მიწის ბალანსის შედგენა; მიწის საინფორმაციო სისტემის განვითარება და მომხმარებლისთვის სერვისების მიწოდება; ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება; ქარსაფარი ზოლის აღდგენის, გაშენებისა და მართვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შექმნილი მიწის რესურსების მონაცემთა ერთიანი ბაზა, შედგენილი და პერიოდულად გამოქვეყნებული მიწის ბალანსის განახლებული მონაცემები, აღრიცხვაში მოქცეული მიწის რესურსები; ინვენტარიზებული და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ინვენტარიზებული და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლები; **საბაზისო მაჩვენებელი** - 6,989.59 ჰა-მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 10,937.66 ჰა-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების ნაკლებობა

სასამართლო სისტემა

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	135,300.0	135,030.0	270.0	140,880.0	145,430.0	149,470.0
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	18,800.0	18,800.0	0.0	21,800.0	23,800.0	26,000.0
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	60,300.0	16,000.0	44,300.0	62,300.0	63,300.0	64,300.0
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	10,600.0	10,600.0	0.0	10,600.0	10,600.0	10,600.0
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	6,800.0	6,800.0	0.0	7,300.0	7,800.0	8,300.0
		231,800.0	**187,230.0**	**44,570.0**	**242,880.0**	**250,930.0**	**258,670.0**

სასამართლოს სისტემა (07 00 – 10 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი; საქართველოს უზენაესი სასამართლო; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;
აღწერა და მიზანი	სასამართლოთა შენობების სამშენებლო და სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება; ნაფიცი მსაჯულებისა და მსაჯულობის კანდიდატებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ხარჯის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან; მოსამართლეთა ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა; საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გამჭვირვალობისა და საჯაროობის პროცესის გაგრძელება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფა. საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა პროცენტული რაოდენობა, ვინც სრულად იქნა უზრუნველყოფილი კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით; **საბაზისო მაჩვენებელი** - 100%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0%; **შესაძლო რისკები** - შესაბამისი დაფინანსების მიუღებლობა 2. **ინდიკატორის დასახელება** - სასამართლო შენობების რაოდენობა, რომელსაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში ჩაუტარედათ მიმდინარე ან/და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები; **საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად ხორციელდება არანაკლებ 10 სასამართლო შენობის მიმდინარე ან/და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად განხორციელდება არანაკლებ 10 სასამართლო შენობის მიმდინარე ან/და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0-50% საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია მოხდეს მეტი ან ნაკლები სასამართლო შენობის მიმდინარე ან/და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;

	შესაძლო რისკები - შესაბამისი დაფინანსების მიუღებლობა. მიმწოდებელი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა **3.** **ინდიკატორის დასახელება** - ნაფიცი მსაჯულებისა და მსაჯულობის კანდიტატების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც სრულად აუნაზღაურდათ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები; **საბაზისო მაჩვენებელი** - 99%; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; **შესაძლო რისკები** - ნაფიცი მსაჯულებისა და მსაჯულობის კანდიტატების მხრიდან ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა

სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (46 00)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
აღწერა და მიზანი	საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კვალიფიციური ექსპერტების მეშვეობით განსაზღვრული ექსპერტიზისა და გამოკვლევების ჩატარება, შესაბამისი დასკვნის შედგენა და გაცემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; საერთაშორისო დონეზე აღიარებული სამედიცინო კვლევის მეთოდების გამოყენება და ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელება; ექსპერტიზის ახალი მეთოდოლოგიების დანერგვა და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება; საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მიწოდებული სერვისების სანდოობის მაღალი ხარისხის შენარჩუნება; ბიუროს ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება; მომსახურების სფეროს მუდმივი განვითარება; კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; ექსპერტების პროფესიული ტრენინგებითა და სასწავლო კურსებით უზრუნველყოფა, საერთაშორისო პროფესიულ და ლაბორატორიათაშორის ტესტირებებში მონაწილეობა და ISO 17025-ის სტანდარტის აკრედიტაციის შენარჩუნება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ISO17025 აკრედიტაციის შენარჩუნება. მომსახურების სფეროს მუდმივი განვითარება. კადრების კვალიფიკაციის ამაღლება. ექსპერტიზების შედეგების სიზუსტე და კვლევების მაღალი ხარისხი, რომელიც მიღწეულია ISO17025-ის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გზით.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი
31 07	გარემოსდაცვითი ზედამხედველობა	30,000.0	30,000.0	0.0	31,000.0	32,000.0	33,000.0
31 08	დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	51,343.0	27,040.0	24,303.0	52,230.0	53,300.0	54,300.0
31 09	სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	73,750.0	24,750.0	49,000.0	83,700.0	75,600.0	79,700.0
31 01	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა	23,900.0	23,900.0	0.0	23,950.0	24,050.0	24,500.0
31 13	გარემოს დაცვის სფეროში პროგნოზირება, შეფასება, პრევენცია და მონიტორინგი	30,800.0	21,800.0	9,000.0	32,200.0	33,900.0	34,900.0
31 12	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა, დარიშხანშემცველი ნარჩენების ობიექტების მართვა	7,020.0	6,970.0	50.0	2,230.0	2,300.0	2,350.0
31 11	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და "განათლება მდგრადი განვითარებისთვის" ხელშეწყობის პროგრამა	2,500.0	2,400.0	100.0	2,927.0	3,012.0	3,067.0
31 10	ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	2,700.0	1,800.0	900.0	2,735.0	2,785.0	2,835.0
24 25	სასარგებლო წიაღის მართვა და კოორდინაცია	14,369.0	0.0	14,369.0	8,216.0	8,422.0	8,360.0
ჯამი		**236,382.0**	**138,660.0**	**97,722.0**	**239,188.0**	**235,369.0**	**243,012.0**

გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (31 07)	
პროგრამის განმახორციელებელი	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 15 - დედამიწის ეკოსისტემა კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია
აღწერა და მიზანი	გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, მათ შორის, ხეტყის კონტროლის გაუმჯობესება, ხეტყის უკანონო მოპოვების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა; გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სისტემის სრულყოფა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა ჯეროვან შესრულებას; კანონდარღვევათა შემაკავებელი ეფექტიანი პირობების შექმნა და რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ნებაყოფლობით შესრულების სათანადო დონის მიღწევა; რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად პრევენციული ღონისძიებების განხორციელების კონტროლი; გარემოსთვის მიყენებული ზიანის ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით შეფასება; გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ან სანაცვლო ღონისძიებების განხორციელების კონტროლი.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაუმჯობესებული გარემოს დაცვის ხარისხი; შემცირებული გარემოსთვის მიყენებული ზიანი; შექმნილი კანონდარღვევათა შემაკავებელი გარემო.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემცირებული მაჩვენებელი; **საბაზისო მაჩვენებელი -** გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა 2024 წლის ბოლომდე 6 მლნ ლარს არ გადააჭარბებს; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2028 წლისათვის არაუმეტეს 3 მილიონი ლარისა; ყოველწლიურად 10-15%-მდე შემცირებული მაჩვენებელი;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 10%; **შესაძლო რისკები -** ცალკეულ რეგულირების ობიექტზე დაფიქსირებული კანონმდებლობის დარღვევის ან ტექნოგენური ინციდენტის შედეგად, გარემოსათვის მიყენებული ზიანის მაჩვენებლის გაზრდა; რეგულირების ობიექტების რაოდენობის გაზრდა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ზიანის მაჩვენებლის გაზრდა **2.** **ინდიკატორის დასახელება -** შემოწმებული და ინსპექტირებული რეგულირების ობიექტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** კომპლექსური შემოწმება 80-ზე მეტი; ინსპექტირება 2,000-ზე მეტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** კომპლექსური შემოწმება - არანაკლებ 80; ინსპექტირება 2,000-ზე მეტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** გეგმიური შემოწმებების რაოდენობის შემცირება, შესამოწმებელი ობიექტების საქმიანობის სირთულიდან გამომდინარე. ინსპექტორების არასაკმარისი რაოდენობა, კვალიფიციური კანდიდატების საჭირო რაოდენობის არარსებობის გამო **3.** **ინდიკატორის დასახელება -** გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ფაქტებზე დაწყებული შესაბამისი ღონისძიებები ზიანის აღმოფხვრის მიზნით; **საბაზისო მაჩვენებელი -** გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ფაქტებზე დაწყებული შესაბამისი ღონისძიებები ზიანის აღმოფხვრის მიზნით; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ფაქტების 70%-ზე დაწყებულია შესაბამისი ღონისძიებები ზიანის აღმოფხვრის მიზნით; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%; **შესაძლო რისკები -** რეგულირების ობიექტების ფინანსური პრობლემები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აღდგენის ვალდებულებების შეუსრულებლობა

დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (31 08)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება) მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 15 - დედამიწის ეკოსისტემა სოფლის განვითარება კლიმატის ცვლილება - შერბილება
აღწერა და მიზანი	დაცული ტერიტორიების ქსელის განვითარება – დაცული ტერიტორიების განვითარება და გაფართოება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა, მოვლა და აღდგენა; დაცული ტერიტორიების სისტემის მართვა, დაცვა და მონიტორინგი – დაცული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, მეთვალყურეობა,

	არსებული ინფრასტრუქტურული ელემენტებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, მოვლა და შენარჩუნება; დაცული ტერიტორიების ტყეების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება – დაზიანებული ფართობების აღდგენა და შესაბამისი მეთოდებით მავნებლებთან ბრძოლა; დაცული ტერიტორიების დაცვა, ხანძრის პრევენცია – საჭირო აღჭურვილობის გამოყენება და ხანძრის გავრცელების საშიშროების აღკვეთა, საზოგადოებისთვის დაცულ ტერიტორიებზე გადაადგილებისა და ქცევის წესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა – ტყეების ინვენტარიზაცია და მათი მართვის გეგმების შემუშავება; დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; ეკოტურიზმის განვითარება – ეკოტურისტული სერვისების დანერგვა და განვითარება, ვიზიტორების მოზიდვა და დაინტერესება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განვითარებული დაცული ტერიტორიები, დაცული/აღდგენილი ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ცოცხალი ორგანიზმები; გაძლიერებული და განვითარებული დაცული ტერიტორიების სისტემის დაცვის მექნიზმები, დაცული არსებული ინფრასტრუქტურა და ბუნებრივი რესურსები; დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის შედეგად სამიზნე ჯგუფების მიხედვთ გამართული საინფორმაციო შეხვედრები და ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეთა ზრდის ტენდენცია, მომზადებული და გავრცელებული ეკოსაგანმანათლებლო მასალები;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** დაცული ტერიტორიების გაფართოვება საქრთველოს მთლიან ტერიტორიასთან მიმართებაში; **საბაზისო მაჩვენებელი -** 13% (927 729 ჰა); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 15%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** შესაბამისი კანონის მიღების დაგვიანება **2.** **ინდიკატორის დასახელება -** სარეკლამო-საინფორმაციო კამპანიები; **საბაზისო მაჩვენებელი -** საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩაერთო 73 668 დაინტერესებული პირი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 20%-ით ამაღლებული საზოგადოებრივი ინფორმირებულობა;

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 5%; **შესაძლო რისკები -** ადამიანური რესურსების არასაკმარისი ოდენობა

სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (31 09)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება) სოფლის განვითარება კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 15 - დედამიწის ეკოსისტემა
აღწერა და მიზანი	ტყის აღრიცხვის ღონისძიებების განხორციელება, ტყის მართვის გეგმების შემუშავება და ტყეების მდგომარეობის შესახებ მონაცემების მიღების, ანალიზისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტიანი სისტემის დანერგვა; მდგრადი ტყითსარგებლობის სისტემის ჩამოყალიბება; ხეტყის დამზადებისთვის შესაბამისი ფართობების გამოვლენა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება (მათ შორის, სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა, მერქნულ რესურსზე (მათ შორის, სათბობ შეშაზე) მოსახლეობისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა); ტყის მოვლის (მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული) და აღდგენის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შენარჩუნებული საქართველოს ტყეების ეკოლოგიური ფასეულობები, მათ შორის ბიოლოგიური მრავალფეროვნება; გაზრდილი ბიზნესისა და მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ხე-ტყის რესურსებზე; სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ტყის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება -** აღდგენილი ტყის ფართობი; **საბაზისო მაჩვენებელი -** 6,353 ჰა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** ყოველწლიურად დახლოებით 2,000 ჰა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%;

	შესაძლო რისკები - გახარების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი (65%-ზე ქვემოთ), კლიმატური პირობები **2.** **ინდიკატორის დასახელება -** გამოყოფილი ხე-ტყის მოცულობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** ყოველწლიურად 450.0-600.0 ათ. კბმ-მდე; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 1800.0-2400.0 ათ. კბმ-მდე; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** გამოყოფილი ტყეკაფების რაოდენობა ნაკლებია მოთხოვნაზე, ხელმისაწვდომობის დაბალი მაჩვენებელი (მისასვლელი გზების არარსებობა) **3.** **ინდიკატორის დასახელება -** სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის პროცენტული წილი, რომელზეც განახლებულია ტყის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები; **საბაზისო მაჩვენებელი -** 41%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 85%; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** სამუშაოთა სპეციფიკაციის გათვალისწინებით, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (31 01)	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 15 - დედამიწის ეკოსისტემა
აღწერა და მიზანი	ქვეყნის აგრარულ და გარემოს დაცვის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება; აგრარული და გარემოს დაცვის სექტორის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება; საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავება; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ერთიანი სისტემის უზრუნველყოფა;

	მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) 15.1 და 15.5 ამოცანების შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული მცენარეთა და ცხოველთა (მათ შორის, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების) აღრიცხვისა და მათი მდგომარეობის შეფასების საფუძველზე მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა; მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) 15.1 ამოცანის შესაბამისად, საქართველოს „წითელი ნუსხის“ მიღმა დარჩენილი ცხოველთა სახეობების მდგომარეობის შეფასება, მათი სანადირო სახეობებად განსაზღვრა და ზოგიერთ შემთხვევაში დაცვის უფრო ქმედითი ზომების დანერგვა; მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) შესაბამისად, ნაციონალიზაციის პროცესში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით პრიორიტეტული ამოცანების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; სოფლის მეურნეობის სექტორში, სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას გენდერული თანასწორობის ასპექტის გათვალისწინება სახელმწიფო პროგრამებში ქალთა ჩართულობის გაზრდის მიზნით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	არსებული სანდო სამეცნიერო ინფორმაცია ფრინველთა სახეობების პოპულაციების შესახებ; წითელი ნუსხის განახლების მიზნით არსებობს პრიორიტეტულ სახეობათა სია; ცენტრალიზებულად მართული ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელება; **საბაზისო მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (31 01 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 15 - დედამიწის ეკოსისტემა
აღწერა და მიზანი	ქვეყნის აგრარულ და გარემოს დაცვის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება; მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ნაციონალიზაციის პროცესში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით

	პრიორიტეტული ამოცანების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; სოფლის მეურნეობის სექტორში, სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას, გენდერული თანასწორობის ასპექტის გათვალისწინება სახელმწიფო პროგრამებში ქალთა ჩართულობის გაზრდის მიზნით..
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება

ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებები (31 01 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება - შერბილება
აღწერა და მიზანი	ფრინველთა, მცენარეთა (მათ შორის ინვაზიური) სახეობების პოპულაციების კვლევა, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება, ასევე მოპოვების ოდენობების (კვოტების) განსაზღვრა; „წითელი ნუსხის“ განახლების მიზნით პრიორიტეტულ სახეობათა გამოვლენა და პოპულაციების შეფასება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	არსებული სანდო სამეცნიერო ინფორმაცია ფრინველთა სახეობების პოპულაციების შესახებ. წითელი ნუსხის განახლების მიზნით არსებობს პრიორიტეტულ სახეობათა სია; ინვაზიური სახეობების შესახებ სარწმუნო მონაცემები; თეთრყვავილას და ყოჩივარდას რესურსის შესახებ განახლებული მონაცემები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - ფრინველთა სახეობების პოპულაციების რაოდენობა, რომლებზეც არსებობს სანდო მონაცემები; **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს ტერიტორიაზე ფიქსირდება ფრინველთა მიგრირებადი/გადამფრენი და ადგილობრივი 400-მდე სახეობა. ჩატარებულია კვლევა ფრინველთა სულ მცირე 41 სახეობის პოპულაციებისათვის; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დამატებით 10; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%; **შესაძლო რისკები** - კვლევის განხორციელების სეზონურობის გათვალისწინებით ტენდერის გამოცხადების დაგვიანება

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფა (31 01 03)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
აღწერა და მიზანი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატისა და სისტემაში შემავალი უწყებების ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ერთიანი სისტემის უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შექმნილი და განვითარებული ინფორმაციული ტექნოლოგიები და ელექტრონული სისტემები; გაზრდილი ინფორმაციული უსაფრთხოების დონე, ინფორმაციაზე წვდომის გამარტივებული პროცესი; ცენტრალიზებულად მართული ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების შექმნა/განახლება; **საბაზისო მაჩვენებელი -** გამართულია IT ინფრასტრუქტურა; განხორციელებულია 51 სისტემის შექმნა/განახლება; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** გაძლიერებული/განახლებული ინფრასტუქტურის 10%. შექმნილი/განახლებულია დამატებით 10 პროგრამული უზრუნველყოფა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** გაუთვალისწინებელი გარემოებები **2.** **ინდიკატორის დასახელება -** პროგრამების უსაფრთხოების მიზნით შესყიდული პაკეტები; **საბაზისო მაჩვენებელი -** 7 ტიპის ლიცენზია 3 000-ზე მეტი მომხმარებლისთვის და ანტივირუსის პაკეტი - 34 000 ლიცენზია; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 10-მდე ტიპის ლიცენზია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** ქვეყნის პრიორიტეტის ცვლილებიდან გამომდინარე რისკები; სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკები

გარემოს დაცვის სფეროში პროგნოზირება, შეფასება, პრევენცია და მონიტორინგი (31 13)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 14 - წყალქვეშა რესურსები კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება)

აღწერა და მიზანი	ჰიდრომეტეოროლოგიის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და სტიქიური მოვლენების შესახებ ადრეული გაფრთხილებების მომზადება/გავრცელება. აგრეთვე, კლიმატური, აგრომეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური საინფორმაციო პროდუქტებით მომსახურება; გეოლოგიური მონიტორინგი (გაზაფხული–შემოდგომა) და ფორს-მაჟორულ სიტუაციაში სტიქიური გეოლოგიური პროცესების შეფასება; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოლოგიური საფრთხეების ზონირების რუკის შედგენა/განახლება და მონიტორინგი; მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი; სახელმწიფო გეოლოგიური რუკების შედგენა (გეოლოგიური აგეგმვა); გარემოს დაბინძურების დონის შეფასებისთვის ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება; საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგის ჩატარება, შესაბამისი საინფორმაციო მასალების (ბიულეტენების, წელიწდეულების, ანგარიშების) მომზადება და გავრცელება, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და რეგიონული ინფრასტრუქტურის მოწყობა, დაკვირვებების ქსელის გაზრდა; საქართველოს საზღვაო სივრცეში და შიგა წყალსატევებში გავრცელებული ძირითადი სარეწაო თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების რესურსების შეფასება და სარეწაო პროგნოზირება; საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ბიოლოგიური მონიტორინგი და გარემოს მდგომარეობის შეფასება; სტრატეგიულ დოკუმენტებში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ასპექტების ინტეგრირება; ინტეგრირებული სანებართვო სისტემის შემოღება; მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) 11.6 ამოცანის შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, ახალი ავტომატური სადგურების შეძენა და დამონტაჟება; მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) 14.4 ამოცანის შესაბამისად, საქართველოს შავი ზღვის ტერიტორიული წყლების, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და შიდა წყალსატევების სარეწაო ობიექტების პოპულაციათა მარაგების შეფასება, სარეწაო

	პროგნოზირება და კვოტების განსაზღვრა; საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე და შიდა წყალსატევებში თევზჭერის სტატისტიკური ანალიზის, ბიოლოგიური კვლევისა და მონიტორინგის განხორციელება და მათი გარემოსდაცვითი სტატუსის განსაზღვრა; მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) 14.4 ამოცანის შესაბამისად, თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების კონსერვაციული სტატუსის შეფასება; აკვაკულტურის, მარიკულტურისა და მდგრადი მეთევზეობის დანერგვის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მაღალი გამართლებადობის ამინდის და ჰიდროლოგიური პროგნოზები. მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ გაფრთხილებების გაუმჯობესებული ეფექტურობა, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური რეჟიმის შეფასების გაზრდილი სივრცითი გარჩევადობა.; გეოლოგიური სტიქიის გართულებების თავიდან აცილებისათვის შექმნილი მონიტორინგის საიმედო სისტემა; გამოცემული ყოველწლიური საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენი - სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგებისა და მომდევნო წლის პროგნოზით; მომზადებული ვიზუალური საინჟინრო- გეოლოგიური დასკვნები; გეოლოგიური სტიქიისაგან მაქსიმალურად დაცული საქართველოს მოსახლეობა და ინფრასტრუქტურული ობიექტები; განახლებული ქ. თბილისის გეოლოგიური საფრთხეების მონაცემთა ბაზა და ზონირების რუკა (მასშტაბი: 1:25 000) და მონიტორინგი; აღდგენილი სახელმწიფო ჰიდროლოგეოლოგიური ქსელი მიწისქვეშა მტკნარ სასმელ წყლებზე მონიტორინგული კვლევებისათვის; შედგენილი 1:200000 მასშტაბის სახელმწიფო გეოლოგიური რუკების კომპლექტის ელექტრონული ვერსია და შესაბამისი გეოლოგიური ანგარიში; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად განხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა პუნქტებში ატმოსფერული ჰაერის, წყლის, ნიადაგის და ატმოსფერული ნალექების სინჯების აღება, ლაბორატორიებში ჩატარდება ქიმიური და ბიოლოგიური ანალიზები დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის დასადგენად; შეძენილი და დამონტაჟებული იქნება ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის ახალი სადგურები და ჩატარდება ინდიკატორული გაზომვები 25 დასახლებულ პუნქტში; აგრეთვე შეძენილ იქნება გარემოს მონიტორინგის თანამედროვე გამზომ-ანალიტიკური ხელსაწყოები; საქართველოს საზღვაო სივრცეში და შიგა წყალსატევებში გავრცელებული ძირითადი სარეწაო თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების რესურსების შეფასება და სარეწაო პროგნოზირება - მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs), ევროკავშირის საერთო მეთევზეობის პოლიტიკის (Common Fisheries Policy (CFP) და ხმელთაშუაზღვის მეთევზეობის კომისიის (FAO-GFCM) მოთხოვნების/რეკომენდაციების შესაბამისად - წარმოებს ყველა სარეწაო ობიექტის მიხედვით, ექსპაუნდერის და თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით; შავი ზღვის საქართველოს სანაპიროსა და შიგა წყალსატევების იქთიოლოგიური, ჰიდრობიოლოგიური, მიკრობიოლოგიური და ზღვის ძუძუმწოვრების გამართული მონიტორინგის სისტემა - ყველა მნიშვნელოვან უბანზე, სათანადო სიხშირითა და ყველა მნიშვნელოვანი პარამეტრის გაანალიზებით;

	შავი ზღვის საქართველოს სანაპიროსა და შიგა წყალსატევების გარემოს მდგომარეობის შეფასება - ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) და ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (MSFD) მოთხოვნათა შესაბამისად.; სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზიანტების მიერ წლიურად მოსაპოვებელი რესურსების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა.გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური საკითხების თანაზომიერი გათვალისწინება და საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობა; გარემოზე ზემოქმედების, მათ შორის გარემოს დაბინძურების პრევენცია/შერბილება და კონტროლი.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** სტანდარტული მიწისპირა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების პუნქტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** მეტეოროლოგიური/აგრომეტეოროლოგიური - 175; ჰიდროლოგიური - 75; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** მეტეოროლოგიური/აგრომეტეოროლოგიური - 220; ჰიდროლოგიური - 80; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** შესრულებული სამუშაოების მოცულობა დამოკიდებულია გეოლოგიური სტიქიის აქტიურობის ხარისხზე, ფინანსური და შრომითი რესურსების შესაძლო უკმარისობაზე და გამზომი ხელსაწყოების მწყობრიდან გამოსვლაზე **2.** **ინდიკატორის დასახელება -** ზედაპირული წყლების რაოდენობა; დასახლებული პუნქტების რაოდენობა, სადაც ტარდება ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი; **საბაზისო მაჩვენებელი -** 236; 60; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 237; 63; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების შესაძლო უკმარისობა. სინჯების აღების შემაფერხებელი გარემოებები **3.** **ინდიკატორის დასახელება -** მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი; **საბაზისო მაჩვენებელი -** 70 ერთეული; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 78 ერთეული; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%; **შესაძლო რისკები -** შესრულებული სამუშაოების მოცულობა დამოკიდებულია გეოლოგიური სტიქიის აქტიურობის ხარისხზე, ფინანსური და შრომითი რესურსების შესაძლო უკმარისობაზე და გამზომი ხელსაწყოების მწყობრიდან გამოსვლაზე

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა, დარიშხანშემცველი ნარჩენების ობიექტების მართვა (31 12)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	ხედვა 2030 (ეკონომიკური განვითარება)
აღწერა და მიზანი	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის განხორციელება; ბირთვული და რადიაციული საქმიანობების ავტორიზაცია; რადიოაქტიური მასალების, მაიონებელი გამოსხივების გენერატორების, რადიოაქტიური ნარჩენების, მათი მფლობელი ორგანიზაციების და პროფესიული დოზების უწყებრივი რეესტრის განახლება და წარმოება; ბირთვული და რადიაციული ავარიებისა და ინციდენტების, ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალური მიმოქცევის, აგრეთვე სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე, საბაჟო და სატრანსპორტო ტერმინალებზე რადიაციული განგაშის შემთხვევებზე რეაგირება; რადიოაქტიური ნარჩენების მართვა; საქართველოში არსებული გარემოს რადიაციული მდგომარეობის მონიტორინგი და კონტროლი; ქვეყანაში არსებული რადიაციული მდგომარეობის შესახებ საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენი ყოველწლიური ანგარიშის მომზადება; დარიშხანშემცველი ნარჩენების განთავსების ადგილების (სოფლები – ცანა და ურავი) უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ამ სოფლების ტერიტორიაზე დარიშხანშემცველი ნარჩენების განთავსების ადგილების სისტემური მართვა, მოვლა-პატრონობა, ფიზიკური დაცვის კომპლექსური სისტემების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან დაცული მოსახლეობა და გარემო; დაუსაბუთებელი დასხივებისგან დაცული სამედიცინო პერსონალი და პაციენტები; რადიოაქტიური ნარჩენების გაუმჯობესებული მართვის სისტემა; ფიზიკური დაცვით უზრუნველყოფილი და რადიაციული მონიტორინგის სისტემებით აღჭურვილი რადიოაქტიური ნარჩენების

	სამარხი და საცავი; შეფასებული გარემოს რადიაციული მდგომარეობა; დარიშხანშემცველი ნარჩენების მავნე ზემოქმედებისაგან დაცული მოსახლეობა და გარემო; დარიშხანშემცველი ნარჩენებით დაბინძურებულ ლოკაციებზე შექმნილი ფიზიკური დაცვის კომპლექსური სისტემები; მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო მოთხოვნებთან და სტანდარტებთან.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება -** ორგანიზაციების საქმიანობის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; **საბაზისო მაჩვენებელი -** 81%; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 99% **2.** **ინდიკატორის დასახელება -** ფიზიკური დაცვით უზრუნველყოფილი დარიშხანშემცველი ნარჩენების განთავსების ლოკაციების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 4; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 4 (შენარჩუნებული მაჩვენებელი+ცანა 3-ის ტერიტორიაზე მოწყობილი დარშხანშემცველი სარკოფაგი)

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და "განათლება მდგრადი განვითარებისთვის" ხელშეწყობის პროგრამა (31 11)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განთლების ცენტრი
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 4 - ხარისხიანი განათლება მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 12 - გონივრული მოხმარება და წარმოება სოფლის განვითარება მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 15 - დედამიწის ეკოსისტემა
აღწერა და მიზანი	მოსახლეობის მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით განათლების მიღების ხელშეწყობა, შესაბამისი ინფორმაციისა და ცოდნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად; გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა;

	საჯარო განხილვების გამართვის ორგანიზებით ორჰუსის კონვენციის განხორციელების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საზოგადოებაში გაზრდილი ცნობიერება და განათლების დონე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით, საზოგადოების გარემოსდაცვითი და აგრარული საკითხებისადმი შეცვლილი ქცევა არაფორმალური და არაოფიციალური საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს მდგრადი განვითარების საკითხებს; ინფორმირებული საზოგადოება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაზრდილი ჩართულობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიების და ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე დამსწრეთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 5 - კამპანია; 20 გარემოსდაცვითი დღე; 1300 პირი (300-სამინისტროს თანამშრომელი; 1000 სხვა დაინტერესებული პირი); **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 20 - კამპანია; 20 გარემოსდაცვითი დღე; 6,200 პირი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - საზოგადოების დაბალი ინტერესი; კვალიფიციური კადრების სიმცირე; გარემოსდაცვითი და აგრარულ თარიღებისთვის ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებული რისკები **2.** **ინდიკატორის დასახელება** - შეხვედრებსა და დისკუსიებში მონაწილე პირთა და ლექცია-სემინარებზე დამსწრეთა რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - დისკუსიები - 2100-მდე პირი; ლექცია-სემინარები - 700-მდე პირი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - დისკუსიები - 10700-მდე პირი; ლექცია-სემინარები - 2800-მდე პირი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; **შესაძლო რისკები** - საზოგადოების მიერ საკითხისადმი ინტერესის გამოხატვის ნაკლებობა; ადამიანური რესურსების სიმწირე

ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (31 10)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ველური ბუნების ეროვნული სააგენტო
პოლიტიკის კლასიფიკატორი	კლიმატის ცვლილება - შერბილება კლიმატის ცვლილება
აღწერა და მიზანი	ნადირობის კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მომზადება და მათი პრაქტიკაში დანერგვა; საპილოტე რეჟიმში ფაუნის მსხვილი სახეობების შესწავლა;

	ქათმისებრთა ოჯახის ენდემური (ადგილობრივი) იშვიათი სახეობების რაოდენობის ყოველწლიური გაზრდის უზრუნველყოფის ხელშეწყობა; იქთიოფაუნის ერთ-ერთი იშვიათი წარმომადგენლის – ნაკადულის კალმახის ბუნებრივ პირობებში გაშვების მიზნით მისი თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ საკალმახეში გამრავლება; ბუნებაში საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ მცენარეთა სახეობების რაოდენობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება; ჰაბიტატების აღდგენისა და აღწარმოების ღონისძიებების ხელის შეწყობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ხელოვნურად გამრავლებული ნაკადულის კალმახის ლიფსიტის მდინარეში გაშვებით, მოხდება ველურ ბუნებაში არსებული პოპულაციების შევსება და ამით ველურ ბუნებაზე ზეწოლის შემცირება; აღდგენილი ჰაბიტატები და ხელშეწყობილი აღწარმოების ღონისძიებები; აღდგენილი და შენარჩუნებული გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ენდემური ქათმისებრთა ოჯახის სახეობები;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	**1.** **ინდიკატორის დასახელება** - ბუნებაში იშვიათი ქათმისებრთა ოჯახის სახეობების (კაკაბი, კოლხური ხოხობი, გნოლი, ხონთქრის ქათამი) რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - გაშვებული ხოხობი 800; კაკაბი 150. რეალიზებული იქნა 1,171 კოლხური ხოხობი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაორმაგებული რაოდენობა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15-20%; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, ნაწლავური დაავადებები, კანიბალიზმი **2.** **ინდიკატორის დასახელება** - მთის მდინარეების დათევზიანების მიზნით გაშვებული ლიფსიტების რაოდენობა; **საბაზისო მაჩვენებელი** - 840 000 ლიფსიტი. რეალიზებული 243 000 ლიფსიტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1 მლნ-ზე მეტი ლიფსიტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15-20%; **შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები. ქვირითიანობის დაბალი მაჩვენებელი

სასარგებლო წიაღის მართვა და კოორდინაცია (24 25)	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

პოლიტიკის კლასიფიკატორი	მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 15 - დედამიწის ეკოსისტემა მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
აღწერა და მიზანი	მიტოვებულ და არალიცენზირებულ საბადოთა აღრიცხვა/პასპორტიზაცია; მინერალური რესურსების რაციონალურად მართვის მიზნით, სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისთვის სალიცენზიოდ წინასწარ შერჩეული ობიექტებისათვის, მათ შორის ლიცენზიისგან გათავისუფლების და ლიცენზიის ადგილმონაცვლეობის თაობაზე, გეოსაინფორმაციო პაკეტების მომზადება; წიაღის სექტორის სტანდარტების და მეთოდოლოგიების შემუშავება და დანერგვა. შესაბამისი მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ცვლილების მომზადება და წარდგენა ინიცირებისთვის. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება/შესწავლა; სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ნავთობისა და გაზისა) მოპოვების ლიცენზიების გაცემა და ამ მიზნით გასაწევი საქმიანობის წარმართვა/კოორდინაცია; სალიცენზიო პირობების კონტროლის განხორციელება სასარგებლო წიაღისეულის რაციონალურად სამართავად. ლიცენზიით ან განკარგულებით გათვალისწინებული პირობებისა და სასარგებლო წიაღისეულის სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის შემოწმება როგორც წინასწარ დამტკიცებული გეგმით, ისე სააგენტოში შემოსული განცხადებების/საჩივრების საფუძველზე.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაიზრდება აღურიცხავი მიტოვებული და არალიცემზირებული საბადოების შესახებ მოპოვებული ინფორმაცია; სასარგებლო წიაღისეულის რაციონალურად სამართავად: სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისთვის სალიცენზიოდ წინასწარ შერჩეული ობიექტებისათვის, მათ შორის ლიცენზიისგან განთავისუფლების და ლიცენზიის ადგილმონაცვლეობის თაობაზე, მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტები; აღმოფხვრილი სალიცენზიო პირობების დარღვევები ან ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში - გაუქმებული ლიცენზიები; გეოლოგიური ფონდების ელექტრონული ვერსიით არსებული, ქვეყნის სრულყოფილი მინერალური რესურსების გეოინფორმაციული ბაზა და ამ კუთხით გაუმჯობესებული საინვესტიციო გარემო; წიაღის სექტორის სრულყოფილი და გაუმჯობესებული საკანონმდებლო ბაზა; სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ნავთობისა და გაზისა) მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. **ინდიკატორის დასახელება** - სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისათვის სალიცენზიოდ შერჩეული ობიექტებისათვის, მათ

	შორის, ლიცენზიისგან განთავისუფლების და ლიცენზიის ადგილმონაცვლეობის თაობაზე მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტები; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2024 წლის 1 იანვრისათვის მომზადებულია 2029გეოსაინფორმაციო პაკეტი; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2025წ. - 1900 პაკეტი; 2026წ. - 1920 პაკეტი; 2027წ. - 1940 პაკეტი; 2028წ. - 1960 პაკეტი; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** ლიცენზიის მაძიებლების მოთხოვნის შემცირება **2.** **ინდიკატორის დასახელება -** სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ნავთობისა და გაზისა) მოპოვების ლიცენზიის გაცემა; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2024 წლის 1 იანვრისათვის გაიცა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების 568 ლიცენზია; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2025წ. - 500 ლიცენზიის გაცემა; 2026წ. - 520 ლიცენზიის გაცემა; 2027წ; - 540 ლიცენზიის გაცემა; 2028წ. – 560 ლიცენზიის გაცემა; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** ლიცენზიის მაძიებლების მოთხოვნის შემცირება **3.** **ინდიკატორის დასახელება -** სასარგებლო წიაღისეულის რაციონალურად სამართავად შემოწმებული ლიცენზიები და განკარგულებები; **საბაზისო მაჩვენებელი -** 2024 წლის 1 იანვრისათვის შემოწმებულია 376 ლიცენზია და განკარგულება (გეგმიურად - 240 და არაგეგმიურად - 136); **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2025წ - 350 შემოწმებული ლიცენზია; 2026წ - 400 შემოწმებული ლიცენზია; 2027წ - 400 შემოწმებული ლიცენზია; 2028წ - 450 შემოწმებული ლიცენზია; **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; **შესაძლო რისკები -** ადამიანური რესურსების ნაკლებობა

შენიშვნა: ახალი პოლიტიკის მიმართულებები გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების ფარგლებში:

მხარჯავი დაწესებულების დასახელება	პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი	ახალი პოლიტიკის მიმართულება
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	„მეწარმეობის განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 07)	მეწარმეობის ხელშეწყობის ახალი პოლიტიკის მიმართულება
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი - 27 02)	✓ სოციალური დაცვის ახალი მიმართულება - უსახლკარო/მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა
	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი - 27 03)	✓ მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების ახალი მიმართულება - ორგანოთა ტრანსპლატაცია ✓ მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების ახალი მიმართულება - სპინალურ-კუნთოვანი ატროფია ✓ მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების ახალი მიმართულება - გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგი ✓ მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების ახალი მიმართულება - 18 წლამდე ასაკის ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე პაციენტთა მკურნალობა
	შრომისა და დასაქმების სისტემების რეფორმების პროგრამა (პროგრამული კოდი - 27 05)	✓ საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობა